

114
1947/2



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მნათობი

9

თბილისი

მნათობი



საქართველოს საგვრთა მწერლობის
კავშირის ურთელთვიური სალიბრატორო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკოლიბრიო
შუანალი

წელიწადი ოცდამეოთხე

1937
4375

9



19

სახელოვნო
სამეცნიერო



ამხანაგ ი. ბ. სვალინის მისალმება

სალამი მოსკოვს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს — მისი 800 წლისთავის დღეს.

მთელი ჩვენი ქვეყანა დღესასწაულობს დღეს ამ ღირსშესანიშნავ დღეს. იგი მას დღესასწაულობს არა ფორმალურად, არამედ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით სამშობლოს წინაშე მოსკოვის დიდი დამსახურების გამო.

მოსკოვის დამსახურება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან ჩვენი სამშობლოს ისტორიის მანძილზე სამჯერ გაათავისუფლა იგი უცხოელთა ჩაგვრისაგან — მონღოლების უღლისაგან, პოლონელ-ლიტველთა შემოსევისაგან, ფრანგთა შემოჭრისაგან. მოსკოვის დამსახურება, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი გახდა საფუძველი დაქუცმაცებული რუსეთის გაერთიანებისა ერთიან სახელმწიფოდ ერთიანი მთავრობით, ერთიანი ხელმძღვანელობით. არცერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნების, სერიოზული სამეურნეო და კულტურული ზრდისა, თუ მან ვერ მოახერხა ფეოდალური დაქუცმაცებისა და მთავრების უთანხმოებათაგან განთავისუფლება. მხოლოდ ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ქვეყანას შეუძლია იქონიოს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის შესაძლებლობის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი. მოსკოვის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ იგი იყო და არის რუსეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის საფუძველი და ინიციატორი.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება სამშობლოს წინაშე მოსკოვის დამსახურება. მას შემდეგ, რაც დიდი ლენინის ნებით მოსკოვი კვლავ გამოცხადდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქად, იგი ახალი საბჭოთა ეპოქის მედროზე გახდა.

მოსკოვი ახლა არის არა მარტო ახალი საბჭოთა სოციალურ-ეკონომიური წესრიგის მშენებლობის სულისჩამდგმელი, წესრიგისა, რომელმაც კაპიტალის ბატონობა შესცვალა შრომის ბატონობით და რომელიც უარყოფს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ამასთან ერთად მოსკოვი არის კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელი კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის მქადაგებელი.

მოსკოვი ახლა არის ახალი საბჭოთა დემოკრატიის მშენებლობის არა მარტო სულისჩამდგმელი, საბჭოთა დემოკრატიისა, რომელიც უარყოფს მოქალაქეების, სქესის, რასების, ერების ყოველგვარ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ უთანასწორობას და რომელმაც უზრუნველყოფს შრომის უფლებას და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ხელფასის უფლებას. ამასთან ერთად მოსკოვი არის პლუტოკრატიის და იმპერიალიზმის ბატონობისაგან მსოფლიოში ყველა მშრომელი ადამიანის, ყველა დაჩაგრული რასისა და ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა. ეჭვი არ არის, რომ ამ პოლიტიკის გარეშე მოსკოვს არ შეეძლო გამხდარიყო ხალხთა მეგობრობისა და მათი მშუ-

რი თანამშრომლობის ორგანიზაციის ცენტრი ჩვენს შრავალეროვან საბელ-
მწიფოში.

მოსკოვი ახლა არის დედაქალაქის მშრომელთა ახალი ყოფაცხოვრებისა და გა-
მშენებლობის, არა მარტო ინიციატორი, ახალი ყოფაცხოვრებისა, რომელიც
თავისუფალია მილიონობით უქონელთა და უმუშევართა სიღატაკისა და გა-
ჩანაგებისაგან. ამასთან ერთად მოსკოვი ამ მხრივ არის ნიმუში მსოფლიოს
ყველა დედაქალაქისათვის. ევროპის, აზიის და ამერიკის ქვეყნების დიდი
დედაქალაქების ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული იარა არის ჯურღმულების
არსებობა, სადაც მილიონობით გადატაცებული მშრომელი განწირულია
გაჩანაგებისა და ნელი, მტანჯველი სიკვდილისათვის. მოსკოვის დამსახურე-
ბა ის არის, რომ მან საეხებით მოსპო ეს ჯურღმულები და მშრომლებს მის-
ცა შესაძლებლობა სარდაფებიდან და ქოხმახებიდან გადასახლებულიყვენ
ბურჟუაზიის ბინებსა და სახლებში და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აგე-
ბულ ახალ კეთილმოწყობილ სახლებში.

ბოლოს, მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი წარმოადგენს მტკიცე
მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის მქადაგებელს,
ახალი ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მქადაგებელს. იმპერიალის-
ტებისათვის ომი არის ყველაზე უფრო შემოსავლიანი საქმე. გასაკვირველი
როდია, რომ იმპერიალიზმის აგენტები ცდილობენ ასე თუ ისე პროვოკაცი-
ულად გამოიწვიონ ახალი ომი. მოსკოვის დამსახურება ის არის, რომ იგი
დაუღალავად ააშკარაებს ახალი ომის გამჩალებლებს და მშვიდობის დრო-
შის გარშემო იკრებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს. ცნობილია, რომ
მშვიდობისმოყვარე ხალხები იმედით შესცქერიან მოსკოვს, როგორც დიდი
მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს დედაქალაქს და როგორც მშვიდობის
მძლავრ ბურჯს.

აი რა დამსახურებისათვის დღესასწაულობს დღეს ჩვენი სამშობლო მოს-
კოვის 800 წლისთავეს თავისი დედაქალაქისადმი ასეთი სიყვარულითა და
პატივისცემით.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრს, მშობლიურს, საბჭოთა, სოციალისტურ
მოსკოვს!

ი. სტალინი.

დავით აღმაშენებელი

★

ქარი მორეა *

XIV

ბარძიაროკის მწყემსები

...როდემდის, როდემდის უნდა უცქიროთ გულვრილად თუ როგორ ანთხევენ თქვენთა თვისტომთა სისხლს?

ნუთუ დაგიზშვეს შურისგების გრძნობა!

თქვენივე მცონარების მეოხებით მტერნი თქვენი მდიდრდებიან თქვენის საბადებლითა, ხოლო ერისმთავარნი თქვენი მსცემიან ქედმოხრილობას.

თქვენ ძილს შეუპერხართ, ხოლო მტერნი თქვენი მახვილს აწრთობენ. უაუოდ იტყვიან თქვენს გამო სხვანი: თავმოყვარეობა სამუდამოდ დაუთმიათო.

და ასეთ ყოფაში ნუ თუ არა გსურთ დაამსხვრიოთ თქვენი შუბები! როდემდის?? როდემდის არ ასმევთ სისხლს თქვენს დამშვეულ მახვილებს და ქარქაშიდან არ ამოიწვდით მათ?"

ქაქელ ალტყეარიკ.

ნიანია ბაკურიანმა ერთი არაბული რუკა ჩამოუტანა - მეფეს, სწორედ ისეთი როგორსაც იმეამინდელი მეხელანდენი, მექარაენენი, მოგზაურნი და სოდეგარნი თან ატარებდნენ ხოლმე.

სასტუმრო დარბაზში გარს შემოსხლომოდნენ ამ რუკას, თავათ პატრონი, ნიანია ბაკურიანი, ჯონდი ერისთავი.

მაზარამ შემოიტანა ბერძნულნი, რომელშიაც აღნუსხულნი იყვნენ ბიზანტიის იმპერიის ქალაქები და დაბნეები არზრუმიდან აბულიამდის, მაკედონიიდან ანტიოქიამდის, ყველა ის მიწებიც რომელიც დაქარგა უკვე ბიზანტიამ. ხოლო არაბულ რუკაში მოქცეული იყო სელჯუქიანთა სასულტა-

ნო ტრანსოქსიიდან, გურგანის ზღვის გადაღმა მზარიდან ირანი, დიარბექირი, დიდი და მცირე სომხეთი, ანტიოქია, იერუსალიმის საამირო და მთელი ეს ქვეყანა ირომდის.

აქ ნაჩვენები იყო საქარაენო გზები, რომელნიც მიემართებოდნენ ისპაჰანიდან ბაღდადამდის, ბაღდადიდან ანტიოქამდის და იქიდან იერუსალიმის საამირომდის.

ნიანია გულხელდაკრეფილი იჯდა, შესცქეროდა იმ უზარმაზარ ვეშაპს, სელჯუქიანთა სასულტანოს, რომელიც გართხმული იყო თურქმანების ქვეყნიდან ნილოსის ნაპირამდის.

ფიქრობდა: ნუთუ რაიმე ძალა არ-

სებობს ამ ქვეყნად რომელიც ამ უსაშველო ძალას დათურგნავს?

მეფემ შეინშნა: სელჯუკიანთა სასულტანოს ავასინის ჯარების ხაზში დატანებული იყო მთელი აღმოსავლეთი საქართველო უფლისციხიდან სამხრეთით, თრიალეთის საერისთაო, სამშვილდე და ტაშირი.

მეფემ განზრახ გააშლევინა ეს რუკა იმ დილით მახარას, საუბრისთვის გამოეწვია ნიანია ბაკურიანი. იგი სდუმდა, მხოლოდ თითს ვაალებდა ხოლმე იმ საქარავნო გზებს, რომლითაც ათრიეს იგი ტყვედ წაყვანისას ქერბორგა სარანევის ჯარებმა, მერმე გამოაყოლა თითი იმ გზებს, რომლითაც გამობრუნდა ტყვეობიდან გამოსყიდვის შემდეგ.

მრავალ ჭართამომენ ადამიანს სჩვევია ხოლმე ხშირხშირად მოგონება განვლილ სიმძიმელთა, ნიანია პირიქით ისე გაოგნებული იყო, მეფე ველარ ცნობილობდა ამ მდუმარე კაცს, რომელსაც მაჯაგანით თუ ამოსძალადნენ სიტყვას. სანამდის რაიმეს არ შეეკითხებოდნენ, არც რაიმეს იტყოდა, არც თუ მოიგონებდა ხოლმე რამეს.

განმარტოებას მიეღტვოდა, ცხენზე ჯდომას ეძალებოდა. ამბობდა: ამ შუგულძალღმა თურქებმა იმდენი მათრიეს ფეხით, სიარული შემაძგავსო.

თურქული ჩვევებიც შეეთვისებია ზოგ ზოგი; თითების ცოკვა ჭამის დროს, ფეხშორთხმით ჯდომა და სიმძალრის შეცნობისას მოურთიდებლად ბოყინი.

მეფე აღესილი იყო მისდამი ზრუნვით, მოულოდნელად აიყრებოდა ლიპარიტის უბნიდან მცირე სპით, ხან ასიოდე ჩუხჩს იახლებდა, გადადიოდა ჯავახეთს, ხან ქართლს, ხანაც ნაჭარმაგვეის ციხეში მიდიოდა, მუნ დაბანაკებულ მოსართა ათასეულგბ ავარჯიშებდა. ხან ჯერგას მართავდა შორის ხეობაში, ხან საღამოს ტბაზე თევზაობდნენ.

ატყობდა სიყრმის მეგობარს: არსია მოგნებდა თურქთა ჭაჭულტყუნობში განცდილ სიმძიმდტბა: მხოტმტბაბაცა, დაათათობირა მხლებელნიც პატრონმა: (განსაკუთრებით მახარა, რომელიც წარამარა აწუხებდა ნიანის კითხვითა და გამოკითხვითა) ვაცალოთო დაშოშმინება, გამოკითხვას მერმეც მოვასწრებთო.

ერთ საღამოს ისევ რუკას უსხდნენ, ისე შემოვიდა მახარა და მოახსენა მეფეს: გაბრიელ ზორგაი და მისი სამი ვაჟი ვოდერძი, როსტოი და ვოგილოი გეახლენო. მათ ხუთასი ვაყვაცი გამოეპარებინათ ტფილისიდან, ნაჭარმაგვეს ამოსულიყვენენ, იქიდან წამოსულიყვენენ ფეხით.

მამაშვილინ ფერხთით დაუყარდნენ მეფეს, შესწივლეს პატრონს: „გამძენვარდნენ ჩვენო პატრონო ხელახლა თურქნი. სარჩო საბადებელს გვტაცებენ ზიმიებს.“

ხმალზე გადაახტუნეს სამასი ქართველი ვასულ თვეს. მხოლოდ ცამეტი კაცი გადარჩა ცოცხალი, მძიმედ დაჭრილინი მუცლის არეში. სამშედურები და ზეთის სახდელები დაუქტეს ქართველთა და სომეხთა. ყველას ერთი და იგივე ბრალი დასდევს: მსტოვარებად დადიხართო დავით მეფესთან“.

მეფემ დაუყვავა ყმათა, წამოაყენა, უბრძანა მახარას პური აჭამეთო, მერმე ისევ ამბობინა და გამოკითხვა განაგრძო.

წინებში დიდი სტუმრიანობა ჰქონოდა ბანუ ჯაფარს. სამშვილდეს ციხისთავი, აღსართან კახთა უფლისწული, ძაგან ზედაზენის ციხის პატრონი ეწვიენო ამირას.

მეორე დღეს მეჯინიბეთუხუცეს უბრძანა მეფემ მთეარის ამოსვლამდის შეიდი ცხენი შეეკაზმათ, სუბუქი საკურტაკო ჯაჭვი ჩაეცვათ მხლებელთაგანს ყველას. ქარიმანს და შეიდ ჩუხჩსაც სანიადავო ჯაჭვნი გადაეცვათ, ჯუბებით შეფარულნი. თურქული

მუშარადები დაეხურათ თავზე. ვერა-
ვინ მიხვდა წინასწარ საითკენ აპირებ-
და გამგზავრებას პატრონი?

გაბრიელი ხორგაი და მისი ვაჟები
დაასაჩუქრა მეფემ და უბრძანა გა-
ნეგრძობთ რჩეული ვაჟაკების ჩუმად
გამოპარება ტფილისიდან. ნაქარმაგე-
ვის ციხის უფროსს ებრძანა ხუთას
ტფილისელის საგანგებოდ მოვლა და
ახალმოსულთა უზრუნველყოფა ბინით,
სამოსითა და საზრდოთი.

მახარა უსიტყვოდ მიხვდა: სანადი-
როდ, ან სათევზაოდ წასვლას არ მო-
ასწავებდა ასეთი სამზადისი.

ამიტომაც შეჰკადრა მეფეს: ასიოდე
სუბუქად შეჭურვილი ჩუხჩნი მანაც
იახლეო.

არაქნა პატრონმან.

მთვარე ამოვიდა თუ არა შესხდომა
ებრძანა მხედრებს. შევილიოდე ჩუხჩი
და სიტყვაი ქორა მზვერავად გაუშვეს
წინ.

წინასწარ დათქვეს სამშვილდესკენ
ეარნათ, არა თემშარებით და საურმე
გზებით, არამედ მეტყვევითა და მონა-
დრეთა მიერ ვაკვალულ ბილიკებით.
მიპყოლოდნენ ძეძვიანებს, ეწერებს
და უკაცრიელ ბილიკებს. განრიდებო-
დნენ თურქ მწყემსებთან, ან მონადი-
რებთან კენწლიობას, ან შემბას.

ჩუხჩნი წერაქეცულებით იყვნენ
აღჭურვილნი. მიდიოდნენ, გზადაგზა
ჩეხავდნენ აკანთებს, ნაბილიკარებზე
ამოსულ კატაბარდებს და ასე მიიწვე-
დნენ წინ ნათურქალ და ნაპარტახალ
მიდამოებში, სადაც სულ ათიოდე წლის
წინად, თურქის სარანგის შემოსევისას
შეწყვეტილიყო ცხოვრება, ევერსა და
ანწლიანს წაედო ასეული წლების ნა-
მაგდარი, სადაც მამლის ყვილსა და
ძაღლის ყეფის ნაცვლად ისმოდა ტუ-
რებისა და აფთარათა ხორხოცი და ჩხა-
ვილი.

მიდიოდნენ ხმაგამედილად, მხო-
ლოდ ცხენების ფრუტუნი არღვევდა
მთვარიან ღამის მყუდროებას.

ნაძენარებში აილანძებოდნენ იაგარ-
ქმნილ ეკლესიათა და მსხმრეკლესიათა
გუმბათები, ხანაც ვაჩქაქულაშტხ-
რისთავეები შელეწილი გოდოლთა ქონ-
გურები.

სილამის მიუხედავად მახარა ზეპი-
რად ამბობდა, ვადაბუგულ სოფელთა
და დაბათა სახელებს:

„ეს შემოგარენი თურქის სარანგმა
გადასწვა უკუქვევისას, სწორედ იმ
წელს, როცა ფარცხისთან დაამარცხა
მეფე გიორგიმ თურქნი, ეს ეკლესია
აღფ-არსლანმა დააწვევინა, როცა
ახალქალაქთან შეიბნენ აღფ-არსლანი
და ბაგრატ მეფე.“

ეპე, ცეცხლი რომ ბეუტავს მარტო-
ხელა, მთაში, სულ მაღლა, მთის ცხვი-
რის გასწვრივ ძველი იკორთაა, ოციო-
დე მოსახლე შერჩა მანდ ქვაბებს, და-
ნარჩენი მოსწყვიტა თურქის მარბი-
ელმა“.

გაივაცეს ზეგანზე თუ არა, ისევ და-
იწყო აკანთით დაბარდული თელის
ტყეები.

აივლიდნენ აღმართებს ვასავათებუ-
ლი ცხენები, მერმე ისევ ბარად ჩა-
მოსვლა უქირდათ მათ, მიუხედავად
იმისა, რომ გამგზავრების წინ ისინი
ქეჩით დააქედვინა მახარამ.

მხედრები წარამარა ქვეითდებოდ-
ნენ, რადგან სრიალა ბალახზე უმძიმ-
დათ სიარული ცხენებს, არც ღორღიან
ლარტაფებისა და ხეების გავლა იყო
ადვილი, რადგანაც ისეთი ლოდებით
იყვნენ დახერგილი ისინი, სახიფათო
იყო ცხენდაცხენ ზედ გადასვლა.

„აბა თუ გაარჩევ, ეს რა მთაა, მახო?“
იკითხა ნიანიამ.

„მთა ბენდერისა“.

მეფე მღუმარედ იჯდა ცხენზე.

და მახარა ჰაბუკივით დაქვეითდა,
მეფეს მიუჭრა და ეიჯა:

„ჩამობრძანდიო“

მეფემ ჩაიხედა ძირს. ლარტაფი იწ-
ყებოდა, დაცვრებულ ღორღიან ბი-
ლიკზე უნდა ეარა ცხენს.

მახარა არ მოეშვა პატრონს, სანამ იგიც არ დაქვეითდა.

წერაქვეულები ამოიღეს ჩუხჩთა და შეუღღნენ დაბარდნილ ნაბილიკეების კაფვას.

„ამ ხევს გადაღმა უკვე თურქთა ავასინის მზვერაენი დადიან“.

სთქვა მახარამ და სადავეში ხელი წაავლო თავის ცხენს.

„ამ მხრით გასაჭირი არ შეხვდება მგზავრს თურქთა ქვეყნებში, ამბობს ნიანია ბაკურიანი. სადაც კი სელჯუკიანთა ხმალი მიწვდენია, ყველგან განანაგებულა ტყეები. თვით დიარბეჭირშიაც, მლაშე ტრამალეებზე გაზრდილ სელჯუკიანებს მუდამ ენოთირებოდათ ტყიანი ველები, როგორც სომხეთში, ისე ირანსა და დიარბეჭირში ისინი მძარცველებად იყვნენ მისულნი, დაიპყრობდნენ თუ არა რომელიმე მხარეს, ტყეებს ეკვეთებოდნენ მყისვე, რადგან კარგად იცოდნენ, ადგილობრივნი მკვიდრნი ესაფრებოდნენ ტყეებს და გაუთავდნენ მტაცებლებს.

ერთხელ დამასკის ციხიდან გავექეციით სამი ქართველი და ორი სომეხი თურქებს. ხუთმეტ კაცს ავხსენით ბოროკლები ქლიბით, გუშაგები მოვაშთვეთ და თავს ვუშველეთ.

დღისით მოვიდოდით, დამეს უდაბნოში ვათევდით, უიარაღონი საესებით. ლომების ბუხუნი გვესმოდა ხშირად“.

„ჰო, მაგრამ არ გავნოთ იმ ლომებმა მერმე?“

იკითხა მახარამ.

„თუ ლომმა შენიშნა რამდენიმე კაცი მიდის უდაბნოში, თავს არასოდეს დაუვლის, მონადირენი ჰგონია. უკან მიპყვებიან შორიახლო მგზავრებს. ეგებ რაიმე მოკლან და საკბილო დარჩეთო გზაზე. ეგვიპტეში, აცინგანების ქარაყანს ლომები მიპყვებიან ამაღასავით უკან“.

„მომეტებული პატივი მოსვლიათ ამ აცინგანებს. მე მათ ლომებს კი არა, ვერთებესაც არ ეაახლებდი“.

შენიშნა მახარამ.

„ბედუინები მშიშარა ხალხია—განჯერძო ნიანიამ,—განსაკუთრებით რიჩქუხელა. ბედუინი მხოლოდ თვისტომთა შორიაა მამაცი, მარტოხელა ბედუინი მხდალია. ამ მხდალებმა გაუთქვეს კიდევაც ესოდენ დიდი სახელი ლომს.

ბედუინები ამტკიცებენ, თითქოს შამპნარიდან გამოსული ლომი სამგზის დაიბუხუნებს, რათა უმწეო ნადირთა და კაცთა საასპარეზოდ გამოობრძანება ამცნოსო.

ნამდვილად კი არაფერი ამის მგზავსი არა ხდება. ხშირად ლომი მეღასავით მიეპარება ხოლმე ბუდუინების სოფელს და სათხედან ციხნის მოპარვასაც იკადრებს ხოლმე“.

მეფემ ღიმილით ბრძანა:

„საერთოდ მშიშარა მაქებარნი უნიჭო მეფეთაც აქებენ და ეს შიშით მოსდით მათ. თუ მაქებარი თავათ ვერაა ვაკაცი, უთუოდ ეშინია მბრძანებელისა და ამიტომაც დალადებს. არავინ დაიჯეროს მართლაც საქებარი იყვეს მის მიერ ქებული“.

აგრე ყოფილა მუდამ. ხომ მსუბუქია ბატის ფრთის კალამი, მაგრამ კალმის მოსმას უფრო მეტი გამებდავობა ესაჭიროება, ვიდრე ხმლის მომქნევას. ჯერ არავინ უწყის თუ ვინ ყოფილა უფრო დიდი გმირი, ჰომიროსი, თუ აქილეესი, ალექსანდრე მაკედონელი, თუ არისტობულე, მემატიანე მისი?“

ბორა აღვა გადაღმელ ტინის ქიმიდან.

მეფემ ისარი უწყვდინა, ჰაერში შეტორტმანდა ბორა, ბოლოს შეტორტმანდა, მხარმა უმტყუნა და გადაეშვა უფსკრულში.

შორიდან გამოჩნდა სამშვილდეს ციხე.

მეფემ ცხენი შეაყენა და უმზერდა დადუმებული.

ნიანია ბაკურიანი და მახარა გვერდით ამოუღღნენ ცხენდაცხენ.

„შენ გეტყვი, ნიანია, სთქვა პატრონ-
მა, თუ განგებამ დამაცადა, სამშვილ-
დე უნდა წავგლოჯოთ, თურქთა“.

„ჯერ ტფილისი და მერმე სამშვილ-
დე“.

ჩაურთო სიტყვა მახარამ.

მეფემ განაგრძო: „როცა დმანისსა
და სამშვილდეში ჩვენი მეციხოვენი ჩა-
სხდებიან, ტფილისი გზა მოკრილი იქ-
ნება, ბანუ ჯაფარმა ნაეტყებო უნდა
მოსძებნოს და განჯისკენ მიჰყვეს
მტკვარს“.

„ჯერ ტფილისი და მერმე სამშვილ-
დე“.

მეფემ მდუმარედ შეხედა მახარას
და მერმე სთქვა:

„ამას გარემოება თავათ გვაჩვენებს
მახო. შენგანვე მსმენია: მეფემ ყველას
თათბირი უნდა ყურადილოს, მაგრამ
სამჯობინო თავათ აირჩიოსო, არა?“

პატრონმა ისურვა ჯერ სამხრეთის-
კენ ეარნათ ტყეტყე და აღმოსავლე-
თიდან მოველოთ და იქედანაც დაეზ-
ვერათ მისადგომები ციხისა.

გახედა ბოლნისისკენ მიმავალ თემ-
შარას.

საპალნით დატვირთული სახედრე-
ბი, ცხვრის ფარები და თურქული
მგელძაღვლები მოსჩანდნენ აქედან.

თავათ ციხის გარშემო მყუდროება
იყო. მხოლოდ ბუკის ნელი, ნელი ხმა
ისმოდა ხეში. როცა მეფემ ცხენი
დასძრა, მახარამ ბუზღუნნი მორათო.
უსპოთა ვართ, არ ივარგებსო ციხის
შემოვლა. გადამელი მისადგომები
აქედანაც მოსჩანსო.

როცა შეგანზე გადავიდნენ, ტყე-
ტყე იარეს. მეფე წინ მიუძღოდა
მხლებლებს. ებრძანათ ყველას: ქარ-
თულად საუბარი აღეკვეთათ. ჩუხჩით
ბილიკებით აეარნათ.

ტყიდან გასულნიც არ იყვნენ, თურ-
ქთა რაზმული შემოეყარათ ერთი,
ქარეობით დატვირთული სახედრები
მოჰყავდათ ათიოდე შუბოსანს.

მათმა მეთაურმა შეფსა და მის
მხლებლებს წაატანა ფეხიანი მუხრან-
მაგრამ თურქულ მუხრანებზე შეა-
ჩერა მხერა და ისევე განაგრძო თავის
მონასპებთან თურქულად ჯაჯღანი.

მეფემ თვალი აარიდა მათ და ნია-
ნიას უთხრა არაბულად: „ყველაზე დი-
დი წყენაა მეფისა, შეკუთვილ მტერს
საკუთარ მიწაზე ხედავდეს თავათ“.

როცა ციხის მისადგომები დახვერეს
ყოველ მხრიდან, ისევე თრიალეთის სა-
ერისთაოში შემოიქცნენ, მეცხვარეთა
და ტყისმკრელთა მეტი არავინ შეხ-
ვედრიათ.

ბენდერის მთის ფერდობებამდის
მოაღწიეს კელაე და მახარამ შენიშნა:
სამი უიარაღო და უჯაქვო თურქი მი-
დიოდა შუაგულ თემშარაზე, კომბლე-
ბი ხელში ეჭირათ, ტაატით და ხმა-
დალბ მასლაათით მიემართებოდნენ და-
საეღეთისკენ. ქარიშხან სეტყელი წა-
მოეწია მახარას.

დააკვირდნენ უცხოთა.

მაღალი, ინით წვერშედებილი თურ-
ქი მიდიოდა შუაში, ორი ტანმორჩილი
გვერდით მიყვებოდა მას.

სამივეს მწყემსური, წოწოლა ფაფა-
ხები ეხურათ.

მახარას მცირე აზიაში ჰქონდა შე-
ნასწავლი თურქული, ეუცხოვა მათი
ლაბარაკი.

ცხენი შეაჩერა, უკან მიიხედა და
მეფის გვერდით ცხენდაცხენ მომავალ
ნიანიას ანიშნა მათრახით: მოდიო.

ნიანიამ ცხენი დასძრა და როცა მა-
ხარას ამოუდგა გვერდით, ეს უთხრა
ქოსამ:

„ერთი უსმინე, ჰაბუყო, რა თურქუ-
ლია მათი ნაუბარი?“ სამივე ცხენოსა-
ნი მცირე ხანს მდუმარედ მიყვებოდ-
ნენ თურქებს და შემდგომ ამისა ნია-
ნიამ უჩუჩრულა მახარას:

ეგვიპტურ თურქულს უბნობენო.

კიდევე დააცქერდა კომბლიან თურ-
ქებს მახარა, შენიშნა: ასიოდე ცხვარი

მთის ფერღობს მოსდებოდა მხარ-
მარცხით.

ქარიმან სეტიელმა სთქვა:

«ეს თურქები მეცხვარეებს არა ჰგე-
ნან მახო, რამდენი ხანია უკან მიყვე-
ბით, ფარა იფანტება, ყოჩი არ სარდ-
ლობს, ქარაფზე გადამდგარა ეგერ,
აქანთის ლერწებს ძიძგნის». ამის თქმა
შოასწრო ქარიმან სეტიელმა და თოხ-
ლი გადმოვიარა ქარაფიდან და ხრამში
გადაიჩეხა.

ინით წვერშეღებილი, ახმახი თურქი
აყვირდა და ხრამისაკენ გაეშურა.

ქარიმან სეტიელი ცხენიდან ჩამოხ-
ტა, სადავე ტახტზე გადაუდგო ლაფშას
და მანაც ისკუბა ხრამში.

ვიდრე წვერშეღებილი თურქი
თოხლს წამოაყენებდა, ქარიმანმა
მკლავში ხელი წაავლო თურქს.

გამომყევით!

უბრძანა თურქულად, თანაც მის
ღვეკაცურ მკლავებს შეავლო თვალი,
დაშნისკენ არ წაიღოსო ხელი.

წელზედ დახედა.

უიარაღო სჩანდა იგი.

თურქმა მკლავი წაართვა.

რაი გინდაო?

შეეკითხა ბრახმორეული.

«— კაი ვაგაკაცი სჩანხარ, წამო, პუ-
რი გაეტეხოთ ერთად».

თავაზიანად მიუგო ქარიმანმა და
თავისი ნიჩბივით ხელი წაუჭირა მის
მკლავს და შეიციო ჯუბის სახელოს
ქვეშ ჯაჭვის პერანგი რომ ეცვა
თურქს.

მკლავის აშვება ეწადა ჩოფურას,
შეინძრა და უთხრა უკმეხად ქარიმანს:
ზიმიებთან არ ეჭამო პურს.

აბა წამოდი, სიტყვა მაქვსო შენთან.
არც საუბარი მსურსო ზიმიებთან
რაიმე.

რა საქმე მაქვსო შენთან.

არც საქმის დაჭერა მინდაო რაიმე.
მაშინ ორივე მკლავი წამოუსვა ქა-
რიმანმა თურქს. უკანასკნელმა მიინც
შესძლო ცალი მკლავის წართმევა.

ისევე მოუნაცვლა ქარიმანმა ხელი,
იძალა თურქმა და შეებნა ხელდახელ
ქონდაქართუხუცესს. მეფემ: ჩინსიჭურ-
ძოდა კბოდეს პირად ორი ღვეკაცი.

ბოლოს მუხლის თავი მუცელზე
ატაკა ქარიმანმა თურქს, მიწაზე დასცა-
და მუხლისთავი ზედ დააბჯინა.

ამასობაში ჩუხჩებმა თვალი მოჰკრეს.
თუ როგორ გააშიშვლა ორმა დანარ-
ჩენმა თურქმა იატაგანები და ქარაფის-
კენ გაიქცენენ.

დაქვეითდნენ ჩუხჩნი, კბოდეს პი-
რად მიეწიენ და იატაგანები აჰყარეს
მათ.

ვიდრე მეფე, ნიანია და ჯონდი
ერისთავი ქარაფის კიდემდის მოაღ-
წვედნენ, ქარიმანსა და ჩუხჩებს უკვე
გაბაწრული ჰყავდათ სამივე თურქი.

ჩოფურა, ინით წვერშეღებილი
თურქი ხარივით ბლაოდა, გაავებული
აგინებდა ზიმიებსა და გურჯებს.

ცხენებზე მანდიკურად გადაჰკიდეს
ჩუხჩებმა სამივე თურქი, ცხვრის ფარა
წინ აიგდეს და მოკლევებით შეუდგნენ
ალმართებს.

ქარიმან გზადგზა შეაყენებდა ტყვე
თურქებს: სადაურობას ეკითხებოდა-
და თრიღლეთში ჩამოსვლის მიზეზს.

ენა ჩაიგდეს სამივემ.

უარის ნიშნად თავს უქნევდნენ მხო-
ლოდ.

როცა ხულუტის ციხეში მიიყვანეს
ტყვენი, ცხენებიდან ძირს ჩამოიღეს,
ჩოფურმა თურქმა ქარიმანს ეს უთხრა:

ხელები გაგვიხსენით და ყოველივეს
ვიამბობთო.

ქარიმანმა ბრძანა და ხელები შეუხს-
ნეს ჯერ ჩოფურას, ინით წვერშეღე-
ბილს.

წამოდგა თუ არა, მშვიდად მიუბა-
ლოვდა ქარიმანს და სილა აჭამა.

ამის თქმა მეწადაო დასძინა.

მაშინ ნესტოებს ქვემოდ მჯიღი აძ-
გერა ქარიმანმა თურქს, იგი წაიქცა-
და სამი კბილი გამოაყოლა სისხლიან
ღუეს.

წყალი მოუტანეთო ბრძანა ციხის-
თავმა.

წყალიც არ მინდაო ზიმიების ხელით
მოტანილი.

განაცხადა ჩოფურამ.

იჯდა მიწაზე და აფურთხებდა
სისხლს.

მერმე ორივე ხელი დაიფარა ტუჩ-
პირზე, გრძლივ გაწევა მიწაზე და ენა
ჩაიგდო.

ქარიმანმა ბრძანა:

ააყენეთ და მხრები გაუკარიეთო.

ააყენეს და გაკოქეს.

ისევ დაწვა.

ისევ წამოაყენეს.

ტაჯგანაგებით სცემეს, მაინც არ
მოეშვა ციხის სოხანეს.

მეფემ მოიწადინა: თავათ დაეკითხა
თურქნი.

როცა პატრონი ციხისთავის სამყოფ-
ლოში შემობრძანდა, თუმცა მას ისე-
თივე სანაიდაგო კურტაკი ეცვა ჯაჭვი-
სა, როგორც მის მხლებლებს, ჩოფუ-
რა თურქი მაინც მიხვდა იგი უნდა
ყოფილიყო ყველაზე უფროსი, ამიტომ
აღდა და კედელს მიეყუდა.

რად სცემეთო?

იკითხა პატრონმა.

მახარამ დაასწრო განმარტება ქარი-
მანს.

ქარიმან სეტყელი მიეხალა მხრებ-
გაკრულ თურქს, დაბეჭილი ჯუბა
გადაუწია და ჯაჭვის ფარეშოსანი რკი-
ნის კურტაკი უჩვენა პატრონს. ქამრის
ქვეშ იატაგანი ეკიდა თურქს.

მეფე არაბულად შეეკითხა სადაუ-
რობას ტყვეს:

თავი გაქნია ჩოფურამ.

არ ეიციო არაბულიო.

მეფე ნიანიას მიუბრუნდა:

ჰკითხეო თურქულად:

„აგრე უბნობს ჩვენო პატრონო,
მწყემსი ვარო, სამშვილდეს ბარიდან“.

უთარგმნა ნიანიამ მეფეს.

„აბა აგრე ჰკითხე: თუ მწყემსი ხარ,
ჯაჭვი რად გაცვია თქო?“

„გურჯები და ზიმიები თავა გვესხ-
მიან თრიალეთში შემოესკულუნე ამიტო-
მაც გვაცვია ჯაჭვის ბურჯი“
დანარჩენი ორი თურქი სოხანეზე
იწვა თავქვე და ზენეშოდა.

მეფემ წამოყო ქარიმანს:

გაიყვანეთო ტყვენი

ჩოფურა მიხვდა: ამ „უფროსს“ თუ
მომაცილეს, ცემით მომკლავენო, და-
ბარბაცდა და ორ დანარჩენ თვისტომთ
მიუწვა გვერდით.

მაშინ ფეხებში ხელი დაავლეს სა-
მივეს ჩუხჩითა და კარია ზღურბლზე
გადაათრის ძალით.

როცა ციხის დილეგში დაიმართხე-
ლა ისინი ქარიმანმა, წამოაყენეს ტყვე-
ნი, კედელზე მიაყუდეს და ტაჯგანა-
გებით სცემეს.

მაინც მიწაზე დაწოლას მიეღებოდ-
ნენ სამივენი:

მაშინ მარტოდენ ჩოფურა წამოაყე-
ნებინა ქარიმანმა, აქეთ იქით ორი ჩუხ-
ჩი ამოუდგა მას, ორივე ჩუხჩმა მახვი-
ლი გაიძრეს, ერთი მეორის პირისპირ
დადგნენ, ქამრის გასწვრივ გაუწვდი-
ნეს მოპირული მახვილები ჩოფურას,
მესამე ხმლიანი ზურგს უკან მიადგა და
გადახტოო უბრძანა.

თურქმა დაჰხედა ალესილ ხმლისპი-
რებს, არ ინდომა გადახტომა, ერთი
დაიბლაღლა, ძირს ჩაიკეცა და წაი-
ლულულა:

ნუ მომკლავო და გამოგიტყდებითო.

სალამოს ქარიმან სეტყელი ეახლა
პატრონს და შემდეგი მოახსენა: ჩო-
ფურამ აღვიარა, ისპაჰანიდან გადმო-
მაგზავნა ბარქიაროკის სარანგმა. ერთი
თვე ავასინის¹ ლაშქრის უფროსთან
დავეყიო. მან სამშვილდის ციხის თავ-
თან წარმგზავნა, ციხისთავმა ასი ცხვა-
რი გამოგვატანა, მწყემსურად გადაც-
მულთ უნდა გვევლო ასე, ლიპარტ
ამირას დატყვევების ამბავი უნდა გავ-
გვეგო წერილად, თრიალეთში დავით

¹ ავასინის ლაშქარი — მესაზღვ-
რე თურქთა ჯარი.

მეფის ლაშქრის რაოდენობა აღგვე-
რიცხა და ისევ ისპაჰანს გავბრუნებულ-
ვიყავითო.

მეფემ ბრძანა: და ქედზე ბორკილე-
ბი დაადგეს თურქთა და სულუტის ცი-
ხის დილეგში ჩაადგეს მსტოვარნი.

XV

კ ო ლ ო

როცა თურქი მსოტვარების ისპაჰა-
ნიდან გადმოსვლის თარიღი დაადგინა
ქარიმან სეტიელმა, გამოირკვა: თრია-
ლეთელი აზნაური აზარაისძე ერთი
თვის აღრე ყოფილა წარმოგზავნილი.
აზარაისძეს ქარაევანებით უვლია ისპა-
ჰანიდან ვაპარშაპატამდის; ხოლო
თურქ მსტოვარებს მსწრაფლ მსრბო-
ლი ცხენებით, რომელთაც თითო დღის
საგალზე სცვლიდნენ, როგორც ამას
შუასაუკუნის კურიერები ჩადიოდნენ
ხოლმე.

ასე უვლიათ მათ ლორეს ციხემდის,
ხოლო იქიდან ავასინის ლაშქრის სა-
რანგს გამოეგზავნა ისინი სამშვილდის
ციხისთავთან.

საერთოდ მეფე უკვე დარწმუნდა,
რომ სულტან ბარქიაროკის სარდლობას
ზუსტი ცნობები ჯერაც არ ჰქონდა
მიღებული იმის გამო, რაც თრიალე-
თის საერისთაოში ხდებოდა იმ ქამად.
მეფემ კარგად იცოდა, ჯოჯიკისა და
არშარუნის ცნობებიდანაც, რომ ბარ-
ქიაროკი ბაღდადს იყო წასული ხალი-
ფა ალ-მოქთაღისათვის ხუტბის¹ გა-
გამოსაძალავად.

ახლა ესლა აწუხებდა მეფეს, თუ ვინ
უნდა ყოფილიყო ის შავთორიანი, შავ
ციხენზე მჯდარი, ლითამიანი მხედარი,
რომელიც თადარჯინის ხევში ენახათ
გასულ თვეს მწყემსებს?

¹ ხუტბა — როცა სელჯუკიანთა სულტა-
ნი ტახტზე აღიოდა, ხალიფა ლოცვას აღა-
დგენდა მისი სულის საღებნად შეჩეთში და
„ხუტბა“ ეწოდებოდა. აქედანაა ქართული
სიტყვა „ხიტბა“.

სიტყვები ქორას ნამებობს საჯუქოდ
სთვლიდა მეფე.

პატრონი ნაჭარმიავტმან ჩუქჩაქმანძაძე
საწურთენად წასული. ლიპარიტის
უბანში დაბრუნებულს, თორის გახდაც
არ აცალა მახარაიმ, ისე მოახსენა: გუ-
შინლამ კიდეც უნახავთო ის შავთორო-
სანი თადარჯინის ხევში.

მეფემ მიუგო:

„მე ეკვი არ მეპარება თურქებს კი-
დეც ეყოლებათ სხვა მსტოვარებიც
თრიალეთის საერისთაოში. ამიტომაც
გეიგობს მხიარული და უდრტვინველი
სახე ვუჩვენოთ მტერს. მიზეზიც საა-
მისო ხელთა გვაქვს. ნიანია ბაკურიანის
ტყვეობიდან მშვიდობით მობრუნების
აღსანიშნავად, მოდი ამ დღეებში პო-
ლო გაემართოთ, მახო?“

აღგილის გამოც ითათბირეს. გა-
დაწყდა: ძველ ცაცხვიანში გაემართათ
ციხნბურთი. მეორე დღეს მეფემ თა-
ვით წაიყვანა საჯინიბოში ნიანია ბა-
კურიანი და უბრძანა: სკეითიას გარდა
რომელიც მოგეწონოს, აარჩიეო.

ნიანია ბაკურიანმა თვალი დაადგა
ერთ ფეხკავში ულაცს შიხნის ჯიშისას,
რომელსაც ორაგულის ქერეჭის დარი
ფორეგები აჩნდა ვერცხლისფერ ფონ-
ზე.

„ორაგულა“ ერქვა კიდევაც ამ
ულაცს.

მახარაიმ გამოარკვია, რომ თრიალე-
თელ აზნაურებს არა სცოდნოდათ პო-
ლოს თამაში. (ყველანი, ვინც რატი
ლიპარიტის ძეს შველოდნენ ცხენბურ-
თის თამაშის დროს ქუთაისში, რატის-
თან ერთად ფარცხისის ციხეში აღმოჩ-
ნდნენ გარემოცულნი).

პოლოს¹ თამაშობდნენ უპირატესად
მეფეთა კარზე, — ბიზანტიასა, საქართ-
ველოში და ირანში.

¹ პოლო — ცხენბურთი, ერთგვარი სათამა-
შო შუა საუკუნისა, რომელიც გავრცელებუ-
ლი იყო ძველ ბიზანტიაში, ირანსა და საქარ-
თველოში.

მხარაიმ იგიც გამოარკვია, რომ ერისთავთა შორის მხოლოდ ლიპარიტ დიდს გაუღმართავს თრიალეთში პოლო. „როდის?“ — იკითხა პატრონმა.

„როცა ლიპარიტ არხევოსმა ანისი-დან გამოიტყუა ბაგრატ მეფის მიერ ციხისთავად დადგენილი აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და აწყვერის ციხის პატრონი და იოანე ერისთავი — დადიანი და შეიპყრა ივინი ანისის კარსა“.

ამ ამბების მომსწრე არავინ აღმოჩნდა ცაცხვიანში მოგროვილ აზნაურთა შორის. აგრე ინება პატრონმა და ცხრა ჩოგნიან ცხენოსანთა შორის სამ-სამი თრიალეთელი აზნაური უნდა ყოფილიყო.

მხარა ბუზღუნებდა ამის გამო, ეშინოდა არაფერი მოსწიონო მეფეს, მაგრამ ამას წინასწარის მოსაზრებით ჩადიოდა პატრონი. როგორც ჯერგას გამართვის, ისე თევზზე ნადირობის დროსაც თრიალეთელ აზნაურებსაც თანწარიტანდა, ვანსაკუთრებით ახალგაზრდებს, მათ შორის, რადგან ამ ვზით ეწადა მათი მოყვავება.

როგორც მხარა, ისე ქარიმან სეტიელი უკმაყოფილო იყვნენ ამის გამო; ჩუხჩინი გაფრთხილებული ჰყავდა ქონდაქართუხუცესს და ივინიც ყოველ წუთში მზად იყვნენ.

პოლოს თამაშში მონაწილეობის მისაღებად მოვიდა იმ დღეს ცაცხვიანში იოანე დუქისძე, რომელიც წინასწარ მინიშნებული ჰყავდა ქარიმან სეტიელს, როგორც გულდამწვარი ლიპარიტელი. იმ თვეს, როცა სამეფოსი ლაშქარი თრიალეთის საერისთაოში შემოვიდა და ლიპარიტ ამირა შეიპყრო მეფემ, იოანე დუქისძე ავად იყო და ამიტომაც ვერ გამყვა რატიან.

ქარიმან სეტიელის მსტოვარებმა კარგად იცოდნენ, რომ შინ დარჩენილი ქარიმავი აზნაური გესლს ანთხევდა დღენიდაგ, მეფეს აუგად ახსენებდა, რატი ლიპარიტისძეს, ძღვენს უგზავ-

ნიდა წარამარა, კიდევაც მოახსენა ქარიმანმა არა ერთგვის უკუგზავნა უფლებყროთო იოანე დუქისძეს მსტოვარებზე კოჭმანობდა.

„განა ყველანი უნდა შევიპყროთ, ვისაც ჩვენ არ მოვწონვართ? ჯერ მიუშვი, თვალყური ადევნონ მსტოვართ, იგი უციხოვნო აზნაურია, ბევრს ვერას გვავენებს. სხვათა საქციელის გამოსარკვევად დიახაც გამოვადგება“.

ვიღრემდის პოლოს თამაშში დაიწყებოდა, მეფე პირველი შებრძანდა ცხენზე. ცხრა-ცხრად დაწყობილ მხედრებს შორის ჩადგა, ჩოგანი გამართა მოთამაშეთა შესახედავად.

„ჩოგნის მოქნევა აგრე უნდა“, სთქვა და შემოიქნია ჩოგანი.

„სწრაფად უნდა შემოიქნიაოს ბურთს ცხენდაცხენ გაჭენებულმა. ზეაწეული მარჯვენა ყურის მახლობლად უნდა შემოაბრუნო, ჩოგნის ბოლო მკერდის ქვემონაწილს უნდა უსწორო, ირიბად უნდა მოდიოდეს ჩოგნის ცემა, ფრთხილად, მონდომილად და განზომილად.“

წყვეტით უნდა იხმართო ჩოგანი და ბურთის საბრძოლი ჰელოში შეგდებამდის უნდა დაიცვა ცხენდაცხენ.

საჭიროებისამებრ, ხან მხარმარჯვნივ უნდა გადაწვეს მხედარი, ხან მხარმარცხნივ, გააჩნია საითკენ გაავდებენ მოპირდაპირენი ბურთს; ხანაც უნდა გადმოკეიღოს კიდევაც მხედარი ცხენიდან, ასე რომ პირველი მოსართავის ქვეშ მიწაზე მომკორავ ბურთსაც უნდა მიაწვდინო ჩოგანი და ასე შეიქცეო შენს ნებაზე იგი.

კარგია, ასე მისლიო თანდათან ბურთს, რადგან მოპირდაპირეს გაუძნელდება შენი ცხენის მოსართავის ქვეშ მიაწვდინოს თავისი ჩოგანი მას.

ყოველი მოჯირითე უნდა ცდილობდეს ჩოგნის ცემისას არამც და არამც არ დაამავთოს მოპირდაპირის ცხენო არც ზემჯდომი; ჩოგანს ისე უნდა სცემდე ბურთს, უნდა ცდილობდე წინ

მიმქროლავ მოპირდაპირის ცხენს შე-
უგლო უკანა ფეხებს შორის ბურთი.

განზომილად, ბეჯითად და წინ და-
ხედულად უნდა სცემდეთ ჩოგანს, არც
მათრახი წაახმაროთ, არც ხელი, თუნ-
დაც უნაგირის ტახტასთან რომ მოგი-
ვარდეს ბურთი“.

თამაში დასასრულს უახლოვდებო-
და, როცა სამგზის ხელის მოცარვამ
ჩოგნის ცემისას ფრიად გააბოროტა
აზნაური დუკისძე, სამგზისვე ჯონდი
ერისთავმა წაართვა მას ბურთი. და
სწორედ ისეთ დროს, როცა პელოსკენ
მიმქონდა ბურთი ჯონდის, გამოუდგა
იოანე დუკისძე, მოუქნია ჩოგანი მალ-
ლა აეარდნილ ბურთს და სახეში უთა-
ვაზა ჯონდის.

ჯონდიმ ცხენის შეყენება მოასწო-
რა და ცხვირიდან სისხლი წასკდა.

შამანისძემ შესჰამა ტკივილი და
უნაგირზე ისე გაბევედა, კრინტი არ
დაუძრავს. მეფემ მოაგელვა მასთან
ცხენი, დაუყვავა ჯონდის, ცხენიდან
ჩამოდიო უბრძანა.

აიჩემა ჯონდიმ, განეგარძობო თა-
მაშა.

მეფემ კარგად იცოდა თრიალეთის
აზნაურებს ჭირისდღესავით სძაგდათ
ჯონდი შამანისძე, რადგან მას
სთელიდნენ ლიპარიტისა და რატის
შეპყრობის მოთავედ.

მეფემ გულის წყრომა დაიოკა.

შეხედა თვალებში მთლად გაფით-
რებულ იოანე დუკისძეს და მხოლოდ
ეს უთხრა:

„უნდა ეცადო ჩოგანი არ გააკარო
შენს მოპირდაპირეს, არც იგი გაახე-
ლო და არც მისი ცხენი. არც საყუთა-
რი ცხენი გაგულისო, არც გაგულის-
დე თავათ. რადგან გულმოსული და
წრესგადასული, ვერც ომს მოიგებს,
ველარც ჰელოში შეგადებს ბურთს“.

ლამემ გაპყარა პოლოს მოთამაშე-
ნი.

როცა მხედრები დაქვეითდნენ და

ცხენები ცაცხვიანიდან გაიყვარეს მე-
ჯინიბეთა, იოანე დუკისძე შეეძგლა
მეფეს, ნაძალადევად გაუღიჯა და უთ-
ახსენა:

„მამაჩემისაგან მაქვს განაგონი, ჩვე-
ნი პატრონო. სწორედ ამ ცაცხვიანში
გაუმართავს სულკურთხეულ არხეგას
ლიპარიტს პოლო, როცა ნეტარხსენე-
ბული ბაგრატ მეფე სასირეთში დაუ-
მარცხებია, ოქროს ჯაჭვი სცმია
თურმე ერისთავთ-ერისთავს იმ დღეს“.

მეფემ თვალი გაუმართა დუკისძეს
და მიუგო მშვიდად:

„სამაგიეროდ დღეს მე გაუმართე
პოლო ამირა-ლიპარიტს და მის მომხ-
რეებს ამავე ცაცხვიანში“.

ვახშმობისას ნიანია ბაქურიანი
გვერდით მოისევა მეფემ. პატრონის
სიახლოვით გახარებულმა პირველად
მოიღვინა ტყვეობიდან დაბრუნების
შემდეგ. ენა ამოიღო, ძველებურად
ოხუნჯობდა, ენამზეობდა, ბოლოს
როცა ღვინო წაეკიდა ოდნავ, ასეთი
ამბავი მოახსენა პატრონს:

„გაუგონარი საჩუქარი გაუგზავნა
ებერეიზმა რუმის მეფეს, თუმცა ებერ-
ეიზი ზშირად ეტოკებოდა რუმის კეი-
სარს, მაგრამ ერთხელ გაპირეებისას
შველა სთხოვა და მიართვა საცხებით
იშვიათი ქრთამები: ასი მსახური, რო-
გორც ზორციელად, ისე სულიერად,
სრულქმნილნი, ასი მხევალი — პაერო-
ვანნი და პირმშვენიერნი. ოქროს საყუ-
რენი, მარგალიტის თირთიმებით შემ-
კულნი, ყვრიმალს უმშვენიებდნენ ამ
ღიაცებს.“

მათს ცხენებს ოქროს უნაგირნი ზედ
ელგა, ზურმუხტებითა და საფირონე-
ბით მოოჭვილი. ებერეიზმა თავის
მხეველებს გაატანა სამი წყრთის სიგრ-
ძე ამბრის ტაბაკი, მურასა მარგალიტე-
ბით შემკული ირგვლივ.

სამი ფეხი ჰქონდა ამ ტაბაკს, ბა-
ჯალლო ოქროსი, ერთი გამოსახავდა
ლომის ფეხს, თათიანს, მეორე ირმი-



პას ფლოქეიანს, მესამე არწივისას, ქან-
ვიანს. ლომის თათში მწვანე აქატი
ბზინავდა, ირმის ფლოქეში წითელი
რუბინი ბრწყინავდა, ხოლო არწივის
ქანვთა შორის — ლაპისლავის დუ-
რაჯი, რომელსაც წითელი, მთლად
სისხლისფერი თვალები ჰქონდა ლა-
ლოსა.

ამ ტაბაკზე იღვა იემენის ონიქსისა-
ვან ნაკეთები თასი, ღვინის ნაცვლად
ლალებით გავსილი კიდემდის და ერ-
თიე ოქროს შიბებისაგან დაწნული
ხელკალათი, რომელშიაც ასი აღმაპი
იღვა, თითოეული მწყრის კვერცხის
ოდენა და ასი ბეჭედი თითოეული
აქატის, რუბინის და საფირონის
თვლებით დამშვენებული“.

ესა სთქვა ნიანიამ, ღვინო მოსვა, შე-
ხედა პატრონს და გაუღიმა:

„მერმე, მერმე?“ — იკითხა მეფემ.

„ეს მიაშობო ქაიროს ციხეში ტყვედ
ყოფნის დროს ერთმა ფარსმა, ამირ
ედლინ ილ-ლაზის მონამ, პოლოს
თამაშს შეეხებოდა ასე, მაგრამ ამ აღგი-
ლას მოაღწია თუ არა, ციხისთავი შე-
მოვიდა, ბორკილები ახსნა, რადგან
იგი ქილირჯ არსლანისთვის გაუგზავ-
ნია საჩუქრად ამირ ედლინ ილ-ლაზის“.

მახარა უკვე შეზარბოშებული იყო
და მხიარულად წამოიძახა:

„მართალია, მართალია, პოლოს
შეეხება. ახლა მე განვაგრძობ, თუ ნე-
ბას მომცემს პატრონი“.

მეფემ თანხმობის ნიშნად გაუღიმა
მახარას. ამ უკანასკნელმა განავრძო:

„როცა ეს ქრთამები მიიღო რუმის
მეფემ, ნოვროზობის დღისთვის, ოცია-
თასი რაინდი აახლა ებერეისს, ტერ-
ფიდან თხემამდის მძიმედშეჭურვილ-
ნი. ორი მილიონი ოქროს სოლიდი, ათა-
სი კაბა ფარჩისა, ოცდაათი მხვეალი,
სკვითების ქვეყნებიდან ტყვედ წამოყ-
ვანილნი, მაღალმკერდიანი დიაცები,
რომელთაც საფირონისფერი თვალები
ჰქონდათ და მარჯუნისფერი ტუჩები.“

ასი ცხენიც შიხრის ჯიშისა, სწო-
რედ ისეთნი, როგორც ~~სწორად~~ ნიანიამ
ბაკურიანს უბოძა მგზავნი მწერებს
„ოქროს“ უნაგირები ედვათ, ოქროსვე
ნალებით დაჭედდით. და გაუგზავნა კი-
დევე ერთი ოქროს პალმა. ამ პალმას
სამარაგდის ფოთლები ესხა, ფესვები
ოქსინოსს ხოლო ნაყოფნი — ხოშორის
მარგალიტისა, ხრიზობული გაუგზავნა
ერთი, ოქროს ტვიფარით დამბეჭდული
და წითელი მელნით ხელმოწერილი. ამ
ხრიზობულში ბოდიშს იხდიდა კეისა-
რი, ასეთი მცირე ძღვნის გაგზავნის
გამო. და გაუგზავნა კიდევ კვერცხის
ცხენზე შემჯდარი ოქროს მხედარი, ეგ
ცხენიც შიხრის ჯიშისა იყო. თვალები
ჰქონდა ამ ცხენს თეთრი აქატისა, გუ-
გები გიშრისა და გიშრისვე ძუა-ფაფა-
რი, ხელში ოქროს ჩოგანი ეჭირა ცხე-
ნოსანს.

მის წინაშე ვერცხლის მოედანი იყო
გაშლილი, ხოლო მოედნის შუაგულში
იღვა ბურთი, ჯერ თვალთ უნახავი
ოდენობის ლალისა. ეს ასპარეზი ვერ-
ცხლისა ქედზე დადგმული ჰქონდა
ორს, ქარვისაგან ნაქანდაკებ ხარს.

როცა ჩოგანი ბურთს მოხვდებოდა
და ვერცხლის მოედნის კიდემდის ბო-
აგდებდა, ამდროს ქარვის ხარები და-
იძვრებოდნენ, ვერცხლის მოედანი და
ოქროს ცხენოსანი იწყებდნენ ჯიროთს
და პოლოს თამაშს.“

როცა პურთბამოთავდა, მახარაი სა-
წოლის დარბაზში შეჰყვა პატრონს
ფერხითი დაუვარდა და ეთავა:

„უკვე მოწეულია ეპამი, გვეყო თრია-
ლეთელ აზნაფრებთან პოლოს თამაში,
ნულარ აყოვნებ, თორემ ბარქიაროკი
შეურიგდება ბიძა მისს ამირ ტუტუშს,
ხომ იცი, ძაღლი, ძაღლის ტყავს არ და-
ხევს. დრო ჩვენთვის მუშაობს, ოღონდ
ნუ დაეყოვნებთ, სამშვილდე ავილოთ,
ბანუჯაფარს თბილისი წყავლიჯოთ და
ანგარიშები გაუუსწოროთ კახთა მე-
ფეებს — კვირიკესა და აღაართანს.“

„ნუ მაჩქარი, მახო? ვინც აჩქარდება,

იგი ყველაზე მეტს დაიგვიანებს. შენ და ქარიმანმა ხვალვე თადარჯინის ხევში წაიყვანეთ ჩუხჩინი, ის ერთი მსტოვარიც შეიპყარით, ხოლო ხვალისათვის, ხვალინდელმა დღემ იზრუნოს, მახო!"

მეორე დღეს ჯოჯიკის მიერ ეპაარ-შაპატიდან გამოგზავნილი წიგნი მოუტანა მალემსრბოლმა მეფეს.

"ამირ-ედდინ ილ-ლაზი თავს დაესხა ანისს, მაგრამ სომეხთა კათალიკოსის ბასილის ძმამ გრეგორმა აოტნა თურქინი და უკუაქცია ამირ ედდინ ილ-ლაზი", — იწერებოდა ჯოჯიკი.

ეს ცნობა დაადასტურეს თურქის მსტოვრებმაც.

XVI

მკისკოკოსთა თათბირი

როგორც თრიალეთელი აზნაურნი, ისე სამღვდლონიც დიდ საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი. ათასგვარი ხმები დადიოდა უბოვართა და გლახაკთა მეფის გამო, არავინ უწყოდა, თუ რას აპირებდა იგი.

ქარიმან სეტეელი, მისნი მსტოვარნი დღისით ნადირობდნენ, თევზაობდნენ, ხოლო ღამლამობით დაძრწოდნენ მთელს საერისთავოში — ატყვევებდნენ ქვეგამხედვართ მეფის ტახტისა, რამდენიმე აზნაური ნადირობის დროს გაიტაცეს. ბაიბური არ ისმოდა მათს გამო, ზოგი ესე ამბობდა ქარიმან სეტეელის მეხმლეებმა დახოცესო, სხვას ნაჭარაგვევისა და ქუთაისის ციხეში ეგულებოდათ ისინი.

ციხეთა გაყვება, მოისართა წვრთნა, ცხენების ზედნა, გზების შეკეთება, მხოლოდ ამ ამბით გართულიაო მეფე.

ბუზლუნებდნენ სამღვდლონი: ბაგრატ კუროპალატიც მუდამ ებრძოდა მტრებს, მაგრამ მისოდენი ეკლესიები და ტაძრები ვის აუცილაო.

არც მანგლელს, არც წალკელს, არც

მაში ბასილის მოსწონდათ ეს ყოველივე. არც ნიანია ბაკურიანის ჩამოსვლით იყვნენ გახარებულნი, ნიანია ბაკურის უჯდებოდათ ქუქუაში მღვდელთმთავართ, რომ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ გულჩათხრობილად შექმნილი მეფე, მოცალების ქაშს, არაბულ საკითხავებს ეძალებოდა, ნიანია ბაკურიანის მიერ ჩამოტანილთ.

საერთოდ მანგლელი და წალკელი აგრე ფიქრობდნენ: რა საჭიროა უსჯულოთა ენებზე დაწერილი წიგნების კითხვა, რაც რამ საღეთოთა და კეთილი ქართულად და ბერძნულადაა დაწერილიო, საერთოდ რაც კარგია ყველაფერი დაბადებასა და სხაჩებაში სწერია და სხვა რამე არც უნდა იკითხოაო ქრისტიანმა და არც დაწეროსო რაიმე, საღმთო წერილში ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი ჩაწერილიაო და ყველაფერი თქმული.

ღამინებული იჭვრიტებოდნენ ვარსკვლავეთისკენ თავთავიანთ ციხეთა საშვირებიდან თრიალეთელი მოხუცი აზნაურები, ყოველი ცთომილის მიერ აღვილის გადანაცვლებას, ან მთვარის დისკოს ოღნავ შეფაკლვას ათასგვარ ბნელ ამბებს აკიდედნენ და წინასწარმეტყველებდნენ: ომს, სისხლისღვრას, ეამიანობას და სიმშვილს.

ამას ზელი შეუწყო უჩვეულო სეტყვამ, რომელმაც უწყალოდ დაიუჯგავათ მთელს თრიალეთში ხეხილი, ხოლო შუაზაფხულზე მინდვრის ვირთხა მომრაველდა უეცრად და ნათესები და ბოსტნეული გააოხრა. დასასრულ ერთმადედაბერმა ამბავი მოუტანა წალკელ ეპისკოპოსს: სამეფიანი წიწილი გამოსჩეკაო კრუხმა.

იმ წელსავე გამოჩნდა თრიალეთში ირანიდან გადმოსული ბოცომკალი¹ და აგნო პურელუს. გომარეთელი მოხუცებული დიაკონი შესულიყო უთენია ბოსტანში, მოსჩვენებოდა: კომბოს-

¹ ბოცომკალი — შიზრილი კალია.

ტოს თავზე გომბეშო იჯდა, ჩემს და-
ნახვებზე შეერთაო გომბეშო, პირი
დააბინა და კვერნის ოღენა ეშმა ვად-
მობტაო. დიაკონი კოკლი ყოფილა,
თავს იმართლებდა: ბევრი ვიფაფხურე,
ჯვარი ვაჩვენე, მაგრამ ფეხმა მილალა-
ტა, ველარ მივსდიე და ევერში გაუჩი-
ნარდაო.

წალკელმა იმ დღესვე ახმოზინა თა-
ვის ეპარქიის ხუცეები, თავათაც სწორა
და აწირვინა მღვდლებს, იქადაგეს:
ამოხოცეთო მთელს ეპარქიაში გომბე-
შოები. ორთითებითა და ფინდებით
აღჭურვილი მოსახლეობა მოედო ბა-
ლებსა და ბოსტნებს, გაუუყეს გომბე-
შოები, მაგრამ ვერაფერი აენეს ბოცო-
მკალს.

წარუძღვნენ საზეიმოდ შემოსილი,
ხატებითა და ჯვრებით აღჭურვილი
სამღვდელთონი მრავალ ათასიან
მრევლს, მინდორველად ატარეს ხალ-
ხი, ჰგმეს ვირთხებისა, გომბეშოების და
ბოცომკალის სახით განცხადებული სა-
ტანა.

შემდგომ კვირას კირიონ მანგლელმა
და შეიღმა ეპისკოპოსმა საზეიმო წირ-
ვა გადაიხადეს მანგლისის ტაძარში.
წირვის დასასრულს ავიდა ამბიონზე
კირიონ მანგლელი და დიდხანს ილაპა-
რაკა იმის გამო, თუ როგორ ებრძოდა
წმინდა გიორგი და მაცხოვარი იესო
ქრისტე ეშმაკეულს.

ზეპირად წარსთქვა ის ადგილი, სა-
დაც სატანა შეუჩნდა იესოს და უფს-
კრულში გადახტო, რომ ურჩევდა,
არც ის დავიწყებია, თუ როგორ შეუ-
ტია ეშმაკეულს ქრისტემ და ღორის
კოლტში გადასული ეშმაკეული რო-
გორ გადაიხვეწა ქარაფიდან.

მერმე სთქვა:

„ჯერ კაცისობას არავის მოსწრებია
სამფეხა ქათამი საღმე გამოეჩეკოს
კრუხს, ან ამოდენა ბოცომკალა მოსდე-
ბოდეს ყანებს, არც ამდენი ვირთხები,

ან გომბეშოს ამოენერწყვის ეშმაკეუ-
ლი.

ერქონესული

როგორც სამფეხა ქათამი ცხო-
ცომკალი და ვირთხები ეს განცხადე-
ბააო ეშმაკეულის. გარდა ამისა, ჩვენ
გვაუწყეს, რომ ზოგიერთი მწყემსები
ქინკებს შეუღლებიანო შორის ხეობა-
ში და საღამოს ტბის სანახებში“.

ეშმაკეულის განხიზვის შედეგი დიდ
უბედურებას უქადდისო საქრისტიანო-
ნოს. მომრაველდა შემთხვევა მშობიარე-
თა გაქარჩხვისა. არამართო დიაცთა
ეშმაკეული აბრკოლებსო ფაშატების
მიერ კვიცების მოგებას, მაკე ძრო-
ხების მიერ ხბოების შობას, ეშმაკეუ-
ლის მომრავლების შედეგია ძროხების,
ცხვრების და ღორების გაბერწყმა,
სეტყვისა და გოღვის მოხშირებაო.

ბოლოს ეს ყოველივე მწვალებელთა
და ბნელის მომთხრობთ გადააბრალო.
თრიალეთი უსჯულო ისლამის მახლო-
ბელი ქვეყანაა. ყურანისა და სხვა არა-
ბული წიგნების კითხვას, მუსლიმთა
ქითაბების გარდაფუცვლაც უნდა აღე-
კვეთათო მართლმორწმუნეთა.

მახარა და ნიანია ბაკურიანი და-
ესწრნენ ამ ქადაგებას: „ერთი შეხედდე
ამ წითურ ხუცესს, სამფეხა ქათამს
არა გავს თავათაც?“ — უჩურჩულა მა-
ხარამ ნიანის და ერთბაშად ისე დაე-
ჯღანა მანგლელს, ნიანია ბაკურიანმა
ძლივს შეიკავა სიცილი.

სჯული შეირყაო თრიალეთის სა-
ერისთაოში, ეკლესიებს არ უვლით
მას. შემდეგ, რაც თურქის საპრანგმა
თრიალეთი მოაოხრა, რაც აღფ-
არსლანმა ახალქალაქი აიღო, იმ დღი-
დან არც ეკლესიები შეუუეთებიაო რი-
გიანად ვინმეს, არც ახალი ხატები,
ჯვრები შეუქენიათო.

ეს ყოველივე ბუნებრივად იწვევსო
ეშმაკეულს მომრავლებას თრიალე-
თის სიერდათოში.

ერთ საღამოს კირიონ მანგლელი და
ღოსითიონ წალკელი ეპისკოპოსი

ბეჭდ

ცაქ



ეწვიენ მამაი ბასილის. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს: სადარბაზოდ ზღებოდნენ მეფეს, შეეჩვილათ მისთვის ეშმაკეულის ზმირი განცხადების გამო, ეთხოვათ ეკლესიათა შეკეთებისა და საყდრის იარაღის შესაძენი სახსრები.

სწორედ იმ საღამოს დიავონი მიუგზავნა კატაიმ მღვდელმთავრებს და მობრძანება სთხოვა სამთავეს.

შავი დოღბანდით თავშეხვეული გამოვიდა ერისთავის მეუღლე, ველარ უმართავდა სტუმრებს ნაპტირალეუ თვალებს.

ნიკაპს ქვეშ ესვენებოდა ცრემლები ერისთავის მეუღლეს, როცა იგი მოუთხოვბოდა სტუმრებს ლიპარიტის გამწარებული სვისა, დედისიმედის კვლავ აუად გახდომისა, თავის უპატრონოდ შთენილი ოჯახის, მოსალოდნელი სისხლის ღერისა და სიმძიმის გამო.

დააქციეს ჩემი ოჯახი, ნეტარხო მამანო, დააქციეს თრიალეთის საერისთაო, დააქციეს მთელი საქართველო, — ახლა კირიონ მანგლელს გაუსწორა ცრემლმორეული თვალევი კატაიმ და შეპქეთინა:

„მე, მიწა, მეუფებისა შენისა, მუნღამოყრილი ვიყავი და მღვდარებით გონებაშიბდილი ესტიროდი, როცა თქვენს ქადაგებას ვისმენდი. დაგვსძალა უსჯულოებამ, დაგვიქციეს მამული არა მარტო ჩვენი საერისთაო, მთელი ჩვენი საქრისტიანო, მართლმორწმუნე საქართველო განსაცდელის კიდემდე მიიყვანეს“.

კატაი ჯერ სახელდებულად არ ამხელდა, თუ ვინ ჩაიდინა ეს ყოველივე, ვინ დააქცია თრიალეთის საერისთაო და საქართველო, მაგრამ როცა უსიტყვოდ შენიშნა, თუ როგორ ააღელვა მანგლელი ერისთავის მეუღლის ჩივილმა, უფრო მკაფიოდ გამოთქვა თავისი გულის ნაღები:

„ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანა დაამშვიდოს, სარწმუნოების განმტკიცე-

ბისათვის, ხალხის დამოშმინებრათვის იზრუნოს, პოლოს თამაშით, ნადირობით, თევზაობით, ჯირით, კარტობა, აპყოლია გიჟ მახარას; ახლა ნიანი ბაქურიანი ჩამოუვიდა, ხარკისნაშობი, ორივენი ისლამის ქვეყნებში მოწამლული არიან უსჯულოთა ქითაბების კითხვითა.

ჩემი ანგელოსი, ჩემი გყოიტი დამისნეულდა მისგან მოჯადოვებული, ოჯახი დამიქციეს, ნეტარხო მამანო, საერისთაო დაგვიღუმეს, რწმენა შეგვირყიეს“.

ვინ იცის, კიდევ რამდენხანს გაგრძელდებოდა ერისთავის მეუღლის ქეთინი, კირიონ მანგლელს, რომ ასეთი კითხვა არ შეეგებებინა მისთვის:

„თქვენ ეს გვარქვით, კატაი ბატონო, რითი შეგვიძლია ჩვენ მწუდ გეყოლოთ და ესოდენი დიდი სიმძიმისი შეგვიმსუბუქოთ?“

ამის გამგონე კატაი პირუთენელად გამოუტყდა და ამცნო მღვდელმთავრებს: რომ ერთადერთი პირი, ვისაც შეეძლო ეს გორდისეული კვანძი გაეხსნა, მისი ოჯახის დაღუპვისა და იავარქმნას გადაერჩინა — ე. ი. ლიპარიტისთვის ბორკილი აეხსნა, რატი ფარცხისის ციხიდან მშვიდობით გამოეყვანა, დედისიმედის სვე კეთილად წარეშართა, ეს იქნებოდა მარიამ დედოფალი, ერთადერთი ადამიანი, რომელიც რაიმე ზეგავლენას მოახდენდა ამ „ჯიუტსა და ღვთის მიმართაც გაურჩებულ“ დავით მეფეზე.

„ან სხვას ვის შეუძლიან, გეთაყვა, რაიმე შეასმინოს მას, ვინც მამისეული ტახტი მიიტაცა, აგრე ამბობენ, გეთაყვა, წინათ გიორგი ტყონდიდელს უსმენდა ეჟიდიანკამზე, ახლა დასავლეთი მას და იმ შლეგს შერგილ ლიპარტიანს ჩააბარა, ზოლო აღმოსავლეთში თავათაა განუკითხველი პატრონი.

გვარამ ბეჟისციხის პატრონს არად აგდებს, არც ერთ ერისთავს და ების-

კობოსს არაფერს ეკითხება, ეს გიჟი მახარა, ის წყეული ჯონდი ერისთავი, რომელსაც ეგზომ დიდი წილი უდევს ლიბარტისა და რატის შეპყრობაში, ის სისხლის მსმელი ქარიშხან სეტყელი, ხეპრე სვანი, რომელიც ღვინის ნაცვლად კაცის სისხლით თვრება, აი ესენია მისი მოთათბირენი, გეთაყვა.

თქვენ როგორ გვიბრძანებთ, კატაი ბატონო,—ისევ შეაგება სიტყვა კირიონ მანგლელმა.—წიგნი მიეწეროთ თუ?..

„წიგნის მიწერით რა გამოვა, უნეტარესო მამაო, თავათ უნდა წაბრძანდეთ და როგორც თქვენი, ისე ჩემი სახელით ეაჯოთ დედოფალს: წამობრძანდეს და გვიხსნას განსაცდელი საგან, არა მარტო ჩვენი ოჯახი, მთელი ჩვენი საერისთაო და საქართველო აცდინოს ძმათა სისხლის ღვრას.“

„თქვენ თვალწინ მოხდა ეს ყოველივე. მე არ ვიტყვოდი თქვენდა უკითხავად. თქვენ რომ არ განგეყვითნათ ლიბარტი, რატისთვის ებიტიმია არ დავგდოთ, ის ეშმაკის კერძი ჯონდი შამანისძე ხელუტის ციხიდან ვერ გამოიტყუებდა ჩემს ვაჟს... ახლა ლიბარტმა სინანულის ბარათი მოსწერა დაეით შეტეს. უფრო მეტად არ ებრძოდა ბაგრატ მეფეს ლიბარტი დიდი, მაგრამ არ იკადრა ქრისტიანმა მეფემ დამარცხებული მტრის გასრესა, ქრისტიანული სულგრძელობა გამოიჩინა, თუმცა შეიპყრო, მაგრამ თავისავე გულს მოერიდა, პატივით შემოსილი განუტევა იერუსალიმს“.

ახლა მამაი ბასილი ჩაერია საუბარში:

„მაგრამ დაეით მეფე“...
 არც მას აცალა გაავებულმა კატაიმ სიტყვის დასრულება: „პაპ, პაპ, პაპ, დაეით მეფეს არც უნდა გაუმზილოთ თუ რა საქმის გამო წაბრძანდებით კონსტანტინეპოლს“...

სამივე მღვდელმთავარი შეყოყმანდა.

მხოლოდ წალკელმა ეპისკოპოსმა იპოვნა გამოსავალი. ყველაზე მეტად მას ეშინოდა დაეით გენერალმა კარგად იცოდა დაეით მეფის მსტორებს არა ერთგვის ჰქონდათ მოხსენებული პატრონისათვის, როგორც პირველად მისი მექრთამეობის, ისე მისი ეპარქიის მოწესეთა ვერცხლის მოყვარულობის, ლოთობის, მრუშობისა და აღვირახსნილობის გამო.

სწორედ წალკელმა სიტქვა ამიტომაც:

„მართალსა ბრძანებს ერისთავის მეუღლე. სიტყვის დაძვრაც არ შეიძლება დაეით მეფესთან. ჩვენ ხომ ვაპირებდით მეფის წინაშე წადგომას. კონსტანტინეპოლს წასვლის გამო მოვახსენებთ: საყდრის იარაღის გამო უნდა ვეაჯოთ მარიამ დედოფალს. ათონის იბერიელთა მონასტრიდან ქართული თარგმანები ჩამოუტანიათ კონსტანტინეპოლში ბერებს. აი ამ ნივთების ჩამოსატაცნად მივდივართო, ვიტყვი“.

წალკელ ეპისკოპოსს კონსტანტინეპოლი არა ჰქონდა ნახული. თავათ, მხოლოდ ეს აინტერესებდა. ისიც კარგად იცოდა, ლიბარტის მეუღლეს ჯერ არ გამოლოცოდა შავი ღლისათვის შემონახული სოლიდები, ბოტინატები¹ და დიპრემები.

როცა მღვდელმთავრებმა წასვლა დააპირეს, კატაი დაბეჯითებით შეეპატიჟა მანგლელს, რაკი მამა დოსითეოზ, მამა ბასილთან სტუმრობს, თქვენ ჩვენსას გაათიეთო ეს ღამე.

კირიონ მანგლელი გულწრფელად შესძრა ამ საცოდავი დედაკაცის ცრემლებმა, იგიც იგრძნო, რომ მისი ოჯახის გაუბედურებაში მასაც მიუძღოდა ბრალი, დარჩენა არ უნდოდა ეგზომ დამწუხრებული ოჯახის ქერსქვეშ

¹ სოლიდები და ბოტინატები ბიზანტ. ფულს მონეტებია, დიპრემები—თურქულ-არაბულენა.

მაგრამ ხათრმა დასძლია და მორჩილად დაეშვა საგარძელზე.

მამაი ბასილი და დოსითეოზ წალკელი კიბეზე არ იქნებოდნენ ჩასულნი, როცა მან უკვე ინანა, რად მივეციო სიტყვა ერისთავის მეუღლეს კონსტანტინეპოლს წასვლის გამო.

კარგად იცოდა.. დავით მეფის მსტოვრები ამ ამბავს გამოსჩხრეკდნენ როგორმე და მერმე?.. საერთოდ მეფის უკითხავად ასე შორს წასვლა?..

ეთქვათ მეფისთვის საყდრის იარაღის მოსაპოვებლად მივდივართო, ერთი ენახოთ მეფე დაპირებოდა თავათ: აფხაზეთიდან, ქუთაისიდან ტოკლარჯეთიდან კიდევ მოგცემითო საყდრის იარაღს, მაშინ?

ეკლესიების შეკეთება მოემიზებებინათ?

ახლა ამის გამოც ეთქვა: ამისათვის გავიღებო სახსრებს? განა ცოტა ოქრო და განძეული შეეძინა მის საქურტლეთ ორივე ლიპარიტის მიერ საბერძნეთიდან ჩამოტანილი დოვლათიდან?

როცა კატაი ეპისკოპოსთა გაცილებების შემდეგ დარბაზში შემობრძანდა და ისევ დაჯდა მანგლელის ვასწვრივ, ორივე იდაყვი მუხლებზე დაიბჯინა და გამხვრეტი მზერით შეხედა კირიონს, მას შეეშინდა წინასწარ არ მიმიხედესო გულისხმას და ამიტომაც სულ სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი.

„თქვენა ბრძანდებით, კატაი ბატონო, წელან, რომ ყოველივე ამ სიმძიმელში თითქოს მე მიმიძლოდეს ბრალი. როცა ადამიანი რაიმე უბედობას უჩივის, მან უნდა განსაჯოს: ეთქვათ, რაც მოხდა არ მომხდარიყო, მოცემულ გარემოებაში რა იქნებოდა სხვა გამოსავალი? ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი ახდენილი რომ არ ახდენილიყო, სხვა უარესი რამ მომხდარიყო?“

კატაი მაინც და მაინც დიდად განსწავლული არ იყო არც რიტორიკის ხელოვნებაში და არც კირიონ მანგლე-

ლისთვის ჩვეულ ბნელსიტყვიანობაში, იგი ხშირად მთელი საათი უდგებდა ყურს კირიონის ქადაგებას. იქნებ გორც კი ეპისკოპოსი ბიბლიურ ზღაპრების ფარგალს გადასცილდებოდა და მისთვის ჩვეული ბნელსიტყვიანობით ქადაგებას შეუდგებოდა, კატაი რეტ-დასხმული გამოდიოდა ეკლესიიდან.

ახლაც სრულიად ვერ გაართვა თავი, თუ რას მიესწრაფოდა ეს ხუცისი, „ახდენილისა“ და „არ ახდენილის“ გამო რომ ენამზებოდა?

კირიონმა მის მზერაში ამოიკითხა ეს გაოგნება ჭკუით უძღურის დიაციონსა და ხელდადებით უთხრა:

„თქვენა ბრძანდებით, კატაი ბატონო, თითქოს მე მიძლოდეს ბრალი, ყოველივე იმაში, რაც მოხდა თრიალეთის აერისთაოში ამჟამად.“

თქვენ კარგად უწყით, რომ მე არც ის შლეგი მახარა მიყვარს, არც ის ხარკისნაშობი ბაკურიანი, არც ჯონდი შამანისძე. ესენი დაურიდებლად დასცინიან ეპისკოპოსთა და სხვა სამღვდელთა და საღვთო წერილზე გულს უცრუებენ ქაბუჯ მეფეს.

მართალია, ლიპარიტი მე განგვეთე ქრისტიანული ეკლესიიდან, თქვენ ვაქვს რატის მე დაეადევი ეპიტიმია, მაგრამ ამას ყოველივეს თავთავისი მიზეზი ჰქონდა და ეს მიზეზები თავათ წარმოშვეს თქვენმა თანამემცხედრემ და ვაჟმა თქვენმა. ხოლო მე, როგორც მწყემსმა ქრისტიანული ეკლესიისამან, ჩემი ვალი მოვიხადე უფლის წინაშე.

ახლა თქვენ თავათ განსაჯეთ, კატაი ბატონო, ეს ყოველივე რომ არ მომხდარიყო, ლიპარიტი ნადირობის ღროს არ შეეპყროთ და რატი ციხიდან არ გამოეტყუებინა ჯონდი ერისთავს, ორივენი სადმე შეეჩებოდნენ მეფესა და მის ლაშქარს, ხომ შესაძლებელი იყო საშინელი სისხლის ღერა ატეხილიყო და ამ ბრძოლაში ორივენი დაღუპულიყვნენ. თქვენ უკეთ მოგვხსე-

ნებათ დავით მეფე მედგარია და ბრძოლაში შეუპოვარი.

ახლა, ღვთით, ეს ყოველივე აგვშორდა და როგორც ერისთავი ლიპარიტი ისე, თქვენი ვაჟი რატი ცოცხალნი არიან ღვთით.

ეგვიც ღვთის ნება იყო აღბათ და იგივე უფალი შეგვაძლებინებს მშვიდობით დავებოლაყვით ეს ყოველივე. ამისკენ უნდა იქნეს ამჯამად ჩვენი გულისყური მიქცეული“.

კირიონმა შეატყუო: კატაი მართლაც დაუფიქრდა დაუკვირვებლობით წამოროშელ საყვედურს და სცნო მისი უსაფუძვლოება.

შემდგომ ამისა ეს უთხრა ერისთავის მეუღლეს:

„უკეთუ ჩვენ დავით მეფეს არ გაუმხელთ კონსტანტინეპოლს ჩვენი გამგზავრების უმთავრეს მიზანს, ჩვენ ძლიერ ვაგვიჭირდება მეფეთა დაუკითხვად ვეაბლოთ მარიამ დედოფალს და მართოდენ ჩვენი სახელით თუნდაც თქვენი სახელითაც, ვეაჯოთ მას თრიალეთის საერისთავოში ჩამობრძანება.“

მე აგრე მგონია, უთუოდ საჭიროა და კეთილგონიერებაც ამას მოითხოვს: ჯერ ვეაბლოთ დიდოფალს ელენეს, და გიორგი მეფეს გეგუთში, ვეაჯოთ მათ: წიგნი მისწერონ მარიამ დედოფალს და ჩამობრძანება სთხოვონ. ვინძლო ეს ამბავი დავით მეფემაც რომ გაგვიგოს, ჩვენ ბრალი მოზნანილი გვექნება ამ გზით“.

კატაის გულზე ვარდი მოეფინა კირიონ მანგლელის ეგზომ გონივრული თათბირის მოსმენისაგან, იგიც კარგად იცოდა, მარიამ დედოფალს არ უყვარდა არც კატაი, არც ლიპარიტი და არც რატი.

ახლა კიდევ ერთი ამბავი აწუხებდა კატაის. ერთხელ მასთან საუბარში მოხუცებულ მამაი ბასილის წამოსცდა: მარიამ დედოფალი იმიტომაც ვერ ჩამოდის ბიზანტიონიდან, რომ ამ მოკლე

ხანში მისი ვაჟი კონსტანტინე დუკა, პორფიროგენიტოსად და აღზევდესო.

ეს ამბავი იოანე მაგისტრს მოუწერიო კირიონ მანგლელისათვის.

კატაიმ კარგად იცოდა: უკვე რამდენიმე წელია, რაც კონსტანტინე დუკა კესაროსის გვირგვინს და წითელ წაღებს ატარებდა, ე. ი. ბიზანტიის თანამეფედ, ტახტისმტედ ითვლებოდა.

სანამ აღუქსი კომნენი ჯერაც ტახტზედ იჯდა და მხნედ იყო, როგორი აღზევება უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი?

უკანასკნელ ხანებში მოვლენები ისე წარიმართენ, კატაი დაეჭვდა დავით მეფისა და დედისიმედის შეუღლების საქმეში, ამ შემთხვევაში არც კატაის და არც თრიალეთელ აზნაურებს არამც და არამც არ გაეხარდებოდათ, რომ კონსტანტინე დუკა, დედის მზრიდან ბაგრატოვანი, კეისრის ტახტზე ასულიყო.

ეს ხომ უფრო მეტად გააძლიერებდა ლიპარიტის ძეთა მოსისხართ, დავით მეფესა და საერთოდ ბაგრატოვანთა მთელ გვაროვნობას, მით უმეტეს, რომ მარიამ დედოფალს ცალი თვალი საქართველოსაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

არც ის დაუმალავს მამაი ბასილის კატაისთან საუბარში, რომ ამას ყოველივეს მარიამ დედოფლისათვის გაუმხელად აწყობენო იოანე მაგისტრი, მოხუცებული ქართველი აზნაური და ნიკეთორე დიოგენი, თვალებ დათხრილი იმპერატორის რომან დიოგენის ვაჟი.

რა თქმა უნდა, კატაის არ გაუმხელია კირიონ მანგლელისათვის, რომ მან ასე წერილად იცოდა მამაი ბასილისაგან ეგ ამბები, მხოლოდ ესა ჰკითხა:

„მე ყური გამეხვრიტა, ყოვლად ნეტარო, და ვერ გამიგია, რა აღზევებას მოელის კონსტანტინე დუკა?“.

კირიონ მანგლელი მიუხედავად ერისთავის მეუღლეს, რომ იგი გაცილებით მეტის გამოკითხვას აპირებდა მისგან, ვიდრე მას შეეძლო გაემხილა. იგიც აშკარად გახდა მისთვის: ეს ყოველივე მამაი ბასილის უნდა წამოსცდენოდა ამ ცბიერ დიაცთან, ბრაზი წაეკიდა ანაზღად გულზე.

დაფრთხა: არ გასთქვასო კონსტანტინე დეკა ამ წყევულმა დიაცმა.

ამის ეწინააღმდეგებოდა თავით თანაუგრძნობდა კირიონ მანგლელი ნახევრად მაგრატოვანის საკეისრო ტახტზე ასვლას.

თავისი მწითური წამწამები დააპარბალა კირიონმა და წამოიძახა:

„ვინ მოსჭორა ეს ამბები?“

აღზევებაო?

აღზევება აკლია ვანა ათხუთმეტი წლის ქაბუკს კონსტანტინეს? სიყრმიდანვე კესაროსის გვირგვინი თავზე ადგია, წითელი წაღები ზედ აცვია.

რაო, ალექსი კეისარი თავის სიცოცხლეშივე ხომ არ დაადგამს მას კეისრის გვირგვინს?“

ახლა კატაის ცფიერ თვალებს გაუმართა ხმალივით შემართული მხერა და როცა უცნაური ციალი საცნაურჰყო მასში, მხრები აიწეა ეპისკოპოსმა და დასძინა:

„ვინ იცის, ეგებ პანიპერსევასტოსობა მიუბოძოს კეისარმა მარიამ დედოფლის ვაჟს?“

კატაის მოაგონდა ანთიმოზ ბერის მიერ გეგულიდან ჩამოტანილი ამბები: მეფე გიორგი და ელენე დედოფალი გახარებულნი ღელავენ, კონსტანტინეპოლიდან „დიდთა ამბავთა“ მომლოდინენი.

ქუთათელს იგიც უთქვამს თურმე: გიორგი მეფეს თავის ვაჟზე გული აუცრუდა, ახლა კონსტანტინე დეკაზე აშკარებდსო თავის უკანასკნელ იმედებს. მხოლოდ გიორგი ჰყონდიდელი სდუმს, დავით მეფის ნახვას მიელტვის, პატრონის მიერ უხმობლად თრი-

აღეთს ვერ ჩამოსულა, ნოლო დავითთ თავათ, განზრახ არ ხმოვინდესო მას.

ეგეც უნდოდა კირიონმა მანგლელის ბინა კატაის, მაგრამ სიტყვა ენის წვერზე დაიჭირა და ეგ უთხრა მანგლელს:

„მამო თქვენ აგრე გგონიათ, მამაო კირიონ, ბიზანტიონში არაფერია მოსალოდნელი ახალი?“

„ახალი და კარგი? რა მოგახსენოთ. ცუდი კი ბევრი რამაა ამ ქვეყანად. ქრისტიანების ღვენა კვლავ დაწყებულა თურმე იერუსალიმსა და ანტიოქიაში. მცირე აზიაში სულთან ქილირჯ არსლანია გაბატონებული, იერუსალიმში ამირ ილ-ლაზი, ირანი და სომხეთი როგორც ვხედავთ, სულთან ბარქიაროკა დარჩა, კილიკიის მონასტრებიდან სომეხი ბერები გამოუჩეკით თურქებს და მონების ბაზარზე ჰყიდიან ცხვრებსავით, საქრისტიანო უდიდეს განსაცდელშია, ეგაა კატაი, ბატონო, ახალი“.

კატაი მიხედა სხვა ვერაფერს დასტყუებდა კირიონ მანგლელს, შეამჩნია უკვე ამოქნარებდა სტუმარს, ვერცხლის სასანთლე აიღო, სასტუმრო დარბაზში გაიყვანა, ხელზე ეამბორა და ძილინებისა უსურვა მას.

როცა კირიონ მანგლელი, მამაი ბასილი და წალკელი ეპისკოპოსი გეგულს ჩაეიდნენ, გიორგი ჰყონდიდელი მანდ ბრძანდებოდა. იგი უსიტყვოდ მიუხედა სტუმრებს, თრიალეთის საქმეთა გამო რომ უნდა ყოფილიყვნენ ჩამოსულნი; არ ისურვა რაიმე თათბირში წილის დაღება, ცხუმს წასვლა მოიმიზეზა, იმ საღამოსვე ქუთათის ციხისკენ გაემგზავრა და იქიდან აფხაზეთს წაბრძანდა.

გიორგი მეფე წინებულ გუნებაზე დაუხედა სტუმრებს. ნაშუალამედის ვახშობდნენ. დოსითეოზ წალკელა კარგა ხანია არ ენახა მეფე. აგრე მოენგენა: გაჭაბუკებულაო ამ რამდენიმე წლის მანძილზე გიორგი.

დაწვის თავებს სიწითლე შეჰმატე-



ზოდა, ერთი კბილიც არ აკლდა ჯერაც, ჩვეულებრივად ენაშვიობდა, ოხუნჯობდა. თავის ნადირობათა ამბები წამოუწყოს უწინარესს ყოვლისა სტუმრებს.

„წრეულს ზამთარში დიდი, დიდი თოვლი მოვიდა, ასეთი უხვი ნადირობა არავის მოსწრებია აჯამეთის ტყეში, ეუბნება დოსითეოსს, რომელიც ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგაც გულმოდგინედ ეწეოდა ნადირობას, ღვინის სმას და არც დიაცთადმი ტრფიალს არიდებდა გულს.“

„როცა მარეკების ბუკის ცემა, მადევრების ყეფა არ ამათროლებს, როცა აკანთებში შლიგინით მიმჭროლავი ირმის ფლოკეების თქარათქური არ ამალელებს, როცა ძეძვებში შეხონხული ეშვის ბუხუნი ჩემს გულს არ აატოკებს, ან მამალი ხოხბის გორიზი ხორხოცი ერყოლას არ მომგვრის, მაშინ მოდი თამანო და წინასწარ წამიკითხეთ სულათათანა, ისე როგორც ფხოველებს სჩვევიათ ეგ.“

მა, რას იტყვი დოსითეო, შენ ხომ იცი ფხოველი თავათ რომ მართავს თავტირილს??“

„მართალი ბრძანდებით, მართალი ბრძანდებით ჩვენო პატრონო. მიუგო წალკელმა. მე დაებერდი უკვე ეკლესიისა და მეფის სამსახურში. ხანდახან ვზივარ ხოლმე საწყლად მოკუტული ჩემ ჩაქჩაქა ჯორზე, მივფხობრიკობ სადმე მთაში და კაცების კრიახი რომ შემომეამება, ან როჰოს წივილს შევიცნობ დევას ძვერიდან, ჩემი ოხერი გულიც ატროკდება და აგრე მგონია, ბებერი ეპისკოპოსი როდი ვიყვე თითქოს, არამედ თოროსანი ვინმე ჰაბუკი, არა ჩემ საწყალობელ ჯორზე, არამედ არაბულ ულაყზე გადამჯდარი.“

„უპ, ნუ დამილონდი, ვეყო, ვინ იცის ეგების კაი დროც წამოგვეწიოს ამ სიბერეში, უფალი მოწყალეა, სულ აედარი როდი იქნება და ელვათატეხა ჩვენს უბედურ თავზე. კაი უნდა სკა-

მო კაცმა და კაი სეა და კაი დროის მომლოდინე იყვე. *ერეკენული*

იგეთნიც არიან ამ მსგავსად, მამულ-მებულ ბუზდუნში რომ ამოდით სული. რაც ხელთა აქვთ იმით აროდდეს კმაყოფილებიან, მუდამ ვარსკლავეთს მისჩერებია, შავი ეამის, სისხლის ღერის და მუცლის გერემის მომლოდინენი.

არც ის ვარგა ვეყო, მუდამ აუხლომელსა და შეუძლებელს რომ ეპოტიწებოდე და ეგ ცოტა, ცოტა სითბო, ცოტა სინათლე და მცირედი სიხარული, რომელიც ჩვენთვის უფალს უბოძებია, სამარადეამოდ წაიწყმიდო.

აგეთია ვეყო, ჩემი ვაჟი დავითი“.

დასძინა გიორგიმ. „დღენიდაც ვეაჯები: ჩამოდი მეტყი გეგუთში, ვთქვათ მე შეგჯავრდი და აღარც დედაშენი გიყვარს. ღვინო მაინც არ გენატრება გეგუთური? გეგუთური პური თონაში გამომცხვარი, რიონის ზუთხი და სალორის რკოთი გაზრდილი ტახის შაშხი?“

ეგ ბერიკაციც გამოგიჟა, ეგ უბედური გიორგიც ჭყონდიდელი. დღედაღამე სპათა წურთენითაა გართული. დაბობლავს მერმე აუხაზეთის, თავვერის და ოდიშის მთიანეთში, ამაგრებს ამ ციციბოებზე წამოკოტილ ციხეებს.

ვეუბნები: რამ გადაგრიათ, ვეყო, ბარაკონის ციხეს რა გამაგრება უნდა, მანდ არც სპარსი ასულა კაცისობას, არც თურქი, არც ალფ-არსლანი გეწვევია და არც მალიქ შაჰ სულტანი, მათაც ვერ შესძლეს თავვერში ასეღა.

თავი დაანებეთ მეტყი, მამა გიცნოდებათ, მარტოოდენ ჩვენი სპითა და ჩვენი ციხეებით როგორ გავუმკლავდებით მეტყი გარსმოწოლილ უშჯულოებს“.

კირიონ მანგლელს გაეხარდა: ოდნავ შეზარხოშებულმა მეფემ სწორედ იქითკენ რომ მიმართა თავისი საუბარი, საიდანაც თავათ ამირებდა იგი წამოწყებას.

ვიდრე გიორგი ჰაშნაგირს მოუხმობ-

და და ახლა სხვა ჯურის ღვინოს ჭამ-
ნიეს მოთხოვდა მას, კირონ მანგლელ-
მა სათქმელს მოუყარა თავი და მოახ-
სენა მეფეს:

„ფრიად და ფრიად გულჩათხრობი-
ლი ვახლა დავით მეფე ამ ბოლო ხანს.
ნიანია ბაქურიანის, ჯონდი ერისთავის
და მახარას მეტს არავის უხსნის ვულს.
დავბერდით მეფეთა სამსახურში, მე-
ფეთ მეფეთ, არა მარტო ჯვრით გავ-
ძლოლივართ ლაშქარს, თორანიც
გვეცმია თქვენს მიერ გადახდილ ომებ-
ში, ხმალიც მოგვიქნევია და მოგვიქნე-
ვია არა დიაკურად.

დავით მეფისათვის, მამულისა ჩვე-
ნისათვის, შევები მე ლიპარიტ ამირა-
სა და ერისთავთ-ერისთავის ვაგს —
რატის. მე კი არა, ბაგრატ მეფესა და
თქვენ გებრძოდნენ ლიპარიტის ძენი.
უფალმან ღმერთმან მხნეობა შემმატა
და მე მარტოხელად შევები მათ.

ხომ შეეძლო მოვეკალი კიდევაც
უშჯულოების ვზახე შემდგარ ლიპა-
რიტ ამირას. ჯერ სამეფოს სპანიც
არ იყვნენ შემოსული თრიალეთის
საერისთავოში და მე განვკვეთე ეკლე-
სიისაგან ლიპარიტ ამირა, როგორც მო-
ღალატე უჯულისა და მამულისა ჩვე-
ნისაი და ქვეგამხედვარი სამეფოს
ტახტისადმი.

ამისდამიუხედავად გული ამარიდა
დავით მეფემან“.

შესჩივოდა გულნატკენი მანგლელი
გიორგის.

მეფე ფრიად ააღლევა მანგლელის
ნაუბარმა, ღვინო მოსვა და მომეტე-
ბული გულისყური მიიპყრო მას.

„თქვენ ჩვენზე უკეთ უწყით, განა-
გრძო კირონმა, დღეს დღეობით სელ-
ჯუქიანთ სასულტანოში შინააშლილო-
ბა სუფევს, მაგრამ ერთიც ვნახოთ და
ბარქიაროკი ამირ ტუტუშს შეურიგდა,
ორივემ მოირთვეს ქილირჯ არსლანი
და ამირ-ედდინ ილ-ლაზი და კვლავ
განმტყიდეს სელჯუქიანთა დიდრ სა-
სულტანო. ამ შემთხვევაში ეს ვეშაბი

კვლავად შესძლებს შვილასაირსინა
ლაშქრის ფეხზე დაყენებას“.

და ხომ აუგია ასეთ დროს: ჩვენი ქვე-
ყანაში შინააშლილობა სუფევდეს?

ვიმეორებ: ლიპარიტ ამირა მე განვ-
კვეთე და რატი ერისთავსაც ეპიტიმია
მე დავაკისრე, მაგრამ ერისთავმა ლი-
პარიტმა უკვე მოინანია შეცოდებანი
თვისნი და ხომ არ მოსულა ეპი, ბორ-
კილი ავხსნათ მას, მაშინ რატისაც აღ-
ყას მოხსნის დავით მეფე და იმ უბე-
დური ქალის, დედისიმედის სვეც ნა-
თელი გახდება“.

გიორგი მეფეს გულში ჩაწვდა კირო-
ნის სიტყვები.

„ამას ყოველივეს, რასაც თქვენა
ბრძანებთ, ხელ-ფეხი ასხია, მამო სა-
ხიერო. აგრე მგონია ჩემი გულისნადე-
ბი ამოგიყითხავს მეთქი. მხოლოდ გა-
ერთიანება თუ გადაარჩენს ჩვენს საქ-
რისტიანოს. არამარტო თრიალეთი,
ბიზანტიაც რომ შემოვიერთოთ, მაშინ-
ნაც გამწელდება ჩვენთა მტერთა და-
თურგენაი.

ამის გამო დიდ ამბებს გვიმბობ, მა-
მაო, ხვალ. რაიცა შეეხება ლიპარიტ
ამირას, მეც აგრე ვფიქრობ: გვიჯობს
ისევე დაუწყევლოთ ამ უჯიათ ერის-
თავს.

განა ჩვენზე მეტი წყენა არ მიაყენა
მამა მისმა სულმნათ მამაჩემს, ბაგ-
რატს, მაგრამ რამდენგზის ეცადა მის
შემოირიგებას, მამაი.

ახლა ჩვენც უნდა ვცადოთ ერთ-
ხელ“.

მეორე დღეს, ანტონ ქუთათელმა
ქუთაისის წაიყენა მამაი ბასილი და
წალკელი ეპისკოპოზი. გიორგი მეფემ
განზრახ ჩამოიტოვა მანგლელი, რათა
მასთან მარტო საუბრით შეეჯერებინა
გული. ნასაუზმევს ვენახში შეუძღვა
მას.

ისხდნენ მუხის ნამორებზე მოხუ-
ცები, ფუტკრების საამური ზუნი იდგა
ზვარში.

მთლად გამსჭვირვალენი მოსჩან-

დნენ მესხეთის მთები და კავკასიონის ქედი, ორივენი ლაინისფერნი, ეთეროვანი და მშვენიერნი, ამ ჰესპერიდების ბალნარის ერთგულნი გუშავნი.

თეთრ წეროთა ქარავანის დარად მიემართებოდნენ თეთრი, მთლად აქატისფერი ღრუბლის ფთილები პონტოს ევქსინოსაკენ.

ვენახს შეყვითლებოდა ფურცელი, ჰადრებს შესდგომოდა ფარჩისებრ შრიალი. შემოსულყო შემოდგომა თავისი ძოწით, ქარვით და ოქროცურვილი სამოსელით დამშვენებული და რუბინები ბრწყინავდნენ ბროწეულებში აქა იქ.

წითელი ატმები ღვივოდნენ როგორც დიდ დიდი თვლები—ლალისა.

გიორგი მეფე დაბობდაედა მტევნებით დახუნძულ ვენახში, ტალავერებიდან სწყვეტდა მტევნებს, მოჰქონდა და მამაი კირიონს უყრიდა კალთაში.

ამ წუთში იგი თავით ჰგავდა თრობის ღმერთს ბახუსს თავის სამკვიდროში მიბრუნებულს. თუმც მშვენიერი მზციით იყო მისი შუბლი და სახე გარემოცული, მაგრამ მისი წითელი ლოყები, ჰბთუყური კბილთა-კრთომა ლამარაკს დროს და მგზნებარე, თავლისფერი თვალები სიცოცხლისადმი უსაზღვრო ტრფიალით იყვნენ აღბეჭდილნი.

როცა კირიონ მანგლელმა ორიოდ მტევანი იკემა და კალთაში მოგროვილნი ბალახზე გადმოალაგა, (რადგან ფუტკრები შემოესიენ მას ამაობაში), მეფე გიორგი წამოღვა, მიიხედა-მოიხედა ვენახში, მერმე გვერდით მოუჯდა, ტუჩირი ყვრიმალთან მიუტანა თავის ძველ თანამოლაშქრეს და უთხრა:

„იოანე მაგისტროსისაგან წიგნი მომივიდა ვეყო საესებით იღუშალი ფრიად და ფრიად სასიხარულო ამბები მოგველის იცოდე“...

მერმე მთლად დაუწია ხმას და ოდნავ გასაგონი ჩურჩულით განაგრძო: „ეგონებ ეშველოს ჩვენს სეგამაშ-

რებულ ქვეყანას და ვინ იცის, გავბ გადავარჩინოთ ჩვენი ხალხი, ვაჩიანთაგან შემუსვრას, ვეფელისიონიანთაგან...“

ალექსი კომენი დასნეულებულია, კონსტანტინე დუკა, ჩემი დისწული ხომ ტახტისმტეა და კესაროსი?..“

კირიონ მანგლელი უფრო მეტის გაგონებას მოელოდა, ვიდრე მეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში იყო ნაგულისხმევი. აგრე მოესმა: კონსტანტინე დუკა ტახტზე დასვესო.

უცნაურად აღელვებულმა წამოიყვირა ანაზღად:

„რაო, რა ბრძანეთ?“

ამ უეცარმა წამოძახილმა გამოაფხიზლა დიდიდანვე ნასმურვეი გიორგი მეფე და პიტყვა აუტკია:

„არა, რასაც მე ვამბობ... ეს ყოველივე ალექსი კომენის ხრიზობულში სწერია, ვეყო. წითელი მელნითაა ეს ხრიზობული ხელმოწერილი და ოქროს ტეიფართი დაბეჭდილი და დამტკიცებული“.

რაკი ასეთი ცნობისწადილი ამოიკითხა მეფემ კირიონის წამოძახილში, უკვე აღარ გაუმხილა მას ის უმთავრესი, რაც წელან გულით ეწადა მისთვის გაუზიარებინა. სახელდობრ ის ამბავი, რომ იოანე მაგისტროსის ცნობით: კონსტანტინე დუკა და ნიკიფორ დიოგენი ალექსი კეისრის ტახტის მიტაცებას რომ აპირებდნენ.

გიორგი მეფე დიდად პატივს სცემდა კირიონ მანგლელს, როგორც სამეფოისა და ტახტის უერთგულესს, მაგრამ ამ წუთში მოაგონდა იოანე მაგისტროსის აჯა: თავით ღედოფალსაც, ნუღარ გაუმხელო ელეენს, ამიტომაც შეყოყმანდა. ბოლოს მოერიდა. უნდობლობაში არ ჩამომართვასო ეს ყოველივე მანგლელმა და ნელნელა იწყობაუწყებლისაგან უაქტევა.

კომენთა და ბაგრატიონთა გვარების გამო ჩამოადლო სიტყვა.

გიორგის გული ჰქონდა ამ ბოლოვამს ალექსი კეისარზე აყრილი, ისე-

ვე როგორც დასავლეთ საქართველოს მრავალ აზნაურს, ვინც განარებულნი შეხვდა ალექსი კომნენის მიერ, მოხუცებული იმპერატორის ბოტანიკის ტახტიდან ჩამოგდებას, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ: ალექსი კომნენი მარიამ დედოფალს ცოლად შეირთავდა და საქართველოს მიაშველებდა ლაშქარს.

საქმე სხვა რიგად წარიმართა და ალექსი კომნენი გაერთო ხან რობერტ გეისკარდთან ბრძოლით, ხან ყიფჩალებთან, ხან პაქანიკებთან, ხან მეამბოხე ჩახასთან კენწლაობით და თავის თავსაც ძლივსდა შეელოდა.

უბრალო აზნაურია კომნენი, მას მეფური სისხლის ნატამალიც არ უდგიაო ძარღვებში. ეუბნებოდა გიორგი კირონს. დასავლეთის ლაშქართა დომესტიკი იყოვო მხოლოდ და მხოლოდ, ალექსი.

არც ბასილი ბულგართამმუსერელი ყოფილა მეფე წყალობითა ღეთისაითა, მიკიტნის დიაცი იყოვო დედამისი, არც იოანე ციმისხია ყოფილა მეფური სისხლისა, სომეხი იყოვო იგი.

და ამ სიტყვას „სომეხს“ ისე წარმოსთქვამდა გიორგი, თითქოს სომეხები აროდეს ასულიყვნენ სამეფო ტახტზე.

კომნენები ტახტის მიმტაცებელნი არიან, განაგრძო მეფემ, ხოლო ბაგრატოვანნი მამიდან პაპიდან წყალობითა ღეთისაითა ჰპყრობენო სკიპტრასა და ტახტს.

სასახლეში მიბრუნებისას, ჯერ კიბეზედაც არ იყვნენ მეფე და მისი სტუმარი ასულნი, როცა ხუფთიდან ჩამოსული მალემსრბოლი მოადგა გეგუთის სასახლეს.

როცა გიორგი მეფემ აცახცახებულნი ხელებით გახსნა გრავნილი, სავსებით მოულოდნელი ამბავი ამოიკითხა მარიამ დედოფლისაგან გამოგზავნილი

წიგნიდან: დედოფალყოფილი ^{ნიკეაში} ^{ნიკეაში} დანი ექესი თვის მანძილზე ^{ნიკეაში} ამოა ლოდინის შემდეგ ^{ნიკეაში} კონსტანტინეპოლს მიბრუნებულა თავის ამოლითურთ:

როგორც გეგუთში, ისე თრიალეთში, უკვე იერუსალიმს ჩასული ეგონათ იგი.

შარშან, ალექსი კეისარმა საკმაოდ სასწრაფოდ შეაკაზმვინა თურმე ხელნადები და გალღერები კონსტანტინეპოლში, ერთ თვეს ზურგის ქარს უცდიდნენ, მაგრამ აპრილის თვეში საშინელ ქარბორბალას გადაუვლია როგორც პონტზე, ისე ჰელესპონტზე და დიდხანა არ დაშოშმანებულა ზღვა.

ნიკეაში ჩასვლისას, მარიამ დედოფლის ბარათი მიურთმევია ქილირჯ არსლანისათვის რუსუდანს. იმ თვის პირველ კვირას გაგამგზავრებო, დაპირებოდა თურმე სულტანი, ის თვეც დაიღეოდა და მეორეცა, ახლა მესამე და მეოთხე თვე იწყებოდა და ილეოდა და ქილირჯ არსლანის შეპირება, ამოა აღთქმად რჩებოდა.

„ჰოა, რა დიდი ქოსატყუილებია ეს უშჯულო თურქები!“

შენიშნა გიორგი მეფემ.

ბოლოს ეს მოუმიზეზებია ქილირჯ არსლანს: ნიკეას სასულტანოს ფარგლებში მე ვაგებ პასუხს, მაგრამ ბაღდადში ამირ ტუტუშია განმგებელი, იერუსალიმის საამიროში ამირ ედდინილ-ლაზი. ერთიც ვნახოთ ამირ ტუტუში დაამარცხა სულტან ბარქიაროკმა, ბაღდადი და ანტიოქია აიღო, მე მანდ ველარაფერს გიშველი, უთუოდ გაუძარცვავენ და შერცხვებით მარიამ დედოფლის წინაშე.

გიორგი მეფე შეაწუხა და გააოცა იმ ვარემოებამაც, რომ მარიამ დედოფალი ამ სამწუხარო ამბავის მეტს აღარაფერს იუწყებოდა. მხოლოდ ამას

სწერდა, კარგად მყავსო პორფიროგენიტოს¹.

ახლა ამას ნაღვლობდა გიორგი: იოანე შავისტროს რად არ მიხვდა იმავე მალემსრბოლის ხელით გამოეგზავნა თავის მხრიდანაც წიგნი?

— — —

მეორე დღეს ქუთათელიც დაესწრო გეგუთის სასახლეში გამართულ პურობას. ანტონიმ რა გაიგო, კონსტანტინე-პოლში ჩარჩენილად დედოფალყოფილი რუსუდანი, მოშაინური ქილიკი დაიწყო:

„ხომ მოგახსენებდი, მეფეთ-მეფეო, ვერ ჩააღწევს მეთქი დედოფალყოფილი რუსუდანი იერუსალიმს? ამჟამად ისეთი ძარცვა გლეჯაა ნიკეა-იერუსალიმის გზებზე, თურმე ათასობით თავს იყრიან ხოლმე ფრანკთა მლოცველები და თხემიდან ტერფამდის შეჭურვილნი ძლივს იკაფავენ გზას.

განა ბედის დაცინვა არაა, ქრისტიანი საეკისროს ყოფილ მიწებზე უიარაოდ ვერ გაეელოს ქრისტიანთ? კიდევ კარგი რომ ვერ წასულა დედოფალყოფილი, ხომ შესაძლო იყო ბაგრატიული საომარი ჯვარი წარეტაცათ გარეწარ თურქთა!“

გიორგი მეფეს დიხაც სწყინდა, ათონის იბერიელთა მონასტრის ხატმა, პორტატისამ რომ აჯობა სახელგანთქმულ ბაგრატიულ საომარ ჯვარს, მაგრამ იგი იმედს არ ჰკარავდა, რომ ომებში მრავალნაციადი ჯვარი მაინც იძალებდა და მშვიდობით ჩაიყვანდა დედოფალყოფილ რუსუდანს იერუსალიმში.

„ირანსა და სომხეთში ნაძარცვი ოქროები შემოაკლდათ თურქთა ამირებსა და სულტანებს. ჰოა, რამდენი ოქრო და ვერცხლი გაზიდეს მაგ გარეწარებმა ისპაჰანის სასახლეებიდან,

ანტიოქიის ეკლესიებიდან, ამისსე მონასტრებიდან, ეს ყოველგვანა ქაჯადედელ სიძვის დიაცებს დედადგინდნენ. კებს შეაჭამეს სულტან ბარქიაროკმა, ამირ ტუტუშმა და ამირ ელდინ ილღაზიმ.

ახლა, როცა მალიქ-შაჰ სულტანის ხმლით ნაშოვარი, ნიზამ აღმულკის ჰკუთით მონაშოვარი შემოეხარჯათ, დარწმინ ეს ყაჩაღები ნიკეასა და იერუსალიმს შორის და საღარიბოდ მიმავალ ფეხშიშველა ბერებს ფტკვნიან“.

შესჩივოდა გიორგი მეფე მანგლელ ეპისკოპოსს, თითქოს კირიონს რაიმე შესძლებოდეს ამ ყაჩაღი სელჯუკების დასათრგუნველად.

კირიონ მანგლელი იმდენს ეცადა, სელჯუკიანთა ძაგებიდან თრიალეთის ამბებისაკენ გადაეხარა გიორგი მეფის საუბარი და ამიტომაც ახსენა ნიანია ბაკურიანი.

„არც მე მიყვარს მაგ ნიანია, სთქვა გიორგი მეფემ. გრძელი, ბურბუშელასავით სიღრიფანა ნაჭერი ააცალა ბექს, დანის წვერზე გაკეთებულ ჩქიფზე წამოაცო და კირიონს უთავაზა.

„სიკვიდის მე არავის ვუსურვებ, მხოლოდ ერთ რამეს ვინატროდი: ნეტამც სულაც არ გამოეშვა ტყვეობიდან ეს ხარჭისნაშობი ამირ ელდინ-ილღაზის.

მაგ ნიანია და ის ბედდამწვარი მახარაი მიუჩენია ღმერთს ჩემი ძისათვის უბოროტესს დაიმონად. (ბერძნული შეტყველება უყვარდა ეკსაროსს, ამიტომაც დემონის ნაცვლად „დაიმონს“ ამბობდა).

„სულკურთხეულ მამაჩემს, ბაგრატი მეფესაც ჰყავდა თავისი დაიმონი, დასძინა გიორგიმ. ეს იყო ვარზაბაყურ გამრეკელი. გამრეკელიც ხარჭისნაშობი იყო. უცნაურია, ეს ხარჭის ნაშობნი მუდამ ნიჭიერნი გამოდიან, ფლიდები, გაქნილები, თავაწყვეტილები.

ვარზაბაყური ისე ტკბილად უკრავდა საღამურს, მაისისგველი გამოჰყავ-

¹ პორფიროგენიტოს, ე. ი. ძოწმუშობილი, ეწოდებოდა ბუკოლონის პორფირის დარბაზში შობილ ბიზანტიელ უფლისწულებს.

და ხოლმე დარანიდან. როდი გეხუმრებო, ვეცო, ნამდვილად გამოჰყავდა.

ჩემი თვალთ მინახავს ჩემს სიყმაწვილემში. ჩინებული პოლოს მოთამაშე იყო, ოსტატურად მოქმენვეი ჩოვნისა, იგავშიუწვდენი ცაცია მოისარი.

ხან მარცხენა ცერით მოზიდავდა მშვილდის საბელს, ხან მარჯვენათი და მის გატყორცნილ ისარს ეშმაკ ვერ ასცდებოდა“.

როცა გიორგი მეფემ ახსენა ეშმაკი, კირიონ მანგლელს მოაგონდა „ეშმაკეულის ეგზომ ხშირი გამოვლინება“ თრიალეთის საერისთაოში, ბოცომაკალას, გომბეშოს და ვირთხების სახით.

ქუთათელმა ყური სცქვიტა.

ხბოს ბუქს მოეშვა მცირე ხნით და თავთაყ აღნიშნა: მარჯვეთის საერისთაოშიაც გამოჩნდაო წელს ბოცომაკალა, მაგრამ ვერ დადგენილი არ არის ეშმაკეულის გამოვლინებას თუ მოასწავებსო ეს.

გიორგი მეფესაც სმენოდა ამ ბოცომაკალის ამბავი, „მაგრამ მაინც და მაინც სარწმუნოდ არ მიიჩნდა ეს ყოველივე და ამიტომაც ესეც ახსენა ვარზაბაქურ გამრეკელი. კვლავ კირიონს მიუბრუნდა და განაგრძო:

„მამიჩემის დისწული, რომელსაც სულტან ალფ-არსლანმა დაადგა თვალი, სომეხთა მეფის კვირიკეს ასული იყო. არ მისცა ქრისტიანმა კვირიკემ უშჯულო სულტანს ქალი.

ახლა ბაგრატ მეფეს მიუგზავნა სულტანმა კაცნი.

შუთთვალა მამაჩემმა კვირიკეს: მიეციო ალფ-არსლანს ქალი.

არ მოსცა კვირიკე მეფემან.

მაშინ ვარზაბაქურ გამრეკელი მიუჩინა ბაგრატმა კვირიკეს. მერმე ის იყო, სანადიროდ გაიტყუა ვარზაბაქურმა კვირიკე მეფე, ტყვედ იპყრო ქვეშის ჭალაში და მიჰგვარა მეფეს.

ასეთი ღაიმონები ჩემს ვაჟსაც ჰყავს, ვანა თუ ერთი, არც ის ჯონდი მომწონს ჩემი სიყრმის მეგობრის, შამანის

ვაჟი. მაგას მე ვუჩვენებ თამაშას, ზორას ნისკარტს რომ მიუგვამოცხენდყო.

ერთი ვამცნო მისი ოინებმა: „შამანისა“ მღვდელმთავრებს არა ერთგზის მოხვედრიათ ჯონდი შამანისძის გესლიანი ენა, ამიტომაც ვამათ გიორგი მეფის მიერ მისი ძაგვბა.



მღვდელმთავართა გეგუთიდან გამგზავრების წინა დღეს გიორგი მეფე დიდხანს ეთათბირა მათ, ბოლოს სთხოვა: დაეშოშმინებინათ კატაი. ნება დართო წასულიყვენენ კონსტანტინე-პოლს და როგორც მისი, ისე ელენე დედოფლის სახელით ჩამობრძანება ეთხოვათ მარიამ დედოფლისათვის, დაჰპირდა გიორგი: მე და დიოფალი წიგნს მიეწერთო მაიკოს.

რაიცა შეეხება დედისიმედს, როგორც მარიამ დედოფალი, ისე ჩვენც მოეთხოვთო დავით მეფეს: ან ქრისტიანული წესით შეირთოს იგი, ან გვანცას შევრთავთო, შამან ერისთავის ასულს.

თავთაყ გველის გესლივით ეძგერა ეს სიტყვები კატაის გულს და მათ გავონების უმალვე შეეკითხა მანგლელს: „გეგუთში ხომ არ ჰყავთო გვანცა?“ ანუგეშა მანგლელმა ერისთავის მეუღლე: არსად გვინახავსო გვანცა.

გაიხარა დედისიმედმა, როცა დედამისმა უჩურჩულა: კესაროსი გიორგი და დედოფალი ელენე საქაროდ იხმოზენო დედოფალ მარიამს თრიალეთის საქმეთა მოსაგვარებლად, ორივე დედაშვილნი დარწმუნებულნი იყვნენ, მარიამ დედოფალი მოიტანდა ზეთისხილის შტოს თრიალეთის საერისთაოში.

არც თუ ელენე დედოფლის მიერ ნაუწყები გაუშხელია კირიონს: დღედღეუ ველითო თაკვერიდან გვანცას.

მახარამ მეორე დღესვე გამოსტყუა

ეს ამბები დედისიმედს და დავით მეფეს აუწყა მყისვე.

დავით მეფეს არ ეკაშნიკა ეს ყოველივე, მაგრამ იგი კარგად ხედავდა: თრიალეთის საერისთაოში ციხოვანი აზნაურები ერთობლივად ლიპარიტ ამირას მომხრენი იყვნენ, კარგად იცოდა, ეპისკოპოსებთან ურთიერთობის გაფუჭება, თრიალეთის მთელი სამღვდელთაობის გადაკიდებას გამოიწვევდა.

არც ის უნდოდა მეფეს, დედ-მამის სურვილს ჯიქურად გადაღობებოდა.

ღიახაც დამაფიქრებელი იყო შექმნილი გარემოება: კარგად იცოდა: თუ მარიამ დედოფალი მართლაც ჩამობრძანდებოდა, იგი არ დაანებებდა ბაღუაშთა ჯეროვან წურთვანს.

მაგრამ დავით მეფეს მინიშნებული ჰქონდა ერთი ჭეშმარიტება: უნდა ეცადო კაცი, თვით უსიამო მოედენასაც სასარგებლო და საამური რამ გამოსძალო.

ამას ხშირად იმეორებდა ხოლმე უპოვართა და გლახაკთა მეფე.

ამ შემთხვევაშიაც აგრე გადასწყვიტა: ბიზანტიას მიმავალ ეპისკოპოსთათვის, ამაღლის სახით ვაეყოლებინა თავის მხრით ორი სარწმუნო კაცი: ნიანია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავი, რომელნიც წვრილად შეისწავლიდნენ თუ რა ხდებოდა როგორც ბიზანტიაში, ისე მის გარეშედაც, ბოლოს ერთ საქმესაც გააკეთებდა ხელმარჯვე შემთხვევის მეოხებით: თუმცა ნიანია ბაკურიანი საესეებით ახალი ცნობები ჩამოუტანა მეფეს სელჯუკიანთა ლაშქართა წყობისათვის, ახლა საქირო იყო მისი ახალგაზრდა სარდლები ბიზანტიის კომპარტების ახალსაომარ ხერხებს გასცნობოდნენ.

დავით მეფე კარგად იცნობდა იმპერატორის, ლეო მეექვსის, მავრიკიუსის, კევკამენ კატაკლონის, ნიკიფორე ბრიენის და ტატიკოს მოძღვრებათა ბიზანტიურ ლაშქართა წყობისა, ციხეთა

შემუსვრისა, მოისართა და ცხენოსანთა წვრთნისათვის, მაგრამ არც უნდოდა უკანასკნელ წლებში, მამაკმა აღექსი კეისარმა და მისმა ლაშქარმა ხანგრძლივად ებრძოლეს რომერტ გეისკარდს, როგორც პაპანიკებს, ბულგარებსა და ყიფჩალებს, ისე მეამბოხეებს: ურსელსა და ჩანას, ამიტომაც უთუოდ ექნებათ მოხვედრილი ახალაზალი ხერხები ომისა.

დასასრულ ერთი გარემოებაც უურადასაღებად შიანდა დავით მეფეს: მღვდელმთავართა გეგუთში ყოფნის დროს მაგისტროსმა იოანემ დაწვრილებით აცნობა დავითს, კონსტანტინე დუკას ამბები.

სჩანდა, საქართველოდან დიდი ხნის წინად წასულს, არც თუ კარგად ჰქონდა გათვალისწინებული თუ რა ვითაქრება სუფევდა იმეამინდელ საქართველოში, ამიტომაც ასეთ რამესაც იწერებოდა მოხუცი: თუ ჩვენ აქ გავიქიარა კონსტანტინე დუკას ტახტზე აყვანა, ხელანდებს გაახლებით და თქვენი სპა მოგვაშველო.

ეგ საქმეც საგულისხმო იყო და მისი სარდლები ამ მხრითაც დაუკვირდებოდნენ ვითარებას და ყოველივეს დროზე ამცნობდენ მეფეს.

ამიტომაც ხელი წაატანა ეპისკოპოსების წასვლას დავით მეფემ და მომეტებულის თავაზიანობით მიიღო სადარბაზოდ მოსული მღვდელმთავარი.

კირიონ მანგლელი გაოცდა, როცა საქმოდ გულმხიარული დაუხედა მათ საერთოდ გულჩათხრობილი დავით მეფე. მაინც ფრთხილობდა საუბრის დროს. დიდხანს ილაპარაკა ეპისკოპოსმა ივანეურ ენით, ბოლოს შეუფარველად შესჩივლა შჯულის წახდენის ნიშანთა გამო.

„წარმართული აზროვნების კაცნი

მომრავლდნენ, მოუვლელი ეკლესიები თავზე გვენგრევა, ტაძრები და სალოცავები დღემდის არავის შეუკეთებია, მას შემდეგ რაც თურქის საპრანკმა თრიალეთი გადაიარა და რაც ახალქალაქი იმ სულკატიანმა აღფ-არსლანმა იავარპყოვო.

არც სამფეხიანი ქათმის წარმოშევა და ეფწყებია, არც ბოცომკალას, გომბეშოს და ვირთხების სახით ეშმაყეულის განცხადება.

მეფე მღუმარედ მიუვდებდა ყურს და კირიონმა განაგრძო:

„შეკეთებას მოითხოვს მანგლისისა და შობილეთის ტაძრები, წალკისა და გომარეთის ეკლესიებს კარგი ხანია რაც აწვიმს. არც საყდრის იარაღი გვაქვს და არც საეკლესიო საკითხავები. ათონის მონასტრიდან დიდძალი, ქართულად ნათარგმანები საკითხავები ჩამოუტანიათ ქართველ ბერებს, ვარდა ამისა, დედოფალი მარიამიც კარგა ხანია გვპირდება თრიალეთის ეკლესიებისათვის საყდრის იარაღის ბოძებას“.

დიდხანს ხმავაკმედილმა უსმინა კირიონ მანგლელს მეფემ და რა შეატყო, იგი არც კი ფიქრობდა კონსტანტინეპოლს გამგზავრების ნამდვილ მიზეზს ვაკერით მაინც შეხებოდა, წარბები აიწკაბა და სთქვა:

„იციო, მამაო კირიონ, მარტოოდენ ღვთის სახლთა შეკეთება როდი კმარა, უმთავრესია სულიერადაც განვანხლოთ ქართული ეკლესია.“

მე ეკმეოუტანელი ცნობები მაქვს ზოგზოგთა უწყსოთა და უსწავლელთა მღვდელმთავართა გამო.

(ესა სთქვა და დოსითეოზ წალკელს შეაულო მეფემ თვალთ) უწყსო და არაკეთილთა შიმოსელათა შინა აღზრდილ ხუცთათვის, რომელნიც ოქროისა და ვერცხლის მოხვეჭას უფრო ეტანებიან, ვიდრე ქრისტეს მაგალითის მიბაძვას.

მე ფრიალ საშურო საქმენი მაქვს წინ, როცა ამათ მოვრჩები, საეკლესიო საქმეებსაც შევუდგები“.

როცა მღვდელმთავარი წასვლას დაადგნენ, დაეთმა კირიონი მღვდელმთავარი თვალთ გაუსწორა და უთხრა: „მარიამ დედოფალი მწედ გეყოლებათ საყდრის იარაღის მოპოვებაში, აღბათ“.

—

არც ბიზანტიონიდან მოსული ამბები აღუძრავდნენ ნუგეშს დავით მეფეს, ყოველ შემთხვევაში არც ისე გასახარელნი იყვნენ ესენი, როგორც ეს მეფე გიორგის, დიდაზნაურთა და მღვდელმთავართ ეჩვენებოდათ.

დავით მეფისადმი მოწერილ ეპისტოლეშიაც აღნიშნავდა მაგისტრი იოანე, რომ შეთქმულების ამბები არც მარიამ დედოფალმა იცოდა. დავით მეფე კარგად ხედავდა: კიდევაც რომ სცოდნოდა ეს ყოველივე მარიამს, მისი ღვთითმშვენიერსა და სათნო მამიდას არც სისასტიკე ეყოფოდა და არც გულგრილობა აღექში კომენის ტახტის მისატაცებლად.

რა თქმა უნდა, დავით მეფე ამ შემთხვევაში ეთანხმებოდა მამამის, გიორგის, რომ ბიზანტიის კეისრის ტახტი კანონით, კონსტანტინე დუკას და მარიამ დედოფალს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე მამაბოხე, ალექსი კომნენს, რომელმაც ლიჭნით, ფლიდობით, ათასგვარი ხენჯებითა და იარაღის უსაზნო ხზარუნით გამოსტყუა გამოჩერჩეტებულ ბოტანაიტესს, კეისრის დიაღემა და წითელი წაღები.

რაიცა შეეხება გიორგი მეფის მიერ უკანასკნელ ხანს აკვირებულ „სიძეების იმედს“, დავითის თვალში ეს იმას მოწმობდა, რომ მამამისს არა სჯეროდა მისი ვაჟის ძალმოსილება და როგორც ქართველ დიდაზნაურთა შორის ისე სამღვდლოთა წრეში, ვისაც არა სწამდა რომ დავით მეფე საქართველოს წყლულებს უაქიმებდა და მის მტრებს დათრგუნავდა, ყველა გულისფანცქალით იცქირებოდა კონსტანტინეპოლისკენ, რაკი ბაგრატიონმა მე-



XVII

ქართველთა
მწიგნობართა კავშირი

„შენ ხარ მახვილი“

ფემ ვერ გაართვა ქვეყნის მართვას თავი, ეგებ ნახევრად ბაგრატოვანმა იხსნასო მიპული.

ოცი კარგად იცოდა ქაბუკმა მეფემ, რომ ერთ დროს ბაგრატოვანთა „საამაყო სიძებეს“: მიხაილ მეშვიდეს, დუკას და ნიკიფორე ბოტანაიტესს ხელთეპყრათ ბიზანტიის იმპერიის სკიპტრა და ლაშქარი, თავათ მიმიდა მარიაშიც ენერგიულად ერეოდა ბიზანტიის პოლიტიკაში, იოანე მაგისტრიც ხელს ურევდა ბუკოლინის სასახლის საქმეებში, მიუხედავად ამისა, სელჯუკიანებმა მაინც შესძლეს საქართველოს იავარყოფა.

დავითს ადრევე მინიშნებული ჰქონდა ერთი ჰეშმარიტება: სხვისი დახმარების შემყურე, ყველაზე ნაკლებად რომ ეხმარება თავის თავს.

კონსტანტინეპოლში მოსალოდნელ ამბებს სულ სხვარიგად აფასებდა დავით მეფე. მას დიხხაც თვალი ეპირა ბასილი ბულგართა-მმუსვრელის მიერ მიტაცებულ ბასიანის მიწებზე და არც ლაზთა სამეციდროს შესტეპროდა გულგრილად, არც ტრაპიზონისა და ხალდეას ქვეყნებს.

იმ შემთხვევაში, თუ ბიზანტია შინაშლილობისა და ტახტისმტეთა ცილობის მსხვერპლი გახდებოდა, ვიდრე თურქები ამ ქვეყნებს წაეპოტინებოდნენ, დავით მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა, ლიპარიტსა და რატის დახმარებით, თრიალეთიდან ლაშქარი გაეყვანა, ტაოსკარიდან გადასულიყო და ხსენებულ ქვეყნებს დაუფლებოდა.

მეორე გარემოებაც იყო ამ შემთხვევაში დამაფიქრებელი: თუ ერთმორწმუნე ბიზანტიაც სომხეთის დარად სელჯუკიანებს ჩაუვარდებოდა ხელში, მაშინ მარტოხელა საქართველო უნდა შებმოდა გამძვინვარებულ ისლამურ ლომს და დავით მეფემ კარგად იცოდა: სულტანს ჭილირჯ არსლანს ლომის მახვილი რომ ერჭვა.

„აბუ ჯაფარ, შენ ჩაგინერგე ვმრობისადმი ტრფილი როგორც ცოცხალთ, ისე მშვიდასულთა.“

„აბუ ჯაფარ, შენ ზურგზე მომეცი ჩვენს დროს.“

ს ა ი დ ა ლ მ ო ს ა ტ ი ი რ .

მეორე კვირას მამაი ბასილის ამცნო მეფის სახელით მახარამ: რაკი ნიანია ბაკურიანსა და ჯონდი ერისთავს ფრიად საშურო საქმეები შეემთხვათ, ერთი თვით უნდა გადაიდოსო კონსტანტინეპოლს წასვლა.

ორშაბათს, კონსტანტინეპოლიდან წიგნი მოუვიდა მახარას: იუწყებოდა სარწმუნო კაცი მეფისა, ბერი სევასტი: ალექსი კომნენს ვილაც ჭადაგად დავარდნილი დაუვარდა ფერხითთ ბუკოლინის სასახლის ბაღში სეირნობის დროს და უწინასწარმეტყველა: დასავლეთიდან მოსულ ძლიერ მტერს სძლევეო.

მეფემ დუმილით მოისმინა ეს ამბავი.

მერმე ნიანია ბაკურიანსა და ჯონდი ერისთავს მიუბრუნდა:

„ეგონებ აღმოსავლეთიდან უფრო დიდი ამბებია მოსალოდნელი. ვნახოთ თურქი ამირები როგორ გაიყოფენ სელჯუკიანთ სასულტანოს. თუ სულტან ბარქიართკმა სძლია თავის ბიძას ამირ ტუტუშს და მის მომხრე ამირებს თავები დააყრევენა, ან შემოირიგა ისინი, ჩვენ უთუოდ ვაგვიძნელდება მათთან შებრძოლება.“

რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ შუბლზე უნდა წაფიწროთ ერთი რამ: ვაეცაცს როცა ძლიერ გაუჭირდება, მას სხვა არაფერი დარჩენია, გარდა ბრძოლისა.“

ამის თქმა მოასწრო მეფემ, ქარიმან

სტიელი შემოვიდა, თაყვანი სცა პატრონს და მოახსენა:

„გუშინ ნაშუადღევს ერთი ახალი ამბავიც გამოვადღეთ ჩოფურა თურქს: ხალიფ ალ-მოქთადი მოაკვდინაო სულთან ბარქიაროკმა.“

„ორმა დანარჩენმა თუ დაადასტურა ეს ცნობა?“

„შეეითხა ქონდაქართუბუცეს მეფე.“

„ორივემ დაადასტურა, ჩვენო პატრონო.“

„ორივემ ცალ-ცალკე დაკითხვისას?“

„ორივემ ცალ-ცალკე.“

მაშინ ბრძანა მეფემ: საწერელთ-მპყრობელი ეხმოთ. როცა იგი გამოცხადდა, მეფემ უბრძანა მახარას:

„მისწერე ჯოჯიკის ვაჟარშაპატში, როგორმე შეაჯეროს ეს ამბავი“. როცა საწერელთმპყრობელი გავიდა, მეფე თანდასწრეთ მიუბრუნდა და ბრძანა:

„ამჟამად მთავარზე უმთავრესი ევაა: იქვეითბრძანელი ცნობები გვექნეს ყოველივე იმის გამო, რაც ამ ეამად ხდება, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში და ამას ყოველთვის ჩვენი მოქმედება შეევუფარლოთ.“

ბაგრატ მეფე, ნეტარხსენებული პაპა ჩემი ჩვენზე უკეთესი ვაჟაკი იყო, თუმცა იგი ბერძნულად იყო განსწავლული, მაგრამ როგორც თურქულ-არაბული, ისე ირანული ლაშქრის წყობის წესები ზედმიწევნით იცოდა. ქართველ მეფეთა შორის მასზე უფრო დიდი ვაჟაკი მე არ მეგულება, ვაბტანგ გორგასლანიდან მოაქვამამდის.

სულ ათიოდე წლის ყრმამ პირველად გააშიშვლა მახვილი, როცა იგი და მისი ამაღა ბიზანტიონიდან შინ მობრუნებული ამალითურთ მოადგა ტაოს საზღვრებს. სწორედ მაშინ მოკვდა კეისარი ბასილი და ტახტზე ასულმა ძმამან მისმან კოსტანტინემ უბრძანა ბერძენთა პარაკიმანოზს შე-

ეპყრო უფლისწული ბაგრატ ხმალი გააშიშვლეს ტაოელთა და ქართლის ერისთავებმა, სძლიეს პარაკიმანოზს და აოტეს ბერძენთა სპაჰი.

იმ დღიდან სიკვდილის წუთამდის მახვილი არ ჩაუგია ქარქაშში მეფეს, ტახტზე ასვლაც არ აცალეს აზნაურებმა უფლისწულს, მოერთვნენ კოსტანტინე კეისარს, მოიყვანეს პარაკიმანოზი და მისი ჯარი, დალაშქრეს თრიალეთი, მაგრამ ვერაფერი დააყლეს კლდეკარს. მაინც ვერ გასტეხეს მეფე.

იგი ხან ბიზანტიელებს ეკვეთებოდა, ხან ლიპარიტ დიდსა და აბაზაისძეებს თავს დაესხმოდა, ხან ბანუ ჯაფარს ალყას შემოარტყამდა, ხან ფადლონ ამირას შეიპყრობდა, ხან კახთა მეფეს დალაშქრავდა, ხან ალფ არსლანს ებრძოდა, მაინც დამარცხებული ჩავიდა საულაეში.

„იცოდეთ ჭაბუკნო, განაგრძო მეფემ, ორ რამეს უნდა დიდი დაფიქრება, ხმლის გაშიშვლებას და დამერას სიტყვისას, რადგან უდროვოდ ამოწვდილი მახვილი ისევე აუგია, როგორც უსაგნოდ წამოროშილი სიტყვა. სიტყვა ხანდახან ხმალზე უფრო მძიმეა, ხოლო ხმალი სიტყვასებრ ზედიითი. დროისა და ადგილის შერჩევა სჭირდება ორივეს. ეგვე უწყოდეთ ჭაბუკნო, ჩვენ წინაპართაგან ნაანღერძებ ოქროს სოლიდებს სჯობნია მათგან მოპოვებულ გამარჯვებათა შენარჩუნება, ხოლო ორივეზე მეტად ძვირფასია მათ შეცთომებზე ისწავლოს კაცმა.“

: — :

როცა სტუმრები წავიდნენ, მეფემ ტანთვაიხადა, პირაღმა დაწვა. დარბაზის კუთხეებში ვერცხლის სასანთლენი ბეჭუტავდნენ. მეფე წამოადგა, თავათ ჩააჭრო ისინი.

ბნელოდა ირგვლივ. უკვე აღარ იყვნენ მის ახლოს ისინი, ვისაც წვლან ესიტყვებოდა, მაგრამ მათთვისვე სათ-

ქმელი სიტყვები ისე ლევიოდნენ მის გონებაში, როგორც მიტოვებულ ქოხში დარჩენილი ცეცხლი, ავლში შეფარვული.

თურქი მსტოვარების გამოკითხვამ დადასტურა გაბრიელ ხორგაისა და მისი ვაჟების მიერ მოტანილი ცნობები. თბილისის ამირა ბანუ ჯაფარი, აღსართან კახთა უფლისწული, ძაგან ზედაზენის ციხის პატრონი და სამშვილდეს ციხისთავი აბუ ისახარ ბენ ომარ ზშირად თათბირობდნენ თბილისში.

ჩოფურა თურქი გამოტეხილა: მე თავათ დავესწარიო იმავე პირების თათბირს სამშვილდეს ციხეში.

ერთი რამ აწუხებდა მეფეს: ისპაჰანის ამბებს ჯეროვანად ვერ აშუქებდნენ რატომღაც ჯოჯიცი და არამაის არშარუნი. მათ მიერ მოწოდებული ცნობები არ ემთხვეოდნენ ურთიერთს.

დიდძალი ოქროს დიპრემები გადაუგზავნა მეფემ არშარუნის, თავის სარწმუნო კაცს ისპაჰანში, მაგრამ არ იქნა და ვერ მისწვდა იგი ვერც ბარქიაროკის სარანგის მახლობლებს, ვერც იზ ალ მულეს, ბაგრატ მეფის დისწულს. მეფეს ცნობა ჰქონდა: სულტან ბარქიაროკის სასახლესთან გამუდმებული კავშირი ჰქონდა ლიპარიტ ამირას სარწმუნო კაცს, ვარსიმ ვარძელს, ბევრს ეცადა თურმე არამაისს არშარუნი, ვერ მოიქრთამა ვარსიმ ვარძელი.

მახარა და ნიანია ბაკურიანი, თბილისის დაუყოვნებლივ შემოწყობას, ან სამშვილდეს აღებას ურჩევდნენ მეფეს, მაგრამ თავათ პატრონი ასე ფიქრობდა: ჯერ საჭირო იყო ბარქიაროკის განწყობილებათა ზუსტად შესწავლა. რაც უმთავრესია: მოიცლიდა თუ არა სულტანი საქართველოში ლაშქრის გამოსაგზავნად?

მეფემ კარგად იცოდა: როგორც კი იგი თბილისის ამირას, ემჩივნა ჯაფარს თავს დაესხმოდა, უთქმელად მსჭვებოლდნენ ბანუ ჯაფარს: კახთა უფლისწული აღსართან, ძაგან ზედაზენის ციხის პატრონი და სამშვილდეს ციხისთავი აბუ ისახარ ბენ ომარ, თუ მათ გაუჭირდებოდათ მეფესთან შეხმა, აუასინის ჯარების სარანგი მიერთოდა მათ. დაუშვათ ამ კოალიციას სძლედა მეფე, მაგრამ უნდა გამოერკეია მას ბარქიაროკი თუ გამოგზავნიდა ამ შემთხვევაში თავის სარანგს ისპაჰანიდან?

ბარქიაროკს ხალიფ ალ-მოქთადი მოუკლავსო?

შესაძლოა, მართლაც ბაღდადს იყოს წასული სულტანი?

.

უკვე ჩიტების ქღურტული შემოდირა დარბაზში.

გაბამდა ძილი თავის ნაზ პოტივებს მეფის თვალთა უბეების ვარშემო, ისევ იძალეზდა ფიქრი...

გოდოლია ბერის გაფითრებული სახე წარმოუდგა რატომღაც თვალწინ და მისივე სიტყვებმა გაიშხუილეს მეფის სმენაში:

„შენ ხარ მახვილი, სიძულვილითა ჩვენითა აელვებული, მახვილი ცხენებსა ზედა მათსა, მახვილი მხედართა ზედა მათსა“.

„მახვილის ამოღება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ძლევამოსილად ჩაგება მისი. ომი მხოლოდ მაშინ უნდა დაიწყოს მეფემ, როცა მის მიერ ამოწვდილი მახვილი სამ რამეს მოუტანს მის ხალხს:

თავისუფლებას, მიწას და ოქროს“.

აგრე ფიქრობდა უპოვართა და გლახაკთა მეფე.

პ. „მხათობი“, № 9.

ლიბარტის უბანში უკვე ყვივოდნენ მამლები, რეკავდა მნათე ერისთავთ-ერისთავის კარის ეკლესიის სამრევლო-ზე ცისკარს.

XVIII

ლითამიანი თოროსანი

...უფილოდ საქობა უფელ მზარეს წარგზავნა მსტოვართა. ისინი გადაცმულნი უნდა იყვნენ რაინდების, ვაჭრების, წამლების გამყიდველთა, დერეფითა სამოსელში და რასაც უფრს მოკრავენ ეს მსტოვარნი, ეს ყოველივე შესივე აცნობონ მეფეს.

და ამ რიგად არაფერი დარჩენა დაფარული, რაც კი რამ მოხდება ხოლმე, ზომებისაც დროზე მიიღებენ, რადგან დიდი ხანია, რაც ვალიებს, დიდ მოხელეებსა და ამირებს ამბოხების წადილი ამოძრავებთ და ხელშეწყობს ხელუფლას მბელტვიან.

...და როცა მსტოვარი ამგვარ რაშეს გაიგონებს, ხელშეწყობს აცნობებს, ხელშეწყობს ცხენზე შევადება, თავს დაესხმის მტერს და განზრახვის ჩაუფუძვავს უთოდ*.

ნიხამ აღმულკ ასიასეტ ნამეჟა*.

ახნაურის აზარაისძის შეპყრობამ მხნეობა შეჰმატა ცრუმორწმუნეთა, როგორც ქონდაქართუხუცესს, ქარიზმან სეტეელს, ისე მახარასაც.

ოციოდე მოისარი მხედარი წაიყვანეს თადარჯინის ხეში, სიტყვები ქორაც თან წარიტანეს.

მახარა ხუმრობდა გზადაგზა:

„მოიხების შეშინია შენმა მზემ, ქარიზმან, თორემ ხორციელის? გინა სულ-

ტანი შემეყაროს ბარხიორუკი გზაში, (მახარა ბერძნულად გამეფსოქტეჟმდაქრატომლაც ამ სულტანისს მსტოვარისს უფრისს ქუციკით შევიპყრობ შენმა მზემ მას და ჩვენს პატრონს მივეგვრიო“.

ქარიზმან სეტეელს ზრასოდეს შესვლია იქვი მახარას გამბედავობაში, მაგრამ მაგარი ის იყო, ქარიზმანს აგრე ეგონა ალბათ ჯინიაო¹ ეგ ლითამიანი ცხენოსანი უთუოდ, ისეთივე, როგორც იმანს შეჰყრია მახარას თქმით, არაბთა მეფეს.

გულმამაც ვაეკაცსა და მეფისათვის თავდადებულ ქონდაქართუხუცესს თითქმის დაჩლუნგებული ჰქონდა შიშინაობის გრძნობა, მაგრამ ეს სიქველე მას თანახლდა იმ შემთხვევაში, როცა წინასწარ დარწმუნებული იყო ხილულ არსებასთან რომ ჰქონდა საქმე.

თავკვერის საერისთაოში გაატარა მან თავისი სიყრამე, მანდ არც მოინების ეშინოდა, არც სატანისა, მაგრამ თრიალეთის საერისთაოში ისეთი დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე კირიონ მანგელის ქადაგებებმა, შედრეკა ვაეკაცი.

ამას ზედდებოდა პირადი განცდანი მისნი, ფულდუროდან გამოწვდილ ბანჯგვლიან თათის დანახვისას მიღებული. დასასრულ „გომბეშოს მიერ ეშმას ამონერწყვამ, სამეფიანი ქათმისა და ბოცომკალის შემოსევით ეშმაკეულის განცხადებამ“ წარუხოცელი ტვიფარი დასტოვა მის ცნობიერებაში ბოლო ხანს.

თავდადებული რაინდი ან როგორ უნდა გაურჩებოდა პატრონის ბრძანებას, ამიტომაც დაოკებული სულგირი ცახცახით შემოახტა იგი გამგზავრებისას თავის თაფლისფერ ულაყს და სამგზის გადაიწერა პირჯვარი.

ერთად ერთი სასო მისი ეს იყო მახარა, რომლის „გრძნეულების“ გამო

* სიასეტნამეჟა — ეწოდება შილიქ-შაქ სულტანის დიდი ვაზირის ნიხამ აღმულკის წიგნს, რომელიც შეიცავს, მაკაიეფლის „ილ პრინციპს“ დარად, ხელშეწყობისათვის შეგონებას სახელმწიფოს გამგებლობისა, ლაშქართა წყობისა და მსტოვართა ინსტიტუტის შესახებ.

¹ ჯინიაო — არაბ. ეშმაკეული, მღვივი დასტე.

ათასგვარი ქორები სმენოდა ქარიმან-საც.

გულში აგრე ფიქრობდა ქარიმან იღუმალ: ეშმაკს ეშმა რას დააკლებსო. იჭვის თვალით შესცქეროდა ამ უსიამოდ მწითურსა და ვაგლახად დაჯღანულ სიტყვად ქორასაც, სხვა დროს, როცა მახარა სიტყვად ქორასაც თან წამოიყვანდა, უგუნებობა შეიპყრობდა ქარიმანს: სად მოათრევსო ეს ქოსა ამ ნავსს?

ახლა სიტყვად ქორაც სანუკველი გახდა. წარამხარა უთვალთვალეზდა, თუ როგორ მიჰყვებოდა იგი აღმართებს თავის ბერეკა ჯორით.

თადარჯინის ჩაშვებულ ხევში თავათ ბუნება ძღლევა ნიშანს ძღლევა-მოსილისა, უცნაურისა და იღუმალის საცნაურ ყოფად.

შალალი, კიდებშელეწილი ქარაფები, მრუმე გვირაბები შავი ბახალტის ფონზე გამოკვეთილნი, ეს ათასწლოვანი ფულური ვერხვები, მუხები, და თელეები, იავარქმნილი გოდოლებისა და ეკლესიების თაღები, ღრანტებში გადაცეკნილი შავი ლოდები, რომელნიც მღვებებივით დაყუნცულოყენენ ხეთა შორის უპაცრიელ ტყეში, ხევში გამართული დათვეულების რაგვუნნი და რაკუნნი ეს ყოველივე ქრეოლას ჰგვრიდა ამ ცრუმორწმუნე გოლიათს.

ამიტომაც როცა თადარჯინის ხევში შევიდნენ, ქარიმან სეტყილი იმის ცდაში იყო ნიადავ, მახარას გვერდით ეიარნა ცხენდაცხენ, თუმცა მახარას მიერ შერჩეული ბილიკები ორ ცხენოსანს ძლივს და იტევდნენ, ანუ რომ ქარიმანის ცხენის უხანგები მახარასას ხვდებოდა ნიადავ.

თითქმის შთელი კვირა დაჰყვეს თადარჯინის ხევში მახარამ და ქარიმანმა. ჯერ იყო ქარბორბალა ამოვარდა ისეთი, მათ მიერ დადგმული კარები ქარაფებსა და ხეებს რომ არ დაეფხრათ, მახარას და სიტყვად ქორას უთუოდ წაიღებდა ქარი.

ამ ხევში დაუხვდათ მათ სამცხელი ძროხის მწყემსები. ერთ თერგულ-ქიფურს მათ მახარას: გინჯლიყოთქვა

ვინა ხართო და სადაურნი?

მონადირენი ვართო.

მიიღეს პასუხი.

ამაზე შეგვრდნენ და მახარამაც მეზობლობა დაამყარა მათთან.

რძე და მაწონი მათგან მოჰქონდათ, შარილი და საქონლის ხორცი, ხანაც ცეცხლსა სთხოვდნენ, როცა კოცონები გაუჭრებოდათ.

ქარბორბალამ გრილით გადაიარა თრიალეთის ზეგანი და ახლა დაიწყო საესებით უცნაური და უწყვეტელი მერები: იწვიმა და იწვიმა. კარვებში წყალი შეუვარდათ ქარიმანს და მახარას, ასე რომ მახარა და სიტყვად ქორა ისე გაიზუზუნ, თავისი დვლიბებს დაემსგავსნენ ორივენი.

მწყემსებმა ითმინეს, ითმინეს და რაკი წვიმიანობას საშველი არ დაადგა, გამოდარების იმედი წარეხოცათ, ხვასტავი აპყარეს, ამბავი დააგდეს: კლარჯეთს მივალთო და დასტოვეს თადარჯინის ხევი.

ის ოციოდე ჩუხჩნიც შემოაფანტა მახარამ ქონდაქართუხუცესს: ზოგი მანგლისს წარგზავნა ხორცისა და ღვინის მოსატანად, ზოგი შორის მიავლინა მანდაურ თევზის მონატრულმა, ზოგნიც კლდეკარისაკენ წარგზავნა: თურქი მსტოვარი ხომ არ დაუღისო დატყვევებულ ლიპარიტ ამირას იღუმალ, რადგან მახარა არავის ენდობა დავით მეფის გარდა და მით უმეტეს აბუსერიძეს, კლდეკარის ციხისთავს, ახალს, რომლის გადაყენება არა ერთგვის უთხოვნია მეფისთვის მას.

ეხამუშებოდა ქარიმან სეტყელს ბნელისმიმთხრობ ქოსა მჩხიბავთან და სიტყვად ქორასთან, ამ მწითურ და დაჯღანულ ნავსის სიახლოეს ყოფნა, მაგრამ სულ მალე სანატრელი გაუხვდა ეგენიც.

სალამო ემს კარვიდან გავიდნენ მახარა და სიტყვები ქორა.

მცირე ხანს ესმოდა ქარიმანს ფოთლების ფაჩუნო, მხმარი წიწვის ლიწინ-ლიწინი და მერმე ორივენი სადღაც გაქპრებოდნენ.

ბალღევით ათრთოლდებოდა ეს უზარმაზარი დეკაკო. დაშინებულ ბალღსავეით თავს გამოჰყოფდა კარვიდან და მიქნავებული ხმით იძახოდა:

„ქორა, ჰაუ, ქორა, სადა ხართ?“

დაძაბედა სშენას, ფოცხვერების ღნავილი მოდიოდა პასუხად, ან ქარაფებში განმარტოებულ ჭოტის ძახილი, დამეული ფრინველის კრიახი, ან რომელიმე ნადირის გადარბენისაგან ამდგარი შლივინი.

თორგაუბდელად დაწებებოდა მართოშენილი ქარიმან კარავში, ხმლის ვადაზე ხელჩაბდუჯული სთვლემდა, ებრძოდა ძილს, უმცირეს ჩქამსაც მიუჯდებდა ყურს, მერმე შემოესმებოდა დათვური ბურღლენი, მხმარი შტოების მსხვერვეა, ხან ისეთი ჩხავილი, როგორც მარტის კატებს წამოსცდებოდა ან არა და ისეთი უმწეო ღნავილი, როგორც მთვარეულით სნეულ, გადაფიწინებულ ბალღებს სჩვევით ხოლმე, ხანაც ბუხნი და ყოყინი, სწორედ ისეთი, მართოშენილ კამეჩს რომ სჩვევია, როცა კამეჩი თვისტომთაგან განშორების გამო მოიწყენს, რქებს ქელზე დაიწყობს და სეველიან ხმას გაიღებს ხოლმე.

წამოვარდებოდა ხანდახან ქარიმან, ხმალშემართული დადგებოდა კარვის კართან, იბხედებოდა დაღეწილ ქარაფების, ზეგანიდან ჩამოცეცილ ბაზალტის ლოდების, ათასწლოვან ფულღრო ვერხვების ჩრდილისაგან დამდგარ სიმარუმეში და აღარ იცოდა თუ ვინ ბლაოდა, ვინ ჩხაოდა, ვინ ყოყინებდა ამ ვაგლახად გაქარჩულ ტყეში.

ქეშმარიტად დიდი ტრავედიია სულთ ძლიერისათვის ფიზიკური ძალ-მოსილების უქმარობა, მაგრამ არა

ნაკლებია, როცა ხორციელად ძლიერს სულიერი სიძაბუნე შეეპარება.

შაბათ სალამოს ქარიმანს სიტყვულე მოწყენისაგან გათანგული იწვა კარავში. ერთბაშად მახარამ შემოჰყო თავი და იყვირა ანაზღად:

„ეგ რა მოგვლია, ბედშავო ქარიმან?“

ქარიმანი ელდანაკრავი ზეწამოიჭრა, მიმოიხედა, თავათ არ იცოდა რა დამართოდა, ან რა ეპასუხნა ქოსასთვის.

წიაღულლულა მხოლოდ:

„რას მიბრძანებ, უფლისწულო, აა?“

„როგორ გაგჰლარებია თავი?“

ჯერ იყო და აგრე ეგონა ქარიმანს: მეხუმრებოთ ქოსა, რადგან უაარკოდ და უწყლოდ ან როგორ და ნახავდა მართლაც და მხცით მოსილ თავს.

მახარას და სიტყვები ქოსას თან მოჰყენენ ჩუხჩნი, რომელთაც უამრავ თონის შოთები, სამი საპალნე ღვინო, შაშხი და თევზეული შემოათრის კარავში, სამი ცხვარი და ორი დეკეულიც ზედმოაყოლება. მერმე დაბორი-აღდნენ ტყეში, ფიჩხი მოზიდეს და კოცონები გააჩაღეს.

როცა შიშინა მწეადების სუნი კარავებში შემოვიდა, აღელდა ქარიმან სეტეილი, დონჯემოყრილი გამოვიდა კარვიდან, იღვა და დამტკბარი შესცქეროდა, თუ როგორ ედებოდა ალი დეკეულებისა და ცხვრების ცხიმთან ფერდებს.

ბოლოს მთელი დეკეული დაითრია ქარიმანმა, იმდენი ჭამა და იმდენი ღვინო სვა, მოცელილივით წაიქცა სოხანეზე, ასე რომ არც კი უგვრძენია თუ როგორ გააპაროდნენ მახარა და ჩუხჩნი.

უკვე დამე იყო, როცა ფოცხვერების თუ გარეული კატების ჩხავილმა გამოაღვიძა ქარიმან სეტეილი. წამოდგა ბარბაცით, ერთ ორჯერ დაიძახა:

„ქორა, ჰაუ, ქორა!“

და როცა სიტყვაი ქორა აღარ გამოჩნდა, კარვიდან გავიდა და იქვე ნაძვის ჩრდილში ჩაიკეცა ძილმისეულმა და განაგრძო თვლელმა. ძილი ვუფლებოდა ქარიმანს, კიდევ უნდოდა ერთ ორჯერ წამოეყვირა: „ქორა“ და ქუთუთოები დაუმძიმდნენ მთვრალს, მაგრამ ერთბაშად გაახილა თვალი, რადგან ცხენის ფრუტუნე მოესმა ანაზღად.

აგრე ეგონა: მახარას, ან ჩუხითაგანის ცხენი თუ ფრუტუნებსო სადმე. ისევ დაიფრუტუნა ცხენმა.

მუხლებზე დადგა ნაძვის ჩრდილს ქვეშ და გაძხვდა მთვარის შუქით განათებულ ოლეს ნაძვების ჩრდილებს შორის გავლებულს.

თვალნათლივ ხედავდა ქარიმანი შავ-მუზურადიანი, შავთოროსანი მხედარი შავ ცხენზე იჯდა და ჯიქურად მოდიოდა სწორედ იმ ნაძვისაკენ, რომლის ჩრდილში ქარიმან სეტყელი იწვა.

ვერც ცხენოსანს შეეცნო მისი ორანი, ვერც თავშიშველა შუბოსანს, რომელსაც ცხენის სადავისათვის მოეციდა ხელი და ისე მოსდევდა გვერდით, და ნებანება ესაუბრებოდა მხედარს.

ძრწოლამ მოიკცა ქარიმან სეტყელი და ისევ მოაგონდა ნომანი მეფე არაბთა, რომელსაც ჯინი განეცხადა შავთორიანი და შავცხენოსანი. მაინც წამოდგა სუნთქვა შეკრული და ხმლის ვადა მოსინჯა ანაზღად.

მცირე ხანს იდგა აგრე გახევებული ბანჯგვლიან ნაძვის ჩრდილში, ვიდრე მხედარი და მისი თავშიშველა მხლებელი მთლად ახლოს არ მოვიდნენ მასთან. როცა მათ ქართულ საუბარში სიტყვა „ლიბარტი“ შემოესმა სამგზის, ქარიმან სეტყელმა ხმალი ამოიღო, მიუახლოვდა მთვარის შუქისა და ნაძვის ჩრდილის სამანს და ხმლით შეტყეისთვის მოემზადა ანაზღად.

ამავე წუთში წიწვის ლიწირი შემოესმა ქონდაქართუხუცესს. „ნან შანს მას“ წერივ მდგომარე ნაძვის ჩრდილს ქარიმანს ხალამოწვდილი ლანდი გამოეყო, დაგვენბდო, შესძახეს თოროსანსა და მის მხლებელს.

ჩალიანიდან გამოვარდნილ ავაზის უსწრაფესად ისკუბა ქარიმან სეტყელმა და ხმალშემართულ სამ მხედარს შორის მომწყვდეულმა ცხენოსანმა მახვილზე ხელის გავლებაც ვერ მოასწრო სახტად დარჩენილმა, გახევედა მისი მხლებელიცა.

მოხუცი მახარა პირველი ზედშეახტა მხედარს და ტახტადან ჩამოათრია იგი, როცა სიტყვაი ქორა მიეჭრა თოროსანს და მუზარადის ლითამი აუწია ანაზღად, კოხმან ბერი შეიცივენეს სამთა.

ეს ყოველივე წერილად მოხსენდა ნაქარმაგვეიდან ლიბარტის უბანში მიბრუნებულ მეფეს.

თითქმის მთელი კვირა გაგრძელდა კოხმან ბერისა და მისი მხლებლის დჯითხვა. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა ლიბარტი ამირას მესაწოლე და განმკეთუხუცესი-ზარგარელი.

თავდაპირველად მათ ასეთი ჩვენება მისცეს ქარიმან სეტყელს. რა დავინახეთ ლიბარტი ამირა დაამარცხა მეფემ, გადაეწყვიტეთ იერუსალიმს წავსულიყავით, რაკი კარგად ვუწყობდით არ გავგახარებდნენ ლიბარტის ერთგულ ყმებს.

მაგრამ როცა ქარიმან სეტყელმა მიაყენა ისინი ორ ჩუხითა მიერ საკმაოდ მალა აწეულ ხმლებს და გადატომა უბრძანა, შავწელიწადსავით წაგრაძლებულმა კოხმან ბერმა ზედ გადახტომა მართლაც დააბირა, მაგრამ როცა მოპირულ ხმლების ელვარებამ თვალი მოსჭრა, ხელები ჩამოუშვა და მოცელილივით დაყორდა მიწაზე და თავი მოიმკვდარუნა.

მაშინ ზარგარელი გააშისვლებინა ქარიშხანა და რბილ ადგილებზე დაუშინეს ტაჯგანაგები საკმაოდ ჩაკურატებულ განმგებულუცესს

თანაც უყვიროდა ქონდაქართუხუცესი: ვადაბტიო მოპირულ ხმლებზე. ველარც ზარგარელმა ივაჟკაცა, ერთი წაიძუნძულა და ხმლის პირებს დახედა თუ არა, პირქვე გაადინა თხლაშანი მიწაზე.

ღამდუღრულღვით ყვიროდა: ოღონდ სული შემარჩინეთ და ყველაფერს ვიტყვიო.

ბოლოს ტკბილად აპიკიკდნენ ორიენი, ლიპარიტის წყევლასა და ლანძღვაში გაეჯიბრნენ ურთიერთს.

პირველად კოზმან ბერმა დაიწყო ენაშვობა:

„მე და ზარგარელი სამი თვეა რაც თადარჯინის ხევეში ვხვდებოდით ურთიერთს, ლიპარიტის უბნის, კლდეკარის და ფარცხისის ციხეთაგან მოხვეჭილ ცნობებს ვუფაგავნიდით ისპაპანში ვარსიმ ვარძელს, ლიპარიტის სარწმუნო კაცს. ბარე ორჯერ რატი ლიპარიტისძის ეპისტოლა გაევაგზავნეთ. ამ ბარათში ლაშქრის წარმოგზავნას სთხოვდაო სულთან ბარქიაროკს რატი.

როცა ლიპარიტი და რატი დარწმუნდნენ, რომ სულთანისაგან პასუხი აღარ მოდიოდა, მე და ზარგარელს გეიბრძანა ისპაპანს წასვლა და ვარსიმ ვარძელის სადაურობის გაგება“.

„ლიპარიტთან როგორ ვაბით კავშირი?“

შეეკითხა ქარიშხანი.

„ამ ბოლო ხანს როგორც იცით, ლიპარიტი კვლავ მიიქცა ქრისტეს შჯულად, ჩვენ გვაკავშირებდა მისი მეფესალმუნე მნათე გაბოი“.

მიუგო კოზმანმა.

„კეთილი და პატიოსანი, ახლა ეს მარტვი ბერო, რა უნდა გეუწყებინათ“, შეეკითხა კვლავ ქარიშხან სეტყელი.

„ყოველივე რაც მოხდა თრიალეთის საერისთაოში, რატის გამთქმუნებას სულეთის ციხიდან, ლიპარიტის შეწყვეტა და ნადირობის დროს, ჯონდი ერისთავის მიერ“.

„კიდეე რაი?“

„დავით მეფის სპათა ოდენობა“.

„შენ რა გგონია ბერო, რამდენი ათასი მონასპა ჰყავს დავით მეფეს თრიალეთის საერისთაოში?“

„მე გგონია ბევრზე ბევრი“

„მაინც რამდენი?“

„იმდენივე რამდენიც შიდა ქართლში“.

„შიდა ქართლში რამდენი?“

„მე ვგონებ აქაც და იქაც სამოციათასი, ბეშქენ ჯაყელისა და გუარამ ბევისციხის პატარონის მონასპათ თუ არ მივათვლით“.

„ამ ორ ერისთავს რამდენი ეყოლება, შენის ფიქრით ბერო?“

„ასე ვგონებ კიდეე ამდენი“.

ქარიშხან სეტყელს გაეცინა გუნებაში. ახლა ესა ჰკითხა:

„კიდეე რა უნდა მოგეხსენებინა სულთან ბარქიაროკისთვის ბერო?“

„კიდეე?“ აქ დღეიქრდა კოზმანი, ცალი ზელოთ საფეთქლის სრესა დაიწყო, მერმე თავზე მოიფხანა და სთქვა:

„თრიალეთელ აზნაურთა მზაობა, უკეთეს სულთან ბარქიაროკი ლაშქარს გამოუგზავნიდა ავასინის ჯარების სარანგს“.

მცირე ხანს შესდგა ქარიშხან სეტყელი, ეს ყოველივე აღწუსდა მეფისთვის მისართმევე პიტაკში და განაგრძო დაკითხვა:

„შენ წედან ახსენე ავასინის ჯარების სარანგი: ხომ არ მიუგზავნიხარ ლიპარიტ ამირას, ან რატის მასთან?“

„ამ ზაფხულში სამგზის ვეახელი ავასინის ჯარების სარანგს“.

„რას ითხოვდი მისგან ბერო?“

„მენა? მენა არაფერს“.

„მაშ რად ეახელი!“

„მე ვეახელი რატის დავალებით.“

„პო, რატის დავალებით, ეს გასაგებია, მაინც რა სთხოვე ავასინის ჯარების სარანგს?“

„მენა, მენა არაფერი.“

„შენ ვირეშმაკობას თავი მიანებე ბერო, რატის მაგივრად რა სთხოვე მაინც.“

„ჯარის მოშველიება.“

„რა პასუხი მიიღე ბერო?“

„სანამ სულტანი არ მიბრძანებს ვერ წარგზავნიო ლაშქარს, ბოლოს ამდენი სპაჰი, არცა მყავსო აქ.“

„კიდევ ვისთან წარგაგზავნეს ბერო?“

„ივლისის დამლევს კახთა მეფეს ეეახელი კვირიკეს“,

„მას რა შესთხოვე ბერო?“

„ლაშქრის მოშველებას. ითხოვდა რატი.“

„მერმე რა მოგიგო კახთა მეფემ ბერო?“

„ისინი შეთანხმებულნი იყვნენ ოცდაათი ათასი მონასპით თრიალეთის საერისთაოში უნდა შემოჭრილიყვნენ, ლიპარიტი და რატი გაენთავისუფლებინათ, ბოლოს თრიალეთელი აზნაურების შემწეობით დავით მეფე შეეპყროთ, ძელზე გაესვათ, ლიპარიტ ამირა ქართლის ტახტზე აეყვანათ.“

„შენ აგრე სთქვი, ფუ არ ეცდები ბერო, ისინი შეთანხმებულნი იყვნენო, ვინ ისინი, ბერო?“

„თბილისის ამირა ბანუ ჯადარი, კახთა მეფე კვირიკე და ძაგან ზედაზენის ციხის პატრონი.“

„კეთილი და პატიოსანი. ახლა ეს მარქვი ბერო, რითი დასრულდა მათი შეთანხმება ბოლოს?“

„ვერ მორიგდნენ როგორც სჩანს. აღსართან კახთა უფლისწული განზე გადავა, უკეთუ თრიალეთიდან სამეფოს

ლაშქარს გარეკავთ, ქართლის ტახტზე მე უნდა დაეჯდეთ. ბოლოჯერ განუდარმა მოითხოვა თრიალეთის სეტიკისათვის მიწები კოჭრიდან ვიდრე მანგლისამდე.“

„ეს ყველაფერი კარგი, ახლა ეს მარქვი ბერო: სახსრები ვინ გაიღო ისპანის თქვენდა წარსაგზავნად?“

კოზმანი შეყოყმანდა და როცა მოპირულ ხმლებზე ვადახტომის საჭიროება შეახსენა ქაირი მანა ფრთხილად, ისევ ამტყვევლდა ენაგალაქსარებული ბერი:

„ლიპარიტ ამირას შეუღლემ, კატაიმ.“

„რამდენი?“

„ათასი ოქროს ბოტინატი ბიზანტიური.“

„კიდევ? ეს დიპრემები ვინდა მოგცა ბერო?“

„კატაიმ.“

„რამდენი?“

„სამი ათასი ოქროს დიპრემი.“

ახლა ეს კითხა ქაირი მანა კოზმანს. „თორი რად ჩაიცივი, ან რაინდული საჭურველი რად დაგჭირდა ბერს?“

„მუსლიმთა ქვეყნებში მიმავალს ბერული ჩოხა და კუნკული რაღად მინდოდა!“

მიუგო კოზმან ბერმა.

—

როცა ქაირი მან სეტიელმა ამ ამბების გამო პიტაკი მიართვა მეფეს, უწინარეს ყოვლისა ეს იკითხა პატრონმა: „როგორი რაოდენობით აღურიცხავს ჩვენი ლაშქარი კოზმან ბერს?“

„თრიალეთის საერისთაოში სამოცი ათასი, ამოდენიც შიდა ქართლში, კიდევ ამდენი ზედა ქართლში.“

„ეს კარგია, სულტან ბარქიაროც რომ მოხსენდეს ამ რიგად.“

დასძინა ღამილით პატრონმა.

ბოლოს ესა ბრძანა: ახლავე დაუბრუნეთ სოლიდები და დიპრემები კოზ-

მან ბერს, ცხენიცა და რაინდული სა-
პურველიცა.

ქარიმან სეტეილი ამას ისმენდა და
თავით არ უჯერებდა საკუთარ ყუ-
რებს.

აგრე ეგონა ზუმრობსო მეფე.

გაოგნებულმა შეხედა პატრონს.
მზრები აიჩეჩა, არ იცოდა დაეჯერებია
თუ არა მისი ნაბრძანები.

ნიანია ბაკურიათი, ჯონდი ერისთავი
და მახარა ესწრებოდნენ ამ საუბარს,
მახარა თავის კანში აღარ ეტეოდა,
აღელვებული წამოდგა, სარკმელს
მიადგა, თითებით დააკაქუნა სარკმე-
ლის რაფაზე, მერმე ისევ შუა დარბაზ-
ში გაჩნდა და მზერა გაუსწორა მეფის
თავლისფერ, მშვიდ თვალებს, გაზუმ-
რების ნატამალიც ვერ ამოიციოთხა მათ-
ში.

ნიანია ბაკურიათი და ჯონდი ერის-
თავიც გაოცდნენ, მაგრამ ველარაფერი
ჰკადრეს მეფეს.

„როგორც კოზმან ბერი, ისე ლიპა-
რიტის განმგეთ უხუცესი ზარგარელი
შეპყრობილი წაიყვანეთ სამშვილდეს
ბარამდის. მერმე სადმე ტყეში გაა-
თიეთ ღამე, თავი მოიმძინარეთ და გაქ-
ცევის საშუალება მიეცით ორივეს“.

დასძინა პატრონმა.

ახლა მთლად გაცოფდა მახარა. ისევ
წამოდგა სარკმელთან მივიდა, ისევ
გამობრუნდა და კვლავ მზერა გაუსწო-
რა მეფეს.

როცა ქარიმან სეტეილი გავიდა,
მეფემ ეს უთხრა დარბაზში დარჩე-
ნილთ:

„ამ ეჟამდ ჩვენ დიახაც გვესაქიროე-
ბა არა მარტო საკუთარი მსტოვარების
წარგზავნა ისპაჰანს, არამედ ლიპარიტ
ამირას სარწმუნო კაცთაც მანდ ჩასე-
ლაც. მე ვაპირებდი ის სამი თურქი
მსტოვარიც გამეშვა აგრე რიგად, რათა
ჩვენი ამბავი მათ ჩაეტანათ სულტა-
ნისათვის, მაგრამ თვით ბარქიაროკის

მიერ წარმოგზავნილნიც ვერ მოუთხ-
რობენ მას ისეთ რამეს, არც უხვეწვე-
საქიროება ამ ეჟამდ. ბიზლინიშინა

იცოდეთ, ლიპარიტ ამირას დამფრთ-
ხალი მსტოვარი, იგიც ენაქარულა
კოზმან ბერი გაცილებით მეტს მოუ-
თხრობს სულტანს ჩვენი ძალმოსილე-
ბის გამო, გაცილებით მეტს, ვიდრე
ჩვენ მოგვეპოვება სინამდვილეში ახ-
ლა. ამ საქმეს უთუოდ ჩინებულად
შეასრულებს მუსლიმთა ქვეყნებში
ნათრევი, მსტოვარულ საქმიანობაში
საქმოდ გაქნილი კოზმან ბერი“.

მახარას ვარდი მოეფინა სახეზე,
სელიდან ზეწამოიჭრა და წამოიძახა:

„ქკვიანი მეფე მტრის მსტოვარსაც
გამოიყენებს“.

მეფემ ეს ლა სიტყვა დასასრულ:

„მაინც კარგია ვიცოდეთ, ვინ ჩა-
გონა კოზმან ბერს, თითქოს ჩვენ ამდენ-
ნი ლაშქარი გვეყავდეს ამ ეჟამდ?“

„შიშს დიდი თვალები აქვთ, ჩვენო
პატრონო“.

ჩაილაპარაკა ნიანია ბაკურიათმა.

: — :

მეფის ბრძანებისამებრ ქარიმან სე-
ტიელმა და სიტყვები ჭორამ სამშვილ-
დეს ბარამდის მიაცილეს კოზმან ბე-
რი და ზარგარელი. ორივენი გაოგნე-
ბულნი იყვნენ, აღარ იცოდნენ, სად
მიჰყავდათ ისინი ჩუხჩათა?

ბოლოს როცა გაქცევის საშუალება
მოიხეღეს, კოზმან ბერმა ჩაუქობაში
ჩაუთვალა ეს „გმირობა“ თავის თავს.

ლიპარიტის უბანში მობრუნებულმა
სამი მსტოვარი წარგზავნა ქარიმანმა
მეფის ბრძანებისამებრ ისპაჰანს: ტორ-
თოი ქალდიანი, მიქაელ ლულაი და
ქიანორი გოროლიანი. მტრის თვალის
ასახვევად ეპურების სამოსელით იყე-
ნენ ისინი მორთულნი, ისპაჰანში ცხე-
ნები უნდა ეყიდნათ, შინის ჯიშისა-
ნი უთუოდ.

XIX

„ბრძვალთაბანაც საცნაურიც
ბოკმერი ლომისა“.

...„ლაშქარნი სხვადასხვა ტომისგან უნდა იყოს შემდგარი: ორი ათასი კაცი დელიშელი, ორიც ხორასნელი, დანარჩენი, თუ ქართველი, ან ფარსნი იქნებოდნენ, კარგია.

სულთან მაჰმედს ჩვეულება ჰქონდა ასეთი: ლაშქარში რამდენიმე ტომის ნაშთები ჰყავდა ურთიერთში აღრეული: თურქი, ხორასნელი, პინდუ, არაბი და დელიშელი.

ლაშქრობის დროს ყოველამ წინასწარ არკვევდნენ თუ რამდენი კაცი მიდიოდა საგუშაგოდ. ყოველი ტომის ბანაკი თვალწინ ჰქონდა რომელიმე ტომის ნაშთვერთავანს სხვას. ამიტომაც ურთიერთის შიშით ვერაფერს ბედავდა ადგილის გადასაცვლებას.

როგორც კი ბრძოლის ეპიზოდს აწყვედა, თითოეული ტომი ცალკეა აწყობდა საბრძოლო რიგებს და ამ რიგად ყველა არშერცხვენისა და სახელისათვის ბრძოდა ხოლმე“.

ნ ა მ ა ლ მ ე უ ლ ე . „ს ი ა ს ე ტ ნ ა მ ე კ“.

ერთ ავღრიან ღამეს, სავსებით იღუმალად და ყველასათვის მოულოდნელად მეფემ თრიალეთიდან აპყარა აფხაზ მოისართა სამი ათასეული სპაჰ ქართლისაჲ, ლოდსარტყოცნებითა და ტარანებით აღჭურვილი, ორი ათასი კლარჯეთელი მძიმედ შეჭურვილი რაინდი, საითთაოდ თოროსან ცხენებზე აღშხედრებული, ხუთი ათასი შუბოსანი როჭის სპა, რომელშიაც მეტწილად კავკასიელნი მთიელნი იყვნენ, აქა იქ ერიენ სომეხნი და თურქნი, რამდენიმე მამველი და ქვეითთა ათასეული.

ციხეთა დაცვა ქარიზან სეტიელს ჩააბარა, მასვე დაუქვემდებარა იმერ-

თა სამი ათასეული მოისარტყენოსანთაგან შემდგარი.

ორი კვირით აღრეულ ლაშქარში ჰყავდა წარგზავნილი ჯაეახეთს, ტაოს გეგუთსა და აფხაზეთს. ბეშქენ ჯაყელი, გიორგი ჭყონდიდელი და შერგილ ლიპარტიანი იხმო სპიანად, ჭილო გურამ ბეჰისციხის პატრონი უსპოდ.

როგორც სამცხელთა, ისე იმერთა ლაშქარნი ტაისის კარში უნდა შეხვედროდნენ ურთიერთს, ერთ მთლიან ლაშქრად შეკრული „მტრად“ უნდა შემოსულიყო ბორჯომის ხეობიდან შიდა ქართლში.

სამ დღეში ბეშქენ ჯაყელმა სამი ათასი შუბოსანი ჯაეახი მოაყენა ტაისის კარს და ხუთი ათასი სამცხელი მოისარი, ხოლო გიორგი ჭყონდიდელმა და შერგილ ლიპარტიანმა ორი ათასი ეგრისელი ცხენოსანი, ათასი არგვეთელი შუბოსანი, ორი ათასი მძიმედ შეჭურვილი თავკერული თოროსანნი, რომელთაც ოცი ლოდსატყორცი მოჰქონდათ, ასზე მეტი გალაგანთმუსერელი „ტეხისებლებიც“ თან მოჰყავდათ.

მათ თან მოსდევდნენ სათადარიგო, მარჯაფა მოისარნი და ქვეითნი. „მტერი“ ბრძოლით უნდა შემოსულიყო ტაისის კარის კლისურებიდან.

ბირობითად „ასაღებ“ ციხედ დათქმული იყო ციხე-სასახლე ნაჭარმაგვევისა, რომლის „დაცვის“ გაძლიერებისათვის წინასწარ იქნა მიღებული ღონისძიება.

ციხის გარშემო ოდითგანვე არსებულ ხანდაკებასა და მგლის ორმოებს, მეფის ბრძანებისამებრ ახალი ბლისკინები და ხანდაკები მიუმატეს, წყლით სავსე ორმოები მოაწყვეს ლოდსატყორციებისა და ტარანებისათვის დაბრკოლების შესაქმნელად. სავსებით ახალი ხაფანგები დაღვეს როგორც თავადი ციხის, ისე გოდოლების გარშემო, საკმაოდ მოშორებულად ხანდაკები მოაწყვეს ცი-

ბის ოთხივე კიდესთან მისასვლელზე-
თან, რათა ცხენოსანთა ლაშქარი ახ-
ლოს არ მოეშვათ ციხესთან.

როგორც დასავლეთიდან, ისე აღმო-
სავლეთიდან ხშირი ტყე იყო ციხის
შემოგარენში.

ორივე ტყეში მგლის ორმოები და
ჯებირები მოაწყვეს, ხოლო მათ სი-
ღრმეში უზარმაზარი ორმოები, რო-
მელთა ზედაპირზე მწვანეანი წიწნელები
იყო განფენილი რათა ცხენოსან
ჯარს მყარი მიწა ჰკონებოდა და შიგ
ჩაეარდნილიყო ციხისკენ მიმჭროლავი,
ან მისგან ოტებულა.

სარეჯგავები მოაწყვეს ამგვარი:
ახალგაზრდა ხეთა კენწეროები დად-
რიეკს, პალოებით დაუშვეს მიწაზე
ზეთავე, თუ დაკრავდა მომჭროლავი
ციხენი ასეთ ხეს ფეხს, გაწყდებოდა
პალოზე მიბმული თოკი და ზეაისრო-
და ცხენსა და მხედარს.

მეფე ტაძრეულითურთ შემობრძან-
და ციხეში, ვალავანში და გოდოლნი
დაათვალიერა. ციხის თავმა უპიტაკა
შზაოზა „ომისა“. უკვე სააღყოფ ამზა-
დებდნენ ციხეს. ორმოებში მარცხ-
ლეული ჩაყრილი იყო, ქვევრებში
ღვინო ჩაესხათ, წყლის თანგირები
და მილები დაესუფთაებინათ. რო-
გორც ციხის ზედსართულებში, ისე
გოდოლებში ამოსულიყო წყალი.

ტასის კარში ურთიერთს შეხვდნენ
„მოკავშირე“ ლაშქართა სარდალნი:
გიორგი ჭყონდიდელი, ბეშქენ ჯაყე-
ლი, შერგილ ლიპარტიანი და მთავა-
რი მოათათბირე გურამ ბეჭისციხის
პატრონი.

ციხნდაციხნ გამართეს ბჭობა.

იმერ-ეგრისელთა და ჯავახელ-სამ-
ცხელთა „გულს“¹ უსარდლეს გიორ-
გი ჭყონდიდელი, მარჯვენა ფრთას—
ბეშქენ ჯაყელი, ხოლო მარცხენას
შერგილ ლიპარტიანი.

მაშველი მოისართავან შემდგარი
არგვეთელ სპათა უსარდლეს მარჯ-
ვარდა ერისთავი იოანე მარჯვენა,
არგვეთის ერისთავია ეაკი, ხოლო მარ-
ბიელ ლაშქარს მარგვეთელთა ათა-
სეულის ერისთავი ხურცისძე.

უთენია ნაპარმაგვევიდან მალემ-
სრბოლმა მოიტანა მეფის ბრძანება:
ომი იწყებო, გიორგი ჭყონდიდელმა
არ ინება დაძვრა ლაშქრისა, სანამ
„მტრის“ მეწინავე არ გამოჩნდებოდა,
რადგან უნდოდა კლისურებში გამოემ-
წყვედია იგი და მოექანცა ორწოხებში
ბრძოლით.

მალემსრბოლებმა ამცნეს მეფეს
„მტერი“ დაიძრაო, არც იგი აჩქარე-
ბულა.

ბაგრატიულ თორით მორთული,
სკვითიაზე შეჯდა პატრონი, ტაძრეუ-
ლითურთ გამობრძანდა ციხიდან.

ქოსსა ჰკრეს ნაპარმაგვეის ციხეში
და გაისმა დაფდაფების ცემა. აწყრილ-
დნენ ციხის ეკლესიის ზარები.

მაძახურებმა შზაოზა ამცნეს გარს-
მოჯარულ ათასეულებს.

მეფემ იმ დღეს პირველად გამოი-
ყვანა ლტოლვილ ტფილისელთაგან
შემდგარი ცაცია მოისართა ათასეული,
რომელსაც მეფის ბრძანებისამებრ სა-
განგებოდ წრთენიდა მუხათვეკრდის
ციხისთავი ფარჯანიანი.

მეფემ ჩამოუარა ცაციათა ათასე-
ულს, შეამოწმა ცხენკეთილობა მათი,
უთვალთვალებდა თუ როგორ ისხდ-
ნენ მოისარნი ცხენზე, როგორ მარ-
თავდნენ სადავეს, როგორ უჭერდნენ
ბაყუებს, ან მშვილდს როგორ იმარ-
ჯვებდნენ გასასროლად შეწყობულს.
როცა ათასეულის უფროს ბრძანები-
სამებრ გაისროლეს ისრები, მეფე მი-
ვიდა ცხენდაციხნ მეწინავე მოისა-
რებთან, უწვეურულ მხედარს გამოარ-
თვა მშვილდი და ეუბნება:

„მშვილდი ავრე უნდა გეჭიროთ ჭა-
ბუკო, ხომ ხედავ, აი ავრე. მარჯვენა
შკლავის ზედა ნაწილით სხეულზე

¹ „გულს“ შუა საუკუნეთა ტერმინია, არ-
ხის ცენტრს ეწოდება.

უნდა მიიკრა მშვილდი, ხოლო ისარი გაკაეებული უნდა გქონდეს მარცხენა მკლავის ზემო ნაწილით, მარცხენა ხელით აგრე მოზიდავ საბელს.

მშვილდს სამი თითი უნდა წაავლო, საბელზე საჩვენებელი თითი უნდა დადო და არა უსახელო, როგორც ეს გააკეთე შენ წელან“.

ახლა უზარმაზარ, მწითურ ცხენზე მჯდარ წვეროსანს მიუახლოვდა: განაშადეო სასროლად მშვილდ-ისარი.

უბრძანა წვეროსანს: „ნიკაბი მარცხენისაკენ უნდა მიიდრივო, გესმის?!“

ახლა მესამეს შენიშნა: თავი ზეასწიე სროლის დროს.

ჩოფურა ქალაქელს ბარე სამჯერ უჩვენა თუ როგორ სჭეროდა მშვილდი, ან საჩვენებელი თითი როგორ ეხმარა.

ახლა ელაწვერიან ტფილისელს მიუახლოვდა ერთს. ცხენზე თუ მჯდარხარ წინად? არაო მიუვო მოკრძალებულად მოისარმა.

„იცოდე სროლის დროს მზად უნდა გაედდეს გასაქენებლად ცხენი. რაკი ზღლები გაკაეებული გაქეს, ბაყეები უნდა გქონდეს მაგრად მოჭერილი“.

ყველას გასაგონად ბრძანა:

„მშვილდის მოზიდვისას უზანგებს მაგრად დააჭირეთ ორივე ფეხი, ოდნავ უნდა გადაიხაროთ ცხენის კისრისაკენ და ისე გაისროლოთ ისარი“.

ისევე უბრძანა ათასეულს: ისროლეთო.

ისევე ჩამოუარა მწკრივებს.

„ძია კაცო, ეუბნება ერთ ქალარა მხედარს, რომელსაც ხის ჯვარი ეკიდა მკერდზე, მშვილდის მოზიდვისას საბელი ყურამდის უნდა მიიტანო და პერმე გაუშვა ისარი“.

წინა მწკრივში მდგაროთ მიმართა: „სროლის დროს პირს ნუ აღებთ, კბილები კბილებს დააჭირეთ, თვალეები

არ აცეცოთ, ტანი არ უნდა არჩიოთ სროლის დროს“.

ათასეულის უფროსს მიუბრუნდა: „მე ვარამარა უთვალთვალეებდა სამ ვაეკაცს, საკმაოდ დაუძღურებულ ცხენებზე მჯდარო“.

პერმე შეეკითხა ათასეულის უფროსს: აბა შენს ათასეულში ყოველ მოისარს თუ იცნობ, რა გვარისანი არიან ის სამნი, წინა მწკრივში გამხდარ ცხენებზე რომ სხედან.

„ხოროგაი ჩვენო პატრონო“.

უბრძანა ათასეულის წინამძღოლს: ეხმო სამივე ძმა.

„გიცანით მაგრამ სახელები მერევა თქვენი, რადგან სამნივე ურთიერთს ჰკეებართ“.

„შენ გოდერძი უნდა გერქვას, არა?“

ქაბუკი გაწითლდა. გოდერძი მქეიო, დაუპოწმა პატრონს.

„შენ როსტოი, უნდა გერქვას“, ეუბნება უმრწამესს. ეგეც სწორი აღმოჩნდა.

„მამ გოდერძი, როსტოი და გოგილოი“.

ახლა მტკიცედ ვიცი.

სთქვა ღიმილით მეფემ.

პერმე ათასეულის უფროსს მიუბრუნდა ფარჯანიანს:

„მე მათ ვუთვალთვალეებდი, სამივე ძმა ჩინებულად ისერის. ცხენებზედაც კარგად სხედან, მაგრამ ეგაა, ცხენები არ უფარვათ. სამთავეს აჩუქეთ თითო ცხენი სამეფო საჯინიბოდან, ზეალვე ასის თავებად დანიშნეთ სამივენი“.

ახლა სპაჰ ქართლისაჰ შეამოწმა და აფხაზ მოიპართა ათასეული. ბოლოს ორივეს უსარღლა ნიანი ბაყურიანი და უბრძანა: „მტრის“ მარბიელს დახვედროდა ტასის კარის კლისურებში, ვიდრე იგი შიდა ქართლის ზეგანს შემოადგებოდა. დაბარა: ცდილიყო როგორმე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადმოეტყუებინა „მტერი“. თუ ხანდაკისა და აგარას სანახებში შემოგვე-

ფეთნენ, როგორმე ეცადე რუის გასწვრივ მდებარე ქალბამდის შემოიჭყოთ და იქ გაუმართო ბრძოლა.

ჯონდი ერისთავი როქისსპას უსარდლა და უკან გააყოლა ნიანია ბაკურიანს. როცა ტასის კარის კლიტურებამდის მოაღწია ნიანია ბაკურიანმა, სპაჰ ქართლისაჲს და აფხაზ მოისართა ათასეულს წინ შემოეგებნენ არგვეთელთა ათასეული, და ეგრისელნი მოისარნი. ისინი წაეიქნულავენ ნიანიას ათასეულებს უკუიქნენ და აღმა აპყენენ მტკვარს.

ნიანია უკუქცევას აპირებდა თავათაც მაგრამ გაღმა გამოღმელ მთებიდან დასძრა მტერმა უამრავი საგორავეები და ძლივს გამოასწრეს ნიანიამ და მისმა ათასეულებმა მტერს.

დასვენებაც ვერ მოასწრეს ნიანიას ათასეულებმა და მარგვეთელთა და არგვეთელთა ათასეულები ეძგერნენ მის მეწინავეებს, ნიანიამ ბრძოლით დაიხია უკან და გაშლილ ველზე გაუმართა „მტერს“ ბრძოლა.

ერისთავი ბუკაისძე მტკვრის მხარმარჯვნივ გადმოვიდა და ჭაობებისკენ აპირებდა ნიანის ათასეულების გატყუებას. ნიანიამ მტკვარს გაღმა გადაასხა სამი ათასეული და აქ დაბანაკებულ შერგილ ლიპარტიანსა და ლაშქრის მარცხენა ფრთას მიუსია ცაციათა ათასეული.

მტერმა მარცხენა ფრთა უკან დახია და მარჯვნიდან შემოუტია როგორც ცაციათა ათასეულს, ისე სპაჰ ქართლისაჲს ცხენოსნებს. ბოლოს, აფხაზ მოისარმა ათასეულმა დასაელეთიდან მოუარა შერგილ ლიპარტიანის ეგრესიულ მოისართ და მტკვრისკენ მისრისა ისინი. ნიანიამ თავი მოიკატუნა, ვითომ შეეშინდა „მტრის“ მოზღვავებულ ძალისა, ნიანია ბაკურიანმა შემობრუნდა ცხენი, მოადგა მტკვარს, ფონის განუყოფავად გადმოლაზა ცხენდაცხენ იგი და როცა მარჯვენა

ნაპირზე გაიშალნენ მისი ათასეულები, უბრძანა ხელი შეეშალა და დაარაგველთა ცხენოსნთა მტკვრის გადმოლაზებისა.

დიდხანს არ ამოუშვა მდინარიდან „მტრის“ ცხენოსნები.

ამსობაში გიორგი ჭყონდიდელმაც მოაღწია, გაუჯავრდა ერისთავ ბუკაისძეს რად გაუშვიო მტკვარს გაღმა მტერი, მაგრამ სხვა გზა არ იყო, როგორც იგი, ისე ბეშქენ ჯაყელი მოადგნენ მტკვარს და მოსძებნეს ფონი.

გაიშალეთო უბრძანა ნიანიამ თავის ათასეულებს, ცხენები დააწვენინა და დაუშინეს ისრები მტერს სპაჰ ქართლისაჲს და აფხაზ მოისართა ათასეულებმა.

ლაშქრის „გულის“ სარდალმა გიორგი ჭყონდიდელმა რა შენიშნა ამსობაში ჯონდი ერისთავი მოერთო ნიანიას ათასეულებს და როქის სპაჰ შემოიყვანეს ბრძოლაში, უბრძანა შერგილ ლიპარტიანს მარცხენა ფრთაწინ წაეწია ნიანიას შემოტევაზე თავის ათასეულებს უკან დაახვეინა, ბეშქენ ჯაყელს შეუთვალა მთის ფერდობებს გაპყოლოდა და მაგრად მისწოლოდა მტერს, რათა სამკუთხედში შემოტყუებული ნიანიას ათასეულები ორივე მხრიდან შეეკრათ, მარცხენა და მარჯვენა ფრთები ბოლოს უნდა შეყროდნენ ურთიერთს და შუაში მოექციათ მტერი.

„მტრისათვის“ საცხები მოულოდნელად ნიანია ბაკურიანმა და მისმა ლაშქარმა უკუქცევა იწყეს, ჯონდი ერისთავი ეძგერა შერგილ ლიპარტიანის ათასეულებს და ჭაობებისკენ მისრისა ისინი.

ნიანიამ ტფილისელ ცაციათა ათასეული დაუპირისპირა ბეშქენ ჯაყელს, გამობრუნდა შეებრძოლა გიორგი ჭყონდიდელს „გულს“ ისევ უკუიქცა და თან გამოიტყუა მტერი. რამოდენიმე საათს იბრძოდნენ ასე, ნიანიას და

ჯონდი ერისთავის ათასეულები შეიკრებოდნენ მტრის განლაგებაში, ეკვეთებოდნენ, ეკენწლავებოდნენ „მტერს“, უაღიქცეოდნენ, შესდგებოდნენ, ისევ შემოაბრუნებდნენ ცხენებს და კვლავ ეძგერებოდნენ მტერს.

როცა რუისის ტაძრის სილუეტი გამოჩნდა, ნიანიამ შეაწყვეტინა უკუქცევა სამივე ლაშქარს, უსარდლა გულს ლაშქრისას, მარცხენა ფრთა ფარჯანიანს მიანდო მუხათგვერდის ციხისათვის, მარჯვენა ჯონდი ერისთავს.

როცა ჯონდი ერისთავი და როქის სპა მაგრად დაუხედნენ შერგილ ლიპარტიანს, იგი ჭაობებისკენ უკუქცევას დაადგა. გიორგი ჭყონდიდელმა ისევ უკან დაახევიანა ლაშქრის გულს და შორს გამოიტყუა ნიანიას ათასეულები.

შერგილ ლიპარტიანმა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ატეხილ ჭაობებში ვერ გაშალა ეგრისელთა ათასეული, რიყისკენ უკუქცევა და ფონს დაუწყობებდა.

ვიდრე როქის სპა ისრის სასროლოზე მიეახლებოდა მტერს, შერგილის მოისარებმა მტკვარი გადალახეს. შერგილი ვერ მარცხენა ნაპირზე შესდგა, ჯონდიმ ველარ გაიგო: ასვენებდა იგი ლაშქარს, თუ დასავლეთისკენ უკუქცევას ლაშობდა.

როცა შერგილს მოისარებმა დასავლეთისკენ იბრუნეს პირი, ჯონდი ერისთავმა გიორგი ჭყონდიდელის „გულს“ მიაყენა როქის სპა. მათაც დაუპირა მტკვრისკენ მისრესა, ახლა ჭყონდიდელის ცხენოსნებმაც შემოუარეს ჭაობებს და მტკვრის ფონისკენ უკუიქცნენ ლანდის უსწრაფესად.

უბრძანა ნიანია ბაკურიანმა აფხაზ მოისართა ათასეულს, ცხენები მტკვრის გამოღმა მიემათ ნერგებზე, თავათ ცურვით გადასულიყვნენ ვაღმა, მარჯვე საფარები მოეპოვებინათ მანდ

ატეხილ მენხერ ტყეებში, ვაშა შეეკრათ გიორგი ჭყონდიდელისა და შერგილ ლიპარტიანის ოტეხილ მოსარებთათვის.

ბრძანება შესრულდა.

ვიდრე ჭყონდიდელისა და ლიპარტიანის სპანი რუისიდან აქამდის მოაღწევდნენ, აფხაზ მოისარებმა გზები და ბილიკები შეჭკრეს, მაგრამ „მტრის“ ათასეულებმა მცირე შეკენწლავების შემდეგ ჩრდილოსკენ დაიხიეს და მთების შეყოლებით მიაშურეს ნაჭარმაგვეს.

მაშინ ნიანია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავი მიუბრუნდნენ ბეშქენ ჯაყელის სპათა, რომელნიც ფარჯანიანის ცაციათა ათასეულს გარშემორტყმოდნენ.

მოალყეებს თავათ შემოარტყეს ალყა და სპიანად „ტყვედ“ ჩაიგდეს იგი.

როგორც ნამდვილ ომებში სჩვევოდა გიორგი ჭყონდიდელს, მან ორი გლახურად გადაცმული მსტოვარი შეგზავნა ნაჭარმაგვეის ციხეში. მათთან წარიტანეს სამი, ზორავით დატვირთული სახედარი.

მსტოვარებს დავალებული ჰქონდათ მეციხოვნეთა შეძრწუნება და ცნობების მოკრეფა.

მსტოვარებს შიში უნდა დაეთესათ მეციხოვნეთა შორის. ვთქვათ რომ მტერი სადაცაა გარემოიციავს ციხეს, მოპირდაპირეთა ბანაკში რომ ყოველივე მათი საიდუმლო რომ უკვე ცნობილია, რომელი გალავანია სუსტი, რომელი გოდოლი მიწისძვრისაგან დაზიანებული, წყლის თანგირები რომელ წყაროდან იღებენ სათავეს. იმასაც ამბობდნენ:

ამ გოდოლს ცეცხლს შემოაგზნებენ, იმ გალავანზე ტარანებს მიაყენებენო. ჭყონდიდელის მსტოვრები და მზვერავები უკვე ისროდნენ ისრებსა და თითისტრებს ნაჭარმაგვეის ციხის

ეზოში. ისარზე მიკრულ პაწია ბარათებში ასეთი რამეები ეწერა: თქვენნი სპანნი უკუიქნენ, თქვენნი სარდალნი ტყვედა გვყავს, ამო სისხლის ღვრას მოერიდეთ და დაგვენბდიოთ.

• •

მალემსრბოლნი და მწვერაენი გამუღმებულად ამცობდნენ „ბრძოლის“ ვითარებას მეფეს.

ქოსსა ჰკრეს ნაპარმაგევის ციხეში, ოთხივე გოდოლის ჩარდახზე კოცონები დაანთეს.

ამცნეს მეციხოვნეთა: განსადღელ-შოა ციხე.

მეფემ რა შეიტყო გულის ლაშქარითურთ მობრძანდებო გიორგი ჭყონდიდელი სასწრაფოდ გამოიყვანა ციხიდან ორი ათასეული, დასავლეთის მისადგომებთან შეებრძოლა შერგილ ლიპარტიანის ეგრისელ მოისართა ათასეულებს.

ჯებირები და ხანდაკები ოსტატურად გამოიყენა, დიდხანს ეკენწლავა მათ, ნიანია ბაკურიანისა და ჯონდირისთავის ათასეულთა მოლოდინში, სიღამემდის შეიქცია ორივენი.

ცაციათა ათასეულმა მოაღწია პირველად.

მეფემ უბრძანა ფარჯანიანს და ცაციათა ათასეულს მარცხენა მხრით მიდგომოდნენ მტერს, მარჯვნივ როჭის სპა მიუყენა, თავათ ტყის სიღრმეში დაიხია.

ჭყონდიდელის სპანი მოერიდნენ გულის ლაშქრის დევნას და შესდგნენ. როცა შეღამდა, მოხსნა როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფრთა, უგრძნეულოდ გაიყვანა ლაშქარი დასავლეთით მღებარე ტყიდან და აღმოსავლეთისას შეეხიზნა სპიანად.

ხოლო მიტოვებულ ტყეში ოცდაათი ოდრე მებუჟე და მეღუმბულე დასტოვა, უბრძანა გათენებამდის ბუკ-ღუმბულთა ცემა, კოცონების დანთე-

ბა, ყვირილი და ალიაქითი. ბოლოს ტფილისელების ცაციათა ათასეულს უბრძანა გათანტულიყვენი. მტერი მხუნაკის გარშემო შეკენწლავებოდნენ „მტრის“ მეწინავეებსა და მწვერავეებს, ხანაც ყიყინით შეჭრილიყვნენ კარვებსა და კარვებს შორის, ესტეინათ, ეყვირათ და ღუმბულების ცემა გათენებამდის არ შეეწყვიტათ.

გიორგი ჭყონდიდელი თორგაუხდელად იჯდა თავის კარავში და ყურს მიუგდებდა ბუკ-ღუმბულთა ცემას და ტყიდან მომავალ აურზაურსა და ხორხოსს.

აგრე ეგონა: ახალი და ახალი ათასეულები შემოუყვანიო ბრძოლაში „მტერს“. იცოდა თავის გაზრდილის განუღრეკელობის ამბავი. როცა ცაციათა ათასეულს სპანი თავს დაესხნენ ბანაკა, წამოჰყარა მთვლემარე სპანი, თავათაც ასტეხეს ჭყონდიდელის მოისართაც განგაში და მღევრები გამოაკიდეს ცაციათა ათასეულის მოისართ, რომელნიც ყიყინით შემოაქროლებდნენ ბანაკში ცხენებს, იტაცებდნენ „მტრის“ ცხენებს და კარვების გადამტან სახედრებს, გამოენთებოდნენ თუ არა სპანი, გაჰქუსლავდნენ, იმალებოდნენ ნერგებში, მიწყნარდებოდა თუ არა ბანაკი, ისეე წამოუქროლებდნენ და არ ასვენებდნენ „მტერს“.

ბოლოს კარვიდან გამობრძანდა მთავარსარდალი, ასეულთა და ათასეულთა წინამდგომნი იხმო. უბრძანა მთელი ღამე იფიზლონო გუშავთა, ცხენოსანნი ერთი წუთითაც ნუ დასტოვებენო ცხენებს, ქვეითნი ნუ დაბოტავენ ტყეში, რათა სახიფათო ხაფანგებში და მგლის ორმოებში არ ჩაცვივდნენ სპანი.

თუ ვინმემ მოკლული ნადირი, ან საქონელი თუ იპოვნონ დაკლული, არამც და არამც არ იყვირონ, შესადლოა მტერს მოეწამლოს იგი და ჩვენ მოისართა მოსაშხამავად დაეგდოსო.

ცხენებს თოფრბიეთ აუკარიტო პი-
რი, კოცონებსა და კარვებს ნუ მოს-
ცილდებიანო სპანი, მედუმბულენი
და მაძახურნიც მზად იყვენენ. როცა
მაძახურთა წინააღმდეგნი გამცნობთ:
მტერი მოდისო, შესხდომა უბრძა-
ნეთო.

ჯერაც რიგრაჟი არ იყო დაწყებუ-
ლი, როცა დუმბულეების ცემას უმატა
„მტერმა“ გიორგი ჭყონდიდელმა
ბრძანა დაფდაფების ცემა დაუწყოთ
და ფეხზე დააყენა მთელი ლაშქარი.

ორ ათასეულს უსარდლა შერგილ
ლიპარტიანი, უბრძანა გარემოცვა
აღმოსავლეთით მდებარე ტყეში და-
ბანაკებულ „მტრისა“.

დიდხანს სჩხრია ამ სიბნელეში
ლიპარტიანმა ტყე, ბოლოს ოციოდე
მედუმბულე ტყვედ ჩაიგდო ხელში.

არც მეფისა და არც მისი ათასეუ-
ლების ორანი არსად იყო. უთენია „გა-
დალახა“ გიორგი ჭყონდიდელის ლაშ-
ქარმა ნაჰარმაგვეის ციხის მისადგო-
მებთან გამართული ხანდაკები, მგლის
ორმოები და ბლისკინები, ლოდსა-
ტყორცნები მიუახლოვდნენ ნაჰარმა-
გვეის ციხეს.

სარდლის ბრძანებისამებრ ისრები
გადაუშვეს ციხის ეზოში. აუწყეს
საამაისძემ: ნაჰარმაგვეის ციხისთავს:

„თქვენი სარდლები ტყვედა გვყავს,
ლაშქარი თქვენი უკუაქცა, გირჩევთ
უსისხლოდ დაგვენდით“.

თითისტარი ვადმოავდო საამაისძემ:
მობრძანდით და დაგხვდებითო.

ქოსსა ჰყრეს ნაჰარმაგვეის ციხეში.
ატყდა დუმბულეების ცემა. გამოვიდა
სპიანად იოთამამ საამაისძემ, ეკვეთა
ჭყონდიდელის ლაშქარს, უკუაქცია
ეგრისელ მოისართა ერთი ათასეული.

ამასობაში ყიყინითა და დუმბულე-
ბის ცემით გამოჩნდნენ სპაჲ ქართ-
ლისაჲს და აფხაზ მოისარ ათასეულთა
ცხენოსნები. ნიანია ბაკურიანი და
ჯონდი ერისთავი მოუძღოდნენ ხმალ-

ამოწვდილნი სპათა. ისხდნენ თორ-
სანი ვაკეცები გაზულუქებულ ცხე-
ნებზე, ვარვარებდნენ მისი ცხენები
მზის სხივებზე აელვარებულნი, ისეთი
შთაბეჭდილება შეექმნებოდა მაკე-
რალს, ფოლადის ღვარში ამოუვლია-
თო ცხენები და მხედვრები.

ხანდაკებს გადაღმა ვადარეკეს ჭყონ-
დიდელის მეწინავენი.

ბოლოს სიღამით ისარგებლა იოთა-
მამ საამაისძემ ციხეში შეასწრო
„მტერს“, ხოლო ნიანია ბაკურიანი
და ჯონდი ერისთავმა ერთბაშად
აჰყარეს სპანი და მიამურეს იმ ტყეს,
სადაც მეფე და მისი ლაშქარი ეგუ-
ლებოდით.

მესამე დღეს გარიგრაჟისას მეფემ
ბრძანა და ნაჰარმაგვეის ციხისაკენ
გაუშვეს ცაცია მოისართა ათასეული.
სამი ხმალამოწვდილი ცხენოსანი მიუ-
ძლოდა მათ ყიყინით: ზორაგი გო-
დერძი, როსტოი და გოგლოი. ისინი
მოულოდნელად უნდა შეჭრილიყვენენ
ჭყონდიდელის გულის ლაშქარში და
აურხაური შეექმნათ „მტრის“ გან-
ლაგებაში.

ეკენწლავთ „მტერთან“, უკუქცე-
ულიყვენენ; ისევ შემობრუნებული-
ყვენენ და კვლავ შეეტიათ. ამასობა-
ში, ჭყონდიდელს აეყოლებინა ორი
ათასეული და ნაჰარმაგვეის ციხეში
შესულიყო, რადგან ნაშუალამეც
ლორსატყორცნებს „შეელეწათ“ ჩრდი-
ლოს გოდოლის „ქარნი ჩრდილო-
სანი“, ხოლო შერგილ ლიპარტიანი,
ერისთავნი: ხურცისძე და ბუკაისძე
ციხის გარემოცვით იყვენენ გარ-
თულნი.

შერგილ ლიპარტიანმა რა დინახა
საშინელის ყიყინით მომჭროლავი ცა-
ციათა ათასეული, შესხდომა უბრძანა
ეგრეაიელ მოისართ და ვაშლილ
ველზე შეაგება ხმალამოწვდილებს
ხმალამოწვდილი სპანი.

„შეიბნენ“ თბილისელნი და ეგრი-
სელნი, ისრების ნაცვლად ხმლები

გააშიშვლეს და უწყალოდ „სხეხეს“ ურთიერთ. ერთბაშად უკუიქცნენ ტფილისელები და ტყისკენ გაიტყუეს „მტრის“ ათასეული.

მეფესაც ეგ უნდოდა ერთი ათასეული გამოეძალა მტრისგან, ნიანია ბაკურიანმა ჩამოუჭროლა ეგრისელებს, გარემოიკვა ისინი და „დაატყვევა“, ახლა ისევ წინ გაუშვა ფარჯანიანი და ცაციათა ათასეული და გაემართა ნაჭარმაგვეის ციხისკენ.

მეფე „გულის“ ლაშქრითურთ მიეახლა ციხეს, გამოვიდა შერგილ ლიპარტიანი სპიანად და გაშლილ ველზე „შეება“ მტერს. ამასობაში ნიანია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავი და სპანი მათნი მოერთნენ გულის ლაშქარს.

დიდხანს „ებრძოლა“ სამივე ფრთას შერგილ ლიპარტიანმა, ბუკაისძისა და ხურცისძის ათასეულთა მოსვლამდის გაუძლო მათ.

მეფემ წინასწარ განსჭვრიტა. თუ ჭყონდიდელი შეტეგბოდა ღა ნაჭარმაგვეის ციხეში შეიყვანდა ორიოდე ათასეულს, ციხის გარეთ დარჩენილ სამ ერისთავს არ ეყოფოდა „მტრის“ გასამკლავებლად ამ გაშლილ ველებზე ძალა.

მეფემ ბრძოლით შეიქცია შერგილ ლიპარტიანი, ამასობაში ნიანია ბაკურიანმა უსარდლა სპაი ქართლისაის ათასეულებს და ღრმად შეიჭრა „მტრის“ მარცხენა ფრთის ცხენოსანთა რიგებში, როცა ერისთავი ხურცისძე უკუიქცა, ახლა ბუკაისძეს მიწვედა ჯონდი ერისთავი.

რა მიჭირდა საქმე, მეფემ გაფანტვა უბრძანა ათასეულებს. მთელი ლაშქარი გაიშალა და მერეხვიით დაიძრა ნაჭარმაგვეის ციხისკენ. შერგილ ლიპარტიანმა შეიცნო ეს საომარი ზერხი მეფისა, თავათ გაშლა უბრძანა თავის ქვემდებარე ათასეულებს, მაგრამ ბუკაისძეს და ხურცის-

ძეს უკვე აღარ ყოფნოდნენ სპანი, მარცხენა და მარჯვენა ფრთების წინ წამოწევის დასაბრკოლებლად.

მეფე მაგრად მიაწვა შერგილ ლიპარტიანის ლაშქრის გულს, სამგზის შეუგზავნა „ზურგში“ ცაციათა ათასეული „მტერს“. ბოლოს სავესებით მოულოდნელად უკუიქცა გული, მეფემ განზრახ შემოაბრუნა ცხენი და აღმოსავლეთისკენ უკან დაახვეინა თავის ათასეულებს.

შერგილ ლიპარტიანი აპყვა ბრძოლის ინერციას, კვალდაკვალ მისდია მეფის ცხენოსანთა ნაკვალევს და ვერკი შენიშნა რომ ჯონდი ერისთავისა და ნიანია ბაკურიანის „ფრთები“, ღრმად შეიჭრნენ „მტრის“ განლაგებაში, ბოლოს ისინი მაკრატელივით მოიქცნენ.

მეფემ ცხენი შემოაბრუნა და გამოენთნენ ხმალამოწვდილი ათასეულები შერგილ ლიპარტიანის ცხენოსნებს, შერგილ ლიპარტიანმა მარჯვედ უკუიქცევა სცადა, მაგრამ ნიანია ბაკურიანისა და ჯონდი ერისთავის სპანი, ხმალამოწვდილნი ეკვეთნენ გულის სპას და სამივე სარდალს აპყარეს ხმლები.

ახლა „დატყვევებულ“ შერგილ ლიპარტიანს გადაატყორცნინა ისარი ნაჭარმაგვეის ციხეში მეფემ.

სხვა გზა არ ჰქონდა უსპოდ დარჩენილ მთავარსარდალს, კარის ბეჭენი გააღებინა და ციხისკლიტენი მიართვა მეფეს. იმ საღამოს პურობისას „შერიგდნენ მტრები“.

გიორგი ჭყონდიდელმა მისთვის ჩვეული თავშეკავებული ღიმილით მოახსენა პატრონს:

„კარგი ჰქნა ნიანია ბაკურიანმა, არცხანდაკის, არც ქარელის სანახებში რომ არ გაგვიმართა მთავარი ბრძოლა. მეცა და შერგილიც ბუერს ვეცადეთ, მაგრამ ნიადაგ გვეკინწლავებოდა და გაგვირბოდა. ნიანია ღიმილითვე მიუგო:

„როცა თავდაპირველად ეს მიბრძანა პატრონმა, ვერც მე მივხვდი მიზეზს. რუისთან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მცირე მოცულობის დაეკებაა და სამივე სარდალმა აქ ვერ შევძელით ლაშქრის რიგიანად გაშლა“.

მეფემ სთქვა:

„იცოდე ნიანია, ხანდაცის, ან ქარელის სანახებში რომ ხელში ჩაეარდნოდი „მტერს“, უთუოდ მოგამოთბდნენ.“

გიორგი ჭყონდიდელმა მეფეს შეხედა, მერმე ნიანიაზე გადაიტანა მხერა და უთხრა მას: „ქარგი იყო ნიანია ბატონო თქვენი ხერხი ბუკაისძისა და ხურციძისათა უღლების მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადატყუებისა. შე ქედზე ვიდეკე ამ დროს და თვალნათლივ ეხედავდი ყოველივეს, როგორც კი შევნიშნე ბუკაისძემ მეწინავენი გამოგადევნა, მალე მსრბოლი ვაფრინე, მინდოდა გამეფრთხილებინა ერისთავი: ნუ გადაყვებით მეთქი მარჯვენა ნაპირზე „მტერს“, მაგრამ მალე მსრბოლის მიღწევამდის მტკვარი გადალახეს ბუკაისძის სპათა.“

რა უნდა გვექნა მე და შერგილს? პირში მიგვეცა მტრისთვის ბუკაისძისა და ხურციძისათა ათასეულინი? არ ივარგებდა ეს, ამიტომაც ჩვენც იძულებული გავხდით თან გადაეყოლოდით მათ, იმ იმედით, რომ რუისის გასწვრივ მდებარე ჭალემდის ხელთ გვეგდო და მოგვეშთო ნიანია როგორმე“.

მეფემ ბრძანა:

„ჩემის აზრით ახალგაზრდა ერისთავნი ხურციძე და ბუკაისძე მოქარბებულ სითამამესა და სიფიცხეს იჩენდნენ შეტევასას. ამგვარად ისინი ხელს უწყობდნენ ნიანია ბაკურიანს, რომელსაც სწორედ იგ ეწადა: გაშლილ ზეგანიდან ჭაობიან ჭალეებისკენ მიესრისა მტერი, ფართე ველებიდან ეიწრო სანახებში გაეტყუებინა იგი.“

4. „წინათბი“, 16 9.

დაიხსომეთ ჭაბუკო, მიმართა ხურციძესა და ბუკაისძეს.

„როგორც კი ცხენოსანთა ათასეული ისრებს კაპარუებში შემოინახავს, ხმლებით და ხელშუბებით ეტგერება მტერს, იგი შეუწელებელ შეტევას როდი უნდა ეწეოდეს, არამედ მძლავრ წინააღმდეგობათა შეცნობის უშალვე უკუ იქცეს, ისევე შემოაბრუნოს ცხენებ, კვლავ შეიჭრან მტრის რიგებში, დაჰკოდონ, დახოცონ სპანი. ხელახლა გამოაბრუნონ ცხენები, კვლავ შეუტეონ და ასე შემდეგ.“

არასოდეს გამუდმებული წინსვლით არ მოიპოვება გამარჯვება, არამედ შენაცვლებული წინსვლითა და უკუქცევით.

უკუქცევა ყოველთვის როდია სილაჩრის ნიშანი, უკუქცევას ხანდახან შეტევებზე უფრო დიდი დახელოვნება სჭირია.

ერთი შეტეომა შერგილ ლიპარტიანსაც მოსვლია, განაგრძო მეფემ, როცა შენ დაინახე ბუკაისძე და ხურციძე აჩქარებდნენ, უნდა ცდილიყავი ნიანია შეგეკცია როგორმე.

თუ ნიანიაა და ჯონდის თქვენ დიდხანს შეიქცევდით, ალბათ მეც მივეწველებოდი მათ და ქართლის დიდ ზეგანზე შესაძლო იყო სამივენი დაგეშარცხებინეთ, რადგან შენ და ჭყონდიდელს გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანნი ათასეულები გყავდათ.

გუარამ ბეჰის ციხის პატრონმა სთქვა: მეც ამას ვურჩევდი შერგილ ლიპარტიანს ტასის კარში. ჩვენ ჯერ კიდევ კლისურებში უნდა შეგვეკცია ნიანია ბაკურიანი ბრძოლით“.

მეფე კვლავ მიუბრუნდა ახალგაზრდა ერისთავებს და უთხრა:

„დაიხსომეთ, ჭაბუკო, ლაშქართ სიმრავლე არაოდეს ყოფილა უმთავრესი პირობა ომის მოგებისა. ეს რომ აგრე არ ყოფილიყო, ვახტანგ გორგასალი და გიორგი პირველი, ბაგრატ

მესამე და ბაგრატ მეოთხე, მუდამ დამარცხებულნი იქნებოდნენ, რადგან საქართველოს მუდამ ჩვენზე ათავის უფრო მრავალრიცხოვანი მტერი უტევდა.

სომხეთს გარდა ჩვენ სხვა მოკავშირე არაოდეს გვეყოლია, კიდევ გვეყავდა ერთი დიდი მოკავშირე, ეს იყო საქართველოს ბუნება და ამ მოკავშირეს ოსტატურად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები.

ოშში მთავარზე უმთავრესია ბრძოლის ველთა ნიადაგის გამოყენება. კარგი სარდალი იგია, ვინც თავის სასარგებლოდ გამოიყენებს: ტყეებს, ვაობებს, მთებს, ქარაფებსა და იწროებს“.

ახლა ნიანია ბაკურიანსა და ჯონდი ერისთავს მიუბრუნდა პატრონი: „თქვენც მოგივიდათ ორიოდ შეცთომა ჭაბუკონო. როცა შერგილ ლიპარტიანმა და გიორგი ჭყონდიდელმა რუსისს გასწვრივ მტკვარი გადალახეს, თქვენ შეცთით ცხენოსანი ათასეული რომ მტკვარს ვაღმა გადატყორცნეთ. მტერი ამას თვალნათლივ ხედავდა, ამიტომაც დაიხია ჩრდილოეთისაკენ და თქვენს მიერ შეკრულ ზღებს აუარა.

გარდა ამისა, რა დაინახეთ „მტრის“ ლაშქრის გული და მარცხენა ფრთა მოიხსნა, ერთი ათასეული ბეშქენ ჯაყელის სპათათვის უნდა მიგვედოთ, თავათ ნაჭარმაგვეისკენ უნდა წამოსულიყავით ჭენებით. თქვენ რომ არ დავეყოვნებიათ, მე ნაჭარმაგვეის ციხის დომობა არ დამპირდებოდა, ციხის მისასვლელებთან დავეუხედებოდით „მტერს“.

შემდგომ ამისა მცირე ხანს სდუმდა მეფე, მერმე ჭყონდიდელს გაუმართა მხერა.

„ჩვენი „მტრის“ უმთავრესი შეცთომა ევ იყო, თუ არ განმირისხდებოთ, გიორგი ბატონო, რაკი ჩვენ

ციხის შემოგარენში გვეუღებოდით, ციხეში არ უნდა შეტარებულყოფით არას გზით. ნაცვლად... შერგილთან ერთად ჩვენ გამოვედგომოდით და სადმე ზეგანზე მოგვეცათ ბრძოლა, ორიოდ ათასეული დააბანდეთ ციხეში შესვლით, ამასობაში ჩვენ დავატყვევეთ როგორც შერგილი, ისე ორივე ერისთავი“. ღიმილით ეუბნება თავის მზრდელს პატრონი.

ყველა მოლხენილი იყო ნაეახშმევს, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარული გიორგი ჭყონდიდელის გულში ღვიოდა იმ დამეს. ვიდრე პურობა და ღვინის შექცევა მოთავდებოდა, მეფემ განმარტოქება ისურვა და ციხისთავის სამყოფლოში წამოწვა.

ხოლო გიორგი ჭყონდიდელმა ეს უთხრა ერისთავებს და სარდლებს: „ბრჭყალთაგანაც საცნაურია ბოკვერი ლომის“.

XX

მაგისტრი იოანე

მარიამ დედოფალსაც ჰყავდა თავისი „დაიშინა“, ეს იყო ძველი ახნაური, იოანე მაგისტრი, რომელიც კონსტანტინეპოლს თან ჩამოჰყავდა ბაგრატ მეოთხის ნახევარ ძმას, დემეტრეს, გიორგი პირველის ხარჭის ნაშობს.

როცა გიორგი პირველი გარდაიცვალა იწროში, დემეტრე და დედა მისი ალდე ანაკოფიაში ცხოვრობდნენ. ბაგრატ მეოთხეზე გაბოროტებული აზნაურები შეუჩინდნენ დემეტრეს, ეწადათ მისი ქართლს ჩამოყვანა და ტახტზე დასმა, მაგრამ დემეტრეს შეეშინდა თავისი გვირგვინოსანი ძმისა და „მიმართა ბერძენთა და წარუტანა თან ანაკოფია აფონთა მეფეთა“ როგორც მატინე ქართლისაჲ იუწყებოდა შემდგომ ამისა.

მაგისტრი იოანე ანაკოფიის ციხისთავის მხოლოდშობილი ვაჟი იყო,

მეფის ლალატისაგან დაშინებული ციხისთავი კონსტანტინეპოლს თან გაჰყვა დემეტრეს და თავისი ერთადერთი ვაჟიც თან წარიტანა.

1047 წელს ლიპარიტ დიდმა დემეტრე ცრუუფლისწული გამოიტყუა კონსტანტინეპოლიდან. უკვე შეღერებული ჰაბუჯი იოანე, ბერძნულ კოპორტებში მსახურობდა როგორც ასინთავი იმ ეამად.

ბევრი ვეღარა დემეტრე თავის სიყრმის მეგობარს, მაგრამ იოანე არ წაჰყვა მას. მერმე ის იყო, საქართველოში ჩასულმა დემეტრემ ვერაფერი დააკლო თავის ნახევარ ძმას, ისევ ბიზანტიაში გამოიქცა და აქ სიკვდილმა გაასწორა ეს მოღალატე, ხოლო იოანემ ტახტისა და მამულის ლალატს სხვისი პურის ჰამა და სხვათა სპაში სამსახური არჩია.

მანციკესტთან, ალფ არსლანის წინააღმდეგ ბრძოლაში მრავალი ქართველი და სომეხი რაინდი შეელოდა იმპერატორს რომან დიოგენს და სწორედ იმ დღეს, როცა ალფ-არსლანმა მიწაზე დასცა კეისარი რომან დიოგენი და მონის საყურენი შეასხა მას, იოანემ ცხენი მოუკლა ალფ არსლანს და როცა სულტანი გადავარდა უნაგირიდან, ხმლის მონაცვლებას აპირებდა იოანე და სწორედ ამ დროს ზურგიდან მიეჭრა მას ამირ აბდალაჰ ბენ ჯებრაილ და თეძოს თავზე აძგერა ჰაბუჯ რაინდს შუბი.

მიუბრუნდა ამირს იოანე, შემოუქნია ხმალი, მახვილიანად წააცალა მკლავი. ამ ბრძოლაში მარჯვენა ფეხი დაჰკარგა იოანემ, მაინც ყველაზე უფრო გვიან დანებდა ათასისთავი ალფ-არსლანის სარანგს.

იმ დღიდან არც ერთი ომი არ გადაუხდია ბიზანტიას არც ბალკანეთში, არც ანტიოქიაში, არც მცირე აზიაში, ეს ცალფეხა რაინდი იოანე რომ არ ზღებოდა ბერძენთა ლაშქარს.

იგი უკვე ვეღარ უძლოდა ხმალიწვედილი წინ ბერძენ ცხენოსანთა სეულებს, სამაგიეროდ კონსტანტინეპოლს, ალექსი კომნენს, გრიგოლ ბაკურიანს და ტატიკის თან ახლდა იგი მოთათბირედ, როგორც გამოცდილი სტრატეგოსი და ივანემიუწვდენელი ნიადავის მცოდნე, ხანდაკების, ჯებირების, მგლისორმოების მოწყობის ისტატი და ჩინებული ტეხსეპლეტეს. ბარე ხუთი კრილობა მიიღო კიდევ მანციკერტის შემდეგაც იოანემ.

ბერძნის ქალი არ შეირთო იოანემ, მუდამ სამშობლოში მიბრუნებას მონატრული წარამარა ინიშნავდა ვადებს: შინ წაველ და იქ შევიერთავო ჩემსავე თვისტომს, მაგრამ ბიზანტიას მტრები და ომები არ გამოეღია ამასობაში იოანეს ჰაღარა გამოერია და დარჩა უოჯახოდ და უსამშობლოდ, მარად სამშობლოს და ოჯახის მონატრული კაცი.

ბლახერნის სასახლის მახლობლად, კონსტანტინეპოლის გარეუბანში, ეგქსინის პონტოს შესართავთან ერთი ქუჩაა, ილირიის ქუჩა ეწოდება ამჟამად მას, ამ ქუჩაზე პატარა მონასტერია წ. ევტიხის სახელობისა, სწორედ ისეთი, როგორსაც ბიზანტიელი ფეოდალები იშენებდნენ ხოლმე საკუთარ კარმიდამოში.

ამ მონასტრის უკანა ფასადზე პატარა სასახლე იყო მიდგმული და აქ ცხოვრობდა მარტოხელა მოხუცი იოანე მაგისტრი ორიოდე მსახურის, ერთი თუთიყუშის და ერთი უსინათლო ქართველი ბერის მამაი ათანასეს ამარა.

როცა ბაგრატ მეოთხის მცირეწლოვანი ასული, მარიამ მართლყოფილი, თავის ტიკინებიანად მოიყვანეს ბუკოლეონის სასახლეში და იმპერატორს მიხაილ მეშვიდეს, დუკას მიათხოვეს, მამისა და უფროსი ძმის მაგიერობას იოანე უწყევდა უთვისტომო, ყმაწვილ დედოფალს, რომელიც საკუთარი

ოჯახისა და დაკარგული სამშობლოსათვის დაღვრილი ცრემლებით აღტობდა ბუკოლეონის გვინიკეას¹ ღინღლიან ბალიშებს.

თუ იმპერატორ მიხეილ დუქას ბაგრატ მეოთხემ და გეგუთის კარის მრჩეველებმა მიათხოვეს მარიამი, იოანე მაგისტრი იყო შთამგონებელი დედოფლისა, როცა იგი მოხუცებულ კეისარს, ბოტანიტესს გაჰყვა ცოლად.

იოანე მაგისტრი ასე მსჯელობდა: რაკი ჩემი ჯანი და ახალგაზრდობა სამშობლოს ვეღარ მოვახმარე, ბიზანტიაში დაღვრილ სისხლს იმით ავინაზღაურებ, კონსტანტინეპოლიდან მაინც ეუშველიო ჩემს ქვეყანას რაიმეს.

ამ შველის იარაღად მარიამ დედოფალი აირჩია რატომღაც მან. მარიამს არც პირველი ქმარი ჰყვარებია ოდესმე და არც მეორე, მაგრამ იოანე დღენიდაც ჩასჩინებდა ყმაწვილ ქალს: საქართველოს გადარჩენისათვის, ჩვენთა მეფეთადმი სიყვარულისთვის უნდა გასწიროვო როგორმე თავი.

იმპერატორის, ბოტანიტესის გაუბედურებაშიაც იოანე მაგისტრსა და დასავლეთის დომესტიკს, გრიგოლ ბაკურიანს მიუძღოდათ ბრალი.

რაკი კეისარი ბოტანიტესი უკვე მიხრწნილებდაში ვაღამდგარი ავიდა ტახტზე და უშვილო იყო თანაც, იოანე მაგისტრს იმედო ჰქონდა, კეისრისავე სიცოცხლეში ტახტზე აეყვანა მარიამ დედოფლის ვაჟი კონსტანტინე დუქა, პროფიროგენიტოსად წოდებული.

იოანე დარწმუნებული იყო, რომ იგი და მარიამ დედოფალი ბრმა იარაღად გამოიყენებდნენ მომავალ ყრმა იმპერატორს და ბერძნულ ტახტზე ქართულ საქმეებს გააკეთებინებდნენ მაგრამ ბოტანიტესმა თავის უჯუნჯრობის მეოხებით აიტეხა ჰირო, მან

შენიშნა იოანე და მარიამი იღვწოდნენ საქმეებს აწყობდნენ, სანამ იმპერატორი ბოტანიტესს უპირებდნენ, იმპერატორი ტახტზე აყვანას და ამიტომაც იმვილა ვინმე სენადინი, ერთი თავაწყვეტილი და გულარძნილი ქაბუკი, რომელიც აღმოსავლეთიდან მძევლად იყო მოყვანილი ბუკოლეონის სასახლეში.

იმ დღეს როცა მიხეილ დუქას ტახტზე უარი ათქმევინეს და წითელი წაღები გახადეს, მისმა კანონიერმა მემკვიდრემ, კონსტანტინე დუქამ ჩაიცვა წითელი წაღები, მაგრამ როგორც კი ბოტანიტესი იმპერატორად აეურთხეს, კონსტანტინემ წითლები გაიხადა და შავი წაღები ჩაიცვა.

მამინაცვალმა ეს შეამჩნია და უბრძანა გერს: კვლავ ჩაეცვა მას წითელი წაღები.

გამოხდა ხანი. როცა ბოტანიტესმა საბოლოოდ გადასწყვიტა: სენადინი ეშვილნა, მას თვალში ეცა დუქას წაღების სიწითლე და მოსთხოვა გერს: ოღნავ გააშავეო ისინი.

იოანე მაგისტრი შეშფოთდა.

შეუჩნდა მარიამ დედოფალს და გული ააყრევინა მოხუცებულ ქმარზე, იოანე დარწმუნდა: თუ სენადინი ავიდოდა ბიზანტიის ტახტზე, ვერც მარიამი და ვერც იოანე ვეღარაფერა არგებდნენ საქართველოს ამ შემთხვევაში.

ამან იკმარა და იოანე დაფაცურდა. მას და გრიგოლ ბაკურიანს დიდძალი თანამოლაშქრენი და მეგობრები ჰყავდათ ბიზანტიის ლაშქრისა და ფლოტის მმართველ წრეებში. განსაკუთრებით იოანე უყვარდათ ბერძნულ მხედართმთავრებს თავის უზადო რაინდობისა, თავგამებებული მეგობრობისა და შეუდრეკელი ვაჟკაცობის მეოხებით.

როგორც სამხედრო, ისე კარის დიდებულთა წრეებში იოანემ ოსტატურად დაავო ხვანჯები, ბოტანიტესის ტახტიდან გადასაგდებად.

¹ გვინიკეა — საღვლო. ბიზანტიის იმპერატორების მეუღლეთა სასახლე.

ამ ხანებში ამოდიოდა დასავლეთის დიდი დომესტიკის ალექსი კომნენის ვარსკვლავი. თავის უებარი მამაცობისათვის ალექსი კომნენს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი ბერძნული ლაშქრის კოპორტებში და სწორედ ამ ალექსი კომნენს დაადგა იოანე მაგისტრმა თვალი.

რადგან იოანე თავით მაინც და მაინც არ იყო ალექსი კომნენთან დაახლოებული, იგი განუზრახა გრიგოლ ბაკურიანს. ორივემ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს ბოტანიტესის ტახტიდან ჩამოგდება, შემდგომ ამისა, ალექსი კომნენის აყვანა საკეისრო ტახტზე და მარიამ დედოფალთან მისი შეუღლება.

იოანე ჰხედავდა, აქ ისინი გადააწყდებოდნენ დიდ დაბრკოლებას, სახელდობრ იმას, რომ ალექსი კომნენი უკვე ცოლიანი იყო, ორივემ წინასწარ იცოდნენ ალექსი კომნენი შორიდან უმიჯნურდებოდა მარიამს, მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, თუ მარიამი სამაგიეროთი მიუგებდა მას, რაც სავსებით გამოურკვეველი იყო მათთვის, კიდევ რჩებოდა ერთი და უმთავრესი დაბრკოლება: ბიზანტიური ნომოკანონი. რომლის დარღვევას ბიზანტიის მთელი ეკლესიის როგორც შავი, ისე თეთრი სამღვდლოება ერთობლივად წინ აღუდგებოდა.

იოანე მაგისტრსა და გრიგოლ ბაკურიანს უკვე ზუსტად ჰქონდა ყოველივე განჭვრეტელი როცა მათ წარუდგინეს მარიამ დედოფალს ახალგაზრდა, ომებში სახელმძღვანელო სარდალი ალექსი კომნენი და ძმა მისი ისააკ. ბაკურიანმა კიდევ ერთი საფრთხე ანიშნა იოანეს, სახელდობრ ისა, რომ ისააკ არა ნაკლებად სახელოვანი ვაჟკაცი იყო, თურქებთან ხანგრძლივად ნაბრძოლი და ორივე ძმას ეწადა იმპერატორის ტახტზე ასვლა.

ამ პირთა ბიზანტიის სამეფო კარზე მიღებას რაიმე შემთხვევითაა რომ არ გამოეწვია, მაგრამ ეს გარეგანობა ხანგრძლივი ამონაწონის შემდეგ ხელმარჯვე საფარველი იბოვნეს: მარიამ დედოფალს შთააგონეს და შუა-საუკუნეთა წესის მიხედვით აშვილებინეს ათი წლით მაშვე უფროსი ალექსი კომნენი.

ეს მოეწყო ზუსტად ისევე, როგორც იქამინდელი წესი მოითხოვდა: ლოცვები ადავლენინეს კონსტანტინეპოლის პატრიარქს, კანდელაბრები აანთეს და მარიამის ფერხითთ დაჩოქილი ალექსი კომნენი ხელზე ეამბორა მარიამს და ერთგულება შეჰფიცა.

რაიცა შეეხება ისააკს, მას ქართველ დიდბნაურის ქალი ჰყავდა ცოლად, რომელიც შორეულად ენათესავებოდა ბაგრატოვანთა გვარს.

ყოველივე ამან ბოლოს და ბოლოს იკმარა იოანეს და გრიგოლს ოსტატურად შეებურათ თავიანთი ზრახვები.

როცა კონსტანტინეპოლიდან გაქცეულმა ალექსი კომნენმა და ძმამ მისმა ისააკმა ქალაქის შემოგარენში დაბანაკებული ლაშქარი აპყარეს და კონსტანტინეპოლის უზარმაზარ ციხეს მოაყენეს, მეციხოვნეებმა არ შემოუშვეს შეთქმულნი.

ძალა ეხმარათ?

გარემოცვას ციხისას და ბრძოლით მის აღებას ბარე სამი წელი დასჭირდებოდა. სასოწარევეთათ კომნენებს.

ახლა კიდევ იოანეს გამპირახობაზე მიღგა ჯერი.

დასავლეთის ვალაენის გოდოლებსა და მისასულელებს განაგებდა ციხისთავი, ვინმე ჰილპრაბტი, ტომით გერმანელი, დაქირავებულ გერმანელ სოლდნერების სარდალი.

იოანე შეუწინდა ჰილპრაბტს, შეპირებებითა და ქრთამებით გამოსტყუა ციხისკლიტენი და ალექსის გადასცა

იგი. სწორედ ალექსის და არა ისააკს, რადგან ქართველ ქალთან, იგივე ბაგრატიონთანა ნათესავთან შეუღლებული ისააკ, მის ზრახვათათვის არ იყო გამოსაყენებელი. მერმე ის იყო ალექსი ლაშქართურთ შეიქრა კონსტანტინე-პოლში.

მოხუცმა კეისარმა ბოტანიტესმა პირვერის წერის მეტი ვერაფერი მოახერხა, ბლახერნის ტაძარში შევარდა ქუდმოხდილი და შევლა შესთხოვა უფალს. ვიდრე „მალიდან“ შევლა მოაღწევდა, „ძმათა სისხლის ღვრის“ შიშმა აიტანა ბოტანიტეს და როგორც ტახტი, ისე წითელი წაღები ნებსით დაუთმო აჯანყებულ დომესტიკს.

ბოტანიტესი სტოიკურად შეეგება ტახტის დაკარგვას. მისმა კარისკაცებმა პატარა ნაეში ჩასვეს მისივე სურვილისამებრ იგი და პერიფლეტის მონასტერში გადაიყვანეს, პროპონდიტის ნაპირზე ბერული ჩოხა ჩაიცვა და შემონაზუნდა.

როცა მას ჰკითხეს თუ რომელი უფრო საამური სატარებელია ამ ქვეყნად ბერის კუნკული, თუ იმპერატორის გვირგვინი?

ბოტანიტესმა მშვიდად მიუგო:

„მე ერთად ერთი დარდი წამომყვა კონსტანტინეპოლიდან, ხორცის ჭამის უფლება რომ დაკარგე, სხვა არაფერი“.

ბოლოს ალექსი კომნენი თავის ახალგაზრდა მეუღლისა და მრავალრიცხოვანი ნათესავების თანხლებით ბუკოლეონის სასახლეში დასახლდა. სწორედ იმ პალატებში, სადაც რამდენიმე საათის წინ იმპერატორი ბოტანიტესი და მისი მეუღლე მარიამ დედოფალი ცხოვრობდნენ.

ერთი იმპერატორისა და ორი დედოფლის ერთსა და იმავე სასახლეში დაბინავებამ დიდი მითქმა-მოთქმა და ჩურჩული ასტეხა არა მარტო ბუკო-

ლეონის სასახლეში, მთელს კონსტანტინეპოლში.

ერთის მხრივ იოანე მეფის მკვლელობის გამო ბაკურიანი და „ქართველთა მემხრენი“ გაგულისდნენ, მათ აგრე ეგონათ: ალექსი კომნენი პატივს დადებდა თავის დედობილს და ირინეს და მის ნათესავებს არ შეიყვანდა სასახლეში, ან არა და სხვა სასახლეს იკმარებდა, ბლახერნისას, ან მანგანისას.

მეორე მხრით ალექსის მეუღლის, ირინას ნათესავები და როგორც თეთრი ისე შავი სამღვდლოება შესდგა ყალბზე.

იოანემ და ქართველთა მემხრეთ რა დაინახეს საქმე ვერ წავიდა რიგზე, ახლა ნათესავობის საფარველი ისაფრეს კვლავად.

მალე ეს ჩურჩული და ჩუმი ბუზლუნი აშკარა ჩივილად და დრტყინვად იქცა, ბოლოს მდგომარეობა გაამძაფრა ერთმა გარემოებამ: ალექსი კომნენმა მარტოკა იკურთხა გვირგვინი, წ. სოფიოს ტაძარში. ალექსი კომნენი ტახტზე ასვლისას ოცდაცამეტი წლისა იყო, პირველი მეუღლე, არგირის ქალი უშვილო იყო. ზოლო მეორე მეუღლე მისი ანდრონიკე დუკას ქალი, ირინე 14 წლისა იყო მხოლოდ.

ალექსის სამი ძმა ჰყავდა ისააკ, აღრიან და ნიკიფორე, სამი და: მარია, ედოკია და თეოდორა.

ისააკმა დასთმო კეისრის გვირგვინისთვის ოცნება და შეურიგდა ძმის გამეფებას. თუ აქამდის არსებული რიტუალებით ბიზანტიის იმპერატორების ძმები ისევე როგორც საქართველოს ზოგზოგი მეფენი, კესაროსის გვირგვინსა და ტიტულს ატარებდნენ, ძმისადმი მადლიერმა ალექსიმ ახალი ტიტული გამოუგონა ისააკს. სემასტიკრატოსის ტიტული. აღრიანა პროტოსემესტოსისა, ზოლო ნიკიფორეს ფლოტის დრუნგარის თანამდებობა მიუბოძა.

ყოველივე ამან მთლად გააცოფა როგორც სამღვდლოება, ისე ირინეს ნათესაეები, ზოლო იოანე მაგისტრს და ქართველთა მემხრეთ იმედებს ფრთები შეასხა, ეს უქანასკნელნი დარწმუნდნენ, ალექსი ცოლს გაეყრებოდა და მარიამ დედოფალზე დაიწერდა ჯვარს.

დიდად შეწუხებული იყო მარიამ დედოფალი, მით უმეტეს რომ მათელი ეს უჩვეულო მასკარადი მისდა უკითხავად მოაწყვეს იოანე მაგისტრმა და გრიგოლ ბაკურიანმა. ზოლო თავათ ფანატიურად მორწმუნე მარიამი „განგების ნებას“ მიაწერდა ყოველივეს.

კონსტანტინეპოლის ქუჩებსაც მოედო სასახლიდან გატანილი ხმები: სადაცა ახალი იმპერატორი თავის პირმშვენიერ დედობილს დაადგამსო იმპერატორის გვირგვინს.

ლამაზი იყო ირინეც, მაგრამ მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მისი მრავალრიცხოვანი ნათესაეები, კონსტანტინეპოლის უწარჩინებულესი პირები იყვნენ, დიდი ზედგავლენის მქონენი, როგორც არმიის ისე ფლოტის მმართველ წრეებში.

მიუხედავად თავიანთი ძალმოსილებისა, მაინც კრთოდნენ ირინეს ნათესაეები, რადგან იცოდნენ მარიამ დედოფლის მშვენიებისგან მიყენებულ ჩრდილს ქვეშ ვერასოდეს გაიხარებდა ირინე, და ეს არც ისე გასაკვირველია, რამდენადაც ამ დღიდან ბარე თერამეტიოდე წლის შემდეგ აი რას სწერდა მარიამის სილამაზის გამო იმპერატორის ალექსი კომნენის ქალი, ანა კომნენ:

„მარიამი მაღალი იყო, კვიპაროზით ტანკენარი და თოვლივით თეთრი, მომრგვალო სახე ჰქონდა, გაზაფხულია ვარდის სიმწითურით აყვავებული. ვინღა შესძლებს თვალთა მისთა მშვენიების თუნდაც მიახლოებით აღწერას? მხატვრის ხელს დაეხადება ხანდახან

აღწერა იმ ფერთა სიუხვისა, რომელსაც წელიწადთა სხვადასხვა მწირონი გვიძღვნიან ზოლმე, მწირონი მისი და დედოფლის მშვენიებას და მის სხეულში დავანებულ სინატიფეს, ხასიათის მისის მიმზიდველობას და სიამეს ვერასოდეს გამოსახავდა ვერც ერთი ხელოვანის ხელი.

არც აპველეს, არც ფიდიასს და არც ერთ მოქანდაკეს ამ ქვეყნად არ დაუტოვებია ჩვენდა სალხენად ეგზომ მშვენიერი არსების ქანდაკი.

აგრე ამბობენ: გორგონას თავი ქვად აშვევდა ყველას, ვინც თვალს მიაპყრობდა მას, ზოლო იგინი, ვინც თუნდ ერთხელ თვალს მოჰკრავდნენ მარიამს, ბაღში სეირნობისას, ან შემთხვევით საღმე გამოჩენისას, უთუოდ გახევეებული დარჩებოდნენ იმ მღგომარეობაში, რომელშიაც მას შეეყარნენ, თითქოს იმ წუთში გონებაც წართმევიათო და სულიცა. სხეულის ნაწილთა— და კიდურთა ასეთი განზომილება და ყოველ მთვანის ჰარმონიული შერწყმა მთლიანობასთან ჯერ არავის უხილავს ადამიანის სხეულობაში.

იგი იყო ცოცხალი, მსუნთქავი ჰარმონია თავათ, მშვენიერის მოყვარულთა გონების წამლები და მომწუსხველი. იგი იყო იმეროსი თავათ, ჩვენს მიწაზე ზორცშესხმულად წარმოვლენილი¹⁴.

პირველთქმულს რომ მივუბრუნდეთ. რამდენიმე კვირა ისე გავიდა, არავინ უწყოდა თუ რა მოხდებოდა ბუკოლონის სასახლეში?

იოანე მაგისტრი და ქართველთა მემხრენი იმედს არ ჰკარგავდნენ ეს მესამე იმპერატორიც, ორივე წინამორბედზე უკეთესი ვაჟაკი და მეომარი ბაგრატივანთა სიძე გახდებოდა და ამ გზით, ბოლოს და ბოლოს ეშველებო-

¹⁴ იხ. The Alexiad, of the Princess Comnen.

და სელჯუქიანთა ურდოებისაგან გადათქერილ საქართველოს სამეფოს.

იოანეს და ქართველთა მემხრეთ საბუთიც ჰქონდათ ასეთი ოცნებისა იმ ეპოქად, მით უმეტეს რომ დაეით მეფე ჯერ სავსებით ყრმა იყო და გიორგი მეორე ნადირობით ერთობოდა უკვე.

კონსტანტინეპოლიდან მიმავალ ბერების და მოგზაურთა ხელით წიგნს წიგნზე უგზავნიდა იოანე მაგისტრი გიორგი მეფეს გეგუთში. ქართველ დიდებულთა და მღვდელმთავართა წრეებშიც დიდი იმედები აღძრა ამ შესაძლებელ „მესამე სიძის“ მიმართ.

განსაკუთრებით გაბოროტებული იყო მთელი არისტოკრატია დუქას გვარიისა, რომდენადაც ირინე ჯერ ბაღლი იყო და მარიამ დედოფლის მემხრეთა ხეანჯებს ან როგორ გაუძლებდა. მარიამ დედოფალს თავისი სათნოებითა და სილამაზით ისე მონუსხული ჰყავდა როგორც კარისკაცი და სეფექალნი ბუკოლეინის სასახლისა, ისე არმიისა და ფლოტის ხელმძღვანელნი, ბუკოლეინის სასახლეში ხუმრობდნენ კიდევაც: ირინეს ვერ იხსნიო ალექსის დედის, ანა დალასინას მოხშირებული ლოცვები.

ბოლოს ლოცვებზე უფრო ეფექტიურ ზომებს მიმართეს ირინეს მემხრეთა. დიდი სარდალი, გეორგ პალეოლოგი თავისი ფლოტით მოადგა ზღვის კიდიდან ბუკოლეინის სასახლეს, თავათ გიორგი და მეზღვაურნი გადმოდგნენ გემების ბანიდან და იყვირეს: „მზეგრძელი იყოს იმპერატორი ალექსი და იმპერატრისა ირინე“.

მარიამ დედოფლის მემხრეთ გააღეს სასახლის სარკმელები და მიუგეს:

„მზეგრძელი იყოს კეისარი ალექსი, მაგრამ არა ირინესათვის“.

გიორგი პალეოლოგისა და მისი ფლოტის საქმეში ჩარევამ მაინც გასჭრა ბოლოს და ერთბელ კიდევ დამ-

ტკიცდა სილამაზეზე უფრო ძლიერი ფაქტორებიც რომ არსებობდნენ ამ ყვენად.

ანა დალასინას თხოვნით, დაყუდებულმა ბერმა კოსმამ, რომელსაც აქამდის ამოდ ევედრებოდნენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ტახტზე ასვლას, თანხმობა განაცხადა პატრიარქობაზე რამდენიმე დღით და ახალმა პატრიარქმა იმპერატორის მეუღლედ დაავიჯრგინა ირინე.

იოანე მაგისტრი, გრიგოლ ბაგურიანი და ქართველთა მემხრენი შეაშფოთა ამ გარემოებამ, ახლა უკანასკნელი წადილი და დარჩა მათ: ბუკოლეინის სასახლიდან არ გასულიყო დედოფალი მარიამი როგორმე.

იოანესა და გრიგოლის წმლის ვადაზე ჰქონდათ ხელი ჩაბლუჯული, გადაწყვეტილი ჰქონდათ: უსიასლოდ არ შერიგებოდნენ მარიამ დედოფლის აგრე აბუჩად ავდებას, ერთი მუჰა ქართველების ამარა შებმოდენ ალექსი კომნენს, როგორც მუხანათსა და პირის გამტეხელს და დაეცვათ უპატრონი ქართველი ქალის თავმრყვაპრეობა.

ბოლოს ზომიერების გრძნობამ გაიმარჯვა: კესაროსი იოანე დუქა ჩავარდა შუამავლად და ალექსი კომნენთან მოლაპარაკება დაიწყო.

ალექსი კომნენმა უყოყმანოდ დააკმაყოფილა იოანეს, გრიგოლის და ქართველთა მემხრეთ უკანასკნელი სურვილი: წითელი მელნით ხელმოწერილი და ოქროს ბეჭდით დაბეჭდილი ხრიზობული უბოძა იმპერატორმა ალექსიმ მარიამ დედოფალსა და ვაჟს მისას: კონსტანტინე პორტიროგენიტოსს.

ამ ხრიზობულის ძალით მარიამს მიუბოძეს მანგანის სასახლე მონასტრითურთ, ქრისტოპოლის მამულები, კონსტანტინეს კესაროსობა, წითელი წაღები, დარბაზობათა და ცერემო-

ნიალ გამოსვლებისას მას უფლება მიენიჭა პირველს ევლო კეისრის შემდეგ კეისრული ტიარით თავდამშვენებულს.

სებასტოკრატის ისააკ კომნენის წინამძღოლობით გააცილეს ბუკოლეინის სასახლის დიდებულებმა მარიამ დედოფალი და კონსტანტინე ბუკოლენიდან მანგანის სასახლემდის.

ამის შემდეგ ათზე მეტი წელი გავიდა.

ამასობაში იოანე მაგისტრი უცხოთა სამსახურში უსამშობლოდ და უცოლშვილოდ დაბერდა.

თავის წაგებულ ცხოვრებას იმდენად არ ნაღვლობდა იგი, როგორც ვანიცდიდა ერთგვარ სულიერ ქენჯნას შემცნობი იმისა, რომ მის თათბირს აყოლილმა მარიამ დედოფალმა ტახტი დაჰკარგა, საქართველომ იმპერატორი სიძე და რაც უმთავრესია: მომავალი კეისარი კონსტანტინე პორფიროგენიტოს, სანახევროდ ბაგრატიონი, რომელსაც სიყრმიდანვე საქართველონადმი სიყვარულს უწერგავდნენ როგორც დედამისი, ისე „ძია იოანე“.

ალექსი კომნენიცი მოხუცდებოდა და ასწავლავდა ბიჭებს. მაგრამ ბიჭებს ალექსის ძმებს გარდა მხოლოდ შემკვრელ რე შეეძინა: კალო იოანე, იმავე ტახტს უშიზნებდნენ ალექსის ასული ანნა, მეუღლე მისი ნიკიფორე ბრიენიუს.

ყოველივე ამის შემცნობი კეისრის ტახტის მიმართ ქვეგამხედვარი გახდა იოანე მაგისტრი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და ჯანი შეაღია ამ ტახტისადმი სამსახურს.

იმავე საღამოს, როცა მეფე გიორგის მიერ წარმოგზავნილმა ქართველმა ეპისკოპოსებმა და დიდებულებმა მიიღეს მანგანის სასახლემდის, ბერებმა ამბავი მოუტანეს მათი ჩამოსვლისა იოანე მაგისტრს, გველცემულივით ზემოიჭრა იოანე, ბამბუკის ყავარჯენს დაეყრდნო, მსახური იხმო და ეტლი მოიკითხა თავისი.

ქრისტოპოლში წასულიყო მეეტლე. შებინდებისას ილირიის ქუჩაზე მდებარე მონასტრის მცირე ჭიშკარი გააღო ცალფეხა კაცმა და ბამბუკის ჯოხებზე დაყრდნობილი მიყვა მანგანის სასახლისაკენ მიმავალ აგურებით მოკირწყლულ ქუჩას...

(გაგრძელება იქნება).

პარლამენტალი

ლექსები მოსკოვზე

★

ბრწყინავენი კრემლის კოშკები

შემკულან კრემლის კოშკები
ლალის ვარსკვლავთა მძივებით,
მოედანს რომ აშშვენებენ
გარს მოციმციმე სხივებით.

რა დაადუმებს კურანტებს,
საშობლოს გულის ძგერასა?
მოსკოვი ხალხებს უნათებს
თავისუფლების კერასა.

როცა მოსკოვის ბჭეებთან
ცეცხლით მოიჭრა ვერავი,
მტერს გოლიათნი შეებნენ.
ეცვათ ფოლადის პერანგი.

ბელადი რუხი მახარით
მოსკოვს წინ ედგა ფარადა.
მტერს დაატეხა თავზარი,
კრემლი აღინა ღვარადა.

გმირობა გმირს არ სწყინდება,
ძალაა მტკიცე ნებაში.
ბრწყინავს საშობლოს დიდება
მოსკოვის გამარჯვებაში.

ბრწყინავენი კრემლის კოშკები
ლალის ვარსკვლავთა მძივებით,
ცაში მსრბოლავი არწივიც
კზას იკვლევს მათი სხივებით.

★

სადაც ცხოვრობს სტალინი

სადაც ცხოვრობს სტალინი
ჩვენი გულიც იქ არის.
კრემლში მზის მიტანილი
სხივი ათოვს ცისკარის.

რა სიხარულს მომგვრიდა,
ნეტავ თვალთ მენახა —
ვინც დალოცა გორიდან
საქართველოს ვენახმა,

ვინც დიადი მოსკოვი
ოშში მკერდით დაიცვა,

ვინც ეს დროშა მოქსოვა,
ცეცხლშიც რომ არ დაიწვა.

ვინც შეამკო, აშშვენა
ეს ქალაქი მხცოვანი,
ვინც ზარდა და აშენა
გმირი რეაპსლოვანი.

კრემლში მზის მიტანილი
სხივი ათოვს ცისკარის,
სადაც ცხოვრობს სტალინი,
ჩვენი ფიქრიც იქ არის.



მოსკოვს იცავდა ბაბრათიონიც

რეკდა მრისხანე ბრძოლის საათი,
წითლად ღებავდა ცას დაფიონი,
როცა საყვარელ მოსკოვისათვის
ლაშქარს უძღოდა ბაგრატიონი.

გადამლილიყო წინ ბოროდინო,
სადაც წყდებოდა რუსეთის ბედი.
აქ წაყადულად სისხლმა იდინა,
აქ ბევრს გაუბო მახვილმა მკერდი.

მოსკდა, დაიძრა ტრიალსა მინდვრად
ნაპოლეონის ნაკრები ურდო.
მისი ფრანგულიც აქ გადაიმტვრა.
აქ გადაიწვა სოფელიც მყუდრო.

აუსტერლიცის მზეც აქ დაბინდდა,
აქ იმპერატორს გზა დახვდა ეკლით.
ახლა გასცქერის სივრცეს დაბიდან
გამარჯვებული ქართველის ძეგლი.

დადნა მხედრობა ბონაპარტისა,
როგორც გვიანი თოვლი მარტისა.
აღსდგა რუსეთი განახლებული —
მომძე ხალხების მტკიცე კრებული.

როს კელავ გაჩაღდა შეტევა მტერთან,
როს კელავ შეღება ცამ დაფიონი,
გმირის სახელით გმირებთან ერთად
მოსკოვს იცავდა ბაგრატიონიც.

ლიტერატურული სემინარიის პროგრამა

პირველი სემინარიის

★

პოეზია

არწივი გრივალს ხედება მებურად,
მას ვერ აშინებს წვიმა, ვერც ქარი.
შენ რად ფართხალზე, როგორც ბედურა?
განა არა ხარ არწივის გვარის!

იქნებ დანუქოს მზემაც თვალები,
ზღვის კალაპოტიც ამოშრეს ვრცელი,
მაგრამ არ კედება ვაიდალების¹
გულთ ნათქვამი სიმღერა წრფელი.

ანათებს მხარეს შუქი ცხოველი,
ოქროს თავთავი დაუსხამს ყანას,
ახალახალ ხმებს შენგან მოელის
დღეს ბედნიერი ჩვენი ქვეყანა.

მაშ, შენც ამღერდი და ფრთაელვარე
შენი სიმღერით ცასა მიწედები;
თუ დაივიწყებ მშობლიურ მხარეს,—
შენ თვითონ ხალხსაც დაივიწყებდი!

1946.

★

ვიტაუტას სირიუს ზირა

•
•

მაშინ, როდესაც სხვაგან ხალხი შეძრწუნებული
შიშით კანკალებს, და მომავლის იმედსაც კარგავს,
ჩვენ კი წინ მივალთ მართალ გზაში დარწმუნებული, —
ამ დროს მოსკოვი მთელ მსოფლიოს აღწყვებს ამბავს!
ახლა სტალინი რადიოთი სიტყვას წარმოსთქვამს.

¹ ვაიდალი — მომღერალი.



ჩვენ — რუბორებთან მოედანზე ჯგუფჯგუფად მდგარი
სულგანაბული მოუთმენლად ყოველ წუთს ველით...
მისი სიტყვა ხომ უღვეველი სიბრძნის ზღვა არის,
შრომაში მისი გვესაზრდოებს აზრები წრფელი.

ამ ხმასვე ნატრობს ჩვენში ყველა — მთაში თუ ბარად.
... ამა, დაიწყო... გამჭვირვალი, ვით წყაროს თვალი,
ეს სიტყვებია, ხალხთა გულს რომ ატყვევებს მარად
აზრთა სიუხვით, მიმზიდველი და მწყობრი ძალით.

ჩვენ ამ ძალაში ვგრძნობთ სიეხადეს,
უჭკნობ სიმაართლეს,
და ვიცით, რატომ მტერს შემოჰყრილს
ჩვენ ტრამალეზზე,

ჩვენი გმირები სპობდნენ მედგრად,
და გაიმარჯვეს
ყველგან: ჰაერში, ხმელეთზე
თუ ოკეანეზე.

ის გენიოსი არის ჩვენი... სულით, სხეულით
მოამე ხალხების გულს შეზრდია — ფიქრთამფლობელი,
ის ქედუხრელთა მეგობარი არის რჩეული,
ხოლო ორგულთა ის მტერია დაუნდობელი:

ჩვენ ამ სიტყვებში მეზის გუგუნს ვგრძნობთ აღტაცებით,
ვხედავთ, მზისაკენ მიაბიჯებს ქვეყანა ჩვენი.
ვცილდებით რუბორს — ვით სტალინის ჯარისკაცები,
აღსავე ბრძოლის წყურვილით და ურყევი რწმენით!

1945.

ვლადას მოზურუნასი



ჩვენი ლემსები

სასტიკია და სისხლით ნაფერი
ჩვენი ლექსების ყოველი პწყარი —
მასში შრიალებს ცა ჭიაფერი
და პარტიზანულ ომის ხანძარი.

ჯერ კიდევ გუშინ ეუტევილი მტერსა,
ჩვენს ჰანგს ერთოდა ზარბაზნის ხმები,
აი თუ რატომ, ვით წინათ, დღესაც
ელერენ ბრძოლის ხმით ჩვენი ლექსები.

1947.

თარგმანი ვასო გორგაძისა.

ნიკოლოზ ჩიჩუაძე

ორი ლექსი

★

იმ მიდის ხალხი

სანუკვარია სახლი პატარა,
ქვეყანა მთლად რომ შემოგვატარა,
ყველას ნუგეში და საფიცარი,
ახალი ფუტეც ჩვენი იქ არი.
იქ მიდის ხალხი—მადლობა უთხრას,
ქართლის მიწას და ქართლის ბუნებას,
ვენახში — მტევნებს, მინდორში — ფუტკარს
და მთაში — სიოს გასალმუნებას.
იქ მიდის ხალხი, რომ ნახოს თვალთ
თავის წარსულიც და მომავალიც.

1946 წ. დეკემბერი.

★

ოგონი დაღუპულ გვიგონებებს

აბა სიკვდილმა როგორ გაბედა,
როგორ შეახო თქვენს გულს ხელები.
იქნებ შემთხვევით ან უცაბედად
გაგზადათ ჩუმი და უთქმელები.
იქნება სიკვდილს არ ეძახიან
უკვდავებაში გადასულ დუმილს,
ისევ სიცოცხლის გრძელი ძაფია
მე და თქვენ შორის გაბმული, ჩუმი.
ჩვენ ხომ ფეხდაფეხ ერთად გვივლია
ეს თვალუწვდენი სივრცის ბილიკი,
სულ ერთად გვიოქვამს და გვიციფლია
საგალობელი ჩვენი ტკბილი ხმით.
თქვენ ახლა სდუმხართ, მე თქვენს დუმილში
ვიგრძენ სიკვდილის სიცივე მწველი



დადუმებულხარით, ცრემლებს ნუ მიშლით
 თქვენს დაკარგვაზე იყოს მეტყველი.

მინდა, რომ დიდხანს ვცოცხლობდე, მინდა

მე მინდა თქვენი სათქმელიც რომ ვთქვა,
 თუმც მავ სიკვდილით ბევრი თქვით წმინდა
 სათქმელი ქართველ ვაჟკაცთა, ლომთა.

თქვენზე ხმამალა ვიმღერო მინდა,
 შთამომავლობას ჰქონდეს სათქმელად:

„ჩვენი თაობა რომ გახდა ზიდად
 დიდ მომავალში გადასასვლელად“.

აბა სიკვდილმა როგორ გაბედა
 როგორ შეახო თქვენს გულს ხელები?
 იქნებ შემთხვევით, ან უცაბედად,
 გაგზადათ ჩუმი და უთქმელები!

1946 წ. მაისი.

ალექსანდრა ბარამიძე

ნ ი ზ ა მ ი

★

აზერბაიჯანის გენიალური პოეტი ნიზამი განჯელი როგორც სახელწოდებიდან სჩანს, წარმოშობით ქალაქ განჯიდან, ახლანდელი კიროვაბადიდან, იყო. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი, რომელიც მე-12 საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, ნიზამიმ შშობლიურ ქალაქში გაატარა. ის დაიბადა დაახლოებით 1141 წელს, და გარდაიცვალა 1203 — 1211 წლებს შორის; ნიზამის აკლდამა ახლაც დაცულია ძველი განჯის მიდამოებში.¹

ნიზამიმ, ჩანს, საკმაო სასკოლო განათლება მიიღო, ყოველ შემთხვევაში — ის იყო თავისი ეპოქის უგანათლებლესი ადამიანი, ღრმად მოაზროვნე და ფართო შემოქმედებითი გაჭაწების პოეტი, ამავე დროს ნიზამი იჩენდა მეცნიერებით სერიოზულ დაინტერესებას.

წარმოშობით და თავისი ნაციონალური თვითშეგნებით აზერბაიჯანელი, ნიზამი იზრდებოდა არაბულ-მუსულმანური წესით, ხოლო პოეტური სიტყვისათვის ის სარგებლობდა უპირატესად, თუ მთლად არა, ფარსული (ახალსპარსული) ენით. აზერბაიჯანში, ისევე, როგორც ახლო და წინა-აღმოსავლეთის მრავალ სხვა დიდ, თუ მცირე

რე ქვეყანაში, ლიტერატურულ და სახელმწიფო ენად სწორედ ფარსული იყო მიღებული. ნიზამის ყველა ჩვენამდე-მოდღეული თხზულება სპარსულადაა დაწერილი, თუმცა არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის სწერდა აზერბაიჯანულ ენაზეც. ამ მხრივ საგანგებო ყურადღების ღირსია თვით პოეტის ერთი ცნობა. პოემა „ლეილი და მეჯნუნის“ შესავალში ნიზამის მოჰყავს დამახასიათებელი ტექსტი მისდამი შირვანშაჰის მიმართვიდან:

თურქული ჩვევა-ადათი არ არის ჩვეუ საჩვენო,
 თურქული სიტყვა არ არის ჩვენი საფერო.
 ვისაც დიდებული ჩამომავლობა მოდვამს,
 სიტყვაც დიდებული შეუფერება.

(26, 1 — 2).¹

ციტირებული ნაწყვეტიდან ცხადია, რომ ნიზამის გულთან ახლოს უნდა ყოფილიყო აზერბაიჯანული ენა, მაგრამ შაჰი წინადადებას აძლევდა პოეტს ეწერნა აზერბაიჯანის მკვიდრი მოსახლეობის ხალხურ („მდაბიურ“) ენაზე კი არა, არამედ სასახლის წარჩინებულთა მძალდ ლიტერატურულ ენაზეც ის ფაქტი, რომ შაჰმა სპეციალურად გააფრთხილა პოეტი აუცილებლად ესარგებლნა ფარსული ენით, სა-

¹ ი. ჯაფარზადე, ძველი განჯის, ნიზამი განჯელის სამშობლოს, არქეოლოგიური გათხრები (მეც. აკად. მოამბე, 1941 № 2, გვ. 76).

¹ ტექსტი აქაც და ქვევითაც ყველგან თარგმნილია სპარსული დედნიდან ვაჰიდ დასთვერდის ცნობილი ზეირანული გამოცემების მიხედვით.

ფიქრებელს ხდის მოსაზრებას, რომ ჩვეულებრივ შემთხვევებში ნიჰამი შეიძლება აზერბაიჯანულადაც სწერდეს.

ნიჰამის სოციალური წარმომადგენლის შესახებ გარკვეული და უტყუარი ცნობები არ არსებობს, ოღონდ ცნობილია, რომ პოეტი ყოველ შემთხვევაში არ ეკუთვნოდა საზოგადოების მაღალ ფენას, ის, ალბათ, წარმომადგენელია ქალაქის ხელოსანთა წრიდან იყო. შემდგომშიც არ მიისწრაფოდა ნიჰამი საზოგადოების არისტოკრატიულ სფეროებისაკენ, უარს ამბობდა სასახლეში ცხოვრებასა და სამეფო კარის პოეტის მაცუთერ კარიერაზე, თუმცა ზშირად უჩივის აუტანელ მატერიალურ სიდუხჭირეს და წუთისოფლის სივერაგესა და ამოვებას.

უნდა ვიცოდეთ, რომ მთელი რიგი პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო აზერბაიჯანს მე-12 საუკუნეში თვალსაჩინო ადგილი ეუბრა ყოფილი არაბეთის ხალიფატის ნახევრად დამოუკიდებელ ახალ სახელმწიფო გაერთიანებათა შორის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ აზერბაიჯანის პოლიტიკური წონასწორობის განმტკიცებაში მცირემნიშვნელოვანი როლი როდი შეასრულა საქართველომ. დავით აღმაშენებლის (1089 — 1125) დროიდან დასავლეთ აზერბაიჯანი (ე. ი. შირვანი და არანი) ფაქტიურ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო საქართველოსთან, ამასთან შირვანშაჰები ნათესავეთა კავშირში იყოფებოდნენ საქართველოს სამეფო სახლთან. მეტისმეტად კარგი პოლიტიკური ურთიერთობა დამყარდა ნიჰამის მფარველ შირვანშაჰ ახსართანთან, რომელიც არაერთხელ ყოფილა საქართველოში მრავალრიცხოვანი ამაღლის (რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პოეტებიც) თანხლებით.

5. „მნათობი“, № 9.

თამარ მეფესთან დახმარებისათვის წავიდა.

მე-12 საუკუნეში აზერბაიჯანში დიდად გავითარდა პოეზია და ხელოვნება. არანისა და შირვანის მთავრები, პირველ რიგში — შირვანშაჰები, დიდ ყურადღებას უთმობდნენ მათი ხელქვეითი ქვეყნების კულტურულ მშენებლობას. განთქმულია შირვანელ პოეტთა სკოლა (აბულ-ალა, ხაკანი, ფელეკი, ბეილაქანი, მეხსეთი და სხვ.)¹ შირვანშაჰები, და მათთან ერთად არანის მმართველები, თავიანთ სასახლეებში თავს უყრიდნენ რა პოეზიის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილ წარმომადგენლებს, სტიმულს აძლევდნენ რა აზერბაიჯანის სულიერი და მატერიალური კულტურის გავითარებას, ზეგავლენას ახდენდნენ ამ კულტურის ხასიათის განსაზღვრაზე.

მე-12 საუკუნის აზერბაიჯანის პოეზია ატარებდა მკაფიოდ გამოხატულ საკარო ხასიათს, ამ პოეზიაში ბატონობდა საზეიმო-ამაღლებული, მაგრამ ზშირად დაღვლარქნილი, მოქარგული ენით შეთხზული მლიქვნელურ-საბოტაჟო ოდის სტილი.

ნიჰამის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ დასდგომია სასახლის პანეგირიკოსთა გზას, ის როდი შევიდა გვირგვინოსან დესპოტთა სამსახურში, არამედ მან ბოლომდე შეინარჩუნა შემოქმედებითი თავისუფლება. უფრო მეტი, ნიჰამი მკვეთრად ჰკიცხავდა და ანტიქმებდა სასახლის პოეტებს, იათი ნასუფრალისადმი დახარბებულთა და გაუმაძღართ, უწოდებდა მათ უნიკოვერცხლისმოყვარულებსა და დაქირავებულ მჯღაბნელებს. ნიჰამი პოეტს

¹ შ. ე. ბერტელსი, ნიჰამის ეპოქის ლიტერატურა (მეცნიერებათა აკადემიის შიშხე, 1941, № 2, გვ. 42 — 57). შ. ს. ორდუბაძე, ნიჰამის ეპოქის აზერბაიჯანული ლიტერატურა (კრებული ნიჰამი, III, ბაქო, 1941 წ. გვ. 5 — 21)

სთელიდა „სიტყვის ემირად“, იბრძოდა თავისუფალი პოეტური გაქანებისათვის, ამაფრთოვანებელი პოეტური შრომისათვის. თავისი პოეტური მოვალეობის სრული შეგნებით აცხადებს ნიზამი მოხუცი მეაგურის პირით:

ფულისთვის ზელის გაწოდებელი (მათხოვარი) არის წინაშე არ ვარ,
ვშრომობ და ამათ ვკამ პურს.
(საიდუმლოებათა საგანძური, 98გ).

ნიზამი უარს ამბობს პირფერულად ხობტა შეასხას ზელისუფლების სათავეში მოქცეულ ტირანებს. მისი აზრით, პოეტი ვალდებულია ემსახუროს მხოლოდ ზალხს, ვინაიდან „ზალხს სულ სხვაგვარი სჭირია საუბარი“, მას სტანჯაეს „ზალხის მწუხარება“, რაც „ყველა ზღვაზე უღრმესია“.

ნიზამი ამატარახებს უიღვოსა და მემფორაღეთა ყავახანურ-ბოჰემურ, ასევე სთქვათ, საშუალო საუკუნეების დეკადენტურ პოეზიასაც.

შაირს შივეცი საყნის საფრველი,
ლექსი ვახსენი სამიჯტნოსგან

ამბობს პოეტი პოემა „საიდუმლოებათა საგანძურის“ შესავალში (44,12). ნიზამი დამოუკიდებლად არჩევდა და ამტყვებდა პოეტურ მასალას, ის მიჰყვებოდა მხოლოდ თავისი განათლებული გონებისა და გრძნობიერი გულის ხმას, იგი თვითვე ლაპარაკობს სხვაგან იმავე პოემაში („საიდუმლოებათა საგანძური“ 35,1):

რაც გულმა მითხრა — თქვიო, ის ვთქვო.

ნიზამის შემოქმედება პოეტური პრინციპულობისა და იდეურობის ბრწყინვალე მაგალითია. რასაკვირველია, ის ერთგვარად შეზღუდული იყო სოციალურ-კლასობრივი თვითშეგნებით და თავისი ეპოქის ჩარჩოებით, მაგრამ აზერბაიჯანის დიდი პოეტი თავისებურად გულწრფელად ემსახურებოდა საკაცობრიო სიმართლეს.

შართალი გულისა და შართალი ბუნების
(პატრონია) ნიზამი,
ამ სიმართლით არის დაშვენებული იმის
საქმე —

ამბობს პოეტი თავის-თავზე (საიდუმლოებათა საგანძური, 147,19). თუმცა იცის კიდევც, რომ სიმართლესა და სამსახური იოლი როდია (იქვე, 147,17):

თუ სიტყვა იქნება ერთობ შართალი,
შწარე იქნება ფეო, შწარე, კეშარიტება
(მეტად) შწარეო.

უაღრესად არასწორია აზრი იმის შესახებ, ვითომც ნიზამისათვის უცხო იყო გარემო სინამდვილე და განდევნილი იდგა და სჭერეტდა ცხოვრებას. სრულიადაც არა! ნიზამი იყო საზოგადოების აქტიური წევრი, პოეტი — მოქალაქე და მებრძოლი, თავისი დროის კვალობაზე მას გააჩნდა მკაფიო რადიკალური პოლიტიკური შეხედულებები.

ნიზამი განსაკუთრებით გრძნობიერი და მზრუნველი მეოჯახე იყო, მოყვარული მამა და მეუღლე. მრავალი საუცხოო ლექსი უძღვნა პოეტმა თავის შვილს მუჰამედს, ხოლო თავიანთი ცოლის — აფაკისადმი სიყვარულს უმღერა პოემა „ხოსროვ და შირინში“ (მშვენიერი შირინი წარმოადგენს აფაკის პორტრეტს). ხანდახან ნიზამი სწერდა მაღალფარდოვან მიძღვნებსაც, იღებდა (თუმცა არა ისე სიამოვნებით) მთავრების შეკვეთებს, თხზავდა ოფიციალურ ოდებს. მაგრამ ის ყველგან და ყოველთვის იცავდა ზომიერებას და ინარჩუნებდა დამოუკიდებელ პოეტურ შეხედულებებს. მისი ყოველი მიძღვნა ღრმავაროვანია, ფაქიზი და თავაზიანი, ამავე დროს მკვეთრია და მას მონამორჩილობისა და მლიქვნელობის ნიშანწყალიც კი არ გააჩნია. ნიზამი ღირსეულად და პატიოსნად, სასახლის შფოთიან და ბობოქარ ვითარებას მოშორებული იღწვოდა და ჰქმნიდა პოეტურ შედეგებს.

ნიზამის ლიტერატურული მემკვიდრეობა შესდგება მისი ღირსეული ლექსების კრებულიდან და სახელგანთქმული ხუთეულის — ხუთი პოე-

მისაგან („ხამსე“): 1. საიდუმლოებათა საგანძური, 2. ხოსროვ და შირინი, 3. ლეილი და მეჯნუნი, 4. შვიდი მზეთუნახავი, 5. ისქანდერ-ნამე (წიგნი ალექსანდრე მაკედონელზე).

ნიჰამის გენიალური პოეტის სახელი მთელს მსოფლიოში გაუთქვა მისმა ხუთეულმა, რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ თვითნებურად ერთ კრებულში გააერთიანა მე-13 საუკუნის უცნობმა რედაქტორმა, თუ გადაწყვიტა.

„ხუთეულის“ პირველი ნაწილი „საიდუმლოებათა საგანძური“ — პოემად მხოლოდ პირობითად იწოდება, არსებითად იგი წარმოადგენს ავტორის ღრმა ფილოსოფიურ შთანთქმითა მხატვრულ ფორმაში გადმოცემას; მას არ გააჩნია საერთო სუვერენიტეტული საფუძველი, იგი კლასიციზმურად შეკრულია ცალკეულ მოთხრობათა ძაფით, რომელთაც უღრესად გამაფრებული სამოძღვრებო ტენდენცია ახასიათებს. „საიდუმლოებათა საგანძურის“ ზოგიერთი მოთხრობა ეხება სოციალურ პრობლემებს, ჰეიკხავს პოლიტიკურ უწყსრიგობას და მკვეთრად ამოთრახებს მმართველი კლასების, კერძოდ ტირანთა უსამართლობასა და სისასტიკეს. ამავე დროს ნიჰამი აქებს ადამიანის გამაყვთილშობელ შრომას (მოთხრობა მოხუც მეაგურზე). პოემის ვრცელს წინასიტყვაობაში ნიჰამი დაწვრილებით გადმოგვცემს თავის პოეტურ შეხედულებებს.

ნიჰამის ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია „ხუთეულის“ სამი მომდევნო პოემა: „ხოსროვ და შირინი“, „ლეილი და მეჯნუნი“ და „შვიდი მზეთუნახავი“. ამ პოემებმა მთელი ეპოქა შექმნეს ახლო აღმოსავლეთის მრავალი ბალხის პოეზიის ეპიკურ-რომანტიული მიმართულების განვითარებაში. უდიდეს ინტერესს იწვევს პირველი ორი — „ხოსროვ და შირინი“ და

„ლეილი და მეჯნუნი“. ორივე ამ პოემის ძირითადი სუვეტი გერმანული ზამის დრომდე იყო ძველი ხოსროვისა და შირინის რომანტიული სიყვარული შეაკო ფირდოუსმა მის უკვდავ ეპოპეა „შაჰ-ნამეში“. „ლეილი და მეჯნუნის“ სუვეტი კი ფართოდ იყო გავრცელებული არაბეთის ზეგანისა და აგრეთვე სირიის მომთაბარე ბედუინებში¹.

ნიჰამიმ საესებით დამოუკიდებლად დაამუშავა ეს სუვეტები, შექმნა რამდენიმე მნიშვნელობის ღრმა ფსიქოლოგიური უკნობი მხატვრული სახეები.² ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ფარჰადის სახე, პირველად ნიჰამიმ შემოიტანა.

„ხოსროვ და შირინი“ და „ლეილი და მეჯნუნი“ ორივე ერთად, მაგრამ თითოეული ცალკავე და თავისებურად ავითარებს თემას დაუძლეველი ადამიანური ვნებებისა და სიყვარულის მწარე განცდების შესახებ.

„ხოსროვ და შირინში“ მოთხრობილია ირანის მფლობელის ხოსროვ ფარვიზის (590—628) სიყვარული სომხეთის მშვენიერი სეფე-ქალის შირინისადმი. პოემა სუვეტურად გართულებულია მშენებელ ფერჰადის შესახებ ვრცელი ეპიზოდით.

უნიან წადილს აყოლილ ვერაგ ხოსროვის საწინააღმდეგოდ ფერჰადი განსახიერებაა დევგმირი მშრომელისა, რომელსაც უმწიკვლო სული და კე-

¹ ი. ი. კრაჩკოვსკი, მეჯნუნისა და ლეილის ამბის აღრიხველი ისტორია არაბულ ლიტერატურაში (მეცნიერებათა აკად. მოამბე, 1941, № 2, გვ. 7—21).

² უნდა ვიდებოთ, რომ თავის პოემისათვის ნიჰამიმ ძირითად წყაროდ აიღო ლეილი და მეჯნუნის არაბული ვერსიები, მეტად სავსეა მოსახრება აზერბაიჯანის ფოლკლორული თქმულებებიდან ნიჰამის სუვეტის წარმოშობის შესახებ (შირვანი იუსუფოვი, „ლეილი და მეჯნუნის“ წარმოშობა, ნიჰამის კრებული, III, 1941, გვ. 62—73, სპეციალურად გვ. 67—71).

თილშობილი გული გააჩნია. თავისი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო, შირინისადმი სიყვარულში ზეიმობს ირანის სასტიკი და ავგული მბრძანებელი, ხოლო ტრფობის კეშმარტი რაინდი. კალატოზი ფერპადი, ზღბა სისზღისმსმელი მოქიშპის მზაჯრობის მსხვერპლი... ნიზამი ასკვნის:

მიჯნური ხამს, რომ იყვეს ფერპადი,
შემდგ კი სიკვდილს დამილით შეხვდეს.

პოეტთა მთელი თაობებისათვის, მათ შორის უზბეკთა ცნობილი პოეტის ნავოსათვის (1441 — 1501) ფერპადისა და შირინის ეპიზოდური სიყვარული გახდა დამოუკიდებელი პოემის თემად („ფერპადი და შირინი“).

პოემა „ლეილი და მეჯნუნს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნიზამის რომანტიულ ნაწარმოებებში და საერთოდ დიდი აზერბაიჯანული პოეტის შემოქმედებითს შთანაფიქრებში. ლეილი და მეჯნუნის სახეებში ნიზამიმ განახორციელა იდეები სიყვარულისადმი უსაზღვრო ერთგულებისა, აბსოლუტური თავდადებისა და თავისუფარყოფისა, რაც სრულ ფაფქვითაა და მისივემდე, სიშმაგემდე („მიჯნურობამდე“) მიდის.

სიყვარულის ყოვლისშემცველი ძალა, ნიზამის მოძღვრებით, სწმენდს ადამიანის სულს მიწიერი ზრახვებისა და სიბილწისაგან და ქვენა გრძნობიერ მისწრაფებებისაგან, მიაქანებს მას ზეციურ სამყაროსაკენ ღვთიურ საწყისთან შესაერთებლად.

ამ თვალსაზრისით ლეილისა და მეჯნუნის სახეები სრულიად არა ჰგვანან ნიზამის სხვა ანალოგიურ პერსონაჟებს (ზოსროვი, შირინი, ბაჰრამი და სხვ.). ოღონავე მსგავსება მეტადნდება მხოლოდ მეჯნუნსა და ფერპადს შორის, მაგრამ ეს მსგავსება შორეულია და, უმთავრესად, გარეგნული, შირინისადმი სიყვარულის მგზნებარე გრძნობამ დევგმირ ფერპადს შთაბერა მძლავრი

შემოქმედებითი ძალღონე, რის გამოც იგი უდაბნოში როდი დატყრის კენჭი, კრულვითა და ცრემლმანს შექცევას არამედ იგი ზღბა მატერიალური კულტურის დიად ძეგლთა ოსტატი მშენებელი, მეჯნუნს კი შეპყრობილი უძლიერესი ვნებით, ნამდვილად სიგიჟემდე მიდის, შმაგობს, პათოლოგიურ მდგომარეობაში ვარღბა, ადამიანურ სახეს ჰკარგავს და ფეხქვეშ სთელავს კაცურ ღირსებას, ბუნებას. თვით ნიზამის სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ, მეჯნუნს

გავეღურდა, თოკი გაწვიტა,
კაცთა ბუნებას გასცდა.
უდაბნოს მხეთა ჩვევას დააღა.

ჩვენ ვიტყვით, რომ მეჯნუნს სახეა თავისებური განდევნილისა, რომელიც ეწამა სიყვარულისათვის. შემთხვევითი როდია, რომ, ბოლოსდაბოლოს, ის რაღაც სალოსის მსგავს წმინდანად გადაიქცა, რომლისკენაც თავყანსაცემად შორი ქვეყნებიდან უდაბნოში მისწრაფოდნენ შეყვარებული მლოცველები.

სიყვარულის წმინდა, უზადო და უმწიკლო მოწამეა ლეილიც. მისი ტანჯვა-წამება კიდევ უფრო ღრმავდებოდა აღმოსავლეთში ქალის განსაკუთრებული მდგომარეობის მეოხებით.

„ლეილი და მეჯნუნის“ მიხედვით სიყვარული უმძიმესი განსაცდელის, უმწარესი ტანჯვებისა და წუხილის წყაროა. მაგრამ, ვინც განსაცდელს გაუძლო, ასეც ჯილდოს ღებულობს სრული ბედნიერების მოპოვებით იმქვეყნური ცხოვრების უკვდავებაში. ლეილი სწერდა მეჯნუნს: „მოთმინებაში ჩვენს ჯილდოს ვგრძნობთ“. ნათქვამი უტყველს ზღბს, რომ „ლეილი და მეჯნუნს“ ნიზამი საკმაო თანმიმდევრულად აეთარებს სიყვარულის თეორიის სუფისტურ გაგებას. მაგრამ სუფისტური მისტიციზმისაგან დამოუკიდებლად ნიზამიმ შექმნა უდიდესი მხატვრული ძეგლი, რომელიც წარმოადგენს წმინ-

და, ამიღლებული სიყვარულის ქეშმა-
რიტ აპოლოგიას. მეორეს მხრივ არ
შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „ლეილი
და მეჯუნის“ სუვეტი ნიჰამის თავს
მოახვია შირვანშაჰმა და ამ თვალსაზ-
რისით პოეტი რამდენიმედ შეზღუდუ-
ლი იყო ტრადიციული სახეების ჩარ-
ჩობით, და, შეიძლება, ძირითადი იდე-
ური შთანაფიქრითაც კი.

„შეიდი მზეთუნახავი“, სასანიდელი
შაჰის, ბაჰრამ გურის (420 — 438) თავ-
გადასავლისა და შეიდი სეფექალის
მიერ მოთხრობილი შეიდი ნოველის
გარდა, შეიცავს მთელ რიგ საინტერესო
ეპიზოდებს უბედურ პატიმრებზე, რომ-
ელნიც უჩივიან შაჰის მოხელეთა უკა-
ნონობასა და ძალმომრეობას.

დიდ ინტერესს იწვევს სამოძღვრებო
ეპიზოდური მოთხრობა მოლაღატე ქო-
ფაჯზე, ძუ-მგლის მიჯნურზე, რომე-
ლიც სასტიკად დასაჯა მწყემსმა ბო-
როტმოქმედებისათვის. სარგებლობს
რა შემთხვევით, სპეციალურ აფორიზმ-
ში ნიჰამი გამოსთქვამს თავის გულის-
წყრომას გამცემთა და მოლაღატეთა
მიმართ საზოგადოდ.

განსაკუთრებული პოეტური აღფრ-
თოვანებით ხატავს ნიჰამი ველურ
უღაბნოთა ფართო სივრცეებსა და ლიდ
ცხოვრებას. მშვენიერია სტრიქონები,
მიძღვნილი უღაბნოს ლალი შეილის,
ქურთისადმი, რომელიც მომთაბარეობს
უწყლო სივრცეებში.

ნიჰამის უკანასკნელი პოემა „ისქან-
დერ-ნამე“ განცალკევებით სდგას მის
შემოქმედებაში. ესაა გმირული პოემა
მსოფლიოს დიდ დამპყრობელზე, მა-
კედონიის მეფე ალექსანდრეზე (ისქან-
დერზე).

ნიჰამი არ მიისწაფოდა გამოქმერწა
ალექსანდრე მაკედონელის ისტორიუ-
ლად დადასტურებული სწორი სურათი,
თუმცა მას გულდასმით შეუსწავლია
მრავალი ზალხის ისტორიული ქრონი-
კები, რომლებიც მოგვითხრობენ მისი
გზირის საქმიანობაზე. ნიჰამის პოემაში

ბევრია ფანტასტიკური, ლეგენდური,
მოგონილი, მრავალადფერადი ენქორნიზ-
მი, ისტორიული შეტყობნებისა და ს. შ.
„ისქანდერ-ნამეს“ ავტორი გამსჭვალუ-
ლი იყო აზრით მოეცა მსოფლიო მასშტა-
ბის დიდი მხედართმთავრის, და ბრძენი
მმართველის, სამართლიანი და კაცთ-
მოყვარე, უგრცელესი იმპერიის ყველა
დიდთა და მცირეთაღმი გრძნობიერი
მეფის მთლიანი სახე. ნიჰამის გამო-
ხატვით ისქანდერი ეძიებდა სასიცოცხ-
ლო, საარსებო სიმართლეს და ცდი-
ლობდა ამოეხსნა აღამიანის არსებობის
აზრი. ნიჰამის პოემის მიხედვით, ალექ-
სანდრე მაკედონელმა თუმცა დაიპყრო
მსოფლიოს მრავალრიცხოვანი ქვეყნები,
მაგრამ იგი არსად არ ჩაიღოდა უკანო-
ნობას, უკრძალავდა ჯარებს მოსახლე-
ობის ძარცვასა და დარბევას, ანგრევდა
ძველს და აგებდა ახალს, აშენებდა ქა-
ლაქებს, აკეთებდა გზებს, ხიდებს, აღა-
დგენდა წესრიგს, აღამიანთა დათურგ-
ვნილ უფლებებს, ხელს უწყობდა გო-
ნივრული, სამართლიანი და სათნო
ცხოვრების ორგანიზაციას.

კაცობრიობის გაბედნიერებისათვის
ალექსანდრე მაკედონელმა კიდიოვი-
დემდე მოვლო მთელი მსოფლიო, შე-
ისწავლა ზალხთა ზნეჩვეულებები, ეძია
უკვდავების წყარო. მრავალგვარი უმ-
ძიმესი ტანჯვა-წამების შემდეგ ალექ-
სანდრემ მოახერხა მიახლოვებოდა უკვ-
დავების წყაროს, მაგრამ მას არ მოუხ-
და დასწაფებოდა ამ წყაროს მასულდ-
გბულებელ წყალს.

ამ მარცხმა როდი მოსტეხა დიდი
კაცთმოყვარე მეფე, ის განაგრძობს
გზას, სანამ ჩრდილოეთის ფართო სივრ-
ცეებზე არ პოულობს ქვეყანას, სადაც
სინამდვილეში განხორციელებული იყო
აღამიანთა შორის თავისუფლებისა და
თანასწორობის საწყისები, სადაც არ
იყო დამჩაგრელი მეფე, არ არსებობ-
და სოციალური ჩაგვრა, არ იცოდნენ
აღამიანისაგან აღამიანის ექსპლოატა-
ცია, არ იცოდნენ შიში, ძალმომრეო-

ბა, სილატაკე, შიმშილი, სადაც მოქმედებდნენ მხოლოდ სამართლიანი სახალხო კანონები, სადაც მმართველი იყო თვით ბედნიერი ხალხი. ნახულ-ნასმენით გაოცებული ალექსანდრე აღტაცებით წამოიძახებს:

ეს ხალხი რომ ადრე შევილა,
ჭვეყნის გარღვიარ აღარ ვივლიდი-ო.

პოემა „ისქანდერ-ნამეში“ ნიზამიმ მთლიანად გაშალა თავისი ღრმა პატრიოტული გრძნობები, მკნებარე სიყვარული თავის მშობლიურ აზერბაიჯანისადმი. ამასთან ერთად პოეტი იჩენს გულწრფელ თავაზიანობას და პატივისცემას საქართველოსა და სომხეთისადმი. „ისქანდერ-ნამეში“ შესაძლებლობა მისცა ნიზამის ამომწურავად გამოეთქვა თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები. მართალია, პატრიოტული განწყობილებები მკლავდებდა ჯერ კიდევ რომანტიულ „ხოსროვ და შირინშიც“. შემთხვევითი როდია, რომ ნიზამიმ განსაკუთრებული სითბოთი დახატა არანის ყოფილი დედაქალაქის ბერდას მშვენიერება, მულანის წარმტაცი გაზაფხული, აფხაზეთის (ე. ი. საქართველოს) მომხიბლველი შემოდგომა და სომხეთის მთების ბუნება. პოემის მთავარი გმირი, მომჯადოებელი მზეთუნახავი და მორალურად მტკიცე შირინი, სომხეთის მეფის ასულია. დიდი ბანუ შამირა, სომხეთის ბრძენი მმართველი, რომელიც შემოდგომის სეზონს აფხაზეთში ნადირობასა და მოგზაურობაში ატარებს, სამართლიანად ითვლება თამარ-მეფის ლიტერატურულ პორტრეტად¹.

„ისქანდერ-ნამეს“ მიხედვით ალექსანდრე მაკედონელის მხრეს მდებარე სამხედრო მოქმედებებში აზერბაიჯანისა და საქართველოს ფარგლებში. ამიერკავკასიისი, კერძოდ აზერბაიჯანისა და საქართველოს ფარგლებში. ამიერკავკასიაში იყო მსოფლიო დამპყრობლის მთავარი ბანაკი! ნიზამიმ შექმნა მკაფიო სახე მომხიბლველი და მამაცი ქალისა, ბერდას მთავრის ნუშაბესი, რომელმაც მაკედონელთან შეხვედრისას აჯობა მას სიბრძნითა და გამჭრიახობით. ნუშაბეს კეთილშობილებას უნდა მიეწეროს ის, რომ ალექსანდრე არ გახდა თავისი უღარდებლობის მსხვერპლი (ალექსანდრე მაკედონელი ელჩის სახით ფარულად გაემგზავრა ნუშაბესთან. ნუშაბემ იცნო ალექსანდრე, უკანასკნელი სახიფათო ხაფანგში აღმოჩნდა). ეს ნუშაბემ მიმართა ალექსანდრე მაკედონელს სიტყვებით, რომლებიც ეხმაურებიან რუსთაველის აფორიზმს:

შე ვარ ძე ლომი, თუ შენ ხარ ხეაფა,
რა ძე, რა ხეაფი ლომი ბრძოლაში!

ნიზამი აღფრთოვანებით აღწერს ნუშაბეს სამფლობელოსა და მისი სახელოვანი დედაქალაქის ბერდას მშვენიერებას. მაგრამ პოეტის დროს ეს ქალაქი დამციკრებული და გათვლილი ყოფილა.

ახლა დამდაბლებულია იმ კარის ტახტი,
იმისი დარჩა და დიბა ქარმა წალო;
ის კოკობი ვარდი დაიფურცლა,
მტკრად გარდაიქცა ის ბროწეული და
ნაკვასა —
(ისქანდერ-ნამე, 276, 1-15).

სევდიანად ამთავრებს ნიზამი. არანაკლები აღტაცებით ახსენებს ნიზამი საქართველოს და თბილისს, სიუხვისა და ნაყოფიერების ქვეყანას.

(უცხო) წალკატის კორდებზე უფრო
ელვარე იმ ქვეყანაში
ჩირალდანივით ანთო შაპის თვალზე.
ასევე განიცადა სიმდიდრე მისი მიწისა;
გამოსვენა და თავი მისცა მზიარულებას.
ასე უთხრა მოხუცმა დაქვანმა თავის
შვილს:

¹ Н. Марр, К вопросу о позднейших толкованиях Хакани (Сборник «Хакани, Низами и Руставели», Москва, Ленинград, 1935, гл. 9—10). Л. Н. Болдырев, Два Ширванских поэта Низами и Хакани (Сборник «Памятники эпохи Руставели», Ленинград, 1938, гл. 119—120).

თბილისი მისი წყალობით შეიქმნა მომწველი. სამოთხეხავეით შორულ იმ ქვეყანაში დღისათ და ღამით სიყვითის თესლის გარდა ეს არას სთესავედა. (ისქანდერ-ნამე, 275, 4-ბ).

ალექსანდრე მაკედონელის ყველაზე ახლობელი სამხედრო და პოლიტიკური მრჩეველი ყოფილა „აფხაზეთის (საქართველოს) ქვეყნის მხედართმთავარი“, იგივე აფხაზეთის „მბრძანებელი“ მელიქდავალი, „კეთილშობილი ეაქაკი“, ზვიადი და მძლავრი ფალავანი, ნამდვილი „ხვადი-ლომი“, რომელიც მტრებთან ბრძოლაში იჩენდა საშავალითო მამაცობასა და გულადობას:

აფხაზეთს ერთი ზემებრანია, აღის მოდგმისა, ბრძოლაში როსტომს არ შეიტოლებს. დავალი ჰქვია იმ მძლეომძლე მხედარს, გაფთრებულ ღამს რომ ტყავს აძრობს.

ნიშანი დაწერილებით ჩერდება იმ მაღალ პატივისცემათა აღწერაზე, რომლებიც მიაგო ალექსანდრე მაკედონელმა მელიქდავალს. დამახასიათებელია, რომ ნიშანის სიტყვით (273, 11-12):

სომხეთის ვაქაეები მიმყოლნია მისი ნებისა, მის ჩვევასა და ვზაზე შეკრული აქვთ მათ ქაზრით წელი; მის სადღებარქლოდ (ტაბლ) დვისის სეაშენ, მის აძღვევენ საქვეყნო ხარკს.

ე. ი. სომხეთის მოყმენი ემორჩილებოდნენ დავალს, ემსახურებოდნენ მას ვასალური დამოკიდებულების უფლებათა მიხედვით.

დავალი თან ახლდა ალექსანდრეს ყველა მის შორეულ ლაშქრობაში. და, აი, ერთხელ, ალანებმა, არქებმა და სამხრეთ რუსეთის ველების სხვა მომთაბარე ტომებმა ისარგებლეს ალექსანდრესა და დავალის არყოფნით, შემოიპრნენ დარუბანდის ყელიდან და

თავს დაესხნენ ამიერკავკასიაში, დაარბიეს ბერდა, ტყვედ წაყვანეს დავალი ნუშაბტ. გაიგოს ჩრდის ქმნაქმნა, ალექსანდრესადმი მიმართვაში, სხვათა შორის სთქვა (420, 11; 421, 1):

შე რომ იქ ვყოფილიყავ, აჯობებდა მოქედარიყავი და (მით) შეგარქო შეგება. შე აქ სამსახურით თავი ზევით ამიწვევია, იქ დიღევში და ხუნდებში შეავს ცოლი და შვილი.

ალექსანდრემ შეიწყინარა დავალის ვედრება, გამოეშურა უკანვე და შეუდგა მეომარ მომთაბარეთა წინააღმდეგ ხანგრძლივსა და მძიმე ბრძოლას. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელეს ქართველმა და სომეხმა ვაქაკებმა, კერძოდ დავალმა და სომხეთის ფალავანმა შარევმ, მამაცმა და უშიშარმა მხედარმა. როცა მრისხანე ჯერარის ხმლით მამაცურად განიგმირა შარვე, სახელოვანი თანამომძისათვის შურისსაძიებლად გავიდა დავალი, სასტიკი, როგორც „ხვადი-ლომი“, თუმცა მან „მტერს შეუტია ისეთი მზიარული სახით, როგორც სკოლიდან ქუჩაში გამოსული ბავშვი“. შეშინდა, დაფრთხა მკვლელი, მაგრამ გვიანდა იყო, „ალარსით ჰქონდა მას ვასაქვევი“, მონდომებით შეერკინა დავალს, მაგრამ წამსვე გრიალით დაეცა მიწას „ეს ფოლადის მთა“, ქართველი მოყმის ჯეგარდენით შუა გაპოზილი.

მომთაბარეებზე გამარჯვებისა და ნუშაბტს ტყვეობიდან გამოხსნის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელი საომარ დამსახურებათათვის განსაკუთრებული ყურადღების ნიშნად მელიქდავალს ცოლად რთავს ბერდას ბრძანებელს (482, 11).

მნიშვნელოვანი ის კი არაა, რომ ამიერკავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა მთელი ისტორია, და აგრეთვე, ეფიქრობთ ნუშაბტსა და დავალის ამბავიც ლეგენდური წარმოშო-

ბის რომ არის და არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. სიმაართლე რომ ვსთქვათ, აქ აშკარა, მაგრამ შეგნებულ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე. ნიზამის ალექსანდრე მაკედონელის დროში გადააქვს მე-10 საუკუნეში ბერდაზე რუსთა თავდასხმის ისტორიულად დადასტურებული ფაქტი, ანდა, პირიქით, პროფ. ბერთელსის სიტყვებით რომ ვსთქვათ, „ნიზამის საესებით შეგნებულად გადააქვს ისქანდერი თავის დროში, უფრო მეტი, მკიდროდ უკავშირებს მას აზერბაიჯანს, აიძულებს რა მისი მთავარი საომარი გმირობანი ბერდაში ჩაიდინოს“. ² მნიშვნელოვანია ის, რომ ნიზამის მიერ ისტორიული ანაქრონიზმი დაშვებულია და ლეგენდური ფაქტები მოხმობილია განგებ, რათა ეჩვენებინა ამიერკავკასიის ხალხთა—აზერბაიჯანელების, ქართველებისა და სომხების ერთიანობა და დარაზმულობა გარეშე მტერთა დამპყრობელურ თავდასხმების მოგერიების დროს. ალექსანდრე მაკედონელი, სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ადამიანური სამართლიანობის იდეალი, ნიზამის წარმოდგენით, ბუნებრივად გამოყვანილია აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მფარველისა და დამცველის როლში—თავიანთი ეროვნების, სახელმწიფოებრიობისა და ნაციონალური კულტურის დაცვისათვის ბრძოლებში. თავისი ქვეყნის, მშობლიური აზერბაიჯანის მგზნებარე პატრიოტი ნიზამი ამავე დროს იყო აზერბაიჯანის მეზობელ ხალხებთან ძმობისა და მეგობრობის მოსარჩლე. კერძოდ, ალბათ, შემთხვევით როდი ჩაუერთო ნიზამიმ ეპიზოდი ნუშაბესა და დავალის, აზერბაიჯანის დედოფლისა და საქართველოს მეფის დაქორწინების შესახებ. ცნობილია, მე რომ მე-12 საუკუნეში, ნიზამის დროს, აზერბაიჯანისა და

საქართველოს მეგობრული პოლიტიკური ურთიერთობა ნუშაბესა და დავალის ქორწინებით დასაბუთდა ორივე ხალხის სახლებს შორის ნათესავეთა კავშირს.

ნიზამიმ უდიდესი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის ხალხთა სულიერი კულტურის განვითარებაზე, განსაკუთრებით დიდი იყო მისი გავლენა მდიდარი სპარსული ლიტერატურის განვითარებაზე. ნიზამის ჯერ კიდევ სიცოცხლეში აღმოუჩინდნენ მიმბაძველები და თაყვანისმცემლები. დაიწერა მთელი რიგი „ხუთეულები“ (და „შვიდეულებიც“), შედგენილი ნიზამის ნიმუშის მიხედვით; ათობით და ასობით სხვადასხვა ავტორი ამუშავებდა მის მიერ დაკანონებულ სუეტებს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ რომანტიული პოემები („ლეილი და მეჯნუნი“, „ხოსროვ და შირინი“, „შვიდი მზეთუნახავი“). ნიზამის მიმბაძველთა შორის არიან აღმოსავლეთის ისეთი დიდი პოეტები, როგორცაა ხოსრო დეპლელი, ჯამი და ნავოი. დამახასიათებელია, რომ ნიზამის გავლენა ოდითგანვე ვრცელდება არამუსულმანური მსოფლიოს ქვეყნებზედაც. კერძოდ ნიზამის შემოქმედებას კარგად იცნობდა მე-12—13 საუკუნის ქართული განათლებული საზოგადოებრიობა, ნიზამის თხზულებანი თავის გამოხატულებას პოელობს კლასიკური პერიოდის ქართულ საერო ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ თითქმის ყველა ძეგლში. ნიზამის პერსონაჟებს ასხენებს შოთა რუსთაველიც. არსებობს ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ყოველ შემთხვევაში ნიზამის ზოგი პოემა (პირველ რიგში „ლეილი და მეჯნუნი“ და „ხოსროვ და შირინი“) თარგმნილი იყო ქართულად კლასიკურ პერიოდში. ნიზამისადმი ინტერესი არ შესუსტებულა შემდგომ ეპოქაშიც, მე-17 საუკუნეში

² „ისქანდერ-ნამეს“ რუსული თარგმანის შესავალი წერილი, ბაქო, 1940, გვ. 23.

გაჩნდა „ლეილი და მეჯუნის“, „ხოსროვ და შირინის“, „შვიდი მზეთუნახავის“ ახალი ქართული რედაქციები. მე-17 საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტი ნოდარ ციციშვილი თავის პოემა „შვიდი მთიების“ შესავალში პირდაპირ მიუთითებს გენიალური აზერბაიჯანელი პოეტის ნიჰამი განჯელის მისთვის შთამაგონებელ მნიშვნელობაზე.

ნიჰამის ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში საუცხოოდ ჰქონდა შეგნებული აზერბაიჯანისა, საქართველოსა და

სომხეთის ძმური თანამშრომლობის ისტორიული აუცილებლობა. აზერბაიჯანის ხალხთა სიმდიდრეა და მათი დიდებული მოძღვრება საუკეთესო ფორმით განხორციელდა ჩვენს დიად სოციალისტურ ეპოქაში. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, მათ შორის ქართველმა ხალხმა, დიდი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობით აღნიშნა გენიალური აზერბაიჯანელი პოეტისა და მოაზროვნის — ნიჰამი განჯელის დაბადების რვაასი წლისთავი.

იანა ხინსაძე

ძველი მოსკოვი და სწოება საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ

★

ჩვენი სამშობლო, — საბჭოეთის დიდი ქვეყანა თავისი სახელოვანი დედაქალაქის, მოსკოვის — არსებობის 800 წლისთავს ზეიმობს. მოსკოვი უსაყვარლესი ქალაქია საბჭოთა ხალხებისათვის, საბჭოთა პატრიოტიზმისათვის, რადგან იგი არის გული მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსი, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ცენტრი, ჩვენი კულტურულ შემოქმედების მთავარი კერა. მოსკოვისაკენ სიყვარულითა და სოსოებით არის მიპყრობილი მთელი პროგრესული კაცობრიობის, მსოფლიოს ყოველი პატიოსანი ადამიანის თვალი და გული, რადგან მოსკოვი არის სიმბოლო პროგრესისა და ჰუმანიზმისათვის, დემოკრატიისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის ბრძოლისა თანამედროვე მსოფლიოში. მოსკოვიდან ეფინება თავისუფლებისმოყვარე ხალხებს უკუდავი ლენინის საქმის ძლევათაგან და გამგრძელებელისა და დამაგვირგვინებლის, — დიდი სტალინის სიბრძნის ნათელი, მოსკოვის კრემლის ლალისფერი ვარსკვლავების შუქი უნათებს გზას მოწინავე კაცობრიობას ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

800 წლის წინათ დაიწყო არსებობა ქ. მოსკოვმა, როგორც რუსეთის დიდი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აკვან-

მა. მას შემდეგ მოსკოვი იყო რუსეთის თვალუწვდენი მიწაწყლის შემკრები და გამაერთიანებელი ცენტრი, დიდი რუსი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი აღმავალ ძლევათაგანებისათვის ბრძოლის მესვეური.

თავისი რეასაუქუნოვანი ისტორიის მანძილზე მოსკოვს არაერთხელ თავის გარშემო შემოუკრებია და დაურაზმავს რუსი ხალხი ძლევათაგან ბრძოლისათვის თავისი წმინდა მიწაწყალიდან უცხოელ დამპყრობელთა განსადევნად. მოსკოვს არაერთხელ გადაუღობავს გზა კაცობრიობის დასამონებლად ამხედრებულ სისხლიანი დამპყრობლებისათვის, არაერთხელ უხსნია მოწინავე მსოფლიო დარბევისა და დამონებისაგან.

მოსკოვმა მოუღო ბოლო თათარმონღოლთა ურდოების სისხლიან თარუსს, რომელიც მე-12 — მე-13 საუკუნეთა მიჯნაზე წალეკით ემუქრებოდა მთელს ქრისტიანულს სამყაროს; მოსკოვთან იწვნია გამანადგურებელი დარტყმა ნაპოლეონის „უძლეველმა“ არმიამ და აქ გაეთხარა სამარე ფრანგი იმპერატორის ოცნებას მსოფლიო ბატონობაზე — მოსკოვის კარიბჭესთან გაცამტვერდა მითი სისხლიანი პიტლერიზმის „უძლეველობისა“, აქ დაიწყო გერმანულ-ფაშისტთა ურდოების

უპატივებისა და განადგურების დიდებული ეპოპეა.

მაგრამ არა მარტო ასეთი გმირული საბრძოლო საქმეები ამშვენებენ მოსკოვის სახელოვან რეაქციონერ ინტორიას. საუკუნეთა მანძილზე მოსკოვი წარმოადგენდა საერთაშორისო სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ერთადერთ უდიდეს ცენტრს. პირველი რუსული საუნივერსიტეტო ქალაქი-მოსკოვი ყოველთვის იყო რუსული შემოქმედებითი აზრის, რუსი ხალხის დიდი კულტურული ცხოვრების კერა. მოსკოვს, ლენინის ქალაქთან ერთად ყოველთვის მოწინავე და ხელმძღვანელი როლი. ეკისრებოდა რუსი ხალხის რევოლუციურ მოძრაობაში, კერძოდ რუსეთის გმირული პროლეტარიატის ბრძოლაში მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის გამარჯვების დღიდან იწყება უმნიშვნელოვანესი ხანა მოსკოვის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა.

1918 წლის 12 მარტიდან დიდი ლენინის ნებასურვილით საბჭოთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქად მოსკოვი იქნა აღიარებული. ამ დღიდან მოსკოვი ჩაუდგა სათავეში უცხოელ ინტერვენტებისა და რუს თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის დაცვისათვის ბრძოლას, შემდეგ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეს, ჩვენს სამშობლოში სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

მსოფლიოს ქალაქთა ისტორიას არ ახსოვს რეკონსტრუქციისა და განახლების ისეთი ტემპები, აღმშენებლობისა და კეთილმოწყობის ისეთი მასშტაბი, როგორითაც ხასიათდება მოსკოვის ცხოვრება უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. მოსკოვის დღევანდელი სახე მკაფიოდ განასახიერებს ჩვე-

ნი სოციალისტური სამშობლოს სიდიადეს, სიმდიდრეს, ძველმანისსუბას, დაუცხრომელ წინსვლასა და უწყვეტ რეზელ ზრდას. ახლა მოსკოვი ერთერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქალაქია მთელს მსოფლიოში, იგი ღირსეული დედაქალაქია ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოსი. მოსკოვი არის ჩვენი ქვეყნის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ცენტრი, მოსკოვში იქმნება თანამედროვე კაცობრიობის მოწინავე მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა.

მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს დიდი სტალინი.

ამიტომ არის მოსკოვი ძვირფაი და საყვარელი ქალაქი ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხისათვის, მსოფლიოს ყოველი მოწინავე და კეთილშობილი ადამიანისათვის.

კერძოდ ქართველ ხალხს მოსკოვთან ურთიერთობის ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ჩვენს წინაპრებს შორეულ წარსულშივე გამოუჩენიათ ცხოველი ინტერესი და მისწრაფება თავისი მძლავრი ჩრდილოელი მოძმის — რუსი ხალხისადმი და მისი დედაქალაქის მოსკოვისადმი. ჩვენთვის ძვირფასია და ყოველმხრივ შესწავლის ღირსი ამ ურთიერთობათა ტრადიცია, რომელმაც თავისი ბრწყინვალე დაგვირგვინება ჩვენი სამშობლოს ხალხთა და კერძოდ რუს და ქართველ ხალხთა ახლანდელს ურღვევ სტალინურ თანამედროვეობაში ჰპოვა.

ეს ჩვენი ნარკვევიც ამ ურთიერთობათა დასაწყისის, მისი გამოშხატველი უძველესი, ისტორიული წყაროების მიმოხილვას ისახავს მიზნად.



მოსკოვი რუსულ წერილობით ძეგლთაგან პირველად იპატის მონასტრის მატიანის ნუსხაში მოიხსენება 1147

წელს მომხდარი ამბების თხრობასთან დაკავშირებით. მემათიანის ვადმოცემით, 1147 წელს სუზდალის ცნობილი მთავარი იური (გიორგი) ვლადიმერ მონომახოსის-ძე, რომელიც იური დოლგორუკის სახელწოდებითაც არის ცნობილი, ომგადახდილი და გამარჯვებული თავის რეზიდენციაში ბრუნდებოდა; მისი მოკავშირე, ნოვგოროდ-სევერსკის მთავარი სვიატოსლავი (სახელგანთქმული ძველი რუსული ნაწარმოების „Слово о полку Игореве“-ს მთავარი გმირის იგორის მამა), აგრეთვე ომში გამარჯვებული იყო და იური დოლგორუკის სვიატოსლავის პირადად ნახვა მოუწადინებია: И прислав Гюрги и рече: и приди ко мне, брате, в Москву“¹ (და გამოგზავნა გიორგიმ იურიმ, მოციქული და შემოუთვალა მას „მოდი ჩემთან, ძმო, მოსკოვში“).

აი ეს არის ის უძველესი წერილობითი ცნობა, სადაც პირველად მოსკოვი არის მოხსენებული. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს არა მხოლოდ მოსკოვის მოხსენება საისტორიო ძეგლში, არამედ აქ საჭიროა აგრეთვე, გავითვალისწინოთ, დაახლოებით მაინც, მე-12 საუკუნის პირველი ნახევრის მოსკოვის ვითარება. ამისათვის კი, იმავე მემათიანის იმ ცნობის მოტანაც დაგვჭირდება, სადაც აღწერილია შემოხსენებული მთავრების მოსკოვში შეხვედრა. მემათიანე წერს: „Святослав же еха к нему с детьям своим Олгом, в мале дружине, поима с собою Володимира Святославовича, Олег же еха наперед к Гюргеви, и да ему пардус. И приеха по нем отец его Святослав, и тако любезно целовастася, в день пяток, на похвалу святой богоро-

дицы, и тмво быша весели. На утрый же день новеле Гюрги устроити обед силен, и створи чествование люку им, и да Святославу дары многы, с любовию и сынови его Олгови и Володимиру Святославичю, и муже Святославле учреди, и тако отпусти и“...“² („სვიატოსლავი გაემგზავრა მასთან (იური დოლგორუკისთან) თავისი, შვილის ოლგვის თანხლებით მცირე დრუჟინით. თან წაიყვანა ვლადიმერ სვიატოსლავის-ძე.“ ოლგვი დაწინაურდა, ადრე შეხვედა გიორგის და მიართვა მას ავაზის ტყავი.“ მალე მივიდა სვიატოსლავიც და სიყვარულით ერთმანეთს ეამბორნენ. ეს იყო პარასკევს, ღვთისმშობლის დიდების დღეს და მზიარულ იყვნენ (მთავრები). მეორე დღეს დილით ბრძანება გასცა გიორგიმ მოეწყოთ დიდი ნადიმი („ძლიერი-კარგი სადილი“) და დიდი პატივი სცა მათ და მიუბოძა სვიატოსლავს მრავალი საჩუქრები სიყვარულით, (საჩუქრები მიუბოძა) აგრეთვე მის შვილებს ოლგვსა და ვლადიმერს, საჩუქრები განუწესა სვიატოსლავის კაცებს და ასე გაისტუმრა ისინი“).

რატომ უნდა დაენიშნა იური დოლგორუკის შეხვედრის ადგილად მოსკოვი? მოსკოვი სუზდალის მთავრის სამფლობელოში ისეთი განაპირა დასახლებული ადგილი იყო, რომელიც ნოვგოროდ-სევერსკის მთავრისათვის მახლობელი პუნქტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მართო ამ გარემოებით არ უნდა ყოფილიყო შერჩეული მოსკოვი.

¹ იქვე. გვ. 240.

² ვლადიმერ სვიატოსლავის-ძე აგრეთვე სვიატოსლავის შვილია, მაგრამ რიანანის სამთავროს მთავარია და მამასთან ერთად ომში მონაწილეობას იღებდა თავისი ლაშქრით.

³ რუსული შტაიანის „ვოსკრესნისკის წესბაში“ (ნაგვანევი ხანის რედაქციის მტანიანე), თითქოს გიორგიმ მიართვა ავაზის ტყავი.

იური დოლოგორუკის ამ ვარემოები-
თაც უნდა ეხელმძღვანელა, რომ მოს-
კოვს შეეძლო საპატიო სტუმრების
მიღება თავიანთი ამალით: მემატიაზე
ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი ნა-
დომი გაიპართათ. ჩანს მოსკოვის მო-
სახლეობას სტუმრობა და მასპინ-
ძლობა ედო ბეგარად და შემთხვევით
არ ეპატიებოდა სტუმრებს იური
დოლოგორუკი მოსკოვში. აქ ისეთი შე-
ნობებიც უნდა ყოფილიყო, სადაც
მთავარსა და მის საპატიო სტუმრებს
ღამის გათვება შეეძლოთ.

მასასადამე, 1147 წელი არ წარმო-
ადგენს იმ თარიღს, როცა მოსკოვში
პირველი რუსი-სლავი მოსახლის ქო-
ხი გაშენდა. არქეოლოგიური ხაზითის
განათხარების დროს ნაპოვნი ძეგლები
გვიჩვენებენ მოსკოვის მიდამოებში
სლავთა ბინადრობას წინა საუკუნეებ-
შიაც.⁵

მე-12—13 საუკუნეებისათვის რუ-
სული წერილობითი ძეგლები მოსკო-
ვის შესახებ საგანგებოდ ცნობებს
ალარ გეაქვიდან, ვაკვრით თუ მოიხსენ-
იებენ მას მე-12—13 საუკუნეებში
მოშდარ სხვადასხვა ამბების აღწერი-
ლობასთან დაკავშირებით. მოსკოვი
საგანგებოდ მოსახსენებელი იმ დროს
არც უნდა ყოფილიყო. რუსულ სამ-
თავროებს საკმაოდ დიდი და მრავალ-
რიცხოვანი ქალაქები ჰქონდა. მოსკო-
ვის მავგარი დასახლებული პუნქტი
არაფრით საყურადღებო არ ყოფილა,
რომ იგი მემატიაზე საგანგებოდ აღე-
წერა მაშინ.

მართალია, რუსულ ენაზე არსებობს
საგანგებო თხზულება მოსკოვის და-
ფუძნებისა და ვანეთარების შესახებ:
«О зачале царствующего града
Москвы», მაგრამ ეს თხზულება ნაგ-
ვიანე ხანაში არის დაწერილი და იქ

ცნობები მეტისმეტად არეულია, /ხში-
რია ანაქრონიზმები. მკრწყს ვხვდულე-
ბაში ზოგიერთი საყურადღებო ცნობაც
არის. დამახასიათებელია, რომ ამ ძეგ-
ლის ცნობით მოსკოვის ციხე-ქალაქად
აშენება იური დოლოგორუკის სახელ-
თან და მოღვაწეობასთან არის დაკავ-
შირებული, თუმც აქ ძეგლი თარიღებს
შეცდომით იძლევა. მოსკოვის ციხე-
ქალაქად აგების შესახებ მსგავს ცნო-
ბას ტვერის მატიაზეც გვაწვდის:
«Князь великий Юрий — Володи-
мерич заложил град Москву на
устниже Неглинны, выше реки
Аузы».» მემატიათა ცნობით ეს 1156
წელს მომხდარა. თავის-თავად ცბა-
ლია, რომ მემატიაზე მხედველობაში
აქვს სიმარის — გალავანის აგება. იმ
დროს „град“ შემოზღუდულს — შე-
მოფარგულს და გამაგრებულ აღ-
გილს ეწოდებოდა. მოსკოვის წარმო-
შობის შესახებ შემოთდასახებულ
თხზულებაში აღნიშნულია, რომ თით-
ქოს მდინარე მოსკოვის ამ ნაპირებზე,
სადაც ახლა ქალაქი მოსკოვი იმყო-
ფება, იური დოლოგორუკის მთავრობის
დროს, გაშენებული იყო სოფლები და
ესენი ბოიარ კუჩკოს საკუთრებას შე-
ადგენდნენ. ერთხელ, როცა თითქოს
იური დოლოგორუკი კიევიდან ქალაქ
ელადიმირში მიემგზავრებოდა, გზად
გაიარა სწორედ იმ სოფლებზე, რო-
მელნიც კუჩკოს ეკუთვნოდნენ. დიდ
მთავარს ბოიარი მედიდურად შეხე-
და, რაც საწყენად დარჩა იურის. უკა-
ნასკნელი ველარ ითმენს ქვეშევრდო-
მის მედიდურობას და ჰკლავს კუჩ-
კოს, ხოლო მის მამულს ისაკუთრებს.
ამის შემდეგ ძეგლის ავტორი აღნიშ-
ნავს:

«Сам же князь Юрий взыде на

⁵ И. Забелин. История города Моск-
вы. 1905. стр. 5—6.

⁶ ამის შესახებ იხ. И. Забелин. Исто-
рия города Москвы. 1905 г. стр. 36—42.
ფეროვე იხ. В. Ключевский. Курс
русской истории. 1923 г. стр. 5—6.

гору и обозре очима своими, сею и овамо, по обе стороны Москвы реки и за Неглинною, возлюби села оные и повеле вскоре сделать град мал, дрян, по левую сторону реки на берегу и прозва его званием реки Москва град“⁷ („ხოლო თვით მთავარი იური ავიდა ბორცვზე, მიათვალ-მოათვალიერა საკუთარი თვალებით მდინარე მოსკოვის ორი ნაპირი, მდ. ნეგლინაიას მიდამოები, შეიყვარა (მოიწონა) აქაური სოფლები და ბრძანა სასწრაფოდ აგება მცირე ხის გალავნისა მდინარის მარცხენა ნაპირზე და უწოდა მას მდინარის სახელი ციხე მოსკოვი“).

ამ ეპოქად მკვლევართათვის სადავო არ არის, რომ პირველი ციხე-გალავანი დღეს არსებულ კრემლის მიდამოებში უნდა ყოფილიყო აგებული.

როგორც ვხედავთ, მე-12 საუკუნისათვის მოსკოვი როსტოვ-სუზდალის დიდი სამთავროს განაპირა დასახლებული ადგილი იყო. იმ დროს და მე-13 საუკუნეშიაც არაფერს შეეძლო წარმოედგინა, რომ იგი შემდეგ სრულიად რუსეთის ცენტრი შეიქმნებოდა. მოსკოვის ასეთი დაწინაურება, როგორც ჩანს უცნაურად ეჩვენებოდათ მე-16—17 საუკუნეთა რუსეთის მოწინავე წრეებსაც: «Кто думал-гадал, что Москве царством быти, и кто-же знал, что Москве государством слыти? Стояли на Москве-реке села красные боярина хорошего Кучка Степана Ивановича“.⁸ და მართლაც მე-12 საუკუნეში უბრალო დასახლებული ადგილის მოსკოვის, სრულიად რუსეთის ცენტრად წარმოდგენა კიევის, ნოვგოროდის, ფსკოვის, როსტოვის, სუზდალის, ჩერნიგოვის, რიაზან-

ნის და სხვა დიდი ქალაქების როგორ-ნებისას, საკითხის ღრმად შეწყველეს გარეშე, უცნაურად შეფუძვნილნი ჩვენოს აღამიანს.

მოსკოვის ზრდისა და განვითარების მიზეზების ძიება კარგა ხანია მკვლევართა ყურადღების ცენტრში იყო და დღეს მოსკოვის განვითარების პროცესის უმთავრესი მომენტების გათვალისწინება ჩვენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ საკითხის გარშემო კვლევა-ძიებას წერტილი დაესვა, კვლევა-ძიება და კამათი მეცნიერთა შორის დღესაც გრძელდება რიგი საკითხების გარშემო.

მე-12 საუკუნიდან მოკიდებული მოსკოვის ზრდისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. მოსკოვი მნიშვნელოვანი გზების ცენტრში მოექცა. ევროპის სავაჭრო ქალაქებთან დაკავშირებული ნოვგოროდიდან ოკა-ვოლგისაკენ მომავალი გზა მოსკოვზე გამოვიდა. ჩრდილოეთიდან ვოლგის იმიერი მხარეების რიაზანს მომავალი გზა აგრეთვე მოსკოვზე მოდიოდა. სმოლენსკიდან სუზდალისაკენ მომავალი გზაც მოთიესკ-მოსკოვით მიემართებოდა. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის ზრდისა და განვითარებისათვის.

მოსკოვი მე-13 საუკუნეში პატარა სამთავროს ცენტრად იქცა და ამ საუკუნიდან მოკიდებულ იგი მთავრის რეზიდენციად რჩება, პირველი მთავარი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მოსკოვის სამთავროს დინასტიას (რიურიკთა ერთ-ერთი შტო), არის რუსეთის ისტორიაში საბელგანთქმული ალექსანდრე ნეველის უმცროსი შვილი დანიელი. (ალექსანდრე ნეველი თავდაპირველად ნოვგოროდში მოღვაწეობდა, მაგრამ მისი მამის იაროსლავის შორეულ აღმოსავლეთში მონღოლთა მთავარ ყაენის რეზიდენციაში დაღუპვის შემდეგ ელადიმირის დიდ

⁷ იხ. И. Забелин. *დასახ. ნაშრომი*, стр. 37 — 38.

⁸ ტექსტი ამოღებულია პროფ. კლოუნჩევსკის „Курс русской истории“-დან, ნაწ. II, 1923 წ.

მთავრად დაჯდა მემკვიდრეობის წესით; ამდენად მოსკოვი და მიდამოებიც მას ეკუთვნოდა, და სრულიად ბუნებრივია, არსებული წესის საფუძველზე, ალექსანდრე ნეველის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვი მის უმცროს ვაჟს დანიელს მიეღო სამფლობელოდ და სამამულოდ.)"

თვით ის ფაქტი, რომ მოსკოვი მთავრის უმცროს ვაჟიშვილს ხედა წილად, იმის მაჩვენებელია, რომ მოსკოვი მე-13 საუკუნის მეორე ნახევარშიაც ნაკლები მნიშვნელობის მქონე პროვინცია იყო ვლადიმირის დიდ სამთავროშიაც (რუსეთში მთავრის უმცროს ვაჟიშვილს ნაკლები მნიშვნელობის მამული ხდებოდა წილად).

მოსკოვის სამთავრო თავდაპირველად მეტისმეტად მცირე მოცულობის იყო, მას მდინარე მოსკოვის შუა წელზე მდებარე ტერიტორია ეკავა, ისე რომ იმ მდინარის სათავე და შესართავი სხვა მფლობელთა ხელთ იყო. მე-14 საუკუნიდან იწყება ამ სამთავროს სწრაფი ზრდა, რაშიაც საკმაო როლი ეკუთვნის მოსკოველ მთავრებსა და ბოიარებს. ჩვენ ამ წერილში საშუალება არ გვაქვს დანიელისა და მოსკოვის სხვა მთავართა მოღვაწეობაზე დაწერილებით ან ზოგადად შეეჩერდეთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოსკოვის სამთავროს ზრდა და განვითარება მეტისმეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. აღმოსავლეთ ვერობას მონღოლთა ურდოების ბატონობა მოევიდნა მე-13 საუკუნის ორმოციან წლებიდან. რუსეთი დაქუცმაცებული ძალებით შეხვდა ამ უბედურებას, მონღოლთა აზლად წარმოქმნილი სახელმწიფო — ოქროს ურდო — რუსეთის მთავართა შორის

* რუსეთის მთავრებს შორის ურთიერთპრმოლის შედეგად მოსკოვი უკვე ვლადიმირის დიდ სამთავროს საზღვრებში მოექცა მე-13 საუკუნისათვის.

არსებულ წინააღმდეგობას ვაჭიშხს აღვივებდა. ეს მონღოლთა პოლიტიკა იყო ყველა მათ შორის ყველაზე უფრო კვეყანაში.

აი ასეთ ვითარებაში მოსკოველი მთავრები ახერხებენ თავიანთი სამფლობელოს გაფართოებას და გაძლიერებას. მოსკოველი მთავრები სხვა რუსი მთავრების სილარიბის პირობებში ფინანსიურად მდიდრები მოჩანან. მოსკოვი სავაჭრო და სამომოსვლო გზების კვანძი იყო, და იგი მთავრისათვის, საბაჟო სისტემის იმ დროს არსებულ საფუძველზე, მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. მოსკოველი ხელისუფალნი ახერხებენ პროვინციებით შესყიდვას, აგრეთვე მემკვიდრეობის წესით ამა თუ იმ პატარა სამთავროს შემოერთებას (მეზობელი მთავრის უშვილოდ გარდაცვლის შემთხვევებით). ზოგჯერ კი მოსკოვის სამთავროს ტერიტორიული ზრდა ძალმომრეობით ხდებოდა.

განსაკუთრებით სწრაფი არის მოსკოვის ტერიტორიული ზრდა დანიელ ალექსანდრეს-ძის შვილის იოანე კალიტას დროს. იოანემ კარგად აულო ალლო მონღოლთა პოლიტიკას და მონღოლები თავისი სამთავროს ზრდისა და განვითარებისათვის გამოიყენა. კ. მარკსი საგანგებოდ შენიშნავს იოანე კალიტას ამ პოლიტიკას, მისი გამოთქმით იოანემ მონღოლთა ყაენის საშუალებით შესძლო „თავისი საშიში მოწინააღმდეგეებისაგან თავის დაღწევა... მან დამპყრობ თათართა ძალაუფლება საკუთარი ინტერესების შესაბამისად, შეუუმჩნევლად თავისკენ შემობრუნა“¹.

იოანემ მოახერხა მოსკოვის მოწინააღმდეგე ტყვერისა და ნოვგოროდის დამარცხება, ზოლო სხვა წერილი პოლიტიკური ერთეულების თავის გავლენის ქვეშ მოქცევა.

იოანე დანიელის-ძის პოლიტიკური გამპყრილობის მაჩვენებელია სრული-

ად რუსეთის მიტროპოლიტის ადგილ-სამყოფელის ქ. ვლადიმირიდან მოსკოვს გადატანა. იოანე ხედავდა, რომ ქრისტიანული ეკლესიის რუსული ცენტრი თუ მოსკოვში გადავიდოდა, ამათ მოსკოვი მთელი ქრისტიანული რუსეთის ცენტრი შეიქმნებოდა (ეკლესია ხომ იმ დროს რუსეთის ერთადერთი გამაერთიანებელი ძაფი იყო).

მოსკოვის მთავრის ლოიალურმა პოლიტიკამ ოქროს ურდოს ყაენებთან, მყუდროება და სიმშვიდე ჩამოაგდო მოსკოვის სამთავროში. რუსული მოსახლეობა, განსაკუთრებით ოქროს ურდოს ახლომყოფი მეზობელი სამთავროებიდან, მოსკოვისაკენ მოიხსრაფოდა. იოანეს მატერიალური და ფინანსური სახსრები საკმაოდ ძლიერი მოსჩანს, იმ დროისათვის შესაფერისი უხეი შემოსავლის გამო; ამასთან, იოანე მომჭირნე ფინანსური პოლიტიკას აწარმოებდა. აღსანიშნავია ამას გარდა, რომ იოანე ურდოსათვის განკუთვნილ ხარკის შემგროვებელი აგენტი შეიქმნა რუსულ სამთავროებში. ამით მან თათარ ხარკის მომგროვებელთა ყოველწლიური თარეშიც ააციდინა რუსეთის მოსახლეობას და ამავე დროს საკუთარი ავტორიტეტიც აიმაღლა, გარდა იმისა რომ აქ მას სხვა სარგებლობაც უნდა ენახა. მოკლედ რომ ვთქვათ, იოანემ არსებული პირობების ალღოს აღება შესძლო, ამ პირობების შესაბამისად იმოქმედა და თავისი სამთავრო, ყველა რუსულ სამთავროებთან შედარებით, მცირე ხნის განმავლობაში ძლიერი გახადა.

თვით მოსკოვი იოანეს დროს გაზრდილა და გამშვენებულა ახალი ნაგებობებით, ქალაქის ზღუდეც განახლებულა. იგი ახლა დიდი მთავრის სატახტო ქალაქია, ეს უპირატესობა მოსკოვმა ქ. ვლადიმირს წაართვა.

აქ საგანგებოდ ხაზი უნდა გავესვათ იმ გარემოებას, რომ მოსკოვის ზრდა

და გაძლიერება მოსკოველ მთავართა ლოიალური პოლიტიკის შედეგად შექმნილია. შეუქმნეველი აღსანიშნავია ოქროს ურდოს მესვეურთათვის. ხოლო, როცა მოსკოვის ძლიერება მონღოლებმა შენიშნეს, უკვე დაგვიანებული იყო, — ოქროს ურდო ფეოდალური შინაათმელობით იყო მოცული. ოქროს ურდო უკვე დამყარობი ძალა აღარ იყო; მართალია მას მძარცველობითი ხასიათის დარბევები ჯერ კიდევ შეეძლო კარგა ხანა ჩაეტარებინა, მაგრამ ეს მათ სახელმწიფოს არ შეელოდა, უფრო დაცემის დაქანებულ გზაზე იყო შემღვარი. მაშასადამე, აღმოსავლეთ ევროპაში თანამედროვე რუსეთის ტერიტორიაზე მე-14 საუკუნეში ორი ერთიმეორესაგან განსხვავებული პროცესი მიმდინარეობდა: 1. მოსკოვის სამთავროს გარშემო, დაშლილი, დაქუცმაცებული რუსული სამთავროების შემოკრება — ფეოდალური გაერთიანება; 2. მთლიანი ძლიერი ოქროს ურდოს დაშლა და დაქუცმაცება.

მე-14 საუკუნის მეორე ნახევრის მოსკოვმა სახელგანთქმულ დიდი მთავრის დიმიტრი იოანეს-ძის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით ოქროს ურდო ბრძოლის ველზე გამოიწვია და მორჩილებაზე უარი განუცხადა. დიმიტრიმ რუსული მცირე სამთავროების ძარცვა არ დაანება თათართა მოთარეშე ბანდებს, რომელთა სათავეში ზშირად ოქროს ურდოს ყაენთა შთამომავლობის მრავალრიცხოვანი ბატონიშვილები იდგნენ.

1380 წელს, გაერთიანებული რუსი მთავრების ლაშქრით და საკუთარი წინამძღოლობით დიმიტრიმ შესძლო მონღოლთა დიდი ლაშქარი სასტიკად დაემარცხებია კულიკოვოს ველზე მდ. დონის სათავეებთან და მდ. ნეპრიაღვას შესართავთან. ეს გამარჯვება უდიდესი მნიშვნელობის აქტი იყო რუსეთის ისტორიაში და, რაც მთავარია, ამ საქმის ორგანიზატორი და უშუალო

ხელმძღვანელი მოსკოვის მთავარი იყო. მართალია ამ გამარჯვებით მონღოლთა ბატონობა რუსეთის ხალხზე არ მოიხსოვ; 1382 წელს ურდოს ყაენმა ანაზღვეული თავდასხმით მოსკოვი გამარჯვდა, იგი კვლავ დაიმორჩილა და მოხარკე გახადა, მაგრამ 1380 წელს მოპოვებულმა გამარჯვებამ მონღოლთა უძლევლობის მითი გააქარწყლა. 1382 წლის დარბევამ მოსკოველი პოლიტიკოსები ვერ გატეხა.

იგივე დიმიტრი, რომელსაც 1380 წლის გამარჯვების შემდეგ დონელი ეწოდა, გარდაცვალების წინ, 1389 წელს, შვილებისადმი ბოძებულ ანდერძის წიგნში, მიუთითებდა თავის შვილებს თათართა ბატონობის უღლისაგან ქვეყნის გათავისუფლების ახლო პერსპექტივებზე: „А переменит бог Орду, дети мои не имут давати выхода в Орду“. („და შეცვლის უფალი ურდოს და შვილნი ჩემნი არ მისცემენ ხარკს ურდოში“). უდავოდ სწორად სჭვრეტდა რუსი პოლიტიკოსი თათართა ურდოსა და საყუთარ სამფლობელოს მომავალს. ურდო აღარ წამოზღვარა ფეხზე. მე-15 საუკუნის ოთხმოციანი წლიდან მოსკოვი ურდოს ხარკს აღარ აძლევს, ხოლო 1502 წლიდან ოქროს ურდო, როგორც პოლიტიკური ერთეული, აღარ არსებობს, — მის ნანგრევებზე სამი სახანო აღმოცენდა, ეს კი თათართა სახელმწიფოებრივობის დასასრული იყო. მართალია ყირიმის სახანო მე-16 საუკუნემდე მოსკოვზე პერიოდულ თავდასხმებს და ღარბევებს ახერხებდა, მაგრამ ისტორიული პროცესი მასაც სრულტ მოსპობისაგან მიაქანებდა.

იოანე მე-3 და იოანე მე-4 (მრისხანეს) მოღვაწეობის წლებში მოსკოვის სამთავრო საგრძნობლად გაიზარდა. იგი უკვე საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა. მე-15 საუკუნის მეორე ნახევ-
6. „მართობა“, № 9.

რიდან მოკიდებული მოსკოვის სამთავრო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობაშია; თურქეთის გაძლიერებით თავზარდაცემული სამხრეთ ევროპის პოლიტიკური ერთეულები, მოსკოვის მთავარს თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციისი ეპატივებიან: მოსკოვის სამთავრო, ვაფართოებისა და, გაძლიერების შედეგად, რუსულ სახელმწიფოდ იქცა. რუსეთის ფეოდალურ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ წარმოქმნას აჩქარებდა და ბიძგს აძლევდა ბრძოლები მონღოლებთან, ლიტველებთან და ლიეონიის ორდენთან. მოსკოვის სახელმწიფოს ისტორია საუკეთესო ილუსტრაციაა ცნობილ სტალინურ დებულების ნათელსაყოფად; ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში თავდაცვის ინტერესები: — „მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ცენტრალიზებულ სახელმწიფოების წარმოქმნას, რომელთაც შემოსევათა შეჩერების უნარი უნდა ჰქონოდათ“.²⁰

ისტორიული ძეგლები აწორედ ამ მე-15 საუკუნის მეორე ნახევრიდან გვაუწყებენ მოსკოვის სამთავროსა და საქართველოს სამეფოთა ურთიერთობას. მართალია, მე-15 საუკუნის მოსკოვის სამთავროს პოლიტიკური საზღვრები იმდენად დამორებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე ახლადწარმოშობილ სამეფოებს, რომ ამ საუკუნეში მათი ურთიერთობა ძნელი წარმოსადგენი იყო. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ცნობები მოსკოვისა და საქართველოს ურთიერთობას უეჭველს ხდიან.

ურთიერთობა ძნელად წარმოსადგენი იმიტომ ხდებოდა, რომ მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისათვის

²⁰ И. Сталин. Марксизм и национально-колониальный вопрос. Партиздат, 1935, стр. 72.

საქართველოს ჩრდილოეთით, თანამედროვე რუსეთის სამხრეთ ველებზე და შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებზე, მონღოლთა ძლიერების ნაშთი, ურთიერთშორის მოქიშვე ურდოები, არსებობას განაგრძობდნენ; მღ. ვოლგაზე ორი მონღოლთა სახანო იყო, სახელდობრ კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, — დასუსტებული ურდო, ხოლო მის ჩრდილოეთით — ყაზანის სახანო. მოსკოვის სამთავროს სამხრეთი საზღვრები მღ. ოკას აქეთ არ მოდიოდა. როგორც აღვნიშნეთ, ამ მდგომარეობის მიუხედავად მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვმა საქართველო, ხოლო საქართველომ მოსკოვი გაიცნო. ამ შემთხვევაში ჩვენთვის გამოსავალი არის ჩვენამდე მოღწეული ძეგლების ცნობები. რა თქმა უნდა არ არის გამორიცხული, რომ მოსკოვის სამთავროსა და საქართველოს სახელმწიფოს ეპიზოდური ხასიათის ურთიერთობა ჰქონოდათ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარზე უფრო აღრინდელ დროშიაც, მაგრამ ამ უამად ამის მტკიცება წყაროების უქონლობის გამო არ შეიძლება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ძეგლებმა მე-15 საუკუნისათვის ამ საინტერესო საკითხის გარშემო ცნობები არ შემოგვინახეს. ჩვენ ხელთა გვაქვს მხოლოდ რუსული და იტალიური ძეგლებსა ცნობები, მეტის-მეტად მწირი, მაგრამ — მაინც მნიშვნელოვანი.

მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისათვის ჩვენ რუსულ ძეგლებში დაცული გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ იოანე მე-3 დროს, ჯერ კიდევ 1466 წელს, მოსკოვში მისულა საქართველოს ახლო მოსაზღვრე შემახის მფლობელის შირვან-შაჰის ფერუხესარის მიერ გაგზავნილი ელჩი ჰასანბეგი. მოსკოვის მთავარს საპასუხოდ თავისი ელჩები გაუგზავნია შემახის მფლობელისათვის და ერთი მეორე-

სათვის ძღვენი მიუერთუვიათ. რაზე ჰქონდათ საუბარი ელჩებს მოსკოვსა და შემახაში, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. იმ დროს, ხელისუფალთა შორის საჩუქრების ურთიერთ გაგზავნა მცირე მასშტაბით საქონლის გაცვლა-გამოცვლის აღმნიშვნელი ფაქტია. მეტის თქმა მოსკოვ-შემახის ურთიერთობაზე ჯერჯერობით საფუძველს მოკლებული იქნება, გარდა იმისა, რომ ვოლგის მაგისტრალით მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში მოსკოვს შეეძლო სამხრეთთან, საქართველოს მეზობლებთან და ირანთანაც ურთიერთობა.

1475 წლისათვის ცნობილია აგრეთვე, რომ იოანე მე-3-ის ელჩი „მარკოს როსო (მარკოზ რუპი?) ირანში უზუნჰასანის სამეფო კარზე ყოფილა. მოსკოველი ელჩი იტალიელ ელჩს უნახავს ირანში და მის შესახებ ცნობასაც ეს იტალიელი გვაწვდის თავის საინტერესო მოგზაურობის აღწერილობაში¹¹. ჩვენ არ ვიცით, რა საკითხების მოსაგვარებლად იყო გაგზავნილი მოსკოვის მთავრის ელჩი ირანში, იტალიელი კონტარინი ამის შესახებ ცნობებს არ გვაწვდის. მაგრამ ჩვენთვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია იტალიელ ელჩის ამბროსი კონტარინის ცნობა იმის შესახებ, რომ თვით იტალიელს, ანტოიის პატრიარქს, მოსკოვის ელჩს და მის მზღებლებს გადაუწყვეტიათ ერთად იმოგზაურონ თავიანთი სამშობლოსაკენ საქართველოს სამეფოს ტერიტორიის გავლით. ვინაიდან ამბროსი კონტარინის მოგზაურობით აღწერილობის ეს აღგილი სხვა მხრივაც შექმნება საინტერესო იყოს, ჩვენ მოვიტანთ აქ თარგმანს იმ ნაწილისას, სადაც მარკოზ რუსის საქართველოს მიწაწყალ-

¹¹ С. Белокуров. Сношения России с Кавказом. 1889 г. стр. XII.

¹² Библиотека иностранных писателей о России. т. I. 1836 г. стр. II, Амвросий Контарини. стр. 157 (1).

ზე მოგზაურობის შესახებაა ლაპარაკი. „12 ივლისს 1475 (წელს) მოვედით ჩვენ ქალაქ ტფილისში, რომელიც ზსენებულ მეფეს (ქართველთა მეფეს) ეკუთვნის. იგი (თბილისი) მდებარეობს პატარა ბორცვზე და დაცულია საკმაო კარგი სიმაგრით... გადავედით რა მდინარე ტიგრისზე (მტკვარზე), მოვქებნეთ ერთი კათოლიკე სომეხი და იმის სახლში გავჩერდით. ქ. თბილისი წინათ განთქმული იყო თავისი სიდიდით, მაგრამ ახლა, ძალიან დარბეულია, თუმცა მისი ის ნაწილები, რომელნიც დანგრევას გადაურჩენ, საკმაოდ დასახლებულია. თბილისში ჩვენ მრავალ კათოლიკეს შევხვდით.

„15 (ივლისს) გზა განვაგრძეთ და განუწყვეტლივ მივდიოდით მთიდან მთაზე. დროდადრო მცირე სოფლები და კოშკები გვხვდებოდა, რომელნიც მალაობ ადგილებზე იყვნენ გაშენებული.

18 (ივლისს) სამეგრელოს საზღვრების ახლოს ბორცვებით შემოზღუდულ პატარა ტყეში ვნახეთ ჩვენ ბაგრატი მეფე და დაუყოვნებლივ გავემართეთ მისაკენ. მან ჩვენ სადილზე მიგვიპატიჟა და იქაური წესით დაგვსვა დაბლა გაშლილ ტყავის გარშემო, რომელიც სუფრის მსგავსად იყო გაშლილი... სადილის შემდეგ ქართველები შეუდგნენ სმას ნახევარი წყრთის სიმაღლის დიდი ქიქებიდან. ვინც უფრო მეტს დაღევს, იმათი იგი დიდი პატივისცემით სარგებლობს. რადგანაც ჩვენი მზღებელი თურქები ღვინოს არ სვამდნენ სრულიად, ჩვენ იმათი ჩვენთან ყოფნა მოვიმიზეზეთ, რათა სმაში მონაწილეობა არ მიგველო, რაც ჩვენს მასპინძლებს ძალიან არ ესიამოვნათ. მეფე ბაგრატი შეხედულებით ორმოცი წლის უნდა იყოს. იგი მაღალია, შავგვრემანი სახის გამომეტყველება თათრულს მიაგავს, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ლამაზი მამაკაცია.

მასთან დაყვავით რამდენიმე ნაწი და გამოვემშვიდობეთ.

„20 (ივლისს) დღეს...
... და 22 სამეგრელოს საზღვარზე მივედით... 27 კი ჩვენ ყველა ფაზისში მივედით და ერთ ჩერქეზის ქალთან მართასთან დავბინავდით. აქ ჩვენდა საუბედუროდ გავიგეთ, რომ კათა თურქებს აეღოთ. ადვილად წარმოიდგენთ, როგორ შეგვაწუხა ჩვენ ამ ამბავმა, არ ვიცოდით რა გვექნა... ბოლოს ლუი ბოლონიელმა და ანტიოქიის პატრიარქმა განაცხადეს, რომ ისინი ჩერქეზების ქვეყნით, თათრებზე გავლით, რუსეთში წავლენ, რადგანაც ეს გზა იმათთვის უფრო ნაცნობი იყო... მე ვეზვეწებოდი თან წავეყვანე, მაგრამ ჩემი ზვეწნიდან არაფერი არ გამოვიდა, მან გადაჭრით განაცხადა, რომ მარტო წავა თავისი ამალით და უზუ-პასანის ელჩის თანხლებით... მივმართე მარკოზ როსოს... იგი დათანხმდა პირველად ჩემს თხოვნაზე... მაგრამ შემდეგ ეთათბირა უზუნ-პასანის ელჩს და გამომიცხადა, რომ იგი მიემგზავრება ყვარყვარეს სამფლობელოთი, ახალციხის მფლობელისა... თურქეთის მეზობლისა და ამათი მოხარკისა. ვერ გავბედე რა ამ გზით მოგზაურობა, დაერჩი ფაზისში ღვთის მოწყალების მოიმედე“.

კონტარინი დაბრუნდა თბილისის გზით და 1 ნოემბერს შემახაში ისევ შეეყარა მოსკოვის ელჩს. შემახიდან ისინი, დაზამთრების შემდეგ, აპრილში ასტრახანით და ვოლგით მოსკოვში მივიდნენ. ეს საკმაოდ ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ აქ, რომ საესებით ნათელი შეიქნეს ჩვენთვის 1475 წელს მოსკოვის მთავრის ელჩის მიერ თითქმის მთელი საქართველოს მოვლად მოსასვლელიდან დაწყებული დასავლეთამდე, იქედან სამხრეთ საქართვე-

ლოზე გავლით ისევ შემახამდე. მოსკოველი ელჩის ეს მოგზაურობა მხედველობაში მისაღები არის იმ საკითხის გარკვევის დროს, თუ როდის შეიძლება მოსკოვს ან საქართველოს ერთიანობის შესახებ ინფორმაცია მიეღოს.

ელჩი სახელმწიფოს მოწინააღმდეგე და გათვითცნობიერებული მოქალაქეა, პოლიტიკური მოღვაწე და, თავისთავად ცხადია, იგი უბრალო მოგზაურად არ ჩაითვლება. მას ნახელი პოლიტიკური ერთეულები შესახებ ინფორმაციის შეკრება და დანიშნულებისამებრ მოხსენება ევალება, იგი ინფორმაციითა თავისი ხელისუფალისა. ჩვენ არა გვგონია ბაგრატ მეფე ასეთივე ინფორმაციის მიღების გარეშე დარჩენილიყოს იმ უცხო ელჩებთან მასპინძლობის დროს.

მაშასადამე, მე-15 საუკუნის სამოცდაათიან წლებისათვის ქართველსა და რუს ხელისუფალს დანამდვილებით უნდა მიეღოთ ცნობები ერთი მეორის შესახებ. და რომ მე-15 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო და მოსკოვი ერთიანობის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყვნენ, ამას რუსულ ძეგლებში დაცული ცნობებიც ადასტურებენ.

1422 წლის ქვეშ მოთხრობილ ამბავთა შორის რუსი მემატიანე სხვათა აღნიშნავს: „Тоя же зимы прииде посол к великому князю из Бѣверскна земли от князя Александра именем Мурат,“¹⁴ („იმავ ზამთარს დიდ მთავართან მოვიდა ელჩი ივერთა ქვეყნიდან ალექსანდრე მთავრისაგან სახელად მურატი“). მატიანის ამ ცნობის გარდა, მოიპოვება კიდევ ერთი ს-

ბუთი, ამეამად მოსკოვის არქივში დაცული, რომელშიაც აგრეთვე შემუშავებული ელჩების მოსკოვში წავსვლის შესახებ შეა საუბარი.

საბუთი წარმოადგენს ქართველი მეფის წერილის მე-15 საუკუნის რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანს. ქართული დედანი უკარგვრობით აღმოჩენილი არ არის. რადგანაც ამ წერილის განხილვა მოგვიხდება ქვემოთ, მიზანშეწონილი იქნება წერილის ტექსტისა და თარგმანის აქვე მოტანა:

რუსული ტექსტი:

«Великому царю и господарю, великому князю ниское челобитие. Ведомо бы было, что из дальные земли ближнею мыслью меньший холоп твой Александр челом бую. Темным еси свет, зеленого неба звезда еси, христианская еси надежда, веры наши крепости, все-светлый государь, всем еси государем прибежище, всем еси государем закон, бедным еси подпора и бесерменом еси надея, законной земли грозный государь, всем еси князем справедливая управа, всем князем вышний князь, земли еси тишина, обетник еси Николин. Добрых государей моливаю и счастием мы еще здесь в Бѣверской земле в здравии живем. Аще бы про ваше здравии слышали быхом, слава богу. И еще сведомо буди, много государю челом буючи, Наримана, Дамнана к твоему порогу послали есмя, Хоземарума шекенца в товарищех с ними же послали есмя вашего здравия отведати. Посылка наша дай бог в добрый час. Счасток дай бог всегда был. И холопству твое-

¹⁴ Полное собрание русск. летописей, арქეოგრაფ. კომისიის გამოც. ტომი 12. 1901 წ. გვ. 232.

му недостойный Александр. А писана лета¹⁵ 15 девят десят, перво-го Генваря¹⁶.

თარგმანი:

დიდ მეფეს და ბატონს, დიდ მთავარს მღა-ბალი თაყვანისცემა, უწყებულ იყავ, რომ შო-რეულ ქვეყნიდან ახრით ახლო მყოფი მღა-ბალი ყმა შენი ალექსანდრე სალამს მოგოდ-ენი. ბრძანათვის სინათლევ, ლაქვარდოვან ცის ვარსკვლავო, ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარ-წმენოების ბურჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფევ, ყველა ხელმწიფეთა თვეშესაფა-რო, ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ლაქა-თა დასაურდენო და მუსლიმანთათვისაც კი იმედო, კუთვნილ ქვეყნის მრისხანე ხელმწი-ფევ, ყოველ მთავართა მართლ-მსაჯულო, ყველა მთავართა უზენაესო მთავარო, ქვეყნის მუდროვანე, (წმინდა) ნიკოლოზისათვის აღთ-ქმის მიმცემო. კეთილშობილ ხელმწიფეთა ლოცვითა და ბედნიერებთა ჩვენ აქ ივერთა ქვეყანაში ჯანსაღად ვართ, თქვენს ჯანსაღად ყოფნასაც რომ გავიგონებდეთ ღვთის მად-ლით. და კიდევ გუწყყოს—მრავალი თაყვ-ანისცემით თქვენს კარზე წარმოიხვედნია ნა-რიანი, დამიანე და მათთან ერთად ზოზემ-არში შაქელი თქვენი ჯანმრთელობის გასაგე-ბად. ღმერთმა ბედნიერო ყოს ჩვენი ელჩობა, ღმერთმა ქნას მუდამ ბედნიერად ყოფილყო, თქვენი ყოზის უღირსი ალექსანდრე, ხოლო დაი-წერა ოთხმოცდათერთმეტსა, წელსა იანვარში.

დედანში რუსულ ტექსტს მიწერი-ლი აქვს ზემოდან წითელი მელნით: «Сия грамота пришла из Гурзынские земли от Иверского царя Александра» («წერილი ეს მოვიდა საქართველოს ქვეყნიდან, ივერთა მე-ფე ალექსანდრესაგან»). წერილი 1491 წელს უნდა იყოს დაწერილი. ამ წელს საქართველოში ორი ალექსანდრე მე-ფე მოღვაწეობდა, ერთი იმერეთში—

ალექსანდრე ბაგრატიონი (1484 — 1510), მეორე ალექსანდრე გიორგის-ძე (1476 — 1505) კახეთში. ივერთა მე-ფეობათა გვაფიქრებინებს, რომ წე-რილი უნდა ეკუთვნოდეს კახთა მეფე ალექსანდრეს. როგორც ტექსტიდან ჩანს, ელჩობის შემადგენლობაში ნა-რიანისა და დამიანეს გარდა „ზოზე-მარში შაქელი“ იმყოფება. შაქი კა-ხეთის მეზობელი ქვეყანაა და იქაური მოქალაქე უფრო ადვილად საფიქრე-ბელია კახთა ელჩობაში, ვინემ იმერ-თა. წერილში ალექსანდრე მეფე ივერთა მეფედ იხსენიება, რუსები კი ამ ტერმინს „ივერიას“ კახეთის სამე-ფოს უწოდებდნენ. საქართველო ალ-მნიშვნელ ტერმინად იმ დროს რუსულ ენაში უნდა მიჩნეულ იქნეს «Гурзын-ская земля» შემთხვევითი არ არის ზემომოტანილ წერილის მიწაწერში მოხსენებული «сия грамота пришла из гурзынские земли» ამის გარდა, ეს წერილი კახთა მეფე ალექსანდრე გიორგის-ძეს უნდა ეკუთვნოდეს იმი-ტომაც, რომ კახეთი ყველა ქართველ პოლიტიკურ ერთეულთაგან უფრო ახ-ლო იმყოფებოდა იმ მთავარ ვზასთან, რომლითაც ჩრდილოეთი ირანთან და საერთოდ სამხრეთთან ურთიერთობას ახერხებდა: შამახა, ბაქო, დარუბანდი, ასტრახანი, ვოლგა, ოკა, მოსკოვი. ამი-ტომაც კახეთს უფრო ადრე უნდა მო-ეხერხებია მოსკოვის სამთავროსთან ურთიერთობის გაბმა, ვინემ სხვა ქარ-თულ სამეფოებს, ასე იყო ეს შემდეგ საუკუნეებშიაც.

რუსულ მატთანში მოხსენებული ელჩობა და წერილში აღნიშნული ფაქტი ერთსა და იმავე ამბავზე უნდა მიგვიითებდეს, თუმცა აქ ერთი დაბ-რკობება გველოდება წინ: მატთანში აღნიშნულია, რომ მოსკოვში 1492 წლის ზამთარში ივერთა მეფის ალექ-სანდრეს ელჩი „მურატი“ მოვიდაო, წერილში კი ასეთი სახელით არც ერ-თი ელჩი მოხსენებული არ არის.

¹⁵ სიტყვები „А писана лета“ დაწერი-ლია ამოფხეილ ადგილზე.

¹⁶ საბუთში ბოლოს წერტილის ნაცვლად პატარა ჯერბია გამოსახული. წერტილის თარი-ლის დაწერილობითი ძეგბა ახ. კუთისის ა. წუ-ლევიძის სახელობის სახელმწ. პედ.-ინსტიტუ-ტის შრომებში I 1940 წ. ამ სტრატეგიების ავტორის წერილი.

მავრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დღეს ჩვენს ხელთ არსებული ალექსანდრე მეფის წერილის რუსული თარგმანი შესრულებული არის ქართული წერილის ბერძნული თარგმანიდან, მაშინ „მურატი“ შეიძლება დამახინჯებული შაქელი „ხაჯიმურატიდან“ წარმოსდგებოდეს. საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: შაქელ მოქალაქეს ერქვა „ხაჯი მურატი“. საქართველოდან იმ დროს ორ ენაზე ნაწერი წერილები იგზავნებოდა ქრისტიანულ ქვეყნებში: ქართულსა და ბერძნულს ლათინურ ენაზე; რუსეთში ქართულ ბერძნული ტექსტი იგზავნებოდა. ბერძნულ ენაზე ხაჯი-მურატი დამახინჯდა და რუსულ ენაზე მივიღეთ ხოზემარუში. შემათიანემ კი მოსკოვში ელჩის სახელი უშუალოდ გაიგო და ხაჯი მურატის ნაცვლად შემოკლებულად „მურატი“ მოგვცა.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ მე-16 — 17 საუკუნეთა რუსი მოღვაწენი დაუნდობლად ამახინჯებენ ქართულ საკუთარსა და გეოგრაფიულ სახელებს, ისე რომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა მათიანის „მურატი“ წერილში მოხსენებულ „ნარიმანი“-ს დამახინჯებაც იყოს.

რას წარმოადგენს ალექსანდრე მეფის წერილი თავისი შინაარსით? როგორც მკითხველი დაინახავდა, წერილში არავითარი პოლიტიკური და არც ეკონომიური ხასიათის საკითხი აღძრული არ არის. წერილის შინაარსი მთლიანად მოკითხვის ბართს უფრო მიგავს, ვინემ დიპლომატური ხასიათის მიმოწერას ორ სახელმწიფოს შორის.

ალექსანდრე ატყობინებს, რომ თვითონ ივერთა ქვეყანაში კარგად არის და მისი ელჩების მოსკოვის მთავრის კარზე გაგზავნას მიზნად დასახული აქვს მოსკოვის მთავრის ჯანსაღობა გაიგოს — „здравия отведати“.

ყოვლად წარმოუდგენელია, მე-15 საუკუნეში კახეთიდან მოსკოვში ელჩები გაეგზავნათ მხოლოდ იმის გზაზე, თუ როგორ გრძნობდა თავს მოსკოვის მთავარი. ჯანსაღობის მოკითხვას ასეთ შორეულ მანძილზე და, რაც მთავარია, თათართაგან სახიფათო გზით, რომლის გავლას იმ დროს ერთი წელიწადი იქეთ სჭირდებოდა და ერთიც აქეთ — ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა. ორ წელიწადში მომკითხველი და მოკითხულიც შეიძლება გარდაიცვალოს კიდევ. ასეთ პირობებში კახთა მეფის ეს უცნაური ცნობის-მოყვარეობა მოსკოვის მთავრის ჯანსაღობის შესახებ დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ლევან დადიანის ელჩს მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში სამი წელიწადი დაავიანდა გზაში ვიდრე მოსკოვამდე მიღწევდა. სამშობლოში დაბრუნებაზე დახარჯულ დროს ჩვენ არ ვანგარიშობთ. დადიანის ელჩი 1636 წელს გამგზავრა და მოსკოვში მხოლოდ 1639 წელს მივიდა. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში დადიანის ელჩი (ხუცესი გაბრიელი გეგენაეა) ყოველ დღე კი არ მოგზაურობდა, მას დაბრკოლებები შეხვდა, — საზღვარზე არ გაატარეს, მოსკოვიდან ნებართვას დაელოდა იგი, მავრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, — მოსკოვში მისვლა და დაბრუნება ძნელი საქმე იყო მე-17 საუკუნეში, და ცხადია მე-15 საუკუნეში უფრო ადვილი არ უნდა ყოფილიყო. მიმოსვლის მოწესრიგების პირობებში შვიდ თვეზე ნაკლები დრო არ სჭირდებოდა მოგზაურობას.¹⁷

¹⁷ მოგზაურობის დროის შესახებ ახ. რუსეთის ელჩის თვედორე ელჩინის მოხსენება წარდგენილი მიხეილ რომანოვის კარზე. „Чтения в императорском обществе истории и древностей Российских“. 1887 г. кн. II. გვ. 316 — 319.

თუ მოსკოვის მთავრის ჯანსაღობა არ აინტერესებდა ალექსანდრე მეფეს, რით უნდა აიხსნას წერილის ასეთი შინაარსი? ამ საკითხის გასარკვევად, ჩვენ უნდა მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ ძველად შორეულ და სახიფათო გზებზე მიმავალ ელჩებს სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებანი წერილობით არ მიჰქონდათ. საიდუმლო დავალებებს ელჩები იხეობებდნენ და დანიშნულებისამებრ მისვლისას მოახსენებდნენ. სახელმწიფო დავალებათა ასეთი შესრულების წესი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ გზაზე მოსალოდნელი იყო ელჩები, არამეგობრულად განწყობილ სამეფოების ტერიტორიაზე გავლის დროს, დაეკირათ, გაეძარცვათ და წერილი შეიძლებოდა მტრის ხელში ჩაეგარდნილიყო, ამას კი საგარეო მდგომარეობა გაერთულებინა კიდევ.

ამ შემთხვევაში ასეთ სიფრთხილესთან უნდა გვექონდეს საქმე; ამიტომაც ალექსანდრე მეფეს ეს წერილი ერთის მხრით მოკითხვის ბარათია, მაგრამ იმავე დროს, მეორეს მხრივ, იგი ელჩებისათვის მანდატის როლს ასრულებს. ნაჩიშნას, დამიანეს და „ხოზემარუმს“ მოსკოვის მთავარს ამ წერილის საფუძველზე ანგარიში უნდა გაეწია როგორც ელჩებისათვის და პატივით მიეღო, უნდა მოესმინა თავის მხრივაც საიდუმლოება უნდა გაეცნო და სამშობლოში გამოეტყუებინა სათანადო ხარჯების ვალებით.

რისთვის შეიძლებოდა გაეგზავნა კახეთის მეფეს ელჩები მოსკოვში და რამდენად შეიძლებოდა მაშინ კახეთით დაინტერესებულყო მოსკოვი?

რუსეთის ცნობილ ისტორიკოსის კარამზინის აზრით ივერიის მეფე ალექსანდრე, 1492 წელს მოსკოვის მთავარს მფარველობას სთხოვდა.¹⁸ ასე-

თივე განსვენებულ ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის მოსახრება. მისი აზრითაც, ალექსანდრემ მტრებია წინააღმდეგ დახმარება და მფარველობა სთხოვა მოსკოვს.¹⁹ ეს ყოველად მიუღებელი მოსახრებაა, იგი შემდეგი საუკუნეების ანალოგიის საფუძველზე არის დამყარებული, თუმცა ასეთი მსჯელობა განსვ. ისტორიკოსთა ნაშრომებში არ არის, იქ ყოველგვარ მსჯელობის გარეშეა შემოსხენებული დებულება წამოყენებული. მფარველობისა და დახმარების თხოვნა მოსკოვის მთავრისათვის კახეთის მეფეს არ შეეძლო ამისათვის მაშინ კახეთიდან მოსკოვში არავინ მოიფიქრებდა ელჩების გაგზავნას, იმიტომ რომ წინდაწინ გარკვეული იყო ყველასათვის, რომ მოსკოვი ასე შორეულ მხარეს ვერ მოსწვდებოდა და ვერავითარ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა.

ის გარემოება, რომ მოსკოვის ძლიერების ხმას საქართველომდე უნდა მოედწია, კიდევ არ გვაძლევს საბუთს, რომ შესაძლებლად ვცნოთ მე-15 საუკუნის მოსკოვისათვის მფარველობის და დახმარების თხოვნა. წარმოუდგენელია, რომ ჩვენზე უფრო უკეთ გათვალისწინებული არ ჰქონოდა კახეთის მეფესა და მის მრჩევლებს მოსკოვისაგან მფარველობისა და დახმარების თხოვნის უსაფუძვლობა; კახეთში კარგად იცოდნენ ის მანძილი რომელიც საქართველოსა და მოსკოვის სამთავროს აშორებდა. მე-15 საუკუნეში, კარგად იცოდნენ რომ მოსკოვი მოწყვეტილია საქართველოს მტრულად განწყობილი ხალხებით დასახლებული ტერიტორიებით.

სხვა სახელმწიფოს მფარველობაში შესვლას არც ისე მარტივად წყვეტდნენ ქართველი პოლიტიკოსები, რო-

¹⁸ Карамзин. История госуд. Росийского. 1842 г. т. VI, стр. 143.

¹⁹ ჟურნ. Пастырь. № 14—15, 1888 г. стр. 8—10.

გორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება წარმოედგინოს ვინმემ. მფარველობის თხოვნა, ან ამისდაგვიარე ნაბიჯის გადადგმა, მაშინ იყო მხოლოდ შესაძლებელი, როცა მფარველობის გარანტია მეტად თვალსაჩინოდ ესახებოდათ, იმიტომ რომ ნაკლებ გარანტირებულ მფარველობას, ან თვით მფარველობის თხოვნის ფაქტს, შეიძლება მეზობელი ირანი უფრო გაეღიზიანებინა და უარესი მდგომარეობა შეექმნებოდა კახეთს.

საკმარისი არის მოვიგონოთ მე-16 საუკუნის კახთა მეფეების პოლიტიკა მოსკოვის საბელშეფოსთან ურთიერთობის დროს, რომ ამაში სავსებით დაერწმუნდეთ. კახელი პოლიტიკოსები მე-16 საუკუნის მეორე ნახევარშიაც კი შიშობდნენ ხელი მოეწერათ რუსეთის მფარველობაში შესვლის იურიდიულ აქტზე. მოსკოვის მეფეს ამგვარს არა ერთგვის მომართვაზე, კახეთის მეფე წინასწარ ითხოვდა დამხმარე ჯარის გამოგზავნას და ასეთ რეალურ დახმარების აღმოჩენის შემდეგ ჰპირდებოდა „მფარველობაში“ შესვლის „ფიცის წიგნზე“ ხელის მოწერას. ასე იქცეოდნენ მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მოსკოვის სამეფოს საზღვრები კავკასიონს მოებჯინა, როცა მდ. ვოლგა კასპიის ზღვამდე მოსკოვის ხელთ იყო და როცა ჩერქეზეთში მოსკოვის ხელისუფლებამ ციხე-სიმაგრე ააგო და თავისი გარნიზონი ჩააყენა²⁰. არ არის მართებული მე-15 საუკუნის კახეთის პოლიტიკოსები გულუბრყვილობად წარმო-

²⁰ მე-16 საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ იხ. აკად. ნ. ბერძენიძის ვ. ი. სპეციალური გამოკვლევა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI — XVII საუკუნეთა მიჯნაზე. 1944 წ. საქ. მეცნ. აკად. მასალები. 1944. ნაკვეთი I. გვ. 109-110. ცინცაძის „კახეთის სამეფოს საერთო მოსკოვის სავარყო პოლიტიკაში მე-16 საუკუნეში“.

ვადგინოთ. ამასთანავე მე-16 საუკუნის ანალოგიით მსჯელობა მე-15 საუკუნის მოვლენების ასახსნელად სახეფათო საქმეა.

ალექსანდრე მეფის წერილს ს. ბელოკუროვიც შეეხო. იგი ფიქრობდა, რომ ალექსანდრემ ელჩები მოსკოვში თითქოს იმისათვის გაგზავნა, რათა კახეთის ტახტზე თავისი გამეფება ეცნობებინა, ამ საბაბით იმავე დროს მოსკოვთან კავშირი დაემყარებინა, რათა შემდეგ მოსკოვი ირანთან შუამდგომლად გამოეყვებინა ირანის კახეთზე შემოსევების თავიდან ასაცდენად. ბელოკუროვის მოსაზრებათა პირველი ნაწილი აშკარა გაუგებრობაზეა აღმოცენებული. ალექსანდრე კახთა მეფე 1476 წელს ადის ტახტზე და არა 1491 წელს, როგორც ამას აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის გამოქვეყნებამდე შეცდომით ფიქრობდნენ ბროსე და სხვ. ბელოკუროვის მთელი მსჯელობა, ამ მცდარი თარიღიდან გამომდინარე, მიუღებელი ხდება.²¹ რაც შეეხება მოსკოვ-ირანის მეგობრობას, ჩვენ გვგონია ბელოკუროვმა მეტის-მეტად გააზვიადა მე-15 საუკუნის მოსკოვის ირანთან მეგობრობის ამბავი. ამ დროისათვის მოსკოვი ირანის ურთიერთობის შესახებ ერთი ცნობა გვაქვს მხოლოდ და ისიც იტალიელ ელჩის კონტარინის დღიურში დაცული, რომლიდანაც არაფერი სჩანს, თუ როგორი ურთიერთობა დამყარდა მოსკოვსა და ირანს შორის. ამ ცნობით ვერ გამოვიტანთ ისეთ დასკვნას, რომ მოსკოვ-ირანის დამოკიდებულებას ალექსანდრე კახთა მეფე შეიძლებოდა მიეზიდა და რაიმე ხელაყრელი პერსპექტივები აღეძრა.²²

²¹ С. Белокуров. Снош. России с Кавказом... стр. XXVII — XXVIII...

²² ბელოკუროვის მოსაზრებათა უფრო ვრცელი განხილვა იხ. ქუთაისის პედიანტ. შრომებში. ტ. I, 1940 წ. გვ. 134 — 136.

ალექსანდრე კახთა მეფის ამ ელჩობის მიზანს შეეხო აგრეთვე მ. ბროსეც. ბროსეს აზრით ალექსანდრე მეფემ მოსკოვში ელჩები იმიტომ გაგზავნა, რომ ივანე მეფისათვის 1487 წელს სახანოზე გამარჯვება მიელოცა²². განსვ. მეცნიერის მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის. ყაზანის დამორჩილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ასეთ ფაქტებს თურქეთის გაძლიერებით თავზარდაცემული ქრისტიანული სახელმწიფოები უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ, ამგვარი ამბები სწრაფად და სიხარულით ვრცელდებოდა ქრისტიანულ ქვეყნებში. ალექსანდრე მეფის წერილის ერთ ადგილის მიხედვით საფიქრებელია, რომ კახეთში უკვე იცოდნენ მოსკოველების ყაზანის სახანოზე გამარჯვება და ამ სახანოებს მოსკოვის ზღაპრით დაქვემდებარება. ალექსანდრეს წერილის იმ ნაწილში, სადაც მოსკოვის მთავრის ქება-დიდება არის, სხვათა შორის აღნიშნულია „бедным еси подпора и бесерменом еси надея“ („ლატაკთა დასაყრდენო, მუსლიმანთათვისაც კი იმედო“).

მე-15 საუკუნის მიწურულისათვის ქრისტიანულ სახელმწიფოს მაჰმადიანებზე გამარჯვების შემთხვევაში საქართველოდან მოლოცვის წერილი მართლაც გაგზავნილა — მაგ. ესპანეთში.²³ ამრიგად ბროსეს მოსაზრება არ ეწინააღმდეგება მე-15 საუკუნეში არსებულ მდგომარეობას და შესაძ-

ლებლობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ გამარჯვების მოლოცვა და მოკითხვაც საბაბი უნდა იყოს ამ ფაქტის გაგზავნად, მოლოცვასა და მოკითხვასთან ერთად ელჩებს პოლიტიკური ხასიათის დავალება უნდა ჰქონოდათ.

მე-15 საუკუნეში თურქეთის გაძლიერების შემდეგ რომის პაპმა პიუს 11-ემ ითავა თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნა. ამ საქმეში ქართველი პოლიტიკოსები ჩაებნენ, მაგრამ გეგმა ორმოცდაათიანი წლებისათვის ვერ განხორციელდა. ოთხმოცდაათიანი წლებისათვის თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციაზე კვლავ მუშაობა დაიწყო და ქართველები ისევ გამოეხმაურნენ მას. მოსკოვის მთავარსაც დაეინებით ეპატიებოდნენ ევროპიელი პოლიტიკოსები. მეტის-მეტად საინტერესოა, რომ კონსტანტინე ქართლის მეფის წერილი ესპანეთის დედოფლისადმი, მე-15 საუკუნის რუსულ ენაზე თარგმნილი, ვარშავის მუზეუმშია დაცული. აშკარად ჩანს, რომ ქართველ ელჩს ესპანეთისაკენ რუსეთის გზით უფლია და მოსკოვის მთავრისათვის ესპანეთიდან გაგზავნილი გეგმა გაუცენია.²⁴ შესაძლებელია კახთა მეფის ალექსანდრეს ელჩობას ასეთი მიზანდასახულობა ჰქონდა, მაგრამ გადაჭრით ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ერთი რამ კი უდავო არის. მე-15 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კახეთი მოსკოვს იცნობს. კახეთისავე ინიციატივით მოსკოვი გაეცნო კახეთს და საერთოდ საქართველოს.

²² ბროსეს მოსაზრებანი იხილეთ С. Белокуров, დასახ. ნაშრ. გვ. XXIV.

²³ იხ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ქართველის ისტორია, წ. IV, გვ. 164 — 169.

²⁴ ამის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 164 — 169.

მახვილი ქართულ ლექსში *

1. მახვილის ცნებისათვის. გაბმულს ანუ პრაქტიკულ მეტყველებაში ყოველთვის შეიმჩნევა სიტყვის რომელიმე ხმოვნის მეტი სიძლიერე იმავე სიტყვის დანარჩენ ხმოვნებთან შედარებით. რუსულში, მაგალითად, ამ კანონის დაცვა უწინარეს პირობას წარმოადგენს სიტყვის მნიშვნელობის ათვისების თვალსაზრისით: ბგერების მხრივ ერთნაირ ჯგუფებს მახვილი ანიჭებს ურთიერთისაგან განმასხვავებელ მნიშვნელობას. სიტყვები „Муха“ (ფჭვილი) და „Мука“ (ტანჯვა) გარკვეული აზრის შემცველ ერთეულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევიან, თუ ისინი გამოითქმებიან ენაში განმტკიცებული კანონის შესაბამისად—სამეტყველო ორგანოების მეტი დაჭიმვით მეორე ხმოვნის გამოთქმისას პირველ სიტყვაში (თუ გვინდა ფრანგის კონტექსტში მივიღოთ სემანტიკური ერთეული „ფჭვილი“—„Муха“), ხოლო პირველი ხმოვნის გამოთქმისას—მეორე სიტყვაში (მისაღებად აზრითი ერთეულისა „ტანჯვა“—„Мука“).

ბგერათა გამოთქმის დროს სამეტყველო ორგანოების მოქმედებას ეწოდება არტიკულაცია. არტიკულაციური დაჭიმვის კორელატს კი წარმოადგენს სმენითი შთაბეჭდილება ანუ აკუსტიკა.

სიტყვის მარცვლების იმ ხმოვნებს, რომელნიც მეტყველებაში არტიკულაციურად და აკუსტიკურად არიან გაძლიერებულნი მახვილიანი მარცვლები ეწოდება. მახვილი ანუ აქცენტი სიტყვის ბგერითს და აზრობრივს ფოკუსს შეადგენს და ეწოდება მარცვლის შემადგენელ იმ ხმოვანს, რომელიც სიტყვის დანარჩენ ხმოვნებთან შედარებით ფილტვებიდან ჰაერის ძლიერი ამოშვებით (ანუ ექსპირაციით) გამოითქმის და თვალსაჩინო ხმერებით ხასიათდება. რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ქართულ ენებში მახვილი ექსპირაციულია.

ამრიგად, მახვილის ფაქტორებია:

1) ამოსუნთქვის ძალა ანუ ექსპირაცია და 2) ხმის გამომცემი ქსოვილების დაჭიმვა (არტიკულაცია). ექსპირაციული მახვილისგან მიღებული სმენითი (ანუ აკუსტიკური) შთაბეჭდილება კი არის ხმიერება¹.

* ერთი ოჯი მონოგრაფიიდან „ქართული კლასიკური ლექსი“.

¹ მახვილი (Prosodia, accentus, ударение) და მისი ფაქტორები ვრცლად აქვს განილული ფრ. ხარანს (Deutsche Verslehre, 1907, § 12); უფრო ადრე მახვილის ფიზიოლოგიურ ბუნებას იკვლევდა ედ. ზივერსი (Grundzüge der Lautphysiologie, Lpzg 1876, § 23; Die Arten des Silbenaaccents, p. 113, 118); უახლოესი ლიტ-დან ია. O. Iespersen, Lehrbuch der Phonetik, Lpzg u. Brln 1913², p. 114—119).

თანაზღვროვე რუსულ მეტრიკაში პროსოდის საკითხებს მეცნიერული ფონეტიკის საფუძვე-

მახვილის შემადგენელ ელემენტებად შეიძლება იქცნენ ხმოვნის სიგარძე-სიმოკლე და სიმაღლე. მარცვლის სიგარძე-სიმოკლე ახასიათებს ზვე-კლასიკურ ენებს (ბერძნულს და ლათინურს, აგრეთვე სპარსულს), სადაც მახვილი ჩვეულებრივ გრძელ მარცვლებს მოუდის. ხმოვნის ტონის სიმაღლე კი მუსიკალური მახვილის კუთვნილებაა.²

რუსულსა და გერმანულში ხმოვნის გაგრძელება მახვილიანი მარცვლის ელემენტად გვევლინება. ქართულში გრძელი ხმოვნები არ მოიპოვება, მაგრამ ზოგს შემთხვევაში, და ისიც ინტონაციის ზეგავლენით, ხმოვნის გაგრძელება მახვილის ბუნებრივ ადგილას ემთხვევა ე. ი. ქართული აქცენტი პოტენციურად ითავსებს ამ ელემენტსაც (მაგ. დამოწმებისა და გაზვიადების შემთხვევაში — „დნაღ!“. „უეჭველად!“, დნდი და მისთ.). რიტმის მხრივ კი ქართულ კლასიკურ ლექსში ხმოვნის სიგარძე-სიმოკლის არაერთი კვალი არა ჩანს და თავს იჩენს მხოლოდ, როგორც დეკლამაციური მოვლენა. ლექსის შინაგან სტრუქტურაში ობიექტურად არსებულ ელემენტს იგი არ წარმოადგენს.

ქართულ აქცენტთან დაკავშირებით ხმოვნის გაგრძელების შემთხვევები (—მხოლოდდამხოლოდ გაბმულ მეტყველებაში—) საესებით ადასტურებს ედ. ზივერსის მიერ აღმოჩენილ კანონს, რომლის მიხედვით მახვილიანი ხმოვნის ერთერთ თავისებურებას შეადგენს ის, რომ აქცენტიანი მარცვლის გაგრძელება შეიძლება დაუსრულებლად, უმახვილო მარცვლები (resp. ხმოვნები) კი ამ უნარს მოკლებულნი არიან.

ზოგ ენაში აქცენტს ახასიათებს ტონის სიმაღლე, რომელიც მუსიკალური მახვილის კუთვნილებას შეადგენს. ბერძნულში, მაგალითად, იგი ძირითადი ელემენტია სიტყვიერი მახვილისა. თანამედროვე ენებში (არა ყველაში) მუსიკალური მახვილის თვისებები შეთავსებული აქვს ექსპირაციულ მახვილს (ზარანი, ჟირმუნსკი). ლიტერატურულ ქართულში მუსიკალური მახვილი წმინდა სახით არ გვხვდება, უნდა არსებულიყო ძველს ჰიმნოგრაფიაში, მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ შესწავლილი.

გაბმულ მეტყველებაში, გარდა ცალკეულ სიტყვათა ძირითადი, ექსპირაციული მახვილისა, მნიშვნელოვანია: 1. ლოგიკური მახვილი და 2. ფრაზობრივი მახვილი,

ლოგიკური მახვილი გვხვდება. როგორც ცალკე სიტყვაში, კონტექსტიდან ინტონაციურად გამოყოფილ ერთეულში (შეკითხვის, გაკვირვების და მისთ. ფორმებში), ისე შთელს წინადადებაში (რომელიმე აზრითი მომენტის გასაძლიერებლად). ფრაზის მახვილი კი, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, მარტოდენ წინადადების აქცენტური მწვერვალია.

ლექსის ტაქტში ლოგიკური მახვილი არ იცის. ფრაზის მახვილი კი გაბმულ მეტყველებასა და პროზული აზხაცის რომელიმე უბანში გვხვდება. მხოლოდ დეკლამატორები ტვირთავენ სალექსო ტაქტს ლოგიკური ან ფრაზობრივი მახვილით პოეტური ტექსტის რეჩიტაციის დროს, რადგან ლექსი მათთვის

ლზე სწავლობენ: ბ. ტომაშევსკი (Русское стихо-ложение. 1923, 66—85), ე. ჟირმუნსკი (Введение в метрику, 1925, 90—130), რ. იაკობსონი (О чешском стихе, 1923) და სხვ. ლაბიარულია იაკობსონის განმარტება: „Под ударением (resp. количеством) слова я понимаю ударение (resp. количество), выделяющее один слог (или один слог) слова по сравнению с другими слогами того же слова“ (op. cit., 24 სტოლი).

² ზოგიერთ ენებში მუსიკალური მახვილი სიტყვათა მორფოლოგიურ მნიშვნელობას განსაზღვრავს (იხ. Ж. Вандриес, Язык. 1937, გვ. 80, რუს. თარგ.).



მისი რიტმული ბუნების გაგება ე. ი. გათვალისწინება იმ ეტაპისა, როცა სპლექსო ტაეპი ყალიბდებოდა მახვილების მხრივ ორგანიზებულ პოეტურ სიტყვებში. მეტიც: ქართული რითმიანი ლექსის აღმოცენების დროს მახვილების ლექსული დღემდე არსებითად არაფერი შეცვლილა ჩვენი რეჩიტაციის სფეროში. ამ მოვლენის მიზეზად კი თვითონ ქართული მახვილის კონსერვატიული ბუნება უნდა მივიჩნიოთ.

ქვემოთ ჩვენ უფრო ვრცლად შევიჩერდებით ქართული აქცენტის თავისებურებათა გარშემო.

ენობრივ მასალას, რომელიც ლექსში მეტრისა და რიტმის ზეგავლენას ექვემდებარება და კონსტრუქციად ყალიბდება, წარმოადგენს სიტყვა, როგორც ფონეტიკური ერთეული ანუ ბგერათა გარკვეული ჯგუფი. სიტყვა ცოცხალი მეტყველების ძირითად ელემენტს წარმოადგენს და სანამ ის წინასწარმოცემული რიტმული ნორმის (მეტრის) ზეგავლენით აქცენტურ სისტემაში შემაჯალ წევრად მოგვევლინებოდეს, შეიცავს ნიშნებს, რომელთა შესწავლა და გათვალისწინება აუცილებელია კვლევის საგნად აღებული ლექსწყობის ნაციონალური ხასიათის გასაგებად. ენობრივი მასალის ამ ნიშნებს შეისწავლის პროსოდიკა.

განმტკიცებელია შეხედულება, რომ ქართულში ორ—და სამმარცვლიან სიტყვებს მახვილი მოუდის პირველ ხმოვნებზე, მეტმარცვლიანებს—ბოლოდან მესამეზე. მაგრამ საკითხი ასე მარტივად არ წყდება. ვამოსარკვევია: 1. როგორია ფონეტიკური ხასიათი ერთმარცვლიანი სიტყვებისა ქართულ ენაში და ქართულ კლასიკურ ლექსში; 2. რა თავისებურებანი ემჩნევათ ორ—და მეტმარცვლიან სიტყვებს, აგრეთვე რთულ სიტყვებსა და კომპოზიტებს; 3. როგორია მეტრული ფუნქცია ნახევარხმოვნებისა და დიფთონგებისა ქართულ ლექსში; 4. რით აიხსნება მახვილების გადაადგილება ლექსის ტაეპში და 5. რა ფუნქციით არის აღპურვილი ქართული მეტრული მახვილი ზოგადი ვერსიფიკაციის თვალსაზრისით.

ბევრი ამ საკითხთაგანი დღემდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი.

3. ერთმარცვლიანი სიტყვები. ქართულ ენაში ერთმარცვლიან სიტყვებს მახვილი არ გააჩნიათ. ასეთებია:

1. ნაცვალსახელები: მე, შენ, ის, თქვენ, ვინ, ის, მათ და ა. შ.

2. უარყოფისა და კავშირის ფორმები: არ, ვერ, თუმც, და, როს, რომ და მისთ.

3. ნაწილი რიცხვითი სახელებისა: ერთ—, ორ—, სამ—, ოთხ—, ხუთ—, ექვს—, შვიდ—, რვა—, ცხრა, ათ—.

4. ზოგიერთი საზოგადო სახელები და ერთმარცვლიანი ზმნები: ქალს, კაცს, ჩანს, წეგს, ძლივს, ძეგს, ხნავს, კამს, ვთლი, კლავს და მისთ.

5. ნაწილი შორისდებულთა: ოპ, ჰე (ჰე), ვიშ, გლახ, აპ, ახ და სხვ..

6. ერთმარცვლიანი ნაწილაკები და ზმნიზედა: კი, ხარ, არს, მუნ, იქ, მანდ, აქ, იმ, რა, რად, სად, ზედ, სულ, ზე, ზეაღ და მისთ.

ცალკე აღებულით (ცოცხალს მეტყველებაში) ერთმარცვლიან სიტყვებს მახვილი არა აქვთ, რადგან მათი წარმოთქმის დროს ექსპირაციის ხარისხი დაბალია. ისინი უმეველად უმახვილო მარცვლები არიან. მაგრამ არის შემთხვევები,

როცა ენაში რთული არტიკულაციური ბაზისის მქონე ზოგი ერთხმოვნის სიტყვა ძლიერად გამოითქმის. მაგ.:

გვეწრთნ-ი (-ს), გებრდღენ-ი (-ს), გვერცქენ-ი (-ს) და მისთ. ეროვნული
ენების
მოტანილ სიტყვებში ხმოვანი „ი“ ძლიერად ჟღერს წინა თანხმოვნების წარმოთქმის დროს წარმოშობილი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ. ასეთი „ი“ ხმოვების მხრიავე უფრო ეფექტურია, ვიდრე იგივე ხმოვანი სიტყვებში „იმ“, „იქ“, „ვინ“ და სხვ. ხმოვანთა ბგერითი ხარისხი მაღალია მაგ. ასეთს სიტყვებშია: „სდუმს“, „გრძლად“, „გვერის“, „ჰვერის“, „მვედრის“ და ა. შ.

რაც უფრო მეტია თანხმოვნები ხმოვნის წინ ერთმარცვლიან სიტყვებში, მით უფრო საგრძნობია თვითონ ხმოვნის ექსპირაციული ამპლიტუდა.

რუსული პროსოდია ერთმარცვლიან სიტყვებიდან არჩევს: 1. უმჯველად მახვილიან სიტყვებს. 2. უმჯველად უმახვილო სიტყვებს და 3. მეტრულად ორმაგ (двойственные) სიტყვებს.¹ მახვილიანი ერთმარცვლიანი სიტყვები რუსულში მეტწილად ზნებია. მაგ. *лѣтъ, жръ, връ, жлѣ, шлѣ, ржѣ* და მისთ.² ქართულ ერთმარცვლიან სიტყვას ასეთი მკვეთრი მახვილი არ მოეპოვება, მაგრამ მეტრის ზეგავლენით ლექსში იგი მაინც იძენს მახვილს. მაგ. თუ ერთმარცვლიანი სიტყვა ქორეულ ან დაქტილურ საზომში აქცენტის ადგილას მოხვდა, ხოლო მომიჯნე სიტყვიდან პაუზით არაა გამოყოფილი, უმჯველად იქცევა ტერფით ნავარაუდევ აქცენტურ ერთეულად, ე. ი. მახვილით დაიტვირთება.

მაგ.:

ქსდენ რაჭდრო ცნა
სრულად აზხოცნა (ბესიკი).

ან:

ზაფხული განახლდა
საცემელი თანჭახლდა (გურამიშვილი).

ერთმარცვლიანი სიტყვა, რომელიც სატერფო ნორმის მწვერვალს არ ემთხვევა, მუდამ უმახვილოა.

ეს კანონი, რასაკვირველია, ყველა შემთხვევაზე არ ვრცელდება. კომპლექსები „და ხილად“, „და დილად“ და მისთ. გაბმულ მეტყველებაში დაქტილს არ ჰქმნიან და სქემის თვალსაზრისით ამფიბრაქს (უ'უ) უახლოვდებიან. კავშირის ფორმა „და“ მეტწილად უმახვილოა ხშირად მეტრული მახვილის ადგილზე მოხვედრის დროსაც. იგივე ითქმის ფორმებზე „ის“, „იქ“, „შენ“, „ჰე“ და სხვ. (შდრ. რუსთვ. „ჰე ღმერთო, ქრთო...“). მათი ძლიერი აქცენტური როლი მეტყველებაში ნიველირებულია, ისინი მხოლოდ ლექსში იტვირთებიან საგრძნობი ექსპირაციით.

მეორე პეონური მეტრის (ანუ ოთხმარცვლოვანი ბგერითი ჯგუფებისაგან შედგენილი საზომის) ფარგლებში ერთმარცვლიანი სიტყვები აგრეთვე უმახვილონი რჩებიან, თუ ისინი ტერფის პირველ მარცვალს ჰქმნიან.

¹ В. Жирмунский, Введение... 102

² В. А. Богородицкий, Общий курс русской грамматики, 1935, стр. 186—187.



მაგ.:

„მე რუსთველი ხელრბითა ვიქმ სქმესა ამდარი. (რუსთველი) დიქორულ საზომში კი (იმავე ოთხმარცვლიანი ზგერების შემცველ კომპლექსებისაგან შედგენილ სისტემაში) ერთმარცვლიანი სიტყვები მახვილს იძენენ ტერფის პირველ მარცვალზე. მაგ.:

თმარ წყნარი,
ხმპ ნარ:ნარი,
პბრ მცი:ნარი,
მრუ:ბბარი (ჩახრ.).

ერთმარცვლიან უმახვილო სიტყვას, რომელიც ერთ—, ორ— ან მეტ მარცვლიან მახვილიან სიტყვებს თავში დაერთვის და მთლიან ფონეტიკურ ერთეულს ჰქმნის ეწოდება პროკლიტიკა. მეტრში კი ხშირად ასეთი ფორმები სუსტ მახვილს იძენენ ლექსის საერთო რიტმული იმპულსის ზეგავლენით:

ბრჭანს, მტუთვით,
მტუთვით ღბრსუვარ („მტუთვით ღბრსუვარ, ამაა რომე...“ რუსთველი, 674.)

ნტუგშურს („ნტრა, ნტუგშურს საქონელი...“ რუსთ. 304.)

თქვესტუთ („ზრგთა, თქვესტუთ...“ რუსთ. 100.)

მშტუალარ („მშტუალარ მშტობს ჩვენთანა...“ იქვე 280.)

როცა ერთმარცვლიანი სიტყვა სამმარცვლიანს დაერთვის თავში, იგი უმახვილო რჩება. ამის მაგალითი ზემოთ იყო მოყვანილი („მე რუსთველი...“). ოთხმარცვლიანი სიტყვის წინ დართული ერთმარცვლიანი კი სუსტ მახვილს იძენს. მაგ. რუსთველი.

• „მშტუჩაგვისევენდა, ზნტლსა ვკვრეტთ ღმესა ჩვენქუმთვაროსა“

ორივე შემთხვევის მიმართ ასეთი გამონაკლისებია:

1. „რ ა ტ ე ს მ ო დ ი ს მღერა ყმისა...“
2. „რ ა ტ უ ა მ ე ა პირისპირ საყურელისა ჰვრეტისა“ (რუსთ. 484)
„რ ა ტ მ რ ი ს მ უ ი წეს, ყველაი...“ (იქვე 175)
„რ ა ტ გ ი ზ ა რ დ ა, გაიესო...“ (იქვე)
„თ ვ ი თ ტ მ ტ ო მ ა რ ი უებრო, კვლ ა ტ მ რ უ ბ ა რ ი წყლიანი“ (32)

როგორც ვხედავთ: სამმარცვლიანი სიტყვების წინ დართული ერთმარცვლიანი სიტყვა მხოლოდ მაშინ იძენს მახვილს, როცა ის ხმოვნით თავდება და ხმოვნითვე დაწყებულ ძირითად სიტყვას შეერწყმის, ხოლო ოთხმარცვლიანი სიტყვის წინ დართული ერთმარცვლიანი სიტყვა მაშინ რჩება უმახვილოდ (სრულ პროკლიტიკად), როცა მთელი კომპლექსის (მაგ. „რაატამეა“) მესამე და მეოთხე მარცვლის ხმოვნები ერთმანეთისაგან თანხმოვნებით არაა გათიშული ე. ი. ქართულში შეიძლება სრული პროკლიტიკები და არასრული ანუ სუსტმახვილიანი პროკლიტიკები.¹

¹ ს. გორგაძეს შენიშნული აქვს პირველი გამონაკლისის შემთხვევები („ქართული ლექსი“, 1930, გვ. 6—7: „რანჭიკეადა“, „ნჭუციანი“ და სხვ.), მაგრამ მკვლევარს სრულიად არ მიუქცევია ყურადღება მეორე გამონაკლისის მაგალითებისათვის და ხუთმარცვლიან კომპლექსებში ის მარტოდენ ორ მახვილს აღწერს („ნჭუჭუნარები“, „პრჭლაგძინოს“ და სხვ. (იქვე).

რუსულში სრული პროკლიტიკის ნიმუშებია: на полу, я думаю, но не знаю და სხვ.¹

ქართულში ხეთმარცვლიანი სიტყვის წინ დართული პროკლიტიკების მახვილიანია.

ერთმარცვლიან სიტყვებს, რომელნიც ორ-და მეტმარცვლიანებს ბოლოში დაერთვის ენკლიტიკა ეწოდებათ. მაგ.:

მართლაცადა, თუნდაცაჲს და მრ. მისთ.

ქართულში ენკლიტიკები უმახვილო ფორმებია და მათი ექსპირაციულად გაძლიერების ძალიან იშვიათი შემთხვევა სალექსო ტაეპში მახვილთა რეგრესული გადაადგილების შედეგია (იხ. № 13).

რუსული ენკლიტიკის მაგალითებია: стало быть, где вы, скажу вам და სხვ.²

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ გაბმულ მეტყველებასა და პროზაში სრული პროკლიტიკები სქარბობენ, ქართულ ლექსში კი—არასრული პროკლიტიკები. აზრის ყოველდღიური გადაცემის დროს (ან პროზაში), როცა სიტყვა მართოდენ კომუნიკაციური ფუნქციით არის აღჭურვილი, ძირითადი სიტყვები ინარჩუნებენ მახვილს, ხოლო წინდართული ერთმარცვლიანი სიტყვები უმახვილონი რჩებიან. ავიღოთ ასეთი გამოთქმა:

ამ ბენისს, ან ბელისს, მე წაველ...

ლექსში კი ეს სტრიქონი რიტმისა და მეტრის ზეგავლენით ე. წ. „დაქტილურ ტრიმეტრად“ იქცევა და სკანდირებული იქნება, როგორც

ამჭიენისს, მჭიელისს მეჭაველ...

შდრ. გ. ტაბიძე:

მჭიენისს, მჭიენისს, მჭიელისს 333

გადირეკს ნოემბრის ბაღები 333

ეს ტაეპები (და მთელი სტროფიც ლექსისა) სამეტრფიანი დაქტილური საზომითაა დაწერილი და შესაფერი რიტმული აქცენტუაცია უმახვილო ერთმარცვლიან ფორმებს („ამ“)—მეტრული მახვილების ადგილზე მათი მოხვედრის გამო—არასრულ პროკლიტიკებად აქცევს, ხოლო ძირითად სიტყვებს მახვილებს უკარგავს.

4. **ორმარცვლიანი სიტყვები.** ქართულ ორმარცვლიან სიტყვებში მახვილი პირველ მარცვლებზე ზის.

მაგ.:

მამა, დედა, ტეცხლი, ბყო, დრდი. კარგი, კაცი, მრდის, ჭბვი, მზღვარი, სხვა, სწერდა, ანგრევს, შტა და მისთ.

სიტყვის უკანასკნელი ხმოვნის გაძლიერებას შეუძლია ქართული მეტყველებისათვის ორგანიულად უკუო აქცენტუაცია დაბადოს. ეს იქნებოდა ძალდატანება ბუნებრივ ინტონაციისზე. შეუძლებელია გამოვთქვათ „მამა“, დედა“

¹ Б. Томашевский, Русское стихосложение, стр. 67.

² Томашевский, op. cit., стр. 67.

და ა. შ. ჩენს სმენას ყოველთვის ეწოთირება უცხოელის მიერ ქართულ სიტყვების (და მათ შორის ორმარცვლიანთა) გამოთქმა აღმავალი რიტმით (მაგ. „კაცრ“ და სხვ.).

ქართული ლექსის საზომში ორმარცვლიანი სიტყვების თანმიმდევრობა მახვილიან და უმახვილო ხმოვანთა ურთიერთმონაცვლეობის ქორეულ სისტემას ჰქმნის, მაგ. რუსთვ.:

ბრცა კრბი, კრბად უჩანს, ბრცა ლხბნი ზედა-ზედი.

რუსულში ორმარცვლიანი სიტყვები ქორეული და იამბურია (მაგ. Дядя და Орёл). ქართულში იამბური საზომით არც ერთი ლექსი არ დაწერილა, რადგან ამის შესაძლებლობას არ იძლევა თვითონ ენის ფონოლოგიური ბუნება.

ორმახვილიან სიტყვათაგან უნდა გამოიყოს ერთად მოხვედრილი და ერთნაირხმოვნიანი სიტყვები, რომლებშიაც პირველი ხმოვანი მეორე (მიმდევნო) ხმოვანთან შედარებით უფრო გრძლად ისმის და ლექსის რიტმის თვალსაზრისით შესაძლებლობას ჰქმნის საზომის ტერფის დასახლოვებლად რეჩიტატიულ ტაქტთან. ასეთებია ფორმები:

„ჭრჭ“, „სხვან“, „დროჭ“. „ზუჭებრ“ და მისთ.

შდრ.:

„იგი სხვან, სიძვა სხვან შუა უზის დიდი მზღვარი“ (რუსთ).

ან:

„შევხედენ, დავჭკრთი ელვასა ლაწვთა მზღებრ ნათელთასა“ (რუსთ.).

შდრ.:

ატმის რტრჭ, დაღალულო რტრჭ

ატმის რტრჭ, სიმშვიდეა შორი. (გ. ტაბიძე).

ქართულ ლექსში ასეთი პროსოდიული ნუანსები შემთხვევითია და არაიეს უცდია მისი გამოყენება ვრცელ რიტმულ პერიოდში—სტროფში (ერთადერთი გამონაკლისი გვხვდება გ. ტაბიძესთან).

5. სამმარცვლიანი სიტყვები. ქართულში სამმარცვლიან სიტყვებს მახვილი პირველ მარცვალზე მოუღის. დაქტილური მახვილი ყველაზე ძლიერია (ექსპირაციულად) ლიტერატურულ ქართულში. მაგ.:

მღბალი, თამარი, შრუგო, მისწერა, მრანალი, სვრანი, მსტბუქი, პირველი, მახვილი, სიტყვები, მირბოდა, აკეთებს და ა. შ.

გამხულ შეტყვევებაში არცერთი ამ სიტყვის გამოთქმა არ შეიძლება მეორე ან მესამე მარცვალის გაძლიერებით. წარმოუდგენელია ასეთი აქცენტუაცია:

7. „მნათობი“, № 9.

„მდაბალი“ ან „მდაბალდ“, „მიუგო“ ან „მიუგო“, „მრავალი“ ან „მრავალდ“
 „მირბრდა“ ან „მირბოდ“ და სხვ.

ეს კანონი ვრცელდება ყველა სამმარცვლიან სიტყვაზე, თუ ის ლოგიკური ზედა ხეილის რაიმე კაპრიზს არ ემორჩილება.

სამმარცვლიანი სიტყვები ქართული ლექსის საზომში ჰქმნიან დაქტილური -ტერფების* თანმიმდევრობას ანუ მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი ურთიერთმონაცვლეობის დაქტილურ კანონს (თვითთული მახვილის შემდეგ ორ-ორი უმახვილო მარცვალი).

რუსულში სამმარცვლიან სიტყვებს შეუძლიათ შეადგინონ დაქტილური (სს), ამფიბრაქული (ს'ს) და ანაპესტური (სს') საზომები, რადგან ასეთს სიტყვებში მახვილი დინამიკურია („за́ступом“, „глу́бский“, „челове́к“). მეტრების რამდენიმე მაგალითი:

А. В́ирита за́ступом я́ма глу́бкая (ნიკიტინი)

Б. По с́иним волна́м оке́ана (ლერмонტოვი)†

А. 'სს 'სს 'სს

Б. სს სს სს

პირველი ტაეპი დაქტილურია, მეორე — ამფიბრაქული. ანაპესტური ტაეპი (ორტერფიანი) კი ასეთი იქნება:

Посмотр́и как'шешу́ (ფეტი).

სს' სს'

ქართულ ლექსში სამმარცვლიანი სიტყვები (ან ისეთი ქომპლექსები, რომლებშიაც ორმარცვლიანი სიტყვები პროკლიტიკებთან ას ენკლიტიკებთან არიან გაერთიანებულნი, მაგ. „ამჭიენისს“ ან „მართლაც-და“) მხოლოდ და მხოლოდ დაქტილურ საზომს შეადგენენ. ამფიბრაქული კომპლექსებიც, რომლებიც გაბმულ მეტყველებაში გვხვდებიან, ლექსში მეტწილად დაქტილებად გვევლინებიან მეტრის ზეგავლენით ე. ი. პროზული ამფიბრაქი ლექსში პროსოდულ დაქტილად იქცევა (მაგალითები იხ. ზემოთ). გამონაკლისები მუდამ შემთხვევითია და კანონზე არ მიუთითებს.

ანაპესტური მეტრი კი ქართულ ლექსში თეორიულადაც წარმოუდგენელია.

6. ოთხმარცვლიანი სიტყვები. ქართულში ოთხმარცვლიან სიტყვებს მახვილი ბოლოდან მესამე ხმოვანზე მოუდის. მაგ.:

მიჯნურობა, გაგულისდა, ასპარეზი, როსტქვანი, სამღერელად, ანაფრენი, სიმწარითა, ადრადა და ა. შ.

ეს სიტყვები საზომის სქემის თვალსაზრისით მეორე პეონს (ს'სს) წარმოადგენენ.

თუ ოთხმარცვლიანი სიტყვის დასაწყისში ორი ხმოვანი ერთმანეთისაგან არაა გათიშული თანხმოვნით, მახვილი პირველ მარცვალზე გადაინაცვლებს და საზომში პირველი პეონის (სსს) სახეს მიიღებს. ასეთი სიტყვებია:

* Б. А. Богородицкий, Фонетика русского языка в свете экспериментальных данных, Казань 1930, стр. 320 (гл. IX. Стихотворная ритмика по экспериментальным данным, 320—329).



მრუსაფარს, მრუსმინა, ჭებარი,
შეიძლება, დასუდეგარს, ჩეჭულება,
მრუგებენ, მრუხედება, დასუფყარს და მრ. მისთ.

ხმოვნების ჯგუფები „იუ“, „ეი“, „ოუ“, „ეუ“ დიფთონგები კი არაა (მსგავსად რუსული ио-სა ან и-სი), არამედ მარცვლების შემადგენელი ხმოვნები. ამიტომაც მახვილი მათ პირველ ხმოვანზე მოუდისთ. მიუხედავად ამისა, მთლიანად პირველი პეონით დაწერილი არც ერთი ტაეპი არაა ცნობილი ქართულ ლექსში, თუმცა თეორიულად იგი დასაშვებია.

სტროფში ან ტაეპში, რომელშიაც დიქორული საზომის რიტმული ინერცია სკარბობს, ოთხმარცვლიანი სიტყვები (ან პროკლიტიკიანი სამმარცვლიანი სიტყვები) ხშირად ორი ხელოვნური აქცენტით წარმოითქვიან—პირველი მახვილით პირველ მარცვალზე და მეორე მახვილით ბოლოდან მეორე მარცვალზე. მაგ.:

„ოთმარ წყნარი, ხმაქნარი:ნარი პირქმცი:ნარი მრუ:ბარი“ (ჩახრ.),

ასეთი სკანდირება ძალზე ხელოვნურია და ცოცხალი რიტმული ინტონაცია მას წინააღმდეგობას უწევს. ასე, რუსთველის პოემაში ოთხმარცვლიანი სიტყვები ან ერთმარცვლიან პროკლიტიკებთან გაერთიანებული სამმარცვლიანი სიტყვები თავიანთ ბუნებრივ ანუ დაქტილურ მახვილს ინარჩუნებენ. მაგ.:

„შვე დბეჯე | ნა დ რ მ ა დ ვ ე | ჩემნი სწორნი | სანა სმინდეს“

ან:

„ნახეს ჭებო | მრყე ვინმე | ჯ და ქ მ ტ რ ა ლ ი | წყლისა პირსა“ (რუსთ.).
და მრ. სხე.

აკად. ნ. მარის მიერ წარმოდგენილი წაკითხვა ოთხმარცვლიანი (და სამმარცვლიანი) სიტყვებისა „paenultima მახვილებით“ (ე. ი. ბოლოდან მეორე მარცვალზე ხმოვნის გაძლიერებით), მეტრული სკანდირების საფუძველზე უნდა იქნეს განხილული; აქცენტუაციის ეს კანონი არ უნდა გავავრცელოთ გაბმულ მეტყველებაზე ან პროზად დაწერილ ნაწარმოებთა სიტყვებზე; ნ. მარის შრომაში კი ამგვარი ტენდენცია შეინიშნება.¹

7. ხუთმარცვლიანი სიტყვები. ესენი ატარებენ ერთ ძირითად მახვილს (დაქტილურს) ბოლოდან მესამე მარცვალზე და მეორე ხარისხოვანს, უფრო სუსტ ანუ დამატებით მახვილს, დასაწყისში (პირველ მარცვალზე). მაგ.:

მრუსაფარი, დეფყებული,
ჟანანსკნელი, დაუმტბრაღია,
შემოღებული, ჟსაპრონი და მრ. სხე.

მეტრული სქემის თვალსაზრისით ასეთი სიტყვები გამოიხატება შემდეგი გრაფიკული ნიშნებით 'ს'სს (ქორექდაქტილი).

¹ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л.-д. 1925, стр. 13.

გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი ხუთმარცვლიანი სიტყვა, რომლის შესამე და მეოთხე ბოლოდან ხმოვანი ერთად არიან თავმოყრილი. ასეთი სიტყვები ლევა სქემას $ა'ა'ა'ა'$; მაგ., „ქედმარუხრელი“ და მისთ.

კომპლექსი „მარადჭდაჭმარად“ ($ა'ა'ა'$) აგრეთვე შეიძლება წავიკითხოთ, როგორც „მარადღამარად“, იმისდამიხედვით, თუ როგორია ტაეპის საერთო რიტმული იმპულსი.

მაშასადამე:

როცა ქართულში სიტყვების ხმოვანთა შედგენილობა ოთხმარცვალს სჭარბობს, ისმის საკითხი მეორე, დამატებითი ანუ მეორეხარისხოვანი მახვილისა. ძირითადია დაქტილური მახვილი (ბოლოდან მესამე მარცვალზე), უფრო სუსტია პირველი, დამატებითი მახვილი, რომლის ექსპირაციული და აქუსტიკური ხარისხი საერთოდ ორმარცვლიანი სიტყვების აქცენტურ ინტენსივობას უდრის. ამიტომაც, რომ ქართული ლექსის დიპოდურ მუხლებში, რომელნიც მეტწილად ხუთმარცვალს შეადგენენ, შთლიანი სიტყვის ბადალ გვეყვებად ორმარცვლიან და სამმარცვლიან სიტყვათა შენაერთი გვევლინება. მაგ-

„მქღარ შქმსუდრონ | დაზრდილთა | და ვერცა | მისან: დობელ-
მან“ (რუსთ).

როცა ხუთმარცვლიანი სიტყვა ერთმახვილიანია (ტიპიური მაგალითი „ქედმარუხრელი“), მაშინ ძირითადი აქცენტი აღჭურვილია დამატებითი მახვილის უფლებითაც, ხოლო ეს უკანასკნელი სავსებით იკარგება.

ქართულ ენასა და ლექსში მახვილთა შედარებითი სიძლიერის გამოა რომ ე. წ. „მაღალი შაირი“ (ანუ მეორე პეონებისაგან შემდგარი ოთხტერფიანი ტაეპი) თავის ჩარჩოში (როგორც ტაეპის გასწვრივ, ისე სტროფში) დიქორულ ტერფებს ითმენს: ოთხი ძლიერი დაქტილური მახვილის შემცველი ტაეპების გვერდით ასატანი ჭდება რვა დამატებითი, მეორე ხარისხოვანი მახვილების მქონე ტაეპებიც. მაგ. მაღალი შაირით დაწერილ სტროფებში შესაძლებელია შეთავსება ასეთი, ურთიერთისაგან განსხვავებული, აქცენტუაციის მქონე ტაეპებისა:

ა. გაგტცხადა დამალული გონებამან დაფარულმან

ბ. არცა ვირი ვირად უჩანს არცა ლხინი ზედა-ზედი (რუსთ.).

პირველ ტაეპში ოთხი ძლიერი მახვილია, მეორეში—ნაკლებ ძლიერი რვა მახვილი.

ქართულში მეორე ხარისხოვანი მახვილის უარყოფა არა თუ სრულს არეგდარეგვს შეიტანს ჩვენს მეტრიკაში, არამედ გაუგებარს გახდის მთელ რიგ რიტმულ მოვლენებს ქართული ლექსის შინაგან სტრუქტურაში.

8. ექვსმარცვლიანი სიტყვები. ამით მახვილი მოუღისთ—ერთი ბოლოდან შესამეზე, მეორე კი—პირველ მარცვალზე (თავში). ორივე მახვილი დაქტილური, ძლიერია. მაგ.:

გაუმართლქბელი, გაუსწორქბელი, გააკეთებინა და მისთ.

საზომის ზეგაუღენით ლექსში ისინი ორი დაქტილის (‘სს‘სს) შეერთებას წარმოადგენენ. მაგ.:

„სპანდიატრსთანა შვილი ო შენ გამოსწყვიტე სპათაგან“ (შაჰნამე, II).

სიტყვაში „გზაბნეულია“ ძირითადი მახვილი ზის ბოლოდან მეოთხე მარცვალზე (მესამე და მეოთხე ხმოვნების ერთად თავმოყრის გამო მახვილმა ადგილი მოიცვალა სიტყვის დასაწყისის მიმართულებით, რის გამო მეორე დაქტილური მახვილი ქორეულ მახვილად აქცია და ხარისხობრივადაც დაასუსტა). გრაფიკული სქემა ასეთი სიტყვებისა შემდეგია: ‘სს‘სს ე. ი. ქორექპირველი პეონი.

ქართულ კლასიკურ ლექსში ასეთი სიტყვებისაგან შედგენილი ტაგებები ჩვენთვის უცნობია.

9. შვიდ—და მეტმარცვლიანი სიტყვები ქართულში, და მით უფრო ლექსში, იშვიათია და მეტწილად ზმნის ან ზმნიზედის სახით არსებობენ. ყველა შვიდმარცვლიან სიტყვას ჩვეულებრივ მახვილი ბოლოდან შესამე მარცვალზე მოუღის. უფრო სუსტი, მეორე ანუ დამატებითი მახვილი პირველ მარცვალზე ზის. მაგ.:

თვდავიწყებულია (7 მარც.)
ბრაჩვეულებრივი (7 მ.) და სხვ.

ძირითადი მახვილი ასეთს სიტყვებში თავდაპირველ ადგილს გამოიცვლის შათი სილაბურად გაზრდის შემთხვევაში. მაგ.

თვდავიწყებულ რაო (8 მარც.)
ბრაჩვეულებრივი რა (8 მარც.)
ბრაჩვეულებრივი რაო (9 მარც.).

სიტყვების დაქტილური კადენცია უცვლელია, მაგრამ თვითონ აქცენტის საყრდენი ხმოვნის ადგილი მერყეობს.

ქართულ კლასიკურ ლექსში შვიდ—, რვა— და ცხრამარცვლიანი სიტყვების არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი და აქ მოტანილი მაგალითები გაბმული მეტყველების აქცენტუაციის თვალსაზრისით განვიხილეთ.

ყოველივე ზემოთ თქმული ცხადყოფს ქართულ მეტყველებაში გაბატონებულ დაქტილურ კანონს. ქართული ენა დაქტილურია და ეს პრინციპი ჩვენი მეტყველების ბერზემალს წარმოადგენს. სწორედ ამის გამოა, რომ ქართული მახვილი პირვანდელ ადგილს იცვლის, როცა სიტყვა გრამატიკული მიმოხრის წყალობით გაიზრდება ან შეიკვეცება მარცვლების რაოდენობის მხრივ. დაქტილურობა კონსერვატიულ ელფერს ანიჭებს ქართული სიტყვების სკანდირებას, მაგრამ, მეორეს მხრივ, მახვილის ადგილსაც არყევს.



საქართველოს
წიგლისწამყვანთა
კავშირი

აგილოთ სიტყვა „მარგალიტს:“

მარგალიტს, მარგალიტი, მარგალიტია, მარგალიტბაო;

ან კიდევ—პეონური ოთხმარცვლიანი სიტყვა „დაუდგვარს:“
დაუდგვარს, დაუდგვარი, დაუდგვარია, დაუდგვარბაო;

აქცენტი ადგილს იცვლის სიტყვის სილაბური გაზრდის შემთხვევაში იმის გამო, რომ ქართულ მეტყველებაში გაბატონებული დაქტილური კადენცია ურყევი კანონის უფლებით არის აღჭურვილი. მაშასადამე: ქართული მახვილი ორმაგი ბუნებისაა—იგი კონსერვატიულია, რამდენადაც მუდამ ისწრაფის დაქტილური მახვილის წონის შექმნისაკენ (ენკლიტიკებიც ყოველთვის სრულია), ხოლო თავისთავად ფიქსირებული არაა, რადგან თავისი ბუნების მხილების დროს გადაადგილდება (თუ სიტყვა სილაბურად გაიზრდება ან დამოკლდება) ე. ი. ჰჰარგავს იმ ადგილს, რომელიც თავდაპირველად ჰჰონდა მას სიტყვაში, როგორც გრამატიკულ ერთეულში. მაშასადამე, ქართული აქცენტის აღიარება ტიპურ დინამიკურ ანუ მოძრავ მახვილად ისევე შეუძლებელია, როგორც მისი მიჩნევა ტიპურ ფიქსირებულ ანუ უძრავ მახვილად.

ასეთია ჩვენი პროსოდიის ხასიათი და თავისებურება. ქართული მრავალმარცვლიანი სიტყვები შინაგანი აუცილებლობით გამოითქვიან დაქტილური კადენციით და ამ კანონის დაცვა აშხელს ქართული ლექსების სკანდირების თავისებურებასაც.

10. კომპოზიტები. შერწყმული სიტყვები.¹ ორ — და სამმარცვლიან კომპოზიტებსა თუ შერწყმულ სიტყვებში მახვილი პირველ მარცვალზე ზის. მაგ.:

დაქძმა, სმქძმა, სხლქკარი, თბქთავი, დქქძმა, სქლქძმათი, სქლქმოკლე და ა. შ.

ქართულ ლექსში ისინი უძველესად ამგვარი სკანდირებით გამოითქვიან. ოთხმარცვლიან კომპოზიტთა აქცენტუაცია ორგვარია—დიქორული (‘‘‘‘) და მეორე პეონური (‘‘‘‘):

მაგ.: 1) ზგზო-ზველოდ ან 2) ზგზრ-ზველოდ
მმმა-პპპა „ მამპ-პაპა.
წტრა-კრთხვა „ წტრა-კითხვა და ა. შ.

ქართულ მეტყველებაში სჭარბობს პირველი სახის სკანდირება, ლექსში კი ორივე თანაბარუფლებიანია; თუ ოთხმარცვლიანი კომპოზიტი (ორმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი) ტაეპში მეორე პეონის ადგილას მოხვდა უძველესად ერთი მახვილი წაიკითხება.

შდრ. „მირბის, მიმაფრენს, | ზგზრ-ზველოდ | ჩემი მერანი“ (ბარ.)

¹ ქართული კომპოზიტებისა და შერწყმული სიტყვების დახასიათება იხ. ა. შანიძის მონოგრაფიაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“. ნაკვეთი I, თბილისი, 1942, 67—144; მაგალითების უმრავლესობა ამ მონოგრაფიიდან არის მოყვანილი.

ასევე წაიკითხება ორივე შემთხვევაში ოთხმარცვლიანი კომპოზიტო, რომლის შემადგენელი პირველი სიტყვა ერთმარცვლიანია, მეორე კი ორმარცვლიანი. მაგ. სმა-ჰმისა, სახლ-კარისა, თვალ-წარმტაცი, გულ-წამტყუნი და მისთ. შდრ.

«ტანო ტატანო | გულ - წამტანო | უცხოდ მარებო» (პეიაძე)

ასეთი კომპოზიტების ბუნებრივ სკანდირებაზე დიქორული ინერცია იშვიათად ახდენს გავლენას.

ოთხმარცვლიანი კომპოზიტები (ფორმისა 2+2) დიქორულ საზომში ორი მახვილით წაიკითხება:

«არცა ჰბრი ჰბრად ჰჩანს, არცა ლხინი ზქდა - ზქდი» (რუსთველი).

ხუთმარცვლიანი კომპოზიტები თუ შერწყმული სიტყვები ჩვეულებრივ გამოითქვიან ორი მახვილით: ძლიერი, დაქტილური მახვილით ბოლოდან შესამე მარცვალზე და უფრო სუსტი, დამატებითი მახვილით პირველ მარცვალზე (თავში):

ტრლ-ამხანაგი, ტანჯვა-წვანება, მამა-პაპური, სწორუპრავარი, მამა-შვილური და ა. შ;

სამ—და ხუთმარცვლიან კომპოზიტთა ასეთი სკანდირების კარგს ილუსტრაციას წარმოადგენს რუსთველის შემდეგი ტაეპი:

«ზურგით უთქს ჯარი ხადუმთა დას - დასად, ტბან - ტბანი.»

მეტმარცვლიან კომპოზიტთა და შერწყმულ სიტყვათა სკანდირება სწარმოებს იმავე წესით, როგორც ჩვეულებრივ ექვს—და მეტმარცვლიანი სიტყვებისა, ყველა იმ გადახვევათა გათვალისწინებით, რომლებიც თავ-თავის ადგილას გვქონდა აღნუსხული (გაიხსენეთ, მაგ. წარმოთქმა სიტყვისა «ქედმრუხრელი (ა,—ო)»—და სხვ.).

11. დიფთონგები. ნახევარხმოვნები. ძველ ქართულში გვაქვს დიფთონგები და ნახევარხმოვნები.

დიფთონგებია: *ჲ* (ჲა), *ჳ* (ჳი), *ჴ* (წაიკითხული როგორც რა)¹;

ნახევარხმოვნებია: *უ* (მაგ. კომპლექსებში «ჩუნწ კულწე», და მისთ.) და *ჟ* (იოტა).

ნახევარი რკალი «ჟ» მარცვლის შემდგენელი ხმოვანია, ურკალოდ დატოვებული ბგერა კი—ნახევარხმოვანია, ანუ უმარცვლო ბგერა.

დიფთონგები მთლიანად ქმნიდნენ ერთმარცვალს, ნახევარხმოვნები კი უმარცვლო ბგერებია.² ზოგი ამათვანი ახალქართულშიაც იხმარება (მაგ. იოტა).

დიფთონგებიცა და ნახევარხმოვნებიც რუდიმენტების სახითაა შემორჩენილი ალორძინებისა და ე. წ. «გარდამავალი ხანის» მწერალთა პოეტურ ნაწარმოებებში. მაგ. თეკლე ბატონიშვილი ერთს თავის ლექსში—«რომელთაგან მქონ-

¹ ვრცლად იხ. ა. შანიძე Op. cit., 16—17.
² ibidem.

და სიამე შეების ხმაზედ—აქეს შემდეგი თერთმეტმარცვლიანი ბუნდოვანი ტაეპი:

გვაქეს ნუგეშად | მან მხოლოდ | ვარდითა (7₂)

ეროვნული
ზინჯილითქა

უმარცვლო ნახევარხმოვანი ა (იოტა) აქ მარცვლის ფუნქციას ასრულებს სა-
ზომის ზეგავლენით.

დიფთონგიან სიტყვებში „შუენიერი“, „სამშუილდე“, „გუილირს“, „კულაე“
და მისთ. ნახევარხმოვნები (ლაბიალური „უ“) მარცვლებს არ ჰქმნიან და არც
ლექსის სილაბურ სათვალავში იგულისხმებიან დამოუკიდებელ, მარცვლის
წარმოშობა ხმოვნებად. ამ მხრივ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი თუ მოგვე-
პოვება საერთო წესიდან გადახვევისა. ასე, მაგ. დავით გურამიშვილი სილაბის
უფლებით აღჭურავს ნახევარხმოვანს ერთს ტაეპში (რეამარცვლიან ქორეულ
მონომეტრში):

ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის (8)

კულაე აღარ ჩაიდინოს (8)

უმარცვლო „უ“ სიტყვაში „კულაე“ მარცვალს ჰქმნის, მაგრამ აქაც მხო-
ლოდდამხოლოდ მეტრული ნორმის ძლიერი ინერციის წყალობით. იგივე ნა-
ხევარხმოვანი სრულიად არაა სილაბურად გათვალისწინებული მაგ. მირიან
ბატონიშვილის მიერ (ლექსში „ოდეს გნახე“ 3₁₋₂):

გშუენიან ბნდის ხნლები (8 მარც.)

მჭურტტელთა შტმაშალები (8 მარც.).

როგორც ვხედავთ, მეტრული მახვილი ამ ტაეპში ლაბიალურ ნახევარხმო-
ვანს („უ“) არ მოუდის და ტაეპის სილაბურ შემადგენლობაში იგი მარცვლად
არ ირიცხება.

საწინააღმდეგო მოვლენები კი ახალმა სალიტერატურო ქართულმა ენამ
და პოეზიამ სრულიად არ იცის.

საერთოდ კი, ქართულში გრაფიკა წარმოთქმას ემთხვევა. ქართულში რამ-
დენი ხმოვანიცაა, იმდენი მარცვლია. მსგავსად ფრანგულისა ამ უკანასკნელი-
სათვის დიფთონგები სრულიად უცნობია. ცნობილი ფონეტისტის აკად. ლ. ვ.
შჩერბას გამოკვლევის თანახმად, ფრანგულ გრამატიკაში დიფთონგებს უწო-
დებენ შეხამებად *au, ae, oi, ue, ui, ia, io* და მისთ. „მაგრამ ეს ეხება გრაფიკას
და არა წარმოთქმას, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თანხმოვან
სონანტებთან და არა ხმოვნებთან *wa, wi* და ა. შ. ამ მოსაზრებას დამოუ-
კიდებლად ადასტურებს გრამონიცი, ფრანგული ენის ფონეტიკისა და
ვერსიფიკაციის გამოჩენილი მკვლევარი.

ქართული ხმოვნების სილაბური პოტენციულობის საბუთს ისიც წარმოად-
გენს, რომ ქართულ ლექსში შესაძლებელია ოთხმარცვლიანი კომპლექსი ერთი
თანხმოვნით, რომელშიაც ყველა ხმოვნები სრულ მარცვლებს ჰქმნიან. მაგ.
რუსთველი (866₄):

„თქვა: „უცილოდ | იგრაო | არად უნდა | ამას ცილი“.

დაყოფილ სიტყვაში („იგიაო“) მხოლოდ ბოლოდან მეოთხე ბგერაა ჩან-
ხმოვანი, მარცვლების შემადგენელ ხმოვანთაგან კი არც ერთი ფრეკველენება
დიფთონგად ან ნახევარხმოვნად.

ნიკოლოზიძე

ამავე კანონს იცავს ქართული გაბმული მეტყველებაც.

12. აქცენტოლოგიური პარადელები. „რუსულ მახვილს ის თვისება აქვს, რომ აერთიანებს, აორგანიზებს უმახვილო მარცვლების დიდს რაოდენობას. ისეთი სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, *человеконенавистничество* ერთი მახვილით მეოთხე მარცვალზე, წარმოუდგენელია სხვა ენაში“.¹ რუსულ მეტყველებაში თვითნაყოფი სიტყვა უმეტესად სიტყვიერი მახვილით გამოიყოფა და მდგომარეობას არ ცვლის ის გარემოება, რომ არსებობს [გარკვეული რიცხვი უმახვილო სიტყვებისაც (ენკლიტიკები, უმთავრესად პროკლიტიკები)]. „პარაფერი ანალოგიური არ მოგვეპოვება ფრანგულში,—სწერს ლ. ვ. შნერბა,—იქ მახვილით იტვირთებიან არა სიტყვები, არამედ სიტყვათა ჯგუფები, მეტყველების პროცესში რომ გამოხატავენ ერთს აზრობრივ მთელს. თანაც მახვილი დაისმის ჯგუფის უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელ მარცვალზე, თუ ის არ შეიცავს ეგრეთწოდებულ *e neut-s...*“ ამრიგად, ფრანგულში ჩვენ არასგზით არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სიტყვიერ მახვილზე, უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ „ფრაზობრივ მახვილზე“, რომელსაც შემდეგში ვუწოდებთ „რიტმულ მახვილს.“²

რ. იაკობსონი იმოწმებს კ. ფოსლერს და აღნიშნავს, რომ ფრანგულ სიტყვათშეხამებაში მახვილი ფიქსირებულია³ და რომ იქ (ფრანგულში), სადაც ენკლიტიკები არსებობენ, „არ შეუძლიათ თანაბრსებობა ბოლომახვილიან სიტყვიერ ერთეულებსა და მახვილის სხვა ადგილმდებარეობის მქონე სიტყვიერ ერთეულებს“⁴. ამის გამო ფრანგულ ლექსში სიტყვიერი ჯგუფები აქცენტური განმეორების კანონზომიერებას არ ექვემდებარებიან; ფრანგულში არსებითი ფაქტორია მარცვალთა თანაბარრაოდენობის დაცვა და არა მახვილების რიტმული განლაგება ტაქტის ჩარჩოში. რუსულსა და გერმანულში კი რიტმის მთავარი ფაქტორია აქცენტური ნორმა, საზომი, რომელიც სქემაში კლასიკური მეტრიკის ერთეულების ანუ „ტერფების“ ამათუიმ სახეობით ელინდება (იამბი, ქორე, დაქტილი და ა. შ.). ეს „ტერფები“ ანუ ტაქტში მახვილთა განლაგების გარკვეული კანონი, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სილაბურ-ტონურ ლექსში; ფრანგულ სილაბურ ლექსში კი, როგორც საზოგადოდ სილაბურ ლექსწყობაში, „ტერფებზე“ მსჯელობა არ შეიძლება. „თუ ტერმინის „ტერფის“ ცნებას მივუყენებთ ფრანგულ ლექსწყობას,—სწერს ვ. ჟირმუნსკი,—მართებული იქნებოდა განგვეხილა მთელი ტაქტი ან ნახევარტაქტი, როგორც დიდი ტერფი. თუმცა, უმჯობესია საესებით უგულვებელვყოთ ტერმინი, რომელიც სხვა მეტრული სისტემიდან არის ნასესხები და, არსებითად, გა-

¹ О. Б р и н, Ритм и синтаксис, „Новый Леп“, 1927, № 6. стр. 37;

² შნერბა, *Op. cit.*, 77—78

³ იაკობსონი, *Op. cit.*, 26

⁴ *Ibidem.* 75.

მოუყენებელია საკუთარი კანონების მქონე ფრანგული სისტემის მოვლენებისათვის. - 1

სილაბურ ლექსწყობაში ტერფის როლს ასრულებს თვითფულადი სიტყვები (ფ. ზარანი, ბ. ტომასევი, ვ. ჟირმუნსკი).

ფრანგულ ლექსში საეაღდებულოა მხოლოდ ერთი მახვილი ნახევარტაეპის ბოლოს და მეორე—მთელი ტაეპის უკანასკნელ მარცვალზე. სიტყვები ტაეპის ჩარჩოში სასეებით თავისუფლად ლაგდებიან და ე. წ. სიტყვათაშორის საზღვრები ძნელი ასათვისებელია: ასეთი ხარვეზების დადგენა ექსპერიმენტის გზით თუა შესაძლებელი. 2 ფრანგული ლექსის ინტონაცია თქმასთან ანუ სასაბურო შეტყველებასთანაა ახლო, რუსულ და გერმანულ ლექსს კი ჩვეულებრივი თქმისაგან მკაცრად განსხვავებული, ხელოვნური ინტონაცია ახასიათებს, რომელსაც მახვილების კანონზომიერი განმეორება და ტაეპის სკანდირება იწვევს.

ამის შემდეგ განვიხილოთ ქართული მახვილის რიტმული ბუნება.

ქართული მახვილი არაა ისე მკვეთრი, როგორც რუსული ან გერმანული აქცენტი. მაგრამ ქართულ ლექსშიაც მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონიერი ურთიერთმონაცვლეობა მონაწილეობს შინაგანი, აუცილებელი ფაქტორის სახით, როგორც ფაქიზი მავთული ელექტრონის დენისა. საკმარისია დაიშალოს ეს მავთული და ლექსის კონსტრუქციაც დაიშლება; შეუძლებელია მსჯელობა ტაეპის ჩარჩოში სიტყვების თავისუფლად დალაგებაზე, როგორც ამას ჩვენი ლექსწყობის სილაბისტური თეორიის დამკველი პლატონ იოსელიანი ფიქრობდა. საკმარისია თუნდაც ზერელედ დავუკვირდეთ ქართული კლასიკური ლექსის ტაეპში კომპაქტურად შეკრული სიტყვიერი ერთეულების თანმიმდევრულ დენას, რათა დაფრწუნდეთ: ქართულ ლექსში შეუძლებელია მთელი ან ნახევარტაეპის მიჩნევა „ერთ დიდ ტერფად“, როგორც, მაგალითად სილაბურ ლექსწყობაში, სადაც სიტყვები ხებისმიერად მისდევენ ერთმანეთს, ხოლო მათ შორის ხარვეზების არსებობა ძნელი შესამჩნევია.

ავიღოთ რუსთაველის ტაეპები:

1. „მე რუსთველი | ხელრბითა| ვიქმ სბქმესა| ამაღარი“ (4 მახვილი)
2. „მრდი | მბრბიო| უწყალოდ | დამპერ| ლახვრითა | შენითა| (6 მახვილი)
3. „დაჯე | წერად| კბრთა | ჩქმითა| მელნად | მრგცემ| ცრქმლთა | ტბბსა“ (8 მახვილი)

ეს ტაეპები, სიტყვათშორის ხარვეზებით და უაღრესად გამოკვეთილი მეტრული ნორმის პროფილით, ყოვლად წარმოუდგენელია სილაბურ ლექსწყობაში, რომელსაც ხელოვნური ფრაზირება და სკანდირება სრულიად არ შეეფერება (ამ ლექსწყობაში სიტყვიერი მახვილების ნიველიერების ანუ აქცენტურ მწვერვალთა წაშლის გამო). ქართული კლასიკური ლექსის რეჩიტატივის დროს კი ჩვენი სამეტყველო ორგანოები მიმართულია გაბმული მეტყველებისა და თქმის ჩვეულებრივ ფორმისათვის უცხო ავტომატიზაციის მისაღწევად (რის შესაძლებლობაც უაქცენტო სილაბურ ლექსწყობას არ მოეპოვება), ხოლო ჩვენი სმენა—უაღრესად ხელოვნური ინტონაციის ასათვისებლად. ყოველივე ეს

1 В. Жирмунский и. Введение... 77. იგივე აზრი უფრო ადრე გამოთქვა I. Minor-მა (ფრმ... 270).

2 იაკობსონი, Op. cit., 31—32.



შედგება ქართულ ლექსში სიტყვიერი მახვილების კონსტრუქციული დამინშუ-
ლების სისავეისა, ტაემის ჩარჩოში მათი კანონზომიერი განლაგებულება და ძველ-
ნური ინტენსივაციისა; აქცენტური ნორმის დომინირებული ზეგავლენის დაძველებული
ქართულ ლექსში მახვილიანი და უმახვილო მარცვლების სისტემის სახით ჩა-
მოყალიბებულ რიტმულ სურათს. ეს მოვლენა განაკუთვნებს ქართულ ლექს-
წყობას სილაბურ-ტონურ სისტემას.

13. მახვილის გადაადგილება. მეტრული ინერციის წყალობით ქართულ
ლექსში სიტყვები ზოგჯერ არაბუნებრივი მახვილებით იტვირთებიან. მაგ.:

1. იაღონს ის ქვარდა
და სუმბულს ის ქვარდა
თქვა მისმა, მე თქვენგან
დაბმულ ვარ, ის ტქვარდა (ბესიკი).
2. თვალ-გიშერი, გულ ცნობრი
ტანად სარო, ზორცით ლბირი („ჭილილა და დამანა“).
3. მოიხსენე უფალო სჯად შენდა მოსული
დავით გურამიშვილის უბადლოუკი სტლი (დ. გურ.).
4. სახმრად ლანკანთა
თანად პინაკთა (შავთელი).
5. მე ვიცი, რამე
დავამციროქმე (ჩახრუხ.).
6. ჩანს შენი მხსნელი, აღარცადაო,
აღარც ქვეყანად, აღარც ცადაო,
.....
აღარცა ძმა და აღარცაქდაო. (გურ.).

რუსულ-უკრაინული ხალხური სიმღერებისა და ლექსების ზეგავლენით (ამ
ფორმებისათვის დამახასიათებელ ვაჟურ რითმათა ათვისების გზით) გურამიშ-
ვილი სამმარცვლიან დაქტილურ სიტყვაში მახვილს უკანასკნელ მარცვალზე-
დაც კი აძლიერებს:

მე გასმევი, მე გაჰმევი, მე გაცმევი ტანთ,
შენ დახარბდი მცირეს ძღვენთა, სხვისგან მონატანთ.

თუ აღნიშნულ მაგალითებს კონტექსტიდან გამოვყოფთ და ისე ამოვწერთ,
მივიღებთ სიტყვებს სმენისათვის საჩოთირო მახვილებით:

„ისტ“, „მოსული“, „პინაკთა“, „აღარცა“,
„მონატანთ“, „გულცნობრი“, „დავამციროქ“

ამრიგად ქართულ კლასიკურ ლექსში მახვილის გადაადგილება უძველი-
ფაქტია. იგი აიხსნება საზომის ზედმოქმედებით: ჩვენ მიერ ამოწერილი სიტყვე-
ბი უწყვეტელი ექსპირაციული ტალღის ელემენტებს წარმოადგენენ, ისინი ან
შეერწყმიან მომიჯნე სიტყვებს ან მათთან ერთად ქმნიან ფონეტიკურ ერთე-

ულს (აღარცაქდაო, „დადამცირორქმე“) ან რითმით გამოწვეული ძლიერი კდენციური ინერციის მსხვერპლნი ხდებიან („გულცნობილი—რბილფერქვანქმისული—სული“ და მისთ.).

ზინგლინიქსიქს

ხომ არ გვაქვს საქმე აქ მეტრიკის თვალსაზრისით უჩვეულო მოვლენასთან? ხომ არ ლაპარაკობს ყოველივე ეს ქართული ლექსწყობის სილაბურ-ტონური სისტემისადმი მიკუთვნების იდეის წინააღმდეგ?

ლექსის ტაქში მოხვედრილი სიტყვა ყოველთვის განიცდის რიტმის მრავალი ფაქტორის და, უწინარეს ყოვლისა, საზომის ზედმოქმედებას. სიტყვა იძულებულია კონსტრუქციის წვერად იქცეს, ხშირად დეფორმირებული სახით მოხვდეს ტაქში. რიტმის მხრივ ორგანიზებულ ლექსში ჩვენს წინაშეა არა *to rithmizomenon* (სიტყვა, როგორც რიტმიზაციის მასალა), არამედ უკვე გარიტმული, აქცენტური თვალსაზრისით საერთო სისტემის ელემენტად ქცეული ფონეტიკური ერთეული. სიტყვა აქ შესწავლილი უნდა იქნას იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც მას შესძინა ლექსის მთავარმა კონსტრუქციულმა ფაქტორმა.

ეს თეორიული თვალსაზრისი სავალდებულოა ყველა სილაბურ-ტონური სისტემებისა და საერთოდ პოეტური ფორმის შესწავლის დროს. მოვლენა, რომელიც ჩვენ ქართულ ლექსწყობაში აღენიშნეთ, სხვა ენების ვერსიფიკაციებისათვისაც არაა უცხო.

„სილაბურ-ტონური ლექსის რიტმულმა ინერციამ საღექსო მეტყველებას თავზე მოახვია ხელოვნური ფრაზირება და ინტონაცია. XIX საუკ. რუსული ლექსი ანგარიშს არ უწევდა უმახვილო ზმოვნების რედუქციას სალიტერატურო ენაში. უმახვილო მარცვლები, რომელნიც პრაქტიკულ მეტყველებაში იქმალდებოდნენ, ლექსში აღირიცხებოდნენ, ხელოვნურად წინაურდებოდნენ, იგებდნენ მკაფიობის მხრივ. ეს აჩნდებოდა რითმისა, მაგრამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში გაისმის პროტესტი უმახვილოთა მკაცრი გართომვის წინააღმდეგ“.¹

სიტყვის ბუნებრივ ადგილს ლექსში ხშირად არყვეს მთელი სტროფის რიტმული იმპულსი (როგორც ქართულში, ისე რუსულში).

„პუშკინს აქვს ტაქები „Легким зефиром летят“ ეს ტაქები შეიძლება ორნაირად იქნას წაკითხული: „Легким зефиром летят“ ან „Легким зефиром летят“. როგორაც არ უნდა შევხახამოთ და განვიხილოთ მარცვლები, ტერფები, ბგერები ამ ტაქებისა, ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ, როგორ უნდა წაკითხვით ეს ტაქები. მაგრამ როცა ლექსის ყველა ტაქებს წავიკითხავთ და მივალთ ამ ტაქებამდე, ჩვენ მას უქვევლად წავიკითხავთ [როგორც] „Легким зефиром летят“, იმისათვის, რომ მთელი რიტმული იმპულსი ამ ლექსისა ქორეულია და და არა დაქტილური. ჩვენ სწორედ წავიკითხეთ ტაქები იმიტომ, რომ ვიცით ის რიტმული იმპულსი, რომლის რეზულტატადაც იგი მოგვევლინა. იგივე ტაქები, შეტანილი დაქტილურ კონტექსტში, წაკითხული იქნება, როგორც „Легким зефиром летят“.“²

გერმანულ ლექსში, სადაც აქცენტი ფიქსირებულია, ლექსის რიტმი ანალოგიური ზეგავლენისაა. თვით მეტყველებაშიაც მახვილი მუდამ ურყევი არ რჩება და მისი გადაადგილების შემთხვევები გერმანულისათვისაც ნაცნობი მოვლენაა.³

¹ იაკობსონი, *Op. cit.*, 101;

² Брик, Ритм и синтаксис, „Новый Лекс.“, 1927, № 7, стр. 16—17.

³ აგსპერსენი, *L. d. Phonetik*, 1913, p. 14, 71.

მაშასადამე, მოვლენა, რომელიც მარტოდენ ქართულ ლექსწყობას არ მხსნათებს, როდი გამოდგება ჩვენი ვერსიფიკაციის სილაბურ სისტემად აღიარების საბუთად. ა. ფედოროვი კი სწერს:

„[რუსული] სიტყვის ფარგლებში მახვილის გადაადგილებას შეუძლია სავსებით დამახინჯოს იგი, გადააქციოს ბგერების გაუგებარ, უაზრო შეხამებად ან შესძინოს მას სხვა მნიშვნელობა, თუ ჩვენ საქმე გვაქვს ორთოგრაფიულად ერთნაირ, მხოლოდ ბგერის მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავებულ, მახვილისაგან დამოკიდებულ სიტყვებთან,—მაგ. „Зáмок“ და „Зáмók“, „Мýжа“ და „Мужá“. ქართულ ენაში ისეთი სიტყვების გვერდით, რომლებშიაც, ისევე როგორც რუსულში, მახვილის გადაადგილება შეუძლებელია, არსებობს მრავალრიცხოვანი რიგი სიტყვებისა, რომელნიც ასეთს გადაადგილებას უშვებენ და—რუსული ენისაგან განსხვავებით—რაიმე გამონაკლისს არ წარმოადგენენ. ქართულ ენაში უმახვილო ხმოვნები მკაფიობის ხარისხის მხრივ არ განსხვავდებიან მახვილიანი ხმოვნებისაგან (?!). მარცვლი, რომელიც მახვილს ატარებს, რუსის სმენაში ნაკლებ გამოირჩევა დანარჩენი მარცვლებისაგან. ამგვარად, სმენით ათვისების პლანში ქართული ლექსი ხარისხობრივად განსხვავდება რუსული ლექსისაგან მახვილის წონისა და რიტმულად ძლიერი და სუსტი მომენტების თანმიმდევრობის მხრივ, რომლის განლაგებაში შესაძლებელია რყევა“¹.

მოტანილ ამონაწერში გამოთქმულ მოსაზრებათა გამო უნდა შევნიშნოთ:

1. მცდარია დებულება, თითქოს „ქართულ ენაში უმახვილო ხმოვნები მკაფიობის ხარისხის მხრივ არ განსხვავდებიან მახვილიანი ხმოვნებისაგან“. ასე რომ იყოს მაშინ შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი გაძლიერება უმახვილო მარცვლებისა.

2. ქართულში არც თუ „მრავალრიცხოვანია“ ისეთი სიტყვები, რომლებშიც მახვილების გადაადგილება გვხვდება; ასეთი სიტყვების სიჭარბე შეინიშნება უმთავრესად ქართული ლექსის სარიტმო კლაუზულაში, მაგრამ მათი არაბუნებრივობა მუდამ საჩოთიროა ქართული სმენისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ უკიდურესი სახეობა ასეთი შემთხვევებისა—მახვილთა რეგრესული გადაადგილება (სიტყვათა ბოლო მარცვალზე გაძლიერებული მახვილები)—უცხოური ვერსიფიკაციული სისტემების ზეგავლენას უნდა მიეწეროს (გურამიშვილი და ქართველი რომანტიკოსები, რომლებიც თვალთ ითვისებდნენ რუსულ ვაჟურ რითმებს და სხვ.).

ერთი კი უდავოა: რუსულში მახვილთა გადაადგილების უფრო მცირე შემთხვევებია ცნობილი, ვიდრე ქართულში. მაგ. რუსული სამმარცვლიანი ანაბესტური სიტყვა Человек, არასოდეს არ მიიღებს მახვილს პირველ მარცვალზე. ქართულ დაქტილურ სიტყვას კი არ შეუძლია ბოლო მარცვალზე მიიღოს მახვილი, თუმცა ლექსის ტაქში, მეტრის ზეგავლენით, თითო-ორჯერ საწინააღმდეგო შემთხვევებია ცნობილი („აღარცა“, „მონატანთ“), მაგრამ არც ერთი წუთით არ უნდა დავეიწყოთ, რომ ასეთი ქართული სიტყვები ფონეტიკური ანომალიების სახით არსებობენ. თავისთავად ეს გამოწვეულია არა იმით, რომ ქართულში სიტყვები ნებისმიერად იტვირთებიან მახვილებით, არამედ იმით, რომ ნაკლები სიმკვეთრე ქართული აქცენტისა რიტმს უადვილებს ხელოვნური სკანდირების მასალად გადააქციოს სიტყვა და თვითონ

¹ А. Федоров, О путях и средствах передачи грузинского стиха (იხ. კრებული „Грузинские романики“, М-д 1940, стр. 227).

მახვილის ადგილიც მერყევი გახადოს მის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, რიტმის ზეგავლენის საზღვრებიც შეზღუდულია და მახვილის რეგრესიული დაადგილება, მავალითად, სამ—და ოთხმარცვლიან სიტყვებში ზრდადობის გამოითით ამოიწურება.

ქართული ენის ფონეტიკური ბუნება თვითონაც უკარნახებს რიტმს—თავი შეიკავოს სიტყვაზე აშკარა, ხშირი და შეუფერებელი ძალდატანებისაგან.

14. ქართული მეტრული მახვილი ზოგადი ვერსიფიკაციის თვალსაზრისით. ჩვეულებრივ მახვილთან შედარებით ქართული ლექსის მეტრული მახვილი უფრო ძლიერია. თანაც: ლექსმა საერთოდ არ იცის ლოგიკური მახვილი, არც ფრაზის მახვილი, მისი ძირითადი რიტმული ფაქტორი მეტრული მახვილების კანონზომიერებაა.

ამის გამო „პროზის რიტმის“ საფუძველზე ქართული ლექსის რიტმის კვლევა არა თუ მიზანშეუწონელია, არამედ პრინციპულად შეუწყნარებელიც.

ლექსი ენის ფონეტიკურ საშუალებათა იდეალურ რეალიზაციას წარმოადგენს. რიტმის თვალსაზრისით ეს იდეალი ობიექტირებულია მახვილთა როლის ბაზგასამაში, სისტემის სახით მათს კრისტალიზაციაში.

ამიტომაც იქცა ქართული ე. წ. „ფიქსირებული“ (?) მახვილი ჩვენი ვერსიფიკაციის მამოძრავებელ ღერძად. ამიტომაც მდიდარი რიტმული ვარიაციებით მარცვლების რაოდენობის მხრივ ერთნაირი ტაქტები (მაგ. 16 მარცვლიანი შაირი) ქართულ ლექსში და ვინც „სმენითი პლანში“ ვერ გაარჩევს კარდინალურ განსხვავებას სიტყვიერ მახვილთა სხვადასხვა რიგისას (მავალითად, ტაქტებში „მე რუსთველი...“ და „ნახეს უცხო...“) მისთვის სამუდამოდ გაუგებარი დარჩება ჩვენი პროსოდისა და ლექსწყობის რიტმული მრავალფეროვნების ხასიათი.

ამ მხრივ ქართულ სილაბურ-ტონურ ლექსს არაფერი საერთო არა აქვს სხვა ენათა სილაბურ ლექსწყობასთან.

სიტყვიერების თეორიის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და ზოგიერთი მკვლევარის ნაშრომებში ჯერ კიდევ გაბატონებულია შეხედულება, თითქოს თუ ენაში სიტყვას ფიქსირებული (უძრავი) მახვილი აქვს, მაშინ ამ ენის ლექსწყობა სილაბურ სისტემას უნდა მივაკუთვნოთ. ეს შეხედულება გაუგებრობის ნიადაგზეა წარმოშობილი. ცნობილია, რომ მახვილი გერმანულშიაც ფიქსირებულია და მხოლოდ მცირე რიცხვი თუ არღვევს ამ კანონს.¹ მაგრამ ამ ნიშნის მიხედვით გერმანული ლექსწყობა არავის მიუკუთვნებია სილაბური სისტემისათვის. გერმანულშიაც მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი ურთიერთმონაცვლეობა მიმდინარეობს მეტრული სქემიდან გადაუხვევლად,² მაგრამ არც ამ ნიშნის მიხედვით მიუჩნევიათ გერმანული ლექსი რიტმულ მრავალფეროვნებას მოკლებულ მეტყველებად; ეს „ერთფეროვნება“ მოჩვენებითია: ნამდვილად გერმანულ ლექსწყობაში რიტმული სიმდიდრის ერთ-ერთი წყაროა მახვილების შედარებითი სიმდიდრე, რომელსაც უცხოელი ვერ აღიქვამს სრული სისავსით.³

¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. ტფილისი, 1938, გვ. 200.

² В. Жирмунский, Введение... 86.

³ გ. ხარანი D. V., 1907; შტრ. ვირმუნსკი, Op. cit., 80—81.

ქართული ლექსწყობის კვლევის დროსაც მთავარი ყურადღება უნდა მრეკ-
ცეს არა მარტო იმ მომენტს, რომ ქართულში მახვილი ფიქსირებული (ფიქსი-
ცა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ტიპიურ ფიქსირებულ მახვილზედ მსხინისწამ-
ვლება), არამედ იმას, თუ როგორი თვისებებით არის აღჭურვილი აქცენტის
ლექსში მეტრისა და რიტმის თვალსაზრისით, ანხორციელებს თუ არა ჩვენი
ლექსწყობა მახვილთა კანონზომიერ თანმიმდევრობას და, ბოლოს, აორ-
განიზებს თუ არა იგი სატყვიერ მასალას ტაეპის ჩარჩოში.

მეთოდოლოგიურად არ იქნებოდა მართებული თუ ჩვენ ქართული ლექსწყო-
ბის კანონების შესწავლისას ფიქსირებული მახვილის როლის სკოლურ გაგე-
ბიდან გამოვიდოდით. ასევე არაა მართებული პოეტური ფორმის გამოყვანა
მთლიანად ენიდან, რიტმის ფაქტორების მხედველობიდან გაშვება. ორივე ამ
საკითხის შესახებ საკვებით საშართლიანად სწერდა რ. იაკობსონი (ციტირ.
თხზ. გვ. 15—16):

1. „რუსულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, როცა ლექსწყობის ლომონო-
სოვისეულ რეფორმაზე მოგვითხრობენ, განმარტავენ, რომ სილაბური ლექს-
წყობა უცხოა რუსული ენის სულისათვის და გამოუსადეგია რუსული პოეზიის-
ათვის, რადგან თავისუფალი მახვილი ტონურ ლექსს მოითხოვსო. ვერიც კი
პირიქით სწერს ინდოევროპული ლექსის შესახებ: „თავდაპირველად იყო სი-
ლაბური ლექსწყობა. იმის გამო, რომ მახვილი არ იყო ფიქსირებული, ლექს-
წყობას არ შეეძლო გამხდარიყო მახვილებრივი...“

2. „თეორიებს ენის სულთან ლექსის შეთანაბრებათა შესახებ, ფორმის არ
წინააღმდეგობას მასალისადმი, ჩვენ ვუპირისპირებთ ენაზე პოეტური ძალმომ-
რების თეორიას („ენა კი არ ფლობს პოეტს, არამედ პოეტი ენას“—დაა-
ფორმულა პროფ. ბრანდტმა). ფორმა ანგარიშს უწევს მოცემულ მასალას, მაგ-
რამ არ შეიძლება მთლიანად მასალაში იქნეს მოცემული, მისგან იქნეს გამოყ-
ვანილი, დაემთხვას მას“.

ჩვენ უყოყმანოდ ვიზიარებთ ამ თვალსაზრისს, როგორც უდავო მეთოდოლო-
გიურ პრინციპს ქართული ენის ბუნებრივი ფონეტიკური კანონებისა და ჩვენი
ლექსწყობის ურთიერთობის საკითხების შესწავლის დროს.

მხვილ საკავშირი

გეგმიური აზროვნების ისტორიულ-საქართველოში

(ივ. თარხნიშვილის „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“-ს გამოსვლის 75 წლისთავის გამოც)

★

სამოცდათხუთმეტი წლის წინათ — 1872 წელს ქალაქ თბილისში დაისტამბა ივანე თარხნიშვილის (თარხნიშვილის) შრომა — „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“. ამ შრომის შინაარსმა საქართველოს საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, ჯერ კიდევ 1871 წლის შემოდგომაზე, როდესაც იგი ჰაბუკი მეცნიერის მიერ საჯარო ლექციების სახით წაკითხული იყო თბილისში.

•
•

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში, კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეულ ღრმა ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებაში ახალი ნაკადები შემოიჭრა, რამაც ხელი შეუწყო მეცნიერების სხვადასხვა დარგის, კერძოდ ბუნებისმეტყველებისადმი ინტერესის გაღვივებას. ახალმა ვითარებამ წინადაგი შეუქმნა ქართველი ახალგაზრდობის უმაღლეს განათლებისადმი მისწრაფებას. უმაღლეს განათლება მიღებულ 60-იან წლების ქართველ მოღვაწეთა შესანიშნავი საქმიანობა წარმოადგენდა იმის თვალსაჩინო მაგალითს, თუ რამდენად სასარგებლო და საჭირო იყო მშობ-

ლიურ ქვეყნისათვის მისი შვილების მიერ უმაღლესი განათლების მიღება.

საქართველოს ისტორიულად გააჩნდა უმაღლესი განათლების შესანიშნავი ტრადიცია; გელათის, იყალთოს, გრემისა და სხვა აკადემიები თვით საქართველოში და მთელი რიგი ქართული სამეცნიერო-სასწავლო ცენტრები უცხოეთში, ქართული მეცნიერული აზროვნების, ქართული მწიგნობრობის კერები იყვნენ. იქვე იზრდებოდა ახალი განსწავლული თაობები, რომლებიც მშობლიურ კულტურას და მეცნიერებას თავდადებით ემსახურებოდნენ.

სხვადასხვა მხრივ და სხვადასხვა ეპოქებში შემოსეული მტერი ცდილობდა ცეცხლითა და მახვილით მოესპო აღნიშნული კერები; ცდილობდა ქართველი ხალხის სისხლში ჩაეღრჩო ისტორიულად მოწინავე კულტურა. საუკუნეთა მანძილზე კულტურისა და მეცნიერების შესანიშნავი კერები ფიზიკურად დანგრეული იქნა კიდევ, მაგრამ ქართველთა ისტორიულად შემუშავებული მაღალინტელექტუალური აზროვნების ლამპარი არ ჩამჭრა. როდესაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან (მართალია თვითმპყრობელობის უღლის ქვეშ) ხალხმა ფიზიკურად შეისვენა მახვილის გა-

ნუწვევითელი ტრიალისაგან, ზოდესაც ქვეყანამ-ამოისუნთქა შეუდარებლად ქარბრიცხოვანი მტრის ბრბოების საომარი თავდასხმებისა და რბევ-გაპარტახებისაგან, თავი იჩინა ებოქების მანძილზე ჩამოყალიბებულმა და მტყიცედ დანერგილმა კულტურულ-მეცნიერულმა ტრადიციამ.

უკვე მეცხრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს რუსეთში სასწავლებლად წასული მეცირერიცხოვანი ახალგაზრდობიდან კულტურისა და მეცნიერების ასპარეზზე გამოჩნდა ისეთი შესანიშნავი პიროვნება, როგორც იყო სოლომონ დოდაშვილი. კახეთის სოფელ მალაროდან გამოსულმა ამ ყმაწვილმა კაცმა თავისი „ლოდიკით“ მაშინდელი რუსეთის საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და სამშობლოში ხანმოკლე, მაგრამ მრავალ მხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დასტოვა.

თუ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლა-განათლება მიღებულ ახალგაზრდებს მცირე რაოდენობით ვხვდებით, ამ პერიოდთან შედარებით მათი რიცხვი საგრძობად იზრდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. უკვე აღნიშნულ იზრდების გამო მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებიდან საქართველოში მკვეთრად გაიზარდა უმაღლესი განათლების მიღების სურვილი. მაგრამ მხოლოდ სურვილი, რასაკვირველია, არ კმაროდა, საჭირო იყო ამ სურვილის განხორციელება, რაც იმ დროს არსებული მიმოსვლის საშუალებების სიმწიფისა და საბლიდან მოწყვეტილად ცხოვრებისათვის დიდი სახსრების საჭიროების გამო ძნელ საქმეს წარმოადგენდა. აუცილებელი ხდებოდა უნივერსიტეტის ადგილობრივ არ-

სებობა, რასაც ახალგაზრდობისათვის უმაღლეს განათლების მიღების უკიდურესად ვილუხასთან ერთად, ვერცხვანსა და მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. მოწინავე ადამიანებს კარგად ესმოდათ ეს გარემოება და ამ მიმართულებით არაერთხელ სათანადო ნაბიჯებიც იყო გადადგმული: ჯერ კიდევ 1839 წელს მეფის მთავრობის წინაშე აღძრული იყო შუამდგომლობა უნივერსიტეტის მაგისტრობის გამწვე უმაღლეს სასწავლებლის თბილისში გახსნის შესახებ, — პასუხი ცივი უარი იყო. 1857 წელსაც ბევრს ეცადნენ, რომ ლიცეის დაარსების ნებართვა მაინც მიეღოთ, მაგრამ ესეც ამოიღო აღმოჩნდა; დაწერილებით და გულმოდგინედ შემუშავებული ლიცეის წესდება და მისი გახსნის მთელი პროექტი უკვალოდ დაიკარგა პეტერბურგში. 1861 წელსაც სცადეს ამ საკითხის მოგვარება — ქუთაისში ჩამოსულ იმპერატორს თხოვნაც გადასცეს, მაგრამ ყოველივე ცდა კვლავინდებურად უშედეგო აღმოჩნდა. წარსულში ამ საქმის არაერთხელ მარცხით დამთავრების მიუხედავად, 70-იან წლების დამდეგს საქართველოში კვლავ აღმოცენდა მოძრაობა უნივერსიტეტის გასახსნელად. იმ ხანებში რუსეთის იმპერატორი აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას და უნდოდათ მისთვის გადაეცათ თხოვნა უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა და შეხლა-შემოხლა გამოიწვია უნივერსიტეტის მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. რუსეთში ნამყოფი და იქ უმაღლეს განათლებამიღებულნი ახალგაზრდობის უმეტესობა და საერთოდ საზოგადოების პროგრესული ბანაკი უნივერსიტეტის გახსნის მომხრე იყო. თავად აზნაურობის რეაქციული ბანაკი კი გადაჭრით ილაშქრებდა უნივერსიტე-

ტის გახსნის წინააღმდეგ. უმაღლეს სასწავლებელთან ერთად პროგრესული ნაწილი ცდილობდა საქართველოში კანტი-კუნტად არსებული სკოლების რიცხვის გაზრდას.

სწორედ ამ დროს თბილისში იმყოფებოდა მედიცინის დოქტორი ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი, რომელმაც რუსეთში უმაღლეს სპეციალურ განათლების მიღებასთან ერთად სამოციან წლების მოწინავე იდეების ზეგავლენაც განიცადა და მეტად მოკლე დროს მანძილზე მოწინავე მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე შეიქმნა. სასწავლებლებისა და უნივერსიტეტის გახსნის საკითხში პროგრესულმა ბანაკმა ივანე თარხნიშვილში ერთგული მომხრე ჰპოვა. მთელ რიგ გამოსვლებში მან გადაჭრით დაუჭირა მხარი სასწავლებლების რიცხვის გაზრდას და უნივერსიტეტის გახსნას. ასეთი პირის თავგამოდებით გამოსვლა პროგრესული ბანაკის მხარეზე უდავოდ სასარგებლო მოვლენას წარმოადგენდა. კომისიაში, რომელიც არჩეული იყო ამ საქმის სახელმძღვანელოდ და მეფისათვის გადასაცემ არზის შესადგენად, ილია ჭავჭავაძესა და სხვებთან ერთად ივანე თარხნიშვილიც შედიოდა.

თვითმპყრობელობამ, რომელიც ბრმა და ყრუ იყო ხალხის ყოველივე სასიკეთო საქმის მიმართ, რასაკვირველია, არც ეს თხოვნა დააკმაყოფილა. ტარიზმის რეჟიმის დამხობამდე მეფეც და მისი მოხელეებიც თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ცდას უტყუროდნენ, როგორც მეფის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობისა და საერთოდ პროგრესული აზრის ახალი კერის შექმნის განზრახვას. თვითმპყრობელობა ყველაფერს ღონობდა, რომ სახელოვანი ტრადიციის მქონე მოსკოვას, პეტერბურგს და სხვა უნივერსიტეტებიც შეევიწროვებინა, ჩაეხრჩო, არამც თუ ახალი უნივერსიტეტები გა-

ესხნა და ისიც იმპერიის განაპირა ქვეყნებში.

ახალგაზრდა ჭაბუკის, ^{ერკუნიშვილი} ხნიშვილის ეროვნული ინტერესებისათვის ზრუნვის მაჩვენებელია, რომ მან აშკარად და უშიშრად მხარი დაუჭირა თავის ერის სასიკეთო საქმეს.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ზემოაღწერილ მოვლენათა ფონზე უმაღლეს განათლებამიღებული და ისიც უკვე დოქტორის ხარისხის მქონე ქართველი ყმაწვილი კაცის ლექციებით გამოსვლას მშობლიურ ქვეყნის საზოგადოებრიობის წინაშე. ეს მნიშვნელობა მით უფრო ნათელი გახდება თუ ავღნიშნავთ, რომ, როდესაც ივანე თარხნიშვილს მიმართეს თხოვნით რამდენიმე საჯარო ლექციის წაკითხვის შესახებ, მან არა მარტო თანხმობა განაცხადა, არამედ ლექციების თემად აირჩია ისეთი საკითხი, რომელიც მეტად აქტუალური იყო იმ დროს და ბუნებისმეტყველების, კერძოდ ფიზიოლოგიის, მნიშვნელოვან საკითხების განხილვასთან ერთად, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებსაც ეხებოდა. თემის შერჩევის შესახებ თვით ივ. თარხნიშვილი, სხვანებული ლექციების შესავალში ამბობს: „მე ჩემი თავი ვალდებულად ჩავთვალე, ამერჩია ისეთი თემა, რომელიც თავად რუსულობის ინტერესების სიძალღებზე სდგას“ და დასძენს, რომ მისი ღრმა რწმენით ასეთ თემას „წარმოადგენს ცხოველების მოძრაობაში ნერვული სისტემის როლის საკითხი“. ავტორის განმარტებით იგი „განიხილავს იმ მექანიზმებს, რომლებიც საუფქველად უძევს ცხოველების მოძრაობას და ამავე დროს ამ მექანიზმების მოძრაობაში მომყვან საშუალებებს... ეს თემა მიგვიყვანს მთელ რიგ დასკვნებამდე, რომლებიც პირდაპირ ეხება აგრეთვე ცხოველების მოქმედებას სფეროსაც“. აქედან ცხადია, რომ ივა-

ნე თარხნიშვილის მიერ აღნიშნული თემის არჩევის მიზანს შეადგენდა ცხოველების მოქმედებაში ნერვული სისტემის როლის განხილვა. ეს უკანასკნელი კი მას აინტერესებდა ნერვული სისტემის როლის გამოსარკვევად ადამიანის მოქმედებაში. ქვემოთ დავინახავთ, თუ როგორ იხილავს იგი ნერვული სისტემის მუშაობას, კერძოდ თავის ტვინის მოქმედებას, ეხლა კი ნათქვამს დაეუმატებთ, რომ ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად ივ. თარხნიშვილი იხილავს ნების თავისუფლებისა და დეტერმინირების პრობლემას, თან მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჩამოთვლილ საკითხებს თეორიულ ინტერესთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვთ პრაქტიკული მიზნებისათვისაც.

ადვილი გასაგებია, რა რიგ აქტუალური იყო საქართველოში 70-იანი წლების დასაწყისში ლექციებისათვის არჩეული თემა.

1871 წელს „დროება“ 39-ე ნომერში წერდა: „ჩვენ გავიგონეთ, რომ ამ მოკლე ხანში უფ. მედიცინის დოქტორი ივანე თარხნიშვილი რამდენსამე პუბლიკურ ლექციას წაიკითხავს ფიზიოლოგიიდან. ამ ჩვენებურმა ახალგაზრდამ უკანასკნელ დროს ისეთი სახელი დაიმსახურა რუსეთის სწავლულ ექიმებში, რომ უეჭველია, იმისი ლექციები ძლიერ საინტერესო და სასარგებლო იქნებიან ჩვენი საზოგადოებისათვის“.

ივ. თარხნიშვილმა იმავე წელს ოქტომბერში დაიწყო ლექციების კითხვა შემოთ უკვე ხსენებულ თემაზე: — „ნერვულ სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“.

ქართველი საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, აღტაცე-

ბით შეხვდა მეცნიერებაში უკვე ცნობილ თანამემამულეს. „დროება“ დაუყოვნებლივ გამოეხმებოდა მედიცინის სისტემის პირველსავე ლექციას და 1871 წლის 42-ე ნომერში მოათავსა საკმაოდ ვრცელი წერილი სათაურით: „დოქტორის ივანე თარხნიშვილის ლექციები“. „დროება“ წერდა: „ორშაბათს ამ თვის თერამეტს სიაშოვნების გრძნობით გამოვედით თბილისის „კრუჟოკის“ ზალიდან. ჩვენმა ახალგაზრდა მედიცინის დოქტორმა ივანე თარხნიშვილმა რუსულად წაიკითხა საშუბლიკო ლექცია (საკითხავი) „ცხოველების მოძრაობაში ნერვებს რა მნიშვნელობა აქვთ. (Роль нервной системы в движении животных).“

„ზალაში ოთხასიოდე მსმენელი იყო და, როგორც ეტყობოდათ, ყველანი კმაყოფილი დარჩნენ. მართლაც და ლექცია მთელი საათნახევრის განმავლობაში არა თუ მსმენელს პლალავდა, არამედ სიფხიზლეს აძლევდა. თარხნიშვილმა მარტივად, ცხადად და განსაზღვრით ლაპარაკი იცის“. წერილში განხილულია პირველი ლექციის შინაარსი, რის შემდეგ ავტორი წერს: „ცხოველად გამოხატვა აზრებისა, მიკროსკოპიული სახეების ჩვენება... ჩვენება ცოცხალ ბაყაყის გვამზე სხვადასხვა ელისა — ესენი დიდს ცნობის-მოყვარეობასა სძრავდნენ მსმენელებში. ლექციის გათავების შემდეგ მთელი ერთი საათით თითქმის შესამედი მსმენელებისა (ამათში ბევრი ქალები) დარჩა ისევ ზალაში, რომ კარგად გაესინჯათ პრეპარატები, თვალითა და ხელით დარწმუნებულიყო ყველა მჩაჩვენებ ცდაზე. იქნება რამდენიმე კაცს გარდა არც კი გამოსულიყო ამ საკითხის შემდეგ ისე, რომ ახალი გრძნობა არ გამოეცანოს. თარხნიშვილის ლექციები (საკითხავები) ჩვენ თბილისის საზოგადოებას დიდს სარგებლობას მოუტანს; ამას სრული დარწმუნებით ვიტყვი“.

წერილის დასასრულს შემდეგი დასკვნა გამოტანილი „... ბედნიერი წამები გამოვიარეთ თარხნიშვილის ლექციაში. ეს ლექცია ყველა აქამდე ქალაქში წაკითხულ ლექციასა სჯობდა, როგორც თავისი ამორჩეული საგნით, აგრეთვე ღირსებითა“.

ივ. თარხნიშვილმა ზემოხსენებულ თემაზე სულ ხუთი ლექცია წაკითხა. დამსწრეთა რიცხვი პირველ ლექციის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა და ხუთასს გადააჭარბა. ლექციებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, დამსწრეთ უკანასკნელ ლექციაზე ლექტორისათვის უთხოვიათ, რომ მას შემდეგში კიდევ წაკითხა ლექციები. ამის შესახებ „დროების“ 44-ე ნომერში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: „ხუთშაბათს, უკანასკნელ ლექციაზე, მსმენელმა საზოგადოებამ ორასი კაცის და ქალის მეტისგან ხელმოწერილი თხოვნა მისცა უფ. თარხნიშვილს. ამ თხოვნაში გამოცხადებული იყო, რომ კიდევ წაკითხე ფიზიოლოგიიდან ლექციებიო. უფ. თარხნიშვილმა დაუმაღლა საზოგადოებას ყურადღებისათვის და დაპირდა მოკლე ხანში თხოვნის ასრულებას“.

ლექციების კითხვა ივ. თარხნიშვილმა 4 ნოემბერს დაამთავრა. მისი ლექციების შესახებ მრავალ ცნობას და შეფასებებს ვხვდებით როგორც იმ დროის ქართულ პრესასა და შემდეგში გაროგვეყენებულ მოგონებებში, აგრეთვე ლექციების თანამედროვეთა პირად მიწერ-მოწერაში. უკანასკნელის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ გრიგოლ ორბელიანის მიერ ეკატერინე ჰიუპივაძე-დადიანიასადმი 1872 წლის 5 იანვარს მიწერილი წერილიდან შემდეგ ადგილს: „... იყო რამდენიმე ლექციენი ფიზიოლოგიიდან, რომელსაც დიდად საქებურად კითხულობდა ახლად გამოჩენილი მსწავლული ყმაწვილი კაცი თარხანიოვი რამაზის შვილი. ძლიერ ველირსენით ერთ მსწავლულ

ქართველს“. მიხეილ თუმანიშვილს თავის შვილს ატყობინებდა: „შემდეგენის დოქტორმა თარხნიშვილმა კითხვა უკვე ორი ლექცია“. ამასთან ერთად მ. თუმანიშვილი იმავე წერილში თარხნიშვილის ლექციებს შემდეგნაირ შეფასებას აძლევდა: „ლექციები აღსავსეა დიდი სამეცნიერო ინტერესით“.

ლექციების დამთავრებისას მათ შესახებ „დროებაში“ მოთავსებული იყო რამდენიმე სტატია. ერთ-ერთი სტატიის ავტორი წერს: „უფ. რედაქტორო! ნება მომეცით ორიოდ სიტყვით ის გრძნობა და აზრები გაგოზიაროთ, რომელიც უფ. თარხნიშვილის ლექციებმა აღძრა ჩემში“. ამის შემდეგ სტატიაში ი. თარხნიშვილის ლექციებთან დაკავშირებით ლაპარაკია ქართველ საზოგადოებასა და მთელ რიგ საპირბოროტო საკითხებზე. სტატია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ვისურვებო, რომ უფ. თარხნიშვილისთანა ნამდვილი გზის მაჩვენებელი ჩვენ საზოგადოებას და განსაკუთრებით იმის ახალგაზრდა წევრებს შემდეგშიაც არ მოაკლდეს“.

„დროებაში“ 45-ე ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი სარედაქციო სტატია სათაურით: „რა უნდა გამოეტანა მსმენელებს უფ. თარხნიშვილის ლექციებიდამ?“.

ლექციების მიერ საზოგადოებაზე მოხდენილი გავლენის საილუსტრაციოდ ინტერესს მოკლებული არ არის ივანე თარხნიშვილის მიერ ლექციების კითხვის დროს პრესაში „უცნობის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული ფელეტონი. ამ უკანასკნელში გადმოცემულია დიდი რაოდენობის ავტორისა და ერთი პიროვნების შორის. ავტორი სხვადასხვა მაგალითების მოყვანით ცდილობს დაარწმუნოს მოწინააღმდეგე, რომ საქართველოში ადგილი აქვს მთელ რიგ ახალსა და დადებით მოვლენებს. მოყვანილი მაგალითები არ სჭირს, ბოლოს

აეტორი ივ. თარხნიშვილს ახსენებს:

— თარხნიშვილი, რომ ლექციებს კითხულობს?

— ა..... ვინა?

— ... ივანე რამაზის-ძე თარხან-მოურავი დოქტორი მედიცინისა!

— ქართულია?

— ნამდვილი!

ამაზედ აღარა თქვა რა განუძაძა მართლადაც ეს ისეთი ფაქტი იყო, რომ ხმას ვეღარ ამოიღებდა! ამის შემდეგ ფელეტონის აეტორი დასძენს:

— „აქ გადავადგებთ ჩვენ ფელეტონურ ოხუნჯურს კილოს და მივესალმებით ახალ მსწავლულს. კეთილ იყოს, უმაწილო კაცო, თქვენი შრომა! სახელი თქვენი ჩაიწერება საქართველოს განათლების ისტორიაში, როგორც პირველი მაგალითი! ამის შემდეგ ფელეტონის აეტორი გამოსთქვამს სურვილს, რომ ივანე თარხნიშვილს ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდეს და ყველას მიეცეს ფართე გზა.

სისრულისათვის მოვიყვანთ აგრეთვე იმ მოგონებებს, რომელიც ქართულ პრესაში 1895 წელს გამოაქვეყნეს გიორგი წერეთელმა და 1912 წელს ეკატერინე გაბაშვილმა.

1895 წელს გ. წერეთელი „კვალის“ მე-12 ნომერში ამ ლექციების შესახებ წერდა:

„1871 წელს ივ. თარხნიშვილი ჩამოვიდა თბილისში და აქ რამდენიმე პუბლიკური ლექცია წაიკითხა კრუცოკის დარბაზში ექსპერიმენტალურ ფიზიოლოგიაზე. თვით პრეპარატების შემზადება ამ ლექციებისათვის გვეჩვენა მონდობილი მისგან მე, პავლე ალექსანდრეს-ძე იზმაილოვს და ა. ა. ივანოვს. ღმერთო ჩემო, რამდენ ცოცხალ ბაყაყს მაშინ ტყავი გადაძვრეთ და ხერხემლის ტვინი ტვინის ძაფებიანა გამოუჩინეთ. მაგრამ ისე ფრთხილად, რომ ბაყაყი არ მომკვდარიყო. ივ. თარხნიშვილი ამისთანა შემზადებულ პრეპარატზე უღიდა ხოლმე ელექტრონულ

ნაკადებს, რომ მსმენელებისთვის აეხსნა, თუ როგორ მოქმედებს ელექტრონის ძალა ხერხემლის ტვინზე და ტვინის ძაფებზე. ამ დროს მე და იზმაილოვი დიდათ განათებული ეკრანის უკან ვამოქმედებდით პრეპარატზე ელექტრონის ძალას. ბაყაყის მოძრაობის სურათი მაყურებლების თვალწინ იხატებოდა ეკრანზე მიმდგარი ჩრდილით“.

გიორგი წერეთელი აღნიშნავს, რომ ლექციებმა მრავალრიცხოვანი აუდიტორია მიიზიდა. მისი სიტყვით: „დარბაზში ტყევა აღარ იყო“...

მოყვანილი მოგონების იმ ნაწილში, სადაც გ. წერეთელი ლექციების შეფასებას იძლევა, იგი წერს:

„საოცარი მკერამეტყველებით ჰყენდა ნათელს ახალგაზრდა მეცნიერი ი. თარხნიშვილი ფიზიოლოგიური ფუნქციების განმარტებას. ამ დროს, ამ ხანებში მთელი თბილისის საზოგადოებას მხოლოდ ახალგაზრდა პროფესორის ნიჭიერებაზე ჰქონდათ საუბარი და უნდა ვთქვათ, რომ იმან კიდევ შეჰქმნა მთელი ეპოქა (ხაზი ჩვენია, მ. ს.) მიძინებულს თბილისის საზოგადოებაში. იმან აღძრა უმაღლესი სწავლის სურვილი მთელს ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით დედათა სქესში. უმეტეს ნაწილად ი. თარხნიშვილის მკერამეტყველებას და ცოცხალ მეცნიერულ სიტყვას უნდა დაბრალდეს ის მოძრაობა, რომელიც აღმოჩნდა 1873 წელს თბილისის ახალგაზრდობაში. პირველი მაგალითი იყო, რომ ამ წელს ერთმა გუნდმა ახალგაზრდა ინსტიტუტ და ზავედენიის დასრულებულმა ქალებმა მოინდომეს საზღვარგარეთ წასვლა უმაღლეს სწავლა-მეცნიერების მისაღებად“.

ეკატერინე გაბაშვილის მიერ 1912 წელს „თემის“ 52-ე ნომერში მოთავსებულ მოგონებაში ივ. თარხნიშვილის მიერ 1871 წელს თბილისში წაიკითხულ ლექციების შესახებ ვკითხულობთ:

„ქალაქში გავარდა ხმა ახალგაზრდა მეცნიერი თარხნიშვილი წაიკითხავს ლექციებს ფიზიოლოგიიდანაო და მამინდელმა გაზეთებმაც, რასაკვირველია, დაამოწმეს ეს ამბავი და თანაც აღნიშნეს, რომ თარხნიშვილი უკვე ცნობილი ლექტორია პეტერბურგში.

ძველ „კრუჟოკის“ დარბაზში იყო დანიშნული ეს ლექცია-დღესასწაულები თბილისისათვის. მთელი ქალაქი ფეხზე იდგა გარდამეტებულად მოსწავლუ ახალგაზრდობა. არც ერთი წარმოდგენა, არც ერთი გამოჩენილი არტისტი და საზოგადო მოღვაწე არ ღირსებია თბილისში იმისთანა საჯარო ოცეცხლს, რაც თარხნიშვილმა თავის ლექციებით დაიმსახურა მაშინ.

მთელი საათობით ველოდით კასასთან ბილეთების მიღების ჯერს და თვით სალექციო დარბაზში ხომ გულის ფანჯრით და აღფრთოვანებით მოველოდით ფარდის ახდას, რომ დაგვეჩახა მშვენიერი ვაჟაკი, სულ 25-26 წლის ჰაბუკი, უკვე დამსახურებული და სახელგანთქმული მეცნიერი და შესანიშნავი ორატორი. რამდენი ხანიც ვადიოდა, მისდამი ლტოლვილება ძლიერდებოდა ქალაქში და უკანასკნელი ლექციის დროს ხომ მთელ ტრიუმფად გადაიქცა. კიბეები „კრუჟოკისა“ ფართო შესავალი ქუჩა, გაქვდილი იყო ხალხით და ვაშას ძახილს და ტამის კვრას ბოლო არა ჰქონდა. ქალები ივარდს უფენდნენ ფეხქვეშ გამოჩენილ ლექტორს და სიცოცხლით სავსე და გონიერებით ბრწყინვალე ვაჟაკს.

ეს აღტაცება გარდამეტებული არ იყო. თარხნიშვილის ლექციები ფიზიოლოგიიდან ნერვების სისტემის შესახებ ისეთის სისადით და პოპულარულად იყო წარმოთქმული და თვალსაჩინოდ ნაჩვენები ბაყაყების და ძაღლების სხეულზედ, რომ შესამე კლასის შეგირდებიც კი მიხვდებოდნენ ნათქვამს“.

ივ. თარხნიშვილის ლექციებმა იმდენ-

ნად დიდი გავლენა მოახდინა იმ დროის ქართველ საზოგადოებაზე, რომ მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს ერთგვარ დამახასიათებელ მოვლენად იქცა. ასე, მაგალითად, დავით ერისთავი 70-იან წლების საქართველოზე ლაპარაკის დროს, ეპოქის დასახასიათებლად ერთ თავის ლექსში წერდა:

В те дни, когда Иван Тарханов
в «кружке» лягушек потрошил
и библиотекарь наш Иванов
нам их на блюде подносил.

და ა. შ.

ყოველივე თქმულის შემდეგ, ცხადია, თუ როგორი გამოძახილი ჰყოვა და რა დიდი როლი შეასრულა საქართველოში ახალგაზრდა მეცნიერის ლექციებმა, თვით ივანე თარხნიშვილი, როგორც ჩანს, სრულიად გარკვეულ დანიშნულებას ანიჭებდა მათ. ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ იგი შეეცადა ლექციების თბილისშივე გამოცემას. ივ. თარხნიშვილმა მიმართა თბილისში არსებულ კავკასიის საექიმო საზოგადოებას და შესთავაზა საჯარო ლექციების საზოგადოების გამოცემებში დასტამება. ივ. თარხნიშვილი კისრულობდა თავის ხარჯზე გამოეცა შრომა და საჭირო სურათებიც დაემზადებინა, ოღონდ თხოულობდა ამ ლექციების შემდეგში ცალკე წიგნებად გამოცემის უფლებას. ივ. თარხნიშვილის ამ წინადადების განხილვისას ექიმთა საზოგადოების დადგენილებაში სწერია, რომ როგორც ხელნაწერის რეცენზენტების, ისე ლექციების მომსმენ საზოგადოების მრავალი წევრის დასკვნით ეს ლექციები სავსებით ღვას მეცნიერების სიმადლეზე და ამავე დროს ისინი მეტად სასარგებლო იქნება ფართო საზოგადოებისათვის, რომელიც მას სიამოვნებით წაიკითხავს.

ივ. თარხნიშვილის „ნერვულ სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“

დაისტამბა 1872 წელს „სამედიცინო კრებულის“ დამატების სახით.

* * *

ზემოთქმულის შემდეგ გვეცნოთ თვით შრომას.

მიუთითებს რა იმ გარემოებაზე, რომ მთელი ცოცხალი სხეული შედგება სხვადასხვაგვარ ქსოვილებსაგან: „ცხიმის, ხორცის, ტვინის, ძვლების და ა. შ.“, ავტორი აღნიშნავს: „გასაგებია, რომ ამ ქსოვილთა თვისებების ერთობლიობისგან გამომდინარეობს მთელი ცოცხალი ორგანიზმის თვისებები“.

როგორც მკითხველი ზედავს, ივ. თარხნიშვილი თავიდანვე აცხადებს, რომ ცოცხალი ორგანიზმის ყველა თვისება განუყრელადაა დაკავშირებული ორგანიზმის შემადგენელ ქსოვილებთან. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელთა ჩამოთვლის დროს იგი ტვინზეც მიუთითებს, რითაც ზახს უსვამს, რომ თავის ტვინი ფსიქიკური პროცესების მატერიალურ სუბსტრატს წარმოადგენს.

რომელი ქსოვილის საშუალებით სწარმოებს ცხოველთა მოძრაობა? ავტორის თქმით უბრალო ანატომიური გამოკვლევა ცხადყოფს, რომ კუნთები წარმოადგენენ იმ მექანიზმებს, რომელნიც უშუალოდ იწვევენ მექანიკურ მოძრაობას. ნათქვამის ნათელსაყოფად მას მოჰყავს სხეულის ყველაზე მოძრავი ნაწილის — კიდურების ჩონჩხის მაგალითი: „ძვლებთან ზონარის მსგავსად მიმაგრებულია კუნთები; მათი დაჭიმვა იძლევა ამათვიმ მოძრაობას, მიმაგრების დასაწყისის, მიმართულების და ადგილის მიხედვით. ამ საქმეში ძვლები წარმოადგენენ მხოლოდ მაგარ აზარმაცებს, რომელთა გარეშე კიდურების მოძრაობა შეუძლებელია“. ნათქვამის შემდეგ შრომაში, გასული საუკუნის 70-იანი წლების მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით,

განხილულია კუნთოვანი სისტემის ანატომიისა და ფიზიოლოგიის საფუძვლები. ამ ნაწილის დასასრულს ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას: „კუნთოვან ბოქოების თვისებებით და მათი ურთიერთგანლაგებით მიღწეულია ისეთი თვისებურებანი მექანიკურ მუშაობის დროს, რომელიც სრულებით არ გააჩნიათ ადამიანის ხელით შექმნილ მანქანებს“. ცხოველურ ორგანიზმში მოძრაობის უშუალო მექანიზმების განხილვის შემდეგ ლოგიკურად იბადება საკითხი მათი ამამოძრავებელი საშუალებების შესახებ.

ივ. თარხნიშვილის თქმით „კუნთები განსხვავდებიან ცოცხალ სხეულში მოძრავ ყველა დანარჩენ ელემენტებისაგან მით, რომ მათი მოძრაობა სწარმოებს მხოლოდ გარედან მიღებულ ბიძგის გავლენით“. კითხვაზე, თუ „საიდან მომდინარეობს ეს გარე ბიძგები და რა გზით აღწევენ ისინი კუნთებამდე?“, ჩვენი მეცნიერი ნერვულ სისტემაზე მიუთითებს და ჩერდება აგზნების გამომწვევს იმპულსების კუნთებისაკენ გამტარებელ ნერვების ანატომიურ-ფიზიოლოგიურ დახასიათებაზე.

„ნერვული ბოქოები... ერთის მხრივ ბოლოვდებიან კუნთებში, მეორე მხრივ კი ტვინში შედიან“ და ბოლოს „მკრთალ წვრილ ძაფების სახით კუნთოვან ბოქოებში იჭრებიან“. შემდეგ ლაბარაკია ნერვულ დაბოლოებებზე. მეტად საინტერესოა ავტორის მოსაზრება გამოთქმული ნერვულ დაბოლოებების საკითხთან დაკავშირებით: „უახლესი დაკვირვებების მიხედვით ამ ნერვულ დაბოლოებათა განვითარების ისტორიას ბევრი მსგავსება ახასიათებს თევზების ელექტრო აპარატების განვითარებასთან, რაც საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს და გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ მიერ განხილული დაბოლოებები წარმოადგენენ კუნთების მოძრაობაში მომყვან იმპულსების განტვირთვის ადგილს“.

ნაიდან გამომდინარეობენ ეს იმპულსები?

პასუხის გაცემამდე ავტორი ჯერ თავისა და ზურგის ტეინის ანატომიას იხილავს, ამის შემდეგ კი აღნიშნავს, რომ „ცხოველური ორგანიზმის მგრძობიარე წერტილები, როგორც კანი, თვალები, ყურები, კუჭისა და ნაწლავების ლორწოვანი გარსების და ა. შ., საბოლოოდ, ნერვულ ბოჭკოებისა და ტეინის საშუალებით, დაკავშირებული არიან ორგანიზმის კუნთების სხვადასხვა ჯგუფებთან“.

თავისა და ზურგის ტეინის ანატომიური აღნაგობისა და ფიზიოლოგიური ფუნქციების განხილვის შემდეგ ავტორი აღნიშნავს: „აი, ზოგადად მოწყობილობა იმ აპარატისა, რომლიდანაც მოედინებიან კუნთების მოძრაობაში მომყვანი იმპულსები“... „ამ უკანასკნელთა წყაროს კი მხოლოდ ნერვული ცენტრები წარმოადგენენ“.

მაგრამ ცხოველურ ორგანიზმებში კუნთები მუდმივ მოძრაობაში როდი იმყოფებიან, — „მაშასადამე, მამოძრავებელი იმპულსები ნერვულ ცენტრებიდან გამუდმებით როდი მოედინებიან, არამედ მხოლოდ გარკვეულ პირობების დროს“.

იმპულსების გამტანი გზებისა და მათ წყაროს ანალიზს თან მოსდევს მოძრაობათა დახასიათება: „უკვე ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ორგვარ მოძრაობას, ეგრედ წოდებულ უნებლიე და ნებისმიერ მოძრაობებს“.

„უნებლიეთი მოძრაობა ეწოდება მოძრაობებს, რომლებიც ცხოველის მგრძობიარე ზედაპირს, მაგალითად თვალის, კანის და ა. შ. გაღიზიანებისას უცილებელ შედეგს წარმოადგენენ“. მეცნიერებაში რეფლექტორულად წოდებულ ამგვარი მოძრაობების შესწავლის საუკეთესო ობიექტად შეაძლება გამოყენებული იყოს თავმოკვეთილი ან მძინარე ცხოველები.

„მოძრაობათა მეორე კატეგორია ნებისმიერი მოძრაობანი — ზეწოლად ნიშნულისაგან განსხვავებულია იმით, რომ ისინი თითქოს ცხოველის მგრძობიარე ზედაპირის გაღიზიანების გარეშე აღმოცენდებიან“. „რადგან ამგვარი მოძრაობის უნარი გააჩნიათ მხოლოდ თავის ტეინის შქონე ცხოველებს, ამის გამო თავის ტეინი ითვლება მამოძრავებელ ნერვების საშუალებით სხვადასხვაგვარ კუნთებთან მიმავალ ნებითი იმპულსების აღმოცენების ადგილად“. ამის შემდეგ საკითხავია, თუ „რა პირობების ზეგავლენით თავის ტეინის ცენტრები იქცევიან ნების იმპულსების წყაროდ?“. ეს საკითხი შეადგენს შრომის მომდევნო ნაწილის განხილვის საგანს; ამ ნაწილში კი იგ. თარხნიშვილი აცხადებს, რომ „ეს პირობები იგივეა, როგორც საჭიროა უბრალო რეფლექტორულ მოძრაობათა ცენტრებისათვის“ და დასძენს: „როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ცენტრები მოქმედებაში მოდიან მხოლოდ იმ ბიძგების ზეგავლენით, რომლებსაც ცხოველის მგრძობიარე ზედაპირი ღებულობს“.

ნერვული ცენტრების, ნერვული ბოჭკოებისა და კუნთების ორი მთავარი თვისება უძვეეს საფუძვლად ცხოველის მთელი მამოძრავებელი მექანიზმის მოქმედებას. ეს თვისებებია — აგზნებადობა და გამტარებლობა. აგზნებადობის ქვეშ იგულისხმება ის თვისება, რომლის გამოც ისინი მომქმედ მდგომარეობაში გადადიან გარე სამყაროს სხვადასხვაგვარი აგენტების მოქმედების ზეგავლენით, გამტარებლობის ქვეშ კი იგულისხმება ამ აგზნების მთელ სიგრძეზე გატარების უნარი.

რაში გამოიხატება ნერვული და კუნთოვანი ქსოვილის აგზნებელი მდგომარეობა? კუნთებში იგი თვალსაჩინოდ მოსჩანს კუნთოვანი ბოჭკოების შეკუმშვის და მათი ქსოვილის გამკვრივების სახით. რაც შეეხება ნერვულ ბოჭ-

კოებსა და ცენტრებს, მეცნიერების იმ პერიოდის დონის შესაბამისად ავტორი აცხადებს, რომ აგზნების დროს მთ-ში რაიმე ცვლილების აღნუსხვა არ ხერხდება, ძლიერი მიკროსკოპული გადიდების შემდეგაც კი. ნათქვამთან ერთად ივ. თარხნიშვილი წერს, რომ აგზნების დროს ნერვული ქსოვილის სათანადო უბნებში ცვლილებების არსებობა ყოველივე ექვს გარეშეა. ეს ცვლილებები უნდა მიეკუთვნოს მოლეკულარულ ცვლილებებს, რომელთა შემჩნევა არ ხერხდება არც უბრალო და არც შეიარაღებული თვალით. მოლეკულარული ცვლილებების შესახებ საუბრის დროს ავტორი მეცნიერულ სიფრთხილეს იჩენს და ამბობს: „ეს ცვლილებები უნდა წარმოადგენდეს მოლეკულარულ მოძრაობის განსაკუთრებულ სახეს...“

შესაძლებელია თუ არა, და როგორ, ნერვული ცენტრებისა და ბოჭკოების აგზნებადობის და გამტარებლობის გაზომვა.

ნერვული აგზნების საბოლოო ეფექტს კუნთოვანი მოძრაობა წარმოადგენს. სწორედ ეს უკანასკნელი იძლევა საშუალებას ნერვული აგზნებულების ამითიმი ხარისხის გაზომვისას. ყველა დანარჩენ პირობების თანატოლობის დროს, რაც უფრო ძლიერია კუნთების შეკუმშვა, მით უფრო მეტია ნერვული აგზნებულება და პირიქით. სათანადოდ შემუშავებული ხერხით ყოველი ცალკე შემთხვევა შეიძლება გარკვეული მრუდით გამოიხატოს.

რაც შეეხება ნერვული ქსოვილის გამტარებლობის გაზომვას — ეს სასაკითხი დაიყვანება ნერვულ ცენტრებსა და ბოჭკოებში აგზნების გატარების სისწრაფის განსაზღვრამდე.

ამ საკითხზე მსჯელობისას გამოსავალ პუნქტს შემდეგი გარემოება წარმოადგენს: თუ კუნთიდან სხვადასხვა მანძილზე დაშორებით გავაღიზიანებთ ნერვს და სათანადო წესით დაეუყვირ-

დებით გაღიზიანების დაწყებიდან კუნთის შეკუმშვის დაწყებასდე, განვლილ დროს, დაენახავთ, რომ ნერვული ქსოვილი მოშორებული წერტილის გაღიზიანების შემთხვევაში კუნთი უფრო მოგვიანებით იწყებს შეკუმშვას. მეცნიერება იძლევა აგზნების ნერვულ ბოჭკოებში გატარების სიჩქარის განსაზღვრის საშუალებას. ავტორი ავნიშნავს ამ საკითხის გამოსარკვევად გამოყენებულ მთელ რიგ ზუსტ ხერხებს და ამბობს, რომ ამ გზით და სხვა კიდევ უფრო რთული ხერხების საშუალებით დამტკიცებული იყო, რომ აგზნება ნერვულ დეროებში წამში 60 მეტრის სიჩქარით ვრცელდება, ხოლო ზოგიერთი მონაცემის მიხედვით კიდევ უფრო ნელა. ნერვულ ცენტრებში კი აგზნების გატარების სიჩქარე კიდევ უფრო მცირეა. ნერვული პროცესების მატერიალურ ბუნების ხაზის გასასმელად ივანე თარხნიშვილი აგზნების ნერვულ ქსოვილში გატარების სისწრაფეს ადარებს ელექტრობისა და სინათლის გავრცელების სიჩქარეს, რომლებთან შედარებით იგი გაცილებით უფრო ნაკლებია.

ჩვენს მეცნიერს ყარგად ესმოდა, რომ მის დროს, განსახილველ საკითხში ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო უცნობი. შესაბამის ადგილებში ის შეგნებულად მიაქცევს მკითხველის ყურადღებას ამ გარემოებაზე და დასძინს, რომ მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონისათვის ესა თუ ის საკითხი ჯერ-ჯერობით გადაჭრილი არ არისო. არსებითად ამასვე ამბობს იგი, როდესაც ეხება ნერვული და კუნთოვანი ქსოვილის სტრუქტურისა და ქიმიზმის მნიშვნელობას აგზნებადობასა და გამტარებლობისათვის. ავტორი მიუთითებს, რომ, თუ აღნაგობის შესახებ, განსაკუთრებით კუნთოვან სისტემის მიმართ, ამ მხრით შესაძლებელია ლაპარაკი, ქიმიზმის შესახებ სრულიად მცირე რამ არის ცნობილი. ავტორის თქმით, მის დროს ცნობილი იმ ქიმიური მონაცემე-

ბიდან, რომლებიც ნერვეუსა და კუნთოვან ქსოვილს შეეხება, — ერთ-ერთ მთავარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს მათში მკაფი რეაქციის განვითარება, რაც თან ახლავს მოსვენებულ მდგომარეობიდან მოქმედ მდგომარეობაში გადასვლას. მისი აზრით აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ნერვეული ცენტრების, ნერვეული ბოქოების და კუნთების მოქმედებას თან ერთვის ამ ქსოვილების დაქანგვის ქიმიური პროცესები. ნათქვამთან ერთად იგი აღნიშნავს: ყოველივე ექვს გარეშეა, რომ ამ პროცესებს უნდა ჰქონდეს უდიდესი მნიშვნელობა ნერვეული და კუნთოვანი ქსოვილის მოქმედებისათვის; მეცნიერების თანამედროვე დონისათვის შეუძლებელია ვადაწყვეტა საკითხისა — ნერვეული ელემენტებისა და კუნთების ავზნებადობა და გამტარებლობა პირდაპირ კავშირშია მათი ქსოვილის დაქანგვასთან, თუ ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს?

ყოველივე თქმულის შემდეგ, ავტორი ამბობს: „ნერვეული და კუნთოვანი ქსოვილის მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ორი მთავარი პირობის არსებობისას, — ეს პირობებია: ქსოვილების მიერ სისხლის მიღება და ქმედების და უმოქმედობის ურთიერთ შენაცვლება“.

რამდენადაც ნერვეული და კუნთოვანი ქსოვილის მოქმედებას ყოველთვის თან ახლავს დაქანგვის, ე. ი. დაშლის პროცესი, სისხლი ქსოვილებს აწვდის ქანგბადს და სხვა ნივთიერებებს, რომლებიც საჭიროა დაშლილ ნაწილაკთა აღსადგენად. იმავე დროს მის ნაკადს ორგანოებისაგან მიაქვს მოქმედების დროს დარჩენილი მათთვის უვარგისი ნივთიერებანი. აქედან ცხადია, რომ სისხლის შემადგენლობა და მისი მიმოქცევის სიჩქარე ასე თუ ისე მოქმედებს ორგანოთა კვებასა და მოქმედებაზე. ნახშირმჟავით და დაშლის

სხვა პროდუქტებით გამაძლარი სისხლი ორგანიზმის კვებისთვის უფრო ადვილად სისხლში რაიმე პათოლოგიური ცვლილებები ორგანიზმში მთელ რიგ ავადმყოფურ მოვლენებს იწვევს, „რომელთა შორის პირველ რიგში დგას ნერვეული და კუნთოვანი ქსოვილის ავზნებადობის ცვლილებები“. ივანე თარხნიშვილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ფსიქური პროცესების მატერიალურ სუბსტრანთან კავშირის იმით, რომ ამბობს: ყველა ამ შემთხვევებში, ავადმყოფური მოვლენები ფსიქიკის, მგრძობელობის და მოძრაობის სფეროში დამოკიდებულია ქსოვილებში მინადენი სისხლის შეცვლილ შემადგენლობასა და ხასიათზე. აქ ავტორს საქმის ვითარება მეტად მარტივად აქვს გადმოცემული. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ იგი დაწერილია გასულ საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, გასაგები გახდება ფსიქიკური პროცესების მატერიალურ სუბსტრატთან დაკავშირების დიდი მნიშვნელობა, და ის გარემოებაც, რომ ავტორს იმ დროს არ შეეძლო ფიზიოლოგიის სფეროდან რაიმე უფრო კონკრეტული, მეცნიერული მასალის მოყვანა აღნიშნულ საკითხზე.

მუშაობისა და შესვენების ურთიერთშენაცვლების მნიშვნელობის განხილვის დროს ავტორი ვრცლად ჩერდება დადლილობის პრობლემაზე და მისი დროის ფიზიოლოგიაში ამ საკითხის შესახებ არსებულ შეხედულებებზე. ავტორი ორგანიზმისათვის საზიანოდ სთვლის როგორც საჭირო შესვენების გარეშე მუშაობას, ისე ხანგრძლივ უმოქმედობას. ეს უკანასკნელი ორგანიზმისათვის კიდევ უფრო უარყოფით მოვლენადაც კი მიაჩნია. იგი წერს: „ხანგრძლივი უმოქმედება თავის მხრივ უფრო მეტი ზიანის მომტანია, თუმცა იგი გაცილებით ნელა ახდენს გავლენას“.



ნერვული და კუნთოვანი ქსოვილის ავზნებადობასა და გამტარებლობაზე მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორებს შორის ავტორს აღნიშნული აქვს აგრეთვე მათზე სითბო-სიცივის გავლენა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ივთარხნიშვილი წერს: „ნერვულ და კუნთოვან ქსოვილის მთავარ თვისებების და მათზე მოქმედ სხვადასხვაგვარ პირობების აღწერის შემდეგ გადავიდეთ ჯერ არეკლილი და შემდეგ ნებისმიერი მოძრაობების კერძო, დაწერილებით განხილვაზე“.

მისი თქმით, წმინდა რეფლექტორული აქტები, — ნებისმიერი მოძრაობის რაიმე მონაწილეობის გარეშე, — ზურგის ტვინის საშუალებით ხორციელდებიან. ამ, ე. ი. არეკლილ მოძრაობათა დასახასიათებლად აღებულია ბაყაყი, რომელსაც თავის ტვინი გადაკვეთილი და დაშლილი აქვს. იგი სრულიად უმოძრაოდ იქნება, თუ კი მას არ შევხებით. მაგრამ საკმარისია ასეთი ბაყაყის კანი ჩმეტით ან სიმკავეთ გავლიზიანოთ, რომ იგი ამას მაშინვე მეტად მიზანშეწონილი მოძრაობებით უბასუხებს. „ეს მიზანშეწონილება იმდენად დიდია, რომ შესაძლებელია წარმოშობილიყო აზრი, თითქოს მას საფუძვლად ედოს აზროვნების განსაკუთრებული სახე“. მაგრამ ივ. თარხნიშვილის აზრით, ამის დაშვება შეუძლებელია შემდეგი მიზეზის გამო: ფსიქიკური მოქმედება, მათ შორის აზროვნებაც, თავის ტვინის მოქმედების შედეგია, ზურგის ტვინის მოქმედება კი არ წარმოადგენს ფსიქიკური პროცესების მატერიალურ საფუძველს.

ყოველივე ეს ავტორისავე თქმით ურყევი მეცნიერული მონაცემებით არის დადასტურებული.

აქედან, ცხადია, რომ ფსიქიკა, აზროვნება არ შეიძლება მივიჩნიოთ რეფლექტორული მოძრაობების საფუძველად. ზემოაღნიშნული „მიზანშეწონილება, — მისი თქმით — ისეთივე მანქანი-

სებური ბუნებისაა, როგორსაც ადგილი აქვს ადამიანის ხელით „შექმნის“ სოველგვარ მანქანაში“.

ეს მიზანშეწონილება ხორციელდება შემდეგი გზით: ბაყაყის უკანა კიდურს თუ განზავებული სიმკავეთ გავლიზიანებთ, მიღებული რეფლექტორული აქტის მთელი მიზანშეწონილება შემდეგი მთავარი მოძრაობებით გამოიხატება. გალიზიანებული კიდური ამოძრავდება და სხეულის რომელსამე ნაწილზე იწყებს ხახუნს. მეზობელი კიდური იმავე მოძრაობებს აწარმოებს გალიზიანების ადგილზე. წინა კიდურებიც ამავე მიზნისათვის დაეშვებიან. ყოველივე ეს მოძრაობები, როგორც ცნობილია, ცალკეული კუნთების ან მათი ჯგუფების შეკუმშვის შედეგს წარმოადგენენ. ამის შემდეგ ავტორი ვრცლად ჩერდება რეფლექტორული მოძრაობის განმახორციელებელ ანატომიურ კავშირებსა და ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ცდებისა და დაკვირვებების იშვიათი სიმარტივით აღწერის შემდეგ იგი ახდენს მათი მონაცემების განზოგადობას. შრომის განხილული ნაწილის აზრი შემდეგ დასკვნებით გამოიხატება: კანის გარკვეული წერტილის გალიზიანება ყოველთვის მხოლოდ გარკვეულ მოძრაობებს იწვევს. ეს გარემოება იმაზე ლაპარაკობს, რომ კანის თვითივე წერტილი მგრძნობიარე ბოჭკოების, ნერვული უჯრედებისა და ცენტრებში მისი კავშირების საშუალებით დაკავშირებული არის არა განურჩევლად ყველა მამოძრავებელ უჯრედებთან, არამედ ზოგიერთთან უფრო ახლო, სხვებთან კი თითქმის არა.

ამით, ავტორის თქმით, აიხსნება როგორც თავმოკვეთილი, ისე ხშირად თავის ტვინის მქონე ცხოველების კანის სხვადასხვა წერტილის გალიზიანებით გამოწვეული მოძრაობის მიზანშეწონილება.

რეფლექტორულ მოძრაობათა განხორციელებისათვის კანის მგრძობიარე ზედაპირი თავის სპეციფიკურ ნერვული დაბოლოებებით წარმოადგენს ამრეკლავი მექანიზმის მოქმედებაში მომყვან გარე გამაღიზიანებლების შემოქმედების არეს.

ზურგისა და ნაწილობრივ თავის ტვინი თავისი მოწყობილობის გამო წარმოადგენენ აპარატს, რომელიც იწვევს ცხოველის მგრძობიარე ზედაპირზე მოქმედი ყოველგვარი გამაღიზიანებლის მიზანშეწონილი მოცილებისკენ მიმართულ კუნთოვან მოძრაობებს. ამრიგად, ცხოველის ყოველგვარი რეფლექტორული მოძრაობა გარე გამაღიზიანებლებს საჭიროებს. ერთსა და იმავე პირობებში გარკვეული გამაღიზიანებლები ერთსა და იმავე მოძრაობას იწვევენ. წმინდა რეფლექტორული მოძრაობები მკვეთრად მანქანისებური ხასიათის არიან.

უნებლიე მოძრაობების განხილვის შემდეგ, სპეციალური თავი შეეხება ნებისმიერ მოძრაობებს. „ეს უკანასკნელი ზემოაღწერილისაგან განიჩნევიან მათი გამომწვევი გარე ბიძგის არ არსებობით, რადგანაც ნებისმიერი მოძრაობები დაკავშირებული არ არის ორგანიზმზე მოქმედი რაიმე შესამჩნევი გარე ფაქტორის შემოქმედებასთან; ყოველდღიურ ცხოვრებაში ეს მოძრაობები მიაჩნიათ ცხოველთა განსაკუთრებული ფსიქიკური თვისების—ნებისყოფის გამოხატვად.“ ჩვენი ავტორი თვლის, რომ „ნებისმიერ მოძრაობათა ამ გარეგნულ ნიშანს მნიშვნელობა ჰქონდა ნების თავისუფლების მოძღვრების განვითარებაში“.

ავტორი ერთმანეთს ადარებს ორი ბაყაყის მოძრაობებს, რომელთაგან ერთს თავის ტვინი მხოლოდ გახსნილი აქვს, მეორეს კი გადაკვეთილი. პირველი დაბტის და ცოცავს რაიმე შესამჩნევ გარე მიზეზისაგან დამოუკიდებლივ, მეორე კი ასეთ მოძრაობებს მოკლებუ-

ლია. იგი შეიძლება ავამოძრაოდ, მხოლოდ გარე ტაქტილურ გავრცელებული შუალებით, ე. ი. წმინდა რეფლექტორულად. ესპერიმენტალური მონაცემების თანახმად „თავის ტვინის ჰემისფეროები ნებისმიერი მოძრაობის თითქმის პირდაპირ წყაროს წარმოადგენენ“. მაგრამ ავტორი დასძენს, რომ თუ დაუზიანებელი თავის ტვინის მქონე ცხოველს, მგრძობელობის სათანადო გამტარი გზების გადაკვეთის შედეგად, ოთხივე კიდურის კანში მგრძობელობას მოუსობთ, მაშინ იგი ჰკარგავს ცოცვისა და ხტომის უნარს და კიდურებით მხოლოდ უმიზნო მოძრაობებს აწარმოებს. აქედან გამომდინარე ივ. თარხნიშვილი ასკვნის, რომ დაუზიანებელი ჰემისფეროების მქონე ცხოველის ავტილგადაცვლების აქტი ჰკარგავს თავის ნებისმიერ ხასიათს, რადგანაც მისი აღმოცენებისათვის გარეგამაღიზიანებლის მოქმედება არის საჭირო. ნებისმიერი მოძრაობის აქტი საერთოდ წააგავს უბრალო რეფლექსს იმით, რომ როგორც ერთი, ისე მეორე წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველის კანზე რაიმე გამაღიზიანებელი მოქმედებს. მსგავს მოვლენებს ივ. თარხნიშვილი მაღალ საფეხურზე მდგარ ცხოველებში „და მათ შორის ადამიანშიც“ ხედავს. აღნიშნულის მაგალითად მოჰყავს ე. წ. სპინალური ატაქსია. ზურგის ტვინის ამ დაავადების დროს ცალკეული მოძრაობის (კიდურის გაშლა-მოხრა, საგნის ხელში დაკავება) უნარის შენარჩუნების მიუხედავად, ადამიანი, მხედველობის კონტროლის გარეშე, რთული მოძრაობების—სიარულის, სირბილის უნარს ჰკარგავს. დაკარგული მგრძობელობის კომპენსაციას მხედველობა ახდენს. საკმარისია ასეთმა ავადმყოფმა თვალები დახუჭოს, რომ შესაძლებელია დაეცეს და ხელში დაჭერილი საგნები დაუყოვნებლივ დაუცვიდეს. პათოლოგიის ეს ფაქტები ავტორს მოჰყავს იმისთვის, რომ აღნიშ-

ნოს: ნუთუ ადამიანის ნებისყოფა იმდენად უძლურია, რომ მიღებულ გარე გამაღიზიანებლების გარეშე არ შეუძლია ისეთი უბრალო აქტის გამოწვევა, როგორცაა სიარული, ან-და ხელში საგნის დაკავება? ნუთუ მგრძობიანობის გარკვეული სახის დაზიანების დროს ხსენებული აქტების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ თვალგაბეჭდილი, ე. ი. ისევ გარე, — თვალების სინათლით გაღიზიანების შემთხვევაში? წამოყენებული მოსაზრების სასარგებლოდ ავტორს გარჩეული აქვს ისეთი სახის მოძრაობები, როგორცაა: ენის და ტუჩების მოძრაობა მეტყველების დროს, ყლაპვის აქტთან დაკავშირებული მოძრაობა, და სხვ. ჩამოთვლილი მოვლენების გარჩევის შემდეგ ავტორი დასძენს: „ამ ფაქტებიდან ჩანს, რომ ნებისმიერ მოძრაობებს და, მაშასადამე, ცხოველის ნებისყოფას, აუცილებლად წინ უსწრებს სხეულის მგრძობიარე ზედაპირზე გარეგამაღიზიანებლების მოქმედებით გამოწვეული შეგრძნებები. სხვა სიტყვებით — ნებისმიერი მოძრაობები იწვევა ზურგის ტვინის რეფლექტორული აქტების ტიპის მიხედვით“.

ივანე თარხნიშვილი ამ ორი სახის მოძრაობაში სხვაობას მხოლოდ იმაში ხედავს, რომ ნებისმიერი აქტების დროს სხეულის მგრძობიარე ზედაპირზე გარეგამაღიზიანებლების მოქმედებასა და მოძრაობას შორის წარმოდგენილია მთელი ჯაჭვი ნების იმპულსის წარმოქმნელ შეგრძნებათა, წარმოდგენათა და ცნებათა. ზურგის ტვინის რეფლექსების დროს კი ყოველივე ამ ფსიქიკური მომენტების ნაცვლად საქმე გვაქვს ერთი უჯრედების მეორეებთან უბრალო ცენტრებშორისულ ფიზიკურ კავშირებთან.

„მსგავსება ნებისმიერ და ზურგის ტვინის რეფლექტორულ მოძრაობებს შორის, მათი წარმოშობის მხრივ, პირდაპირ არ ჩანს, ნებისმიერი მოძრაობის მრავალრიცხოვანების და სირთულის

გამო, რაც წმინდა რეფლექტორულ მოძრაობებისაგან განსხვავებით პირდაბდეულია შემდეგი საჭიროებები:

1) ნორმალური ცხოველების მიერ ნებისმიერი მოძრაობის აქტების მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეკავების ან აჩქარების უნარით;

2) გარეგამაღიზიანებელთა აღქმელი მგრძობიარე უბნების მრავალფეროვნებით;

3) შეგრძნებების, წარმოდგენათა და ცნებების ერთმანეთთან მეტად სხვადასხვაგვარად დაკავშირების უნარით“.

ივანე თარხნიშვილი აღნიშნავს, რომ აღიარებულია თავის ტვინში რეფლექსების გამაძლიერებელი და შემაკავებელი მექანიზმების არსებობა. მისივე თქმით სავსებით დასაშვებია ის მოსაზრება, რომ სხვადასხვა მოძრაობების აჩქარებისა და შეკავებისათვის ნებისყოფა სწორედ ამ მექანიზმებით სარგებლობს; ხოლო თვით „ნებისყოფა ცხოველის მთელ მგრძობიარე ზედაპირზე გარე სამყაროს ზემოქმედების შედეგია, ასე რომ მისი მოქმედებაც წმინდა რეფლექტორულ მოვლენას წარმოადგენს“.

ავტორის შეხედულებით, მეტად სხვადასხვაგვარ ნებისმიერ მოძრაობათა გამოწვევი ბიძგი ორგანიზმში შეიძლება მიიღოს როგორც სინათლის, ბგერის, გემოვნების, შეხების, ყნოსვის, ისე ორგანიზმის შიგნიდან მომდინარე შეგრძნებებით. აქედან კი მის მიერ ის დასკვნაა გამოტანილი, რომ შეგრძნობის უბნების სიმრავლისა და გარეგამაღიზიანებლებით მათი ერთდროულად დიდი რაოდენობით გაღიზიანების შესაძლებლობის გამო ზოგჯერ ძალიან ძნელია მოძრაობის გამოწვევი გარე ბიძგის შემჩნევა და მას ჩვენ ნებისმიერ მოძრაობად აღვიქვამთ. ნათქვამიდან ივ. თარხნიშვილს გამოჰყავს დასკვნა, რომ ცხოველის ნებისმიერი მოძრაობები სინამდვილეში გარეზემოქმედებითაა შე-

პირობებულო და მათი ნებისმიერობა მოხვედრებითია.

ამის შემდეგ ავტორი კვლავ უბრუნდება ნებისყოფის საკითხს და აცხადებს, რომ ნება არის ძალა, რომელსაც მიზანშეწონილ მოქმედებაში მოჰყავს მთელი რიგი რეფლექტორული მექანიზმები და თვით აღმოცენებული არის ცხოველის მგრძობიარე ზედაპირზე გარეგამაღიზიანებლების მოქმედების შედეგად. ნების ამგვარი გაგებიდან, — ივანე თარხნიშვილისავე თქმით, — გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი აქტები თავისი წარმოშობის მიხედვით იმავე რეფლექსებს წარმოადგენენ, ოღონდ მიზანშეწონილებით ხასიათდებიან.

მისი აზრით, ნებისმიერი მოძრაობების რეფლექსის ტიპის მიხედვით აღმოცენების სასარგებლოდ ლაპარაკობს ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების ისტორიიდან აღებული ფაქტები. თქმულის ნათელსაყოფად იგი მიუთითებს ახლადშობილი ბავშვის განვითარებაზე, რომლის დროსაც წარმოებს მისი გრძობის ორგანოების ვარჯიში. ამ უკანასკნელთა აგზნება იწვევს მთელ რიგ მოძრაობებს, რომლებსაც წმინდა რეფლექტორული ხასიათი აქვთ. მხოლოდ მიღებულ შეგრძნებათა დაგროვების, მათი ურთიერთ ასოცირებისა და მათგან როგორც წარმოდგენების, ისე ცნებების აღმოცენების შემდეგ, მოძრაობები ცნობიერ და ნებისმიერ ხასიათს იღებენ. ადამიანის ნებისყოფის რეფლექტორულ ბუნების მივლენამდე დაყვანა, რასაკვირველია, უმართებულოა, მაგრამ ივ. თარხნიშვილის შრომის—მექანიზმის ხანაში ნებისყოფის, და მასთან ერთად ფსიქიკურ პროცესების მატერიალურ სუბსტრატთან დაკავშირება, თანაც მისი გარემოპირობების ზეგავლენით განსაზღვრის აღიარება პროგრესიული მოვლენა იყო.

ცხოველის მოძრაობაში მოხვედრე მექანიზმსა და მანქანას შორის მთელი რიგ ანალოგიების გატყუპება, ივ. თარხნიშვილი მათ შორის არსებულ განმასხვავებელ თავისებურებებზედაც მიუთითებს. ასე მაგალითად: მანქანისაგან განსხვავებით ორგანიზულ მატერიას, რომლისგანაც შედგება ცხოველი, ახასიათებს მასში უაღრესად განვითარებული თვისება—ცვალებადობა. გარეპირობების ზეგავლენით ცვალებადობის შედეგად ისტორიული განვითარების მანძილზე ცხოველებში ჰქრება ერთი ორგანოები და სხვა აღმოცენდება. თვით ინდივიდუალური ცხოვრების დროსაც კი, შრომისა და ცხოვრების პირობები განსაზღვრავენ ორგანიზმის ამა თუ იმ ნაწილის მეტ-ნაკლებად განვითარებას. მაგალითისათვის აღებულია ფიზიკური შრომის შემსრულებელი პირები — მუშები, რომელთაც სისტემატიური ფიზიკური შრომა კუხთვს უვარჯიშებს და ამის გამო მათ კუნთები განვითარებული აქვთ, რასაც ადგილი არა აქვს ადამიანებში, რომელთა კუნთოვანი სისტემა რაიმე სახით ვარჯიშს მოკლებულია. ავტორი ეხება ცხოველთა სამყაროში არსებულ მიზანშეწონილებას და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი ამ ცვალებადობის და კიდევ მთელი რიგი წმინდა ბუნებრივი ფაქტორების შედეგია. ცვალებადობასთან ერთად ორგანიზმებს ცხოვრების გარემო პირობებთან შეგუების უნარიც გააჩნიათ. ნათქვამთან ერთად ცხოველურ ორგანიზმს ის თავისებურებაც აქვს, რომ მას გააჩნია გარეპირობების ზეგავლენის მეტი სრულყოფილობისაგან განვითარების უნარი.

ივ. თარხნიშვილი საკმაოდ ვრცლად ჩერდება დარენის მოძღვრებაზე. დარენიზმის განხილვის შემდეგ ავტორი ეხება საკუთრივ ზეგავლენისა და თავის ტვინის ადგილს ცხოველური ორგანიზმის ცხოვრებაში. მისი თქმით,



დარვინის მიერ აღმოჩენილი კანონების გზით განვითარდა ცხოველის ზურგისა და თავის ტვინი, რომლებიც ცხოველური მანქანის მუშაობას მიზანშეწონილ ხასიათს ანიჭებენ. ზურგის ტვინთან დაკავშირებული უმარავეი რეფლექტორული მექანიზმები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ცხოველის მგრძობიარე უბნების გარკვეულ წერტილებს და კუნთების შესაბამის ჯგუფებს. რაც შეეხება თავის ტვინს, — მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერების საშუალებით იგი ჰქმნის ისეთ ფსიქიკურ ელემენტებს, როგორცაა შეგრძნება, წარმოდგენა, ცნება, ნება. ზურგის ტვინის ამრეკლავი მოქმედების მნიშვნელობა ორგანიზმის მთლიანობის დაცვის საქმეში აღვილი წარმოსადგენია, მაგრამ ასე თვალსაჩინო არ არის თავის ტვინის მრავალმხრივი და რთული მოქმედების ანალოგიური მნიშვნელობა.

უკანასკნელის ნათელსაყოფად ავტორი მეცნიერების განვითარებისა და მის ცხოვრებასთან კავშირის მაგალითს მიმართავს. უპირველეს ყოვლისა ი. თარხნიშვილი საცხებით მართებულად აღნიშნავს, რომ მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის არსებობს უწყვეტი ერთიანობა. ამ აზრის დასადასტურებლად იგი ჩამოსთვლის მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიღებულ აღმოჩენებს და თან მიუთითებს იმ როლზე, რომელიც ამ აღმოჩენებმა პრაქტიკულ ცხოვრებასათვის ითამაშეს. ივანე თარხნიშვილი ცდილობს იმ აზრის გატარებას, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო მეცნიერების მიღწევები, საზოგადოებასთან ერთად ცალკეული ინდივიდების სასარგებლო მოვლენას წარმოადგენდნენ და ამის გამო თავის ტვინის მოქმედების უმაღლესი, მეტად განყენებული შედეგები ინდივიდთა მთლიანობის დაცვისაგან არის მიმართული.

ივანე თარხნიშვილი მატერიალისტია, მაგრამ დიალექტიკური მსჯელობის პოზიციებზე აქტიურად უფრო შორსაა იგი საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის ისტორიულ-მატერიალისტური გაგენისაგან. მტკიცება იმისა რომ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში მეცნიერების მიღწევები ინდივიდთა ინტერესებს ემსახურება, ამ საკითხის სოციალური ანალიზის გარეშე, რასაკვირველია, უმართებულოა. ამისდა მიუხედავად გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების ერთიანობის, მათ განუყრელი კავშირისათვის ხაზის გასმა, ამ სრულიად მართებული გარემოების აღნიშვნა, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, ისე როგორც პროგრესული იყო მისი შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანის აზროვნების უაღრესად აბსტრაქტიული ფორმებიც კი საბოლოო ანგარიშში პრაქტიკულ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული და მას ემსახურება. ნათქვამი, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ეს აქტი წმინდა ფიზიოლოგიური-რეფლექტორული აქტია, და არ დავინახოთ ის ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი, რაც ფსიქიკურ პროცესებს ახასიათებს, და ამით უმეტეს გვერდი აუხევიოთ იმ სოციალურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერების მიღწევებსა და მეცნიერული აზროვნების განვითარებას.

შრომის დასკვნით ნაწილში ავტორი წერს: ცხოველთა მოქმედება წარმოადგენს მასზე გარემოს მოქმედების პირდაპირ შედეგს. თუ ეს ასეა, მაშინ იბადება საკითხი: — რა როლი მიეკუთვნება ნებას ცხოველთა მოქმედებაში? ამ კითხვაზე ავტორი იძლევა შემდეგ პასუხს: ნებას შეუძლია შეაკავოს ან დააჩქაროს გარემოს მოქმე-

დებით ცხოველზე ნაკარნახევი მოძრაობანი.

ამის შემდეგ ივ. თარხნიშვილი ჩერდება ნების თავისუფლების აღიარებელ და მის საწინააღმდეგო — ნების თავისუფლების უარყოფელ მიმდინარეობებზე. იგი გადაჭრით ანვითარებს იმ აზრს, რომ ნების თავისუფლების აღიარებას არავითარი საფუძველი არა აქვს. მისი აზრით ერთადერთ სწორ მეცნიერულ შეხედულებას ამ საკითხში წარმოადგენს ნების თავისუფლების უარყოფა. ივანე თარხნიშვილი წერს, რომ ნების თავისუფლების აღიარებას უარყოფითი შედეგები მოსდევდა აღზრდის, საერთოდ პედაგოგიკისა და სხვა მთელ რიგ საზოგადოებრივი მნიშვნელობის სფეროებში. ამ საკითხის სწორი გადაჭრა, ე. ი. ნების თავისუფლების უარყოფა, საზოგადოებისათვის დიდად სასარგებლოდ მიიჩნია. იგი ცალკე ჩერდება დასჯის საკითხზე. ავტორის თქმით „ნების თავისუფლების“ აღიარებისას ყოველად დაუსშვებელია აღამიანის დასჯა, რადგან, თუ კი „ნება თავისუფალია“, რა შედეგი უნდა მოგვეცეს პიროვნების დასჯამ, პიროვნების, რომლის ნება არადრით შეპირობებული არ არის? „ეს აშკარა წინააღმდეგობაა. თუ სასჯელს აძლავებ ძალას მივიანიჭებთ, ამბობს, იგი აქედან გამომდინარეობს „თავისუფალ ნების“ დამოკიდებულების აღიარება, გარე დამსჯელი ზომებისაგან, ე. ი. „ნების თავისუფლების“ უარყოფა.

საბოლოოდ ავტორი იმ შეხედულებას გამოთქვამს, რომ მოძღვრება ნების დეტერმინირების შესახებ თანდათან იკაფავს გზას, რაც საზოგადოებისათვის მეტად სასიკეთო მოვლენას წარმოადგენს.

ჩვენ შევეცადეთ ავტორის სიტყვებითვე გადმოგვეცა ივ. თარხნიშვილის

შრომის „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობებში“ მთელი შინაარსი. შრომაში 1871 წელს წაითხულ ლექციებით და 1872 წელს მათი გამოცემით ივ. თარხნიშვილი საქართველოში გამოვიდა საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის გაბედული პროპაგანდით. ქართული მეცნიერული აზროვნების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო მე-19 საუკუნეში, როდესაც ქართველი მეცნიერი — ბუნებისმეტყველი თბილისში აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებით გამოვიდა ჯერ ზეპირი და შემდეგ ბეჭდვითი სიტყვით. იგი მეცნიერების უკანასკნელი მონაცემების დანერგვასთან ერთად მატერიალისტურ შეხედულებებს ავითარებდა. ეს მატერიალიზმი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარქსის წინარე ხანის მატერიალიზმს წარმოადგენდა, მაგრამ საქართველოში აღნიშნულ პერიოდისათვის მოწინავე მოვლენა იყო.

ახალგაზრდა მეცნიერი-ბუნებისმეტყველი გაბედულად აცხადებს, რომ ტვინი წარმოადგენს აზრის ორგანოს, იგი ცდილობს ფიზიოლოგიური საფუძვლები გამოიჩინოს რთულ ფსიქიურ პროცესებს. ამასთან ერთად იგი ეხება „ნების თავისუფლების“ საკითხს და ნების გარემოპირობებით პირობადების აღიარების შემდეგ ცდილობს გამოტანილი დასკვნები საზოგადოების პრაქტიკულ მოთხოვნებზე დაუკავშიროს. როგორც მარქსამდელი მატერიალიზმის პოზიციებზე მდგარი, ის ვერ იძლევა „ნების თავისუფლების“ პრობლემის და მასთან დაკავშირებით მის მიერ განხილული საკითხების ისტორიულ-მატერიალისტურ გადაწყვეტას, მაგრამ ამის შესრულება მას იმ ხანაში ცხადია არც შეეძლო.

ივ. თარხნიშვილი პირველი მეცნიერია, რომელიც აღნიშნულ შრომით საქართველოს საზოგადოებას

გააცნო მე-19 საუკუნეში ფიზიოლოგიის, კერძოდ ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის უკანასკნელი მიღწევები. მან პირველმა გააცნო ქართველ საზოგადოებას ელექტროფიზიოლოგიის მიღწევები და პირველმა მოახდინა ამ მიმართულებით იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ცდების დემონსტრაცია. იგი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელიც საქართველოში გამოვიდა დარვინიზმის პროპაგანდით. მან გაილაშქრა ეგრედწოდებული მაღალი მიხანშეწონილების იდეალისტური კონცეპციის წინააღმდეგ. „ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“, ქართულ საბუნებისმეტყველო აზროვნების ის შესანიშნავი ნაწარმოებია, რომელსაც საბუნებისმეტყველო მატერიალიზმისა და საერთოდ მეცნიერული აზროვნების ისტორიაში იგივე ადგილი მიეკუთვნება საქართველოში, როგორც რუსეთში ივ. სეჩენოვის საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებს — „თავის ტვინის რეფლექსებს“.

„ნერვულ სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“ გამოქვეყნების დროს ივანე თარხნიშვილმა კარგად იცოდა, რომ „თავის ტვინის რეფლექსების“ ავტორი რუსეთში დევნილი იყო და შრომის აკრძალვასთან ერთად რუსეთის ფიზიოლოგიის ფუძემდებელ ივანე სეჩენოვს ყოველმხრივ ავიწროებდნენ, მაგრამ ამას თარხნიშვილი არ შეუშინებია. გამოჩენილ ქართველ მეცნიერს მოწინავე შეხედულებებთან ერთად პირდაპირობა და გამბედაობა ახასიათებდა, რაც მას არაერთხელ გამოუჩენია თვითმპყრობელობისა და მისი ყურმოპყრილ მონების მიმართ. ნაყოფიერი სამეცნიერო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მისი პიროვნების დამა-

ხასიათებელი აღნიშნული თვისებები იყო იმის მიზეზი, რომ „ნერვულ სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“ თბილისში გამოქვეყნების ხანიდან მოყოლებული, მთელ სიცოცხლის მანძილზე ივ. თარხნიშვილი მოღვაწეობისათვის თვალი აღარ მოუშორებია საქართველოს მრავალ მოღვაწესა და ქართულ პრესას.

ქართული საზოგადოებრივობის დამოკიდებულება და მის მიერ ივ. თარხნიშვილის ღვაწლის შეფასება მკვეთრად იქნა გამოხატული დეპეშებში, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა და ილია ქავჭავაძემ გაუგზავნეს ივ. თარხნიშვილს მისი სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილესთან დაკავშირებით. იაკობ გოგებაშვილი წერდა:

„ქართველი პედაგოგი გულითა და სულით გილოცვენ ოცდაათიწლის იუბილეს თქვენის ნაყოფიერის მოღვაწეობისას საპროფესორო და სამეცნიერო ასპარეზზედ და მხურვალედ პნატრობენ რომ დიდხანს სიცოცხლობდეთ რუსეთისა და თქვენის სამშობლოს საქართველოს საკეთილდღეოთ“.

ქართული კულტურის უდიდესმა მოამაგემ ილია ქავჭავაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სახელით გაგზავნილ დეპეშაში იუბილარს მიმართა შემდეგი სიტყვებით:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ულოცავს-რა მსტოვან იუბილიარს ოცდაათის წლის ნაყოფიერ სალიტერატურო სამეცნიერო მოღვაწეობას, უძღვრის გულწრფელ სალამს ღირსეულ მამულიშვილს და უსურვებს ხანგრძლივ სამსახურს სამეცნიერო ასპარეზზედ თავის და საქართველოს შეილების სასახელოდ“.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა



რედაქცია მარტინიანი — მუშაობს მუხბასა

ლექსები, 1946 წ. „საბჭოთა მწერალი“.

რედაქცია მარტინიანის ახალ წიგნში არის ერთი ციკლი ლექსებისა: „უირიმი, 1942“. ამ წარმოდგენილ ლექსებში უშუალო და გულწრფელი გამოხატულებაა პოეტის დიდი განცდებისა სამამულო ომში. პოეტს პირველ ლექსებშივე ახსიათებდა პოეტური სიხალე. მან ცხოველ მხატვრულ ფერადებში გადმოგვცა მშობლიური კუთხის — სევანეთის სურათები. ხოლო დიდ სამამულო ომში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა კიდევ უფრო სიანტირესო გააძღეს რ. მარტინიანის პოეზია. პოეტისათა რეალისტური ათვისებით პოეტი თავის პოეტურ თაობიდან უთუოდ გამოირჩევა. მისი ლექსები სამამულო ომის თემაზე, სათანადო ყურადღების ღირსია თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

ამ ლექსების ციკლი ფრონტის შთაბეჭდილებათა წარმოდგენილი ღირსილი გადმოცემაა. ამ არის მგზნებარე სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, ზრუნვა და ოცნება სიყვარულ ადამიანებზე, განუყვრელი ფიქრი ქვეყნის მომავალზე. დამახასიათებელია ამ მხრივ ლექსში „მე უბით ვატარებ პატარა ხარაოს“. ლექსში „თოვს“ — პოეტი ასახავს სანგარში მყოფ მებრძოლის განცდას. ამ დახატულია ფრონტის პეიზაჟი ზამთარში. თოვლისაგან თეთრად ბინებებს ველი. ცვივა თოვლი სანგრებშია, ვარჯთ კი ისხვარ სვეტებდა აღმართულია პროექტორების შუქი. მებრძოლს უნებლად აგონდება შორს დარჩენილი მშობლიური კერა. მისი სიმწვდევ, რომელსაც იგი ამ ფრონტზე იცავს:

„და ახლა, აღმათ, გამწირსაც ათოვს და ჩვენს ავიანს ვერება თოვლი. შევა ოთახში სამნი ხართ მარტო — დგას სურნელება ჩაიღწის ბოლის...“

ეს პოეტი ფრონტზე გახსენება სიყვარული ადამიანების, მუდგრო კერის, ეს ტემი-

ლი მოგონებანი, რომელნიც მებრძოლში აღვიბებენ სამშობლოსათვის ბრძოლის უფრო ძლიერ წყურვილს — ლეიტმოტივად ვასდევს მარტინიანის ლექსებს. ლექსში „სანგარში“ პოეტი წერს:

„ოცნებით ტყბილად მივდღვავ თვალებს. ჩემს თავზე ლურჯი ცა დამზობილა, ტყბილი ყოფილა სამშობლო მხარე და გახსენებაც ტყბილი ყოფილა“.

განსაკუთრებულ სიყვარულით ზატავს პოეტი სამშობლოს დამცველთა საბეებს. მის ლექსებში სჩანს პორტრეტები სახელგანთი ვაჟკაცებისა, რომელთა ღვაწლი აღაფრთოვანებს დიდსა და პატარას. ასეთი ზასიათის ლექსებია „ამხანაგი ჩანჩიბაქე“ და „კომისარი გიორგაქე“. ომის პერიოდში რ. მარტინიანმა შექმნა მრავალი კარგი ლექსი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „თოვს“, „პატარის ისარზე“, „ჩემს დობილს“, „ზამთარი“, „სღვანე“ და სხვ.

შეტად დამახასიათებელია პოეტისათვის ლექსი „ეინ მომამორის სამშობლოს დრომას“. მისი ოცნება და სიყვარული მხოლოდ სამშობლოს დასტრიალებს. ის მასთან იყო, თავის მშობელთან, წუხილისა და გაჭირვების დროს, როდესაც ისმოდა „ქუხილი ქართა“. ეს შეუძლია პოეტი მოამორის სამშობლოს დრომას, გარდა კაცისაქლეული სიყვდილისა? მისი უკანასკნელი ამოახილი სამშობლოს სადიდებელი იქნება ახლა კი ზემისა და ბედნიერების ეამს ბრძოლა ვადმდელი პოეტი მუდგარი ამოხის:

„ჩვენ ერთად ვიყოთ დიდებს დროსაც, — გუგუნი ისმის დიდების ქართა, ვინ მომამორის სამშობლოს დრომას კაცისაქლეული სიყვდილის ვარდა“.

ამჟამად რ. მარტინიანის ლექსებში კვლავ და მახასიათებელია ვარჯილი საბრძოლო გზის



ვახსენება, რომანტიული გამოსახვა ამ დღი და ქარიშხლიანი დღეებისა, როდესაც ჩვენი გვირუკი არის საქმეზე მტერს შედევნებლივ მიერკეცობდა დასავლეთისაგან. ეს მოტივი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს პოეტის შემოქმედებაში. სიამაველი იმზე დღი და ყურადსაღებია. ნაწარმოები უთუოდ უნდა შექმნას თეთი უშვალოდ ბრძოლები მონაწილეში, რომელმაც ნახა იმის ქარიცხელი. ამიტომ ბუნებრივია, როდესაც პოეტს შორეულ სიზმარივთა ვლეს ისრით დახატული კავკასიის ღერჯი მთები არ სცილდება გონებიდან, მისი ფანტაზია კვლავ ამ შრისხანვ დღეთა ვრიგალების ზეღაზლა წარმოსახვას ლამობს. პოეტი სიყვარულით მიმართავს კავკასიის ღერჯ მთებს, მოგონებათა კვლავ სიციხველით აღსაღვნი:

„თითქოს გუშინ, ასე შახსოვს
 იყო შხოლოდ უკუნეთი,
 თოვლიანი, თეთრი მხრებით
 ბოღშით საცხე გუგუნებდით“.

რ. მარგინის ლექსების წიგნში აგრეთვე ქარბად არის წარმოდგენილი იმისმომდგომი დროის თემატიკაც. ლექსი „სვენური სიმღერა“ ამ მხრივ მეტად სინტეტურსა-მხედარი კვლავ შმოხლიერ მხარეშია. ისევ ძველებური კერა, შეიოლილი ჯიხვის რქები, პიტლო კლდით ნაგები ძველი კოშკი და პატარა და ვერო საჩქმელში მთვარის შუქი. ზემოშის თჯახი იმგადახდილი ვეჯკაცე და ბრუნებას. იშლება მზიარული სურფა. პოეტი ნამდვილის კოლორიტით გადმოგვცემს ამ საზომით განწყობილებას:

„ეს ტაბაკი ძველისძველი,
 სიფრიფანა ლავაშები,
 ლუნხუმიდან მოტანილი
 მსხალის ჩირი და ვაშლები
 ეს არაფე ნათიდეი,
 საგანგებოდ შენახელი,
 ცოტაც ლუნხუშური ღვინო
 გზაში ოდნავ შეღახელი...
 ისევ ისე თბილად დამხვდა,
 ჩემთვის მარად სანუკვარი,
 მტრისთვის შუდამ დაკვტილი,
 მოყვრისათვის ღია კარი“.

რ. მარგინი კვლავ კიდევ იმავედ შეეცადა დახატა სვანეთის პეიზაჟი, მისი ყოფიერება, ამ კუთხის თავისებურებანი. მთელი ცოკლი ლექსებისა „სვენური სიმღერები“ აგრძელებენ ამ ხაზს. გამსაკეთრებით მათგან გამოირჩევა ლექსები: „აყვანი“, „კალოზი“, „იავქალი“, „მარახი“. ხოლო ძველი ლექსებიდან აღსანიშნავია: „მირანტლა“, „ამ-

ბავი რესთოდის სვანეთში მარგინის“ და „აქყვარი“.

წიგნში სხვა ნაწარმოებებიც გვხვავთ. ბულის სიყვარული და ინტიმიტ გამსახველმა ლექსი „ქართველი მგოსნების წიგნი“. პოეტს აღფრთოვანებს ის ვრჩიობა, რომ იგი არის თანამედროვე დიდი ეპოქისა, დიდი ბელადის დროის მგოსანი. მის დაეიწყების მტერი არასდროს არ დამარავს. ოდესმე როცა ჩვენ არ ვიქნებით, — ამბობს პოეტი, — იქვენთან ეს შუქი შოალწვეს, და ჩვენ გვეცოცხლებით წრფელი სიტყვით და საქმით. ეს კარგად არის გადმოცემული შემდეგ სტრიქონებში:

„ჩვენ გვეცოცხლებით ქართლის მსახურნი,
 შემოკრებილი ბელადის ბრველივ,
 მარადი შუქით და ვახუშტულით
 ზელუზგაწვდილი სიპარლის წიგნით!
 ოდესმე, როცა ჩვენ არ ვიქნებით,
 იქვენამდე ლექსი შოალწვეს ჩვენი,
 ჩვენ ვიტყვით ნათუდ ქართულ წიგნებთ,
 როგორ გვიყვარდა სტალინი ბრძენი“.

ამ ხასიათის ნაწარმოებებია: „ლაფრენტი ბერიას“, „ბელადის სახლი“ და „ბერია ფიქვალტურულითა პარადზე მოსკოვში“. მათში პოეტის სიამავე და აღფრთოვანება ცხადდება ყოველ მხრევ დიდი საშობლოს სიღიდათ გამაწყვეთლი.

რ. მარგინს აქვს თავისებური პოეტური გაზრება, ახალი, ცოცხალი სახეები. ეს მთავარი პირობაა პოეტისათვის, რომელიც საყუთარ ხმას იმკვიდრებს. შავრამ ზოგჯერ მასვე აქვს ნაძალიდევი, ბელოვური სახეები, რომლებიც ნაკლებ ეფექტს ახდენენ მკითხველზე:

„ჩიტუნები — დარის კირისუღლები(?)
 ციმიბუნენ, გაფანტულან ვერცხლად“(?)“.

ჩვენ სადავოდ მივგანინა ქარბი და პარდაპირი გამოყენება ხალხური ლექსის ფორმისა, როგორც ამას ახდენს რ. მარგინი. ხალხურ ლექსს აქვს ბევრი კარგი მხარე, რომელსაც იყენებს ზვენი თანამედროვე პოეტთა. შავრამ საბჭოთა ლექსი ფორმის მხრივ ბოლო ხანებში ძალიან შიდალ სიფხურზე ავიდა და ახლა ასეთი ექსპერიმენტი, კვლავ ძირითადად დიყრდნობა ხალხურზე, როდი ნიშნავს პოეტური სიტყვის შილწვეათა სიმაღლევ დგომას.

რეკავ მარგინის ლექსების წიგნი „მუშლი შტახას“ პოეტის წინსვლის მაჩვენებელია. ის ნაყურადღებო მოვლენაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

დავით ზახათაია.



ბიორგბი შარვაშიძე — „ლირიკა, მკონი, ღრამა“

ეროვნული
ბიბლიოთეკის
საბუნებისმეტყველო
გამომცემლობა

ბადმეიკოს ს. ჯანაშიას რამაშებით და წინასიტყვაობით.
ასს რსხბელმწიფომ გამომცემლობა.

გ. შარვაშიძე, რომლისთვისაც ქართული ენა არამარტო კულტურის მთავარი იარაღი, არამედ სიყვარულის განსაკუთრებული საგანიც იყო თავის დროისათვის და წრისათვის დიდად განათლებულ კაცად ითვლებოდა. გ. შარვაშიძე, როგორც ამას აკადემიკოსი ს. ჯანაშია აღნიშნავს „მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს უკავშირდება“. ბრწყინვალე პოეტური ნიჭისა და დიდი ერუდუციის მქონე გ. შარვაშიძე თავის სიკრებლის უკანასკნელ დღემდე ქართული სიტყვის კულტურას ემსახურებოდა. იგი რუსეთში და ევროპაში მიღებულ დიდ ცოდნას ქართველი ხალხის კეთილდღეობას ახმარებდა.

სასწავლებლად რუსეთში წასულ გიორგი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ემშენა საზოგადოებრივ საქმიანობაში და ქართული ენისა და სულიერი კულტურის გამდიდრებისათვის მისწრაფვის. გიორგი შარვაშიძეს ქედი არ მოუზარია, თავის ხალხზე ვაზაღუნებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე. გიორგი უანგაროდ ემსახურებოდა ერს და იგი ზიზღით უყურებდა ყოველგვარ ჯილდო-წარინიშნას, რომელსაც შეიძლება მიეცათ, რომ უველა მისი დროისა და მისი წრის რჯობა დიდ ბედნიერებად და საოცარ ნეტარებად სთვლიდა. გიორგი, რომელსაც უმარტობიდანვე ეზიზღებოდა უველა ის „სიყეთე“, რომელიც რუსეთის ტახტთან გამოზღინარებობდა, ვაზატუნებულ ხელისუფლების მიერ ძალზე შევიწროებულ იყო. მას აღკრძალული ჰქონდა თავის სამშობლო-აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება. მაგრამ დღეინილი პოეტი სულიერად არ ეცემოდა. იგი სამარის კარამდე შერჩა თავის კეთილშობილსა და ამაყ პოზიციას.

აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ თავის ღრმა შინაარსის მქონე კულტურულ-ისტორიულ ნარკვევში, რომელიც დარტული აქვს სარეცენზიო წიგნს, ნათელი ფერებით გვაჩვენა პოეტის კეთილშობილი სახე და ის „ამაყი პოზიციის“, რომელიც გიორგი შარვაშიძეს ეყავა შოლვაწიობის შთაღ პოეტიკაში.

დამატურგისა და პოეტის გ. შარვაშიძის სიკაილორის სიმართლისადმი მისწრაფება შეუძლებელია არა მარტო წიგნების გავლენით, არამედ უშუალოდ ცხოვრებაში დაკვირვების შედეგად. გ. შარვაშიძე იკუთვნებოდა მწერალ-

თა იმ რიგებს, რომლისთვისაც ქვეყნისა და ხალხის ინტერესები პირადულზე უფრო მძლავრად იდგა. გ. შარვაშიძის ჩანგი არ იყო მარტო ქართული საპირადოდ. პოეტის ყურს ესმოდა ხალხის მწუხარება, ასულის მქენჯი, გულის მღაგი“ კენესა. პოეტის ჩანგი მხოლოდ ჩაგრული ხალხის ინტერესებისათვის აღწერდა. (ლექსი „ჩემი ჩანგი“). გ. შარვაშიძის ცხოვრება და შემოქმედება საესებთი დაღადებენ იმას, რომ მას ხალხი მიანდა უკეთეს მომავლის შემქმნელ დიდ ძალად, „დაცემულ მამულს“ მხსნელად. ამტომ არის, რომ პოეტის ღირსებულ თემას გიორგი შარვაშიძე მხოლოდ ჩაგრული ხალხის ცხოვრებაში პოულობს.

ქართული კულტურის მოამაგე გ. შარვაშიძე, უბრველეს უოვლისა, საინტერესოა როგორც მებრძოლი პოეტი, რომელშიაც დამლეულია ეპოქის ავადმყოფობა — ინდივიდუალიზმი. მართალია პოეტს აქვს თავისი კერძო დარდი და ვარაში, თავისი ტყილეტი, მწარე სევდები, მაგრამ ამ ეიწრო ინდივიდუალურ სამყაროს იგი არ სთვლის პოეტის ღირსად, რადგანაც მისი ჩანგი „საქვეყნო ჩანგია“.

„...ემს ქნარს მას ვერ დავმღერ,
რაც მე კერძოდ შეშებემა
იმის სმინი, იმის მანგი
ერისთვის არ დავკრება!“

პოეტის ჩანგი ეღერს თავის სამშობლოს კუთხისა და ქართველი ჩაგრული ხალხის ვასამხნეველებად.

სათუთ ეროვნულ გრძნობებს გ. შარვაშიძის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უკავია სიმონ ჯანაშიამ, სანამ იგი გ. შარვაშიძის კეთილშობილი გრძნობების საზოგადოებრივ მნიშვნელობას აღნიშნავდა, მეცნიერული სისრულითი გადმოგვცა აფხაზეთ ტომის ისტორიული წარსული. „აფხაზეთ ტომი ისტორიულ სარბიელზე ქრისტიანული წელთაღრიცხვის დამდეგს ვამოღის, მაგრამ განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს მერვე საუკუნიდან, როცა აფხაზეთა სამეფო არსდება. ეს სამეფო შეუწებლად ეთიარბება და მეთუ საუკუნის შეაწლებისათვის მას უქიარავს არა მარტო შთელი დასავლეთ-საქართველოს ტერიტორია, არამედ აღმოსავლეთ-საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც, შემდეგში ის დანა-



რბენ ქართულ სამთავროებთან ერთად შედგენს საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და მთლიანად არის მოქცეული ქართული კულტურის წრეში. მაგრამ ამას გარდა ირაკლია, რომ უკვე აღბაზნა სამეფოშიც, ყოველ შემთხვევაში შეცხრე საუკუნის მეორე ნახევრიდან, სახელმწიფოს, შემოგობრობისა და ეკლესიის ენა არის ქართული". რასაკვირველია მეცნიერული დოკუმენტებით დადასტურებულია ისიც, რომ აქართულ ენას ეს როლი არ დაუკარგავს მაშინაც, როდესაც, საქართველოს სამეფოს დაშლევის შემდეგ, წარმოიშვა აღბაზნის სამთავრო, განკარგებული პოლიტიკური ცხოვრების მატარებელი". ცნობილია, რომ ქართული ენა მტრნაკლებად ყველამ, იცოდა აღბაზნეთში, მაგრამ ყველაზე უფრო ქართულის ენის ცოდნა, რა თქმა უნდა, უმთავრესად თავდაზნაურობას აბასიათებდა, იმიტომ, რომ ქართული ენა იყო კულტურის ენა, კულტურა კიდევ ფეოდალური საზოგადოების პირობებში უპირატესად უმაღლესი წრეებისათვის არის მისაწვდომი. ამ უმაღლეს წრეებს გუროვნოდა გ. შარვაშიძის ოჯახი. გიორგის შამის, შიხელი შარვაშიძის ოჯახში ქართული ენა და ლიტერატურა გამჭვებული იყო.

გ. შარვაშიძის პირველი მცნება იყო: ბრძოლა „დაცემულ მამულს“ აღორძინებისათვის. მწერლის ასეთი განწყობილება გამომდინარეობდა იმ წრიდან, რომელშიაც ტრიალებდა იგი. ს. ჯანაშია ამ წრეს გვაცნობს და სწერს: „იმ წრეში, რომელშიაც გ. შარვაშიძე ტრიალებს, ისეთი სახელეცეო კიაფობს, რომელთაც მთელი საქართველო იცნობს: აკაცი წერეთელი, შამია გურიელი... ბერი სხეც, გამოჩენილი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწე, აქტიური ურთიერობაშია პოეტთან. ეპოქაც ზომ ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანდათან გაშლით არის დაბასიათებულს. სწორედ დაცემულ მამულს შესტრფის ეს თაობა, მას უძღვრბს, მისი აღდგინებისათვის იღწებს“. აღბაზნისათვის, რომ გ. შარვაშიძეს საკუთარი ზმა ქონდა ამ გუნდში, გ. შარვაშიძის ჩანგის სიმებზე აუოლილი სიმღერა მომბაზლელია და გამთბარია წრეული გრძნობებით. აკაცის შეგირდად აცბადებს პოეტი თავს და მართლაც გვეს გარეშეა, რომ გ. შარვაშიძის პოეზია აკაცისაგან დიდად არის დავალებული. გ. შარვაშიძე აკაცის მხეავსად, ზაღბის მომავლით სულდგმულობს. იმდროინდელი გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწენი და მათ შორის გიორგი შარვაშიძე თანამედროვეობით ცხოვ-

რობს, წარსულის ტყვეობაში კი არ იმყოფება, წინ იყურება, ზაღბს, მომავალს უძღვრება.

ამაშია გ. შარვაშიძის შემოქმედების პროგრესიულობის ძირითადი მხარე.

გ. შარვაშიძემ სოციალური ხასიათის ლექსებთან ერთად შექმნა ძლიერი პატრიოტული ხასიათის ლექსები. მის პატრიოტიზმს აბასიათებს პროგრესიულობა. გ. შარვაშიძის მოქმედი, პროგრესიული პატრიოტიზმის სავალობლებია ისეთი ლექსები, როგორცაა „ობოლი“, „ლომი“, ავარადა“, რომლებიც აბასიათ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში უნდა შეედიეს. უდავოდ სწორია, რომ ამ ლექსებში „პოეტ-მამულიშვილის ემოციური დაბაზნობა უმაღლეს წერტილს აღწევს... პოეტ-მამულიშვილის წმინდა პატრიოტულ ლექსებს საერთოდ კი ყველა მის ლექსებს (თუ არ შევიღებთ მხედველობაში საბაზნო ლექსებს, რომელთაც გ. შარვაშიძის პოეზიისათვის არ იყო დაბასიათებელი) აბასიათებს ღრმა ოტკმინში, შეუღმსრავი, ოტკმინში, ნიშნდობლივი მთელი ქართული პოეზიისათვის, აბაზნის გიორგი შარვაშიძის შემოქმედებასაც.

გ. შარვაშიძის შემოქმედებაში მნაშენლოვანი აბდელი უკაცია სიყვარულისა და მეგობრობის პრობლემასაც.

მეგობრობა და სიყვარული გ. შარვაშიძის შემოქმედებაში მალაღ პრინციპულ სიმალღზე არის აყვანილი. გ. შარვაშიძეს მეგობარი წამს საზოგადოებრივ სამსაზურში მყოფი, მხნე და ზაღბის კეთილდღეობისათვის მებრძოლი. პოეტი ებრძვის სულდბაზლობას.

გ. შარვაშიძის აბამანს აქვს გარკვეული შინაობა. ეს არის ბრძოლა დიდ და საქვეყნო საქმისათვის. გ. შარვაშიძეს უყვარს სულით ამაღლებული, მტრის მოქლე და მამულისათვის თავდადებული აბამანი. მისთვის მეგობარი შეიღლება მხოლოდ ისეთი კაცი იყოს, რომელმაც არ იცის სინდვლებების წინაშე ქელის მობრა და სინდვლის გზაზე სიარული (ლექსი „კოწილა ერისთავის“).

გ. შარვაშიძე ცნობილია არა მარტო როგორც პოეტი და პოემა „გვიღანის ციბის“ ავტორი, არამედ როგორც დრამატურგიც. გ. შარვაშიძის პესები აგებულია მამაღ დრამატულ სიტუაციასა და ბუნებრივ დილოგზე. რაც მთავარია, ეს პესები იმავე იღეებიითაა გავლენილი, რომელსაც ლექსები ატარებენ. თანამოქმედებთან ისტორიულ დრამაში „გიორგი მესამეში“ აშკარად ჩანს თუ რაოდენ დიდია გ. შარვაშიძის სიყვარული ქართული კულტურისადმი, და რაოდენ იბიდავს პოეტს საქართველოს ისტორიული წარ-

სული. გიორგი მესამე პოეტს შიანია დიდ სახელმწიფო მოღვაწედ, რომელიც აგრძელებდა დიდი აღმაშენებლის გზას დაქსაქსულ საქართველოს გაერთიანების სფეროში.

გ. შარვაშიძე მტერია ყოველგვარი პარტიკულიარიზმისა. მან იცის, თუ სადამდე მიყვება საქართველო ფეოდალურ პარტიკულიარიზმს. ამიტომ იგი გიორგი მესამის პოლიტიკას იწონებს და მის სახელმწიფოებრივ ნიჭს და გონებას დიდად აღასებს. გ. შარვაშიძის პიესა ყოველმხრივ საინტერესოა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ დიპლის პერსონაჟები სქემატიკურად დახარისხებულა კი არ არიან სიკეთისა და სიავის კატეგორიების მიხედვით, არამედ ცოცხალი, მთლიანი ზაიათებია, საკუთარი შინაგანი ლოგიკის მქონე: გიორგი III, მისი ანტიპოდი — „სალოსი“ ღუმნა, თამარი, ორბელი ჯეჯეხიანი, მხარგრძელი... ყველა ჯგუფი დახატულია თავისი ტიპიკურად წარმოადგენლების შეშველით, და ყველა მათ თავისებური სულიერი მხნეობა მოდგამს.

სიმონ ჯანაშიას სავსებით სამართლიანად შიანია რომ, „სცენიურადაც ინტერესის მქონეელია, ეს დრამა, მიმდინილი საქართველოს მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრივი ძლიერების აღდგენის იდეისადმი“, იგი ფიქრობს, რომ „იგივე იდეა უნდა სდებოდეს, ჩანს, საფუძვლად პიესა „გვადანის ციხესად“, რომელიც სამწუხაროდ, დღემთავრებულია“.

კომედია „მომავლადნი სურათის“ „სახელწოდებაშივეა უკვე გამოთქმული ნუგეშის ლიტერატურული განზრახვები უკვე მის „დროის მხარის ქაღალის“, ე. ი. კართული პრიონციის დაქვეითებული საზოგადოებრივი ჯგუფის მომავლადი სახეები.

თავის დროისათვის მოწინავე იდეების მქონე გ. შარვაშიძის პიესა ფორმის თვალსაზრისითაც მაღალ დონეზე დგას ამისი სახეები ორიგინალურია და შოულოდნელი, რიტმი — მომხიბლავი, სიტყვა — ნათელი და შეუცვლელი“. ასევე შეიძლება ითქვას გ. შარვაშიძის რუსულ ლექსებზეც. გ. შარვაშიძის კალამს ეკუთვნის რუსულ ენაზე დაწერილი რამდენიმე ლექსი. უნდა აღინიშნოს, რომ გ. შარვაშიძის ზოგიერთი ლექსი, დაკარგულა რედაქტორისათვის, რომელმაც შეკრიბა დაცალკე წიგნად გამოსცა გ. შარვაშიძის ლექსები და დრამატული ნაწერები, ამჟამად ხელშიუწვდომელი აღმოჩნდა პიესა „კომლი უცეცხლოდ“, რომელიც პირველად დაიდგა ქუთაისში 14/IX — 1893 წ. საერთოდ გ. შარვაშიძის ლიტერატურული შექმნილობა სავალალო მდგომარეობაში იმყოფება დაცულობის მხრივ.

ცალკე წიგნად გამოსული გ. შარვაშიძის ლექსები და დრამები უსათუოდ თავის მნიშვნელოვან ადგილს დაიკავენ ჩვენი ქვეყნის კულტურის სიკანაძურში.

ვლადიმერ ჯიბუბი

შინაარსი

აბანავ ი. ბ. სტალინის მისაღება	83
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, კარი შერე, გაგრძელება	3
ვარლამ შარაში — ლექსები მოსკოვზე	5
ლიტველი საბჭოთა მოეტების ლექსები, თარგმანი ვასო გორგაძისა	58
ნიკოლოზ ჩაჩავა — ორი ლექსი	60
—	
ალექსანდრე ბარამიძე — ნიშანი, წერილი	64
იანე ცინცაძე — ძველი მოსკოვი და ცნობები საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ, წერილი	74
აბაძე ბაწირაშვილი — მახვილი ქართულ ლექსში, წერილი	90
მინილი საბაკაშვილი — შეცნობული აზროვნების ისტორიისათვის საქართველოში, წერილი	112
—	
დავით შახათაშვილი — რევაზ შარტიანი — „მედი მუხსა“, ბიბლიოგრაფია	130
ალექსანდრე ჯიბარძი — ვიორჯო შარვაშიძე — „ლირიკა, ეპოსი, დრამა“, ბიბლიოგრაფია	132

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდიანი), იოსებ ბაიშაშვილი, გავლენ ინგოროშვილი, სერგო კლდიაშვილი, ალიო ნირცულაშვილი (მასშტაბი), ბესარიონ შლენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დონა შინგელაია.

ბელოწერილია დასაბეჭდად 5/XI-47 წ. ნაბეჭდ ფორმათა ჩაოდენობა 8 1/2 ფ. № 12781.
შავ. № 1439. ტირაჟი 5.300.

ს.ქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა სამმართველოს პეჭდეთი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მთაბლის ქ. № 13. ტელეფ. № 3-04-64.